



შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი

გალაკტიონ ტაბიძე

თხზულებანი
თხუთმეტ ტომად

თბილისი 2016

გალაკტიონ ტაბიძე

ტომი |

ლექსები. პოემები

1908-1914

თბილისი 2016

სარედაქციო კოლეგია

თემურაზ დოიაშვილი მთავარი რედაქტორი

ლევან ბრეგაძე
ირაკლი კენჭოშვილი
ემზარ კვიტაიშვილი
ირმა რატიანი
როსტომ ჩხეიძე
ნათია სიხარულიძე

პასუხისმგებელი მდივანი

ტომის რედაქტორი ემზარ კვიტაიშვილი

ტომი გამოსაცემად მოამზადა,
ვარიანტები, შენიშვნები და კომენტარები დაურთო

ნათია სიხარულიძემ

პროექტი: „გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა აკადემიური თხუთმეტ-
ტომეული. პირველი ნაწილის (ტ. 1-5) გამოსაცემად მომზადება და გა-
მოცემა“ (№FR/45/1-20/13) განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვ-
ნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

ISBN
ISBN

© შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
© ავტორთა ჯგუფი

რედაქციისაგან

გალაკტიონ ტაბიძე (1891-1959) ღირსეული წევრია იმ მეგავარ-სკვლავური შვიდეულისა, რომელიც მარადისობის ნათელს ჰქონის მრავალსაუკუნოვან ქართულ პოეზიას. XX საუკუნის დასაწყისში მან, როგორც ნოვატორმა და დიდმა რეფორმატორმა, ეროვნული და მსოფლიო მხატვრულ-ესთეტიკური გამოცდილების სინთეზის გზით სათავე დაუდო თვისებრივად განახლებულ პოეტურ აზროვნებას და პოეტურ ენას, შექმნა ვერსიფიკაციულად მოდერნიზებული, ახლე-ბური ჟღერადობის ქართული ლექსი. გალაკტიონის შემოქმედების მეცნიერული შესწავლის გარეშე შეუძლებელია არა მხოლოდ გასული საუკუნისა და მიმდინარე სამწერლი პროცესის გაცნობიერება, არა-მედ, ზოგადად, ქართული სიტყვიერი კულტურის, როგორც ტექს-ტის, ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე მოთხოვნათა დონ-ეზე გააზრება.

გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა აკადემიური თორმეტ-ტომეულის გამოცემიდან თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა. ეს გამოცემა, გარდა იმისა, რომ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, ვეღარ უპასუხებს ჩვენი დროის სულისკვეთებას, იმ რადიკალურ ცვლილებებს, რომელთაც განსაზღვრეს თანამედროვე საზოგა-დოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისა და კულტურული ცნობიერებ-ის შინაარსი. სადღეისოდ, პირველი რიგის ამოცანად არის ქცეული საბჭოური იდეოლოგიური სტერეოტიპებისა და სქემებისაგან გა-თავისუფლება, რაც გალაკტიონთან მიმართებით გულისხმობს მის გამოხსნას საბჭოთა კრიტიკის მიერ დამკვიდრებული ყალბი შეხედ-ულებებისა და წარმოდგენებისაგან, მისი პოეზიის დაბრუნებას რე-ალურ-ისტორიულ კონტექსტში.

2013 წელს შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა დააფინანსა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუ-ტის „გალაკტიონის კვლევის ცენტრის“ მიერ წარდგენილი პროექტი: „გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა აკადემიური თხუთმეტტომეუ-ლი. პირველი ნაწილის (ტ. 1-5) გამოსაცემად მომზადება და გა-

მოცემა“, რამაც მეცნიერ-გალაკტიონოლოგთა და ტექსტოლოგთა ჯგუფს საშუალება მისცა, დაეწყო მუშაობა აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად.

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების კვლევის ხანგრძლივი ტრადიცია აქვს: გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან აქ მოქმედებდა გალაკტიონის პოეტიკის შემსწავლელი ჯგუფი, რომელმაც შეადგინა „გალაკტიონის რითმის ლექსიკონი“ (ხელმძღვანელი აკაკი ხინთიბიძე); აქვე მომზადდა ისებ ლორთქიფანიძის „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა“ (1968; მეორე გამოცემა – 1988), ხოლო 1985 წელს გამოვიდა ამავე ავტორის „გალაკტიონ ტაბიძის ბიბლიოგრაფია (1910-1984)“; რაც მთავარია, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა განახორციელა პოეტის თხზულებათა პირველი აკადემიური გამოცემა თორმეტ ტო-მად (1966-1975).

ჩვენი საუკუნის დამდეგიდან გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა. 2002 წელს თემიურაზ დოიაშვილის თაოსნობით ინსტიტუტში დაარსდა „გალაკტიონის კვლევის ცენტრი“, რის შედეგადაც ოფიციალურად გაფორმდა ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ახალი აკადემიური დარგი – გალაკტიონოლოგია და საუკუნოვანი ტრადიციის მქონე გალაკტიონოლოგიურ კვლევებს სისტემური ხასიათი მიეცა. არსებობის ათზე მეტი წლის მანძილზე „გალაკტიონის კვლევის ცენტრმა“ ჩაატარა არაერთი სამეცნიერო კონფერენცია, ხოლო 2002-2014 წლებში გამოიცა შვიდი წიგნი სპეციალური სამეცნიერო-ლიტერატურული სერიისა „გალაკტიონოლოგია“, რომელშიც შევიდა ქართველ და უცხოელ მკვლევართა ნაშრომები დიდ პოეტზე.

გალაკტიონ ტაბიძის ახალი თხზუმეტტომეულის მოსამზადებლად „გალაკტიონის კვლევის ცენტრმა“ მოცულობითი წინასწარი სამუშაოები ჩაატარა:

გადაისინჯა 1908-1959 წლების ქართული პრესა და საარქივო ფონდები (ნ. სიხარულიძე, მ. შელეგია, ნ. ხიდიშელი);

გასწორდა და ახალი, 1985-2015 წლების მონაცემებით შეივსო პოეტის არსებული ბიბლიოგრაფია (ნ. სიხარულიძე);

მომზადდა ხელნაწერი ცნობარი „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრება და შემოქმედება“ (მ. შელეგია);

გამოვლინდა და სათანადო სამეცნიერო კომენტარებით დაიბეჭდა უცნობი მოგონებანი გალაკტიონზე (ნ. კობალაძე და სხვ.);

საცდელი პროექტის სახით მომზადდა და 2014 წელს, წიგნის გამოსვლიდან 100 წლისთავზე, დაიბეჭდა გ. ტაბიძის ლექსების პირველი კრებულის (1914) მეცნიერულ-კრიტიკულად დადგენილი ტექსტი ვრცელი გამოკვლევით, შენიშვნებით და კომენტარებით (თ. დოიაშვილი; ნ. სიხარულიძე).

ახალი აკადემიური გამოცემის მომზადებას დიდად შეუწყო ხელი გალაკტიონოლოგიის სფეროში ბოლო რამდენიმე ათეული წლის მანძილზე გამოქვეყნებულმა ნაშრომებმა, რომელთა შორის აღსანიშნავია რევაზ თვარაძის, აკაკი ხინთიბიძის, მიხეილ კვესელავას, ნოდარ ტაბიძის, ირაკლი კენჭოშვილის, როლანდ ბურჭულაძის, ვახტანგ ჯავახაძის, თეიმურაზ დოიაშვილისა და ლევან ბრეგაძის, როსტომ ჩხეიძის, ზაზა შათირიშვილის წიგნები და მონოგრაფიები; გალაკტიონის პოეზიის აქტუალურ პრობლემებს მიეძღვნა ზურაბ კიკნაძის, გიორგი გაჩეჩილაძის, ემზარ კვიტაშვილის, დავით წერედიანის, გურამ ბენაშვილის, ზაზა აბზიანიძის, ამირან გომართელის, ვენერა კავთიაშვილის, ნინო დარბაისელის, ჯულიეტა გაბოძის, ბელა წიფურიას, გაგა ლომიძის, მაია ჯალიაშვილის, ნათია სიხარულიძის და სხვათა გამოკვლევები და წერილები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის მიერ 2005-2008 წლებში განხორციელებული გალაკტიონ ტაბიძის საარქივო გამოცემა ოცდახუთ წიგნად (რედაქტორი – იზა ორჯონიკიძე), აგრეთვე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მომზადებული თენგიზ სანიკიძის ხუთომეული „გალაკტიონ ტაბიძის ენის ლექსიკონი“ (1990-1996).

გალაკტიონ ტაბიძემ ურთულესი შემოქმედებითი გზა განვლო. საქართველოს სოვეტიზაციამდე (1921) იგი ქართული მოდერნისტული პოეზიის ლიდერი იყო, ცხოვრების შემდგომი ოთხი ათეული წელი კი საბჭოური ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში გაატარა და სიცოცხლე თვითმევლელობით დაასრულა. საბჭოთა ხელისუფლების ცინიკური დამოკიდებულება პოეტისადმი იმით გამოიხატა, რომ, როგორც პიროვნებასა და შემოქმედს, მუდმივი წერების ქვეშ ამყოფებდა, ხოლო ოფიციალურად ჯილდოებსა და რეგალიებს არ აკლებდა. მიზანი პრაგმატული ჰქონდათ: გენიალური პოეტი, ნე-

ბაყოფლობით, ასე ვთქვათ, თავისივე სურვილით უნდა მორგებოდა სოციალიზმის იდეების ერთგული სახალხო პოეტის საბჭოურ პარ-ადიგმას.

ხელისუფლების მუდმივი ეჭვი და უნდობლობა მოდერნის-ტულ-სიმბოლისტური წარსულის მქონე პოეტისადმი, უფრო და უფრო გამკაცრებული იდეოლოგიური დიქტატი და რეპრესირების შიში გალაკტიონს მრავალი წლის მანძილზე აიძულებდა, უკვე გა-მოქვეყნებულ ლექსებში კონიუნქტურული ცვლილებანი შეეტანა. ოცაინი წლებიდან დაიწყო მისი ე.წ. ქრონოლოგიური მისტიფიკა-ციებიც – ლექსების გადანაცვლება-მოგზაურობა დროში, რომლის მიზანი იყო რევოლუციამდელი შემოქმედებითი ბიოგრაფიის გადაწ-ერა და მისადაგება თავსმოხვეულ, ოფიციოზის მიერ ნაბოძებ „ქარ-თული საბჭოთა პოეზიის ფუძემდებლის“ ტიტულთან.

დღეს, საბედნიეროდ, აღარ არსებობს ის გარემოებანი და მიზ-ები, რის გამოც გალაკტიონ ტაბიძის თხზულებანი, თვითცენ-ზურაგავლილნი, შეცვლილი სახით იქმდებოდა. პოეტის ახალი აკადემიური გამოცემა მომზადდა თვისებრივად ახალ კონცეპტუა-ლურ საფუძველზე, გალაკტიონოლოგთა წინა თაობის პოზიტიური გამოცდილებისა და თანამედროვე კვლევათა მიღწევების გათვალ-ისწინებით.

თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის წინარე პერიოდში ჩვენ მიერ გადაისინჯა და კრიტიკულად იქნა შეფასებული გალაკ-ტიონის სიცოცხლეში გამოსული ყველა პოეტური კრებული, მათ შორის, უმნიშვნელოვანესი გამოცემები: ლექსების პირველი წიგნი (1914), „Crâne aux fleurs artistiques“ (1919), „რჩეულები“ (1927, 1944, 1954, 1959) და, რასაკირველია, თხზულებანი რვა ტომად (1935–1957). არც ერთ ამ გამოცემაში არ არის გატარებული ქრონოლოგიური პრინციპი, ხოლო ტექსტები, ოცაინი წლებიდან დაწყებული, ხშირად წარმოდგენილია მოგვიანო კონიუნქტურული ცვლილებებით.

გაღარდაცვალების შემდეგ, გასული საუკუნის 60-70-იან წლებში, როგორც უკვე აღინიშნა, გამოვიდა პოეტის თხზუ-ლებათა პირველი აკადემიური გამოცემა თორმეტ ტომად, რომელიც თავისი დროისათვის წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ლექსები პირვე-ლად დალაგდა ქრონოლოგიური თანამიმდევრობით, ტექსტებს ერთ-ვოდა ვარიანტები, შენიშვნები და კომენტარები. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ გამოცემას ჰქონდა არსებითი ხარვეზები: ობიექტურ და

სუბიექტურ მიზეზთა გამო ვერ მოწესრიგდა ქრონოლოგიის პრობლემა, ხოლო ძირითადი ტექსტების შერჩევისას, ავტორის უკანასკნელი ნების ფორმალური დაცვით, უპირატესობა მიენიჭა კონიუნგტურულ ვერსიებს თუ რედაქციებს; პოლიტიკურ-კონიუნგტურული მოსაზრებით ტომებს მიღმა დარჩა პოეტის არაერთი ლექსიც.

თხზულებათა თორმეტტომეული, მიუხედავად გარკვეული პოზიტიური მხარეებისა, საბჭოთა გამოცემა იყო, რომელიც უცვლელად ტოვებდა და, ნებსით თუ უნებლიერ, მეცნიერების სახელით განამტკიცებდა ოფიციალურ თვალსაზრისს გალაკტიონზე, როგორც რევოლუციური წარსულის მქონე, იმთავითვე სოციალიზმის იდეებისათვის განუხრელად მებრძოლ პოეტზე. ეს გამოცემა დღეისათვის დიდწილად ამორტიზებულია როგორც მეცნიერული, ისე მორალური თვალსაზრისით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა ახალი აკადემიური თხუთმეტტომეულის სტრატეგიულ ამოცანად დაისახა ავთენტური ტექსტების რეაბილიტაცია, ნაწარმოებთა ქრონოლოგიის მოწესრიგება და ამ გზით ქართული პოეზიის კლასიკოსის შემოქმედებითი ევოლუციის ჭეშმარიტი, არამისტიფიცირებული სურათის რეკონსტრუქცია.

გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა თხუთმეტტომეულის პირველი ხუთი ტომი მომზადდა თანამედროვე ტექსტოლოგიურ-ედიციური სტრანდარტების გათვალისწინებით: ნაწარმოებთა ხელნაწერი და ბეჭდური წყაროების სისტემატიზაციის და კრიტიკული შესწავლის შემდეგ დადგინდა ძირითადი ტექსტები, რომლებიც აღიჭურვა სათანადო სამეცნიერო აპარატით – ვარიანტული წაკითხვებით, შენიშვნებით და კომენტარებით. რიგ შემთხვევებში მითითებულია ბიბლიოგრაფიული ცნობებიც ამა თუ იმ თხზულებაზე დაწერილი სამეცნიერო წარომების შესახებ.

გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურული მეკვიდრეობა ტომებში განლაგდა ქრონოლოგიური პრინციპით და ასეთი თანამიმდევრობით:

ტომი I – ლექსები და პოემები (1908-1914);

ტომი II – ლექსები (1915-1920);

ტომი III – ლექსები და პოემები (1921-1927);

ტომი IV – ლექსები და პოემა (1928-1931);

ტომი V – ლექსები და პოემები (1932-1936);

ტომი VI – ლექსები და პოემები (1937-1940);
ტომი VII – ლექსები და პოემები (1941-1945);
ტომი VIII – ლექსები და პოემები (1946-1952);
ტომი IX – პოემა „მშვიდობის წიგნი“;
ტომი X – ლექსები და პოემა (1953-1958);
ტომი XI-XII – პოეტის სიცოცხლეში გამოუქვეყნებელი ლექსები
და პოემები; დაუმთავრებელი ტექსტები და სხვ.
ტომი XIII-XV – პროზა: მხატვრული ესკიზები და მემუარული
ჩანახატები, ლიტერატურული მანიფესტები და
წერილები, ჩანაწერები ლიტერატურასა და ხე-
ლოვნებაზე, დღიურები, პირადი წერილები...

თხზულებათა ახალ აკადემიურ გამოცემაში არის არაერთი სი-
ახლე:

ხელნაწერთა მონაცემების შესწავლით, ტექსტების ურთიერთ-
მიმართების ანალიზით, აგრეთვე, თანამედროვე გალაკტიონოლო-
გიურ ძიებათა გათვალისწინებით, შეძლებისდაგვარად, მოწესრიგდა
ნაწარმოებთა ქრონოლოგიის პრობლემა;

იდეოლოგიური მიზეზით სახეცვლილი, მოგვიანო კონიუნ-
ქტურული ვერსიების ნაცვლად ძირითად ტექსტებად, როგორც
წესი, შეირჩა ის ტექსტები, რომლებშიც ავტორის ჩანაფიქრი
და ნება ადეკვატურადა გამოხატული. პოეტის შემოქმედებითი
ევოლუციის სურათი, ქრონოლოგიის მოწესრიგებისა და ავთენტუ-
რი ტექსტების რეაბილიტაციის შედეგად, ჩვენს გამოცემაში რე-
ალობასთან უფრო ახლოს და ობიექტურად არის წარმოდგენილი,
ვიდრე აქამდე იყო.

ვითვალისწინებთ რა გალაკტიონის ეპოსის სპეციფიკას, პოეზია
– ლირიკული ლექსები და პოემები ტომებში განთავსებულია ერთ-
მანეთის გვერდით, უანრობრივი გადანაწილების გარეშე, რაც პოე-
ტის შემოქმედების ამა თუ იმ მონაკვეთის სრულ, ერთიან სურათს
ქმნის.

გალაკტიონის პირველი ორი წიგნი – „ლექსები“ (1914) და „Crâne aux fleurs artistiques“ (1919) არ არის ტექსტების ჩვეულებრივი ნა-
კრები. თითოეული მათგანი პოეტის მიერ მხატვრულ მთლიანობად
იყო ჩაფიქრებული, ამიტომ ნაწარმოებთა ნებისმიერი გადალაგება
არღვევს ამ კრებულთა აზრობრივ-სტრუქტურულ ერთიანობას და

შლის ავტორის თავდაპირველი ჩანაფიქრის კვალს (იხ.: თ. დოიაშვილი, წიგნი–მთლიანობა, კრ. „გალაკტიონოლოგია“, VII, თბ., 2014, გვ. V-XXVI). იგივე უნდა ითქვას ოციან წლებში გამოქვეყნებულ „ას ლექსზე“ (ჟ. „მნათობი“, 1925, №10). ლექსების დასახელებული სამი კრებული შესაბამის ტომებში წარმოდგენილია დაუშლელად, როგორც პოეტური მთლიანობანი.

ახალი გამოცემა შეივსო გალაკტიონის მკვლევართა მიერ ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე პერიოდიკასა და საარქივო ფონდებში გამოვლენილი, ან ჩვენგან მოძიებული უცნობი წარმოებებით და ცნობილი ტექსტების ახლადმიკვლეული ვარიანტებით თუ რედაქციებით. მიმოქცევაში დავაბრუნეთ აგრეთვე პოლიტიკური კონიუნქტურის მიზეზით უარყოფილი ლექსები.

თავის დროზე აკადემიური თორმეტტომეულის ერთ-ერთ თვალშისაცემ ნაკლად კრიტიკამ მიიჩნია თხზულებათა კომენტირებისას დაშვებული უზუსტობანი და შეცდომები. ჩვენს გამოცემაში შენიშვნები და კომენტარები უშუალოდ უკავშირდება ტექსტის რეალიებს, ავტორისეულ ჩანაფიქრს თუ ისტორიულ-კულტურულ კონტექსტს, რაც ორიენტირს აძლევს და ეხმარება ნაწარმოებთა რეცეფციას.

ჩვენ მიერ აღინუსხა და გასწორდა მრავალი უხეში კორექტურული შეცდომა, ხელნაწერი და ნაბეჭდი ტექსტების არასწორი წაკითხვანი, ასევე, ტექსტში გაუმართლებელი რედაქციული ჩარევის შემთხვევები.

გამოცემა იძლევა პოეტის ენის ზუსტ სურათს: დაცულია ავტორისეული ენობრივი ფორმები, მისი მართლწერა და, შეძლებისდაგვარად, პუნქტუაციაც. თანამედროვე ნორმების მიხედვით მხოლოდ კომპოზიტებია გასწორებული. ტექსტში უიშვიათესი რედაქციული ჩარევანი ასახულია ვარიანტებში ან გატანილია შენიშვნებში.

გამოცემის ბოლო სამი ტომი (XIII-XV) ეთმობა პოეტის ე.წ. პროზას. დიდალი მასალის გადასინჯვის შედეგად შეირჩა გალაკტიონის ბიოგრაფიისა და შემოქმედებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ტექსტები. აქ სათანადო მეცნიერული კომენტარებით იძეჭდება მხატვრული ესკიზები და მემუარული ჩანახატები, ლიტერატურული მანიფესტები და წერილები, ჩანაწერები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, რჩეული დღიურები, ეპისტოლარული მემკვიდრეობა...

გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემა, რომელიც ტექსტოლოგიური მეცნიერებისა და გალაკტიონ-ოლოგის თანამედროვე მიღწევებს ეყრდნობა, უპრეცედენტოა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობით პრაქტიკაში, რამდენად-აც პირველად ხდება საბჭოურ-ტოტალიტარულ ეპოქაში მოღვაწე შემოქმედის ტექსტების გათავისუფლება იდეოლოგიურ-კონიუნქტურული ძალმომრეობისაგან, მათი რეაბილიტაცია და ავტორის შემოქმედებითი ნების აღდგენა.

ახალი კონცეპტუალური ხედვით მომზადებული ეს გამოცემა მკვლევარ-მეცნიერთათვის სანდო ბაზისი იქნება შემდგომ ძიებებში, საზოგადოდ კი დიდად შეუწყობს ხელს კლასიკოსი პოეტის რეალური სახის დამკვიდრებას მკითხველთა ცნობიერებაში.

გალაკტიონი უბრუნდება მისთვის ბუნებრივ – ეროვნული მწერლობისა და ევროპული ლიტერატურის კულტურულ არეალს.

ლოესინი

* * *

მთვარე კაშკაშებს... ცა მოქარგული
მოციმციმეთა ვარსკვლავთა გუნდით
მშვიდად დაჰყურებს ძირს დედამიწას
გარსშემოხვეულს სქელის ბინდ-ბუნდით.

შორს, შორს მიტაცებს ცისა სიტურფე,
მისი სიმშვიდე და მყუდროება;
მასში იხატვის უმანკო, წყნარი,
უცოდველი და წმიდა ცხოვრება.

მინდა დავტოვო ამქვეყნიური
ყველა სიბილნე, შური და მტრობა
და იქ გავფრინდე, ვარსკვლავთ წრფელს ციმციმს
შეუთანაბრო მეც ჩემი გრძნობა.

[1908]

სქელი ღრუბელი,
შავი და ბნელი
სამშობლო მხარეს გადაეფარა,
სხივთა მფენელი
მზისა ნათელი
ჩვენ სანუგეშოდ სჩანდა ალარა.

მაგრამ რა გაჰკრა ელვამ სივრცეზე,
მიკლავნ-მოკლავნა მისი სხივები,
სამარადისოთ მე მომეჩვენენ
გარდმოვლენილნი ლვთით ნაპერწკლები.

ელვა მსწრაფლ გაჰქრა,
ისევ დაჰფარა
სამშობლო მხარე უკუნმა ბნელმა,
ისევ ცრემლი მდის,
ვტირი მარადის,
გული წაიღო ისევ ნაღველმა!...

[1908]

რომანსი

გახსოვს ბუნება აყვავებული,
ტყე და მინდორი ამწვანებული?
მაშინ ჩვენც გვრჩამდა, ჩვენცა გვალხენდა
ქვეყნად სიცოცხლე და გაზაფხული!..

ეხლა ბუნებამ ფერი იცვალა –
შემოდგომაა, ზუზუნებს ქარი...
განქრა ყოველი, რაც კი გვალხენდა,
განქრა, წარვიდა, როგორც სიზმარი!..

[1908]

* * *

როცა ბულბული განთიადისას
ტყეებს და მინდვრებს მოჰყენს თავის ხმებს
და აღზნებულად სადმე ბუჩქებში
შაშვი ჩაიკვნეს-ჩაიჭახჭახებს,

როცა ტოროლა ლაუვარდ სივრცეში
კამარას შეკრავს, შეინავარდებს,
ეშხით დახედავს მინდორს დაფენილს,
შემდეგ წკრიალით შეუწყობს ჰანგებს,

როს ნაკადული მაღალს კლდეებში
გზას მიიკაფავს, ირჩევა, – სხლტება,
რა გენალვლებათ, მეც იმათ შორის
მქონდეს მცირედი თავისუფლება!..

[1908]

„შუქა“

გააპე ბნელი,
ნაცვლად ნათელი
გადმოაფინე ტანჯულსა არეს,
რომ შენი სხივით,
იმედით ტკბილით
ანუგეშებდე ტანჯულ-მწუხარეს;
რომ ბედი ჩვენი
იმედის მჩენი
აღარ დაგვცერდეს განრისხებულად,
გააპე ბნელი,
ნაცვლად ნათელი
მოგვფინე ტანჯულთ, სახსნელ იმედად!

1908

ნიავი

დალვრემილა მთა კლდოვანი,
მოწყენილა არემარე,
უფრო რაღაც სევდიანად
გადმოყურებს ზეცით მთვარე.
კლდისა ნაპრალს ეხეთქება
გულმოსული ნაკადული,
ბუ გაჰკივის ნალვლიანად
და ბუჩქებში ჰკვნესს ბულბული.
დაბურულ ტყემ თავჩაქინდვრით
მთის კალთაზედ მიიძინა
და ეჭვიან ბუნებასთან
ერთად სულმაც მოიწყინა.

ჩუ! ტყე უცებ შეშრიალდა,
ნაძვმაც თავი გადახარა,
თითქო რაღაც სასიამო
მას ნიავმა მიახარა,
თითქო თანვე ჩაუნერგა
სიცოცხლისა გრძნობა-ძალა,
ვერხვი ოდნავ გადაირხა,
ცაცხვმაც ტოტი გადაშალა,
ფიჭვი შეკრთა, გადიზნეა,
მსწრაფლ ტირიფიც აშრიალდა;
მიპნედილი, ფერმიხდილი
ტყე სისწრაფით გადაგვარდა.

ოჳ, ნიავო, რა იქმნება,
მეც მიმბო ის მოთხრობა,
რა იქმნება, რომ ჩემს გულშიც
აადულო სწრაფად გრძნობა?
მაგრამ ის კი აღარ ვიცი,
რა იქმნება საიდუმლო
მისთანა, რომ ჩემ ცრემლთ დენას
და ჩემს ტანჯვებს მისცეს ბოლო?!

1908

* * *

ვითარცა გედი ზღვისა სივრცეში
მიმომცურავი იკვეთავს გზასა,
ისე მეც ვტობავ გრძნობათა ზღვაში
და მივაცურებ სიცოცხლის ნავსა.

თუმცა ვიცი კი, არ შემიბრალებს
ზღვა შფოთიანი და ბობოქარი:
გადამიბრუნებს ნავს ჩემს ერთგულსა
ტალღა მჩქეფარე, დაუდეგარი.

[1908]

ღამე

მწუხარმა სიბნელის ზენარი
ქვეყანას გადააფინა:
ნიავმა წაისისინა
და შორს ბულბულმაც დასტვინა.
ვარსკვლავთა გუნდმა ცის სივრცე
აანთო, ააკაშკაშა
და აღგზნებულმა მთვარემაც
სხივები შეათამაშა.
შავო ფიქრებო, ნუთუ არც
აქ არ მასვენებთ წამებულს?
რად გინდათ, ბოლო მომიღოთ
იჭვნეულს, განმარტოვებულს?
რად გინდათ, მუდამ, ყოველთვის
შხამით ამიგსოთ წუთები?
ეყო სულს, თქვენგან წამებულს
სანამლავისა წვეთები!
სად არის შველა, ვინ მომცემს
ხელსა მეგობრულს, ვინ მიხსნის?
სად არი სახე უმანკო
ჯერ ისევ ნორჩის სიცოცხლის?
რა ვუყო, მარტოდ შთენილმა
ვერ ვპოვე სატრფო გულისა,
არსად სჩანს ტკბილი ნათელი
შუქმფრქვეველ სიყვარულისა!
რა ვუყო, ბედით ტანჯულმა,
სად ვპოვო თავშესაფარი?
ოჳ, მტანჯავს, შავო ფიქრებო,
თქვენი ჩურჩული საზარი!
ღამეა... ცისა კამკამში
კაშკაშებსა სავსე მთოვარე,
ვარსკვლავნიც ილიმებიან,
ღამის დუმილში სთვლემს არე...

[1908]

მომაკვდავი

მზე დასავლეთით გადაიხარა,
პირდაპირ სტყორცნა სწივი მთისკენა,
უკანასკნელად ბარს გადმოხედა
და დიდებულად გადაესვენა.

აგერ დაჰქროლა საღამოს სიომ,
აშრიალა ფოთოლი ტყისა,
ფრინველთ ჭიკვიში სევდის მომგვრელად
გამოისმოდა ხმა ბულბულისა.

უხმოდ ხის ძირში, სარეცელზედა,
წევს ახალგაზრდა ფერმერთალი სახით,
მომაკვდავია... ელის სიკვდილსა,
ელის ყოველ წუთს თრთოლვით, ცახცახით.

უკანასკნელად ის გადასცერის
დიდებულ სურათს მის წინ გადაშლილს
და ამ სურათთან ტანჯვით იგონებს
წარსულ ცხოვრებას, წამებით განვლილს.

იგონებს იმ დროს, როცა ჯერ ისევ
პატარამ იგრძნო ობლობა სულის;
იგრძნო დაკარგვა მხიარულ დღეთა,
დაკარგვა რწმენის და სიხარულის.

გარშემო შური, მტრობა, ღალატი
ძალას ართმევდნენ ადამიანებს
და ღონემიხდილთ, შეუმჩნეველად
ახუჭვინებდათ დაქანცულ თვალებს.

სიყვარულის ხმა არსად ისმოდა,
არვინ სიმართლეს არ ქადაგებდა,
მხოლოდ წამების, კიცხვის და ტანჯვის
ხმა ქვეყნად ქუხდა და ღალადებდა.

„მაშ, რაა ქვეყნად სახარბიელო,
რომ მიიზიდოს ტანჯული გული?“
ასე ჰფიქრობდა ყმაწვილი ხშირად
შავი ფიქრებით გატაცებული.

მის წინ ცხოვრების შავი უფსკრული
დაუსრულებლად ქუხდა, დრტვინავდა...
და მეორე მხრით ბუნების ძალი
უხვად, სიტურფით მთა-ბარს ქარგავდა.

მხოლოდ იქ მტრობას ძალა არ ჰქონდა,
იქ წმიდა იყო სუყველაფერი,
როგორც წვეთები ნაკადულისა
და ლაშვარდი ცის უმანკო ფერი.

აღტაცებული დაუახლოვდა
დიდებულ ხელით შექმნილს სურათებს,
დაუმეგობრდა ხევხუვებს, კლდეებს
და თვალუნვდენელ მთების მწვერვალებს.

დაუმეგობრდა მთისა ნაკადულს,
ფოთლების შრიალს, ბულბულის სტვენას,
იდუმალს ჩურჩულს ყვავილებისას,
წყაროს ტკბილ ჩუხჩუხს და ტიკტიკ-ლხენას.

ეხლა კი, როცა სიკვდილს წინ უმზერს
მის ჩასანთქავად მომზადებულსა
და ამავე დროს ხედავს ბუნებას
წარმტაც-მშვენიერს და დიდებულსა,

არ ასვენებენ მწვავე ფიქრები,
თითქო საგრძნობლად გულს რაღაც სწდება
და მოგონებათ აღგზნებულს კონას
შავბნელი ფარდა ზედ ეფარება.

მოისმა კვნესა... არეც დადუმდა...
ბინდი გადეკრა დედამიწასა;
მარტო ბულბული სევდის მომგვრელად
ისევ დაჰყეფდა მდუმარ მთა-პარსა.

[1909]

ჭიქრი

როგორც აჩრდილი
ჩადრგადახდილი,
ისე ანათებს ცის სივრცეს მთვარე;
ვარსკვლავთა კრება
თანდათან ჰქება,
განთიადს ელის ცა მგლოვიარე.

არემარე სთვლემს...
ტკბილ ნანას უმღერს
ბარს მიძინებულს მთის ნაკადული.
მეც გული მიძგერს,
ვუცქერ ცის სივრცეს,
განთიადს ველი სულგანაბული.

კოხტად შემკული,
დადუმებული
შორს, შორს გასცქერის მთისა მწვერვალი,
თითქო იგონებს
გაფრენილ დღეებს
და გულს უთრთოლებს ღვთიური ძალი.

ცა ალაზვარდდა,
ოდნავ დააჩნდა
ვარსკვლავთა ზოლი მის სპეტაკ სახეს.
გადაიხადა
ცამ ბნელი ფარდა
და ფრინველებმაც ერთხმად დასძახეს.

მზეც ამოვიდა,
უმანკო, წმიდა
სხივი სამყაროს გადმოაფინა,
დაჰკრა მწვანე ველს
თვალგადუწვდენელს
და საამურად ააბიბინა.

ყვავილის გულზედ,
აკოკრებულზედ,
ნამი აენთო და აბრჭყვიალდა.
ნიავი ნელი,
ფიქრთ უკუმყრელი,
მიწას გაეკრა... ტყე აშრიალდა.

ნაზი პეპელა
ფრენდა ნელ-ნელა,
ბზა მოხუც ფიჭვის ტოტებს ეკვროდა,
იქვე მახლობლად
მარტოეა, ობლად
ბულბული სტვენდა და გაჰკიოდა...

მარად ბედკრული,
უღელდადგმული
ძალას იკრებდა ადამიანი,
კვლავ იღვიძებდა,
ღონეს იკრებდა
ცხოვრება მწარე და ნაღვლიანი.

კვლავ ბრძოლა... ბრძოლა,
შიში და ძრწოლა!
კვლავ დამარცხება, კვალად სიკვდილი,
ყველგნ, ყოველთვის
სიმართლისათვის
დევნა, წამება... საფლავის ჩრდილი.

ოჳ, რომ შემეძლოს
გავფრინდე შორს, შორს!..
მოცილდე მხარეს შხამით აღვსებულს,
ცისა სიუხვით
თუნდ ერთი წუთით
შვება მივმადლო სულს დაობლებულს.

[1909]

გაზაფხულის მოლოდინები

ცა პირს იხსნის... მედიდურად
მთა დასცქერის დაფენილ ბარს,
გაზაფხულის მოლოდინში
ქარიშხლის წინ არ იხრის თავს.

ხედავ, როგორ იკლავნება
პანაწინა ნაკადული?
გაზაფხულის მოლოდინში
მასაც ლხენით უძგერს გული!

მაგრამ მე რად დამეკარგა
სიმშვიდე და მოსვენება?
ნუთუ სპეტაკ მომავალშიც
არაფერი გულს არ ხვდება?

მალე ველი ამწვანდება,
არემარე იგრძნობს შვებას
და ყვავილთა გუნდიც უხვად
გადმოაფრქვევს სურნელებას.

მხოლოდ მე კი არ მომალხენს
სიკეკლუცე გაზაფხულის,
გულშიც ჩაჭკნა ნორჩი რწმენა
სიყვარულის, სიხარულის!

[1909]

* * *

ვარდი კოკობი, გადაფურჩქვნილი
როცა ვიხილე, ვიგრძენ ცხოვრება,
მაგრამ რა ხელი მისკენ გავსწიე,
ის სწრაფად მოსწყდა, ეკლებს დაება.

ჩემო სიცოცხლევ, თუ დაგენდობი,
იმედს მომიკლავ, განა არ ვიცი?
ოჟ, შენ თვალთმაქცობ... სულ ტყუილია
შენი ვედრება და შენი ფიცი!

[1909]

სასაფლაოზე

მიყვარს საღამო წყნარი, მშვიდი და მოწყენილი,
როცა მზე სხივებს უკანასკნელს აათამაშებს,
როცა მდუმარებს ტყე-ბუჩქნარი გადაფენილი,
როცა ბულბული მწუხარედ ხმას ააწკრიალებს.

მივეჩქარები, რომ სალამი მივცე საფლავთ ქვებს...
იქ არ მოისმის ადამიანთ უღვთო ხარხარი,
იქ ანგელოსი წრთელად გალობს ზეციურ ჰანგებს
და ჩუმად უგდებს მის სიმღერას ყურს მთა და ბარი.

გზას მიიკვეთავს ყვავილებში ნაკადი მთისა...
საფლავებს შორის წელ დუდუნით მიიკლაკნება,
ხან აქვითინებს უარყოფა სიყვარულისა,
ხან კი ახარებს შორს წარმტაცი ბედნიერება...

ნიავი [მი]ჰქრის... შორს მიფრინავს ლალი ოცნება,
სულს ასხივოსნებს უკვდავების სახე ნარნარი.
სამშობლო მხარე ბედნიერი წინ მეხატება...
ადამიანი ცას შეჰქარის მშვიდი, დამტკბარი.

ამ დროს გაისმის სევდით საგსე ზარის წკრიალი...
და შეშფოთდება ოცნებაში მფრინავი სული,
კვლავ წინ მეხატვის სოფლის ბრუნვა, სოფლის ტრიალი.
ოჳ, არც ოცნება აღარ მატკბობს აზვირთებული.

მსურს, რომ ვიტირო და ჩემს ტირილს მსურს ყურს უგდებდეს
სასაფლაოსი არემარე დადუმებული.
დეე, იცოდეს, დეე, მხოლოდ იმან უწყოდეს,
თუ რარიგ შფოთავს მგოსნის სული დაობლებული.

მხოლოდ... იმ ტირილს და იმ მოთქმას მარტოობაში
მე არ გადავცვლი არავითარ წეტარებაზედ,
მთელს სიტკბოებას მირჩევნია ბედეკრულს იმ წამში
ეს უიმედო და ობოლი ცრემლი წამნამზედ.

მზე მთისა მწვერვალს გადასცდება, ჩაესვენება...
ცისა ლაშვარდი აენთება უკანასკნელად,
უკანასკნელად მთასა და ველს მოეფინება
ბულბულის ჰანგი ნაღვლიანად და მოწყვეტილად.

მწუხრის ზენარი ეფინება მდუმარ მიდამოს,
ნამი ციური ყვავილის გულს ზედ ეკონება,
ცის ანგელოსი დაჰლილინებს დანამულ მდელოს,
ნიავი ნელი ვარდს გაფურჩქვნილს ესალმუნება.

მიყვარს საღამო სევდიანი და მოწყენილი...
მიყვარს ფიქრებში მოქანცული მე სასაფლაო.
დეე, მაშინაც თვალწინ მედგას ყოფნა გახრმნილი,
მაშინაც ვგრძნობდე, რომ ფუჭია იგი, ამაო!

[1909]

ფართაზია

ოცნება ტკბილი და ნეტარება
სულს ასხივოსნებს, გულს შეეთვისა.
თავს დამციმციმებს უცხო შვენება,
უცხო მადონნა რაფაელისა.

მიყვარს იმისი ნარნარი სახე
უცნაურ ფიქრთა გამომხატველი.
გაპქრეს დღე შავი და სივაგლახე,
წყვდიადში გაპქრეს სევდა-ნალველი!

[1909]

მცუხარება

სიცოცხლით სავსეს, ოცნებაში მყოფს
ის თავისთავად შემომეპარა,
მე განთიადის სხივებს ველოდი,
მზეს კი ღრუბელი გადაეფარა.
მე მსურდა გრძნობით დავწაფებოდი
სიცოცხლის წყაროს, ტრფობით აღბეჭდილს...
ახ... რა ვიცოდი, თუ საწამლავი
ნაზ კუკურშივე ჩაჰკლავდა ყვავილს!..
როცა სიცოცხლე ძალას მაძლევდა
და სამოქმედოდ მიწვევდა მარად,
რას ვიფიქრებდი, თუ მოგონებაც
გადმექცეოდა ტანჯვად და შხამად?
ნაზ ქსელში გაბმულს, ოცნებაში მყოფს
ის თავისთავად შემომეპარა,
დაჰქროლა რისხვით ქარმა სასტიკმა
და გაზაფხული თვალს მიეფარა!

[1909]

კოლექტი

იქ ნაკადული მთის კალთიდან გადმოჩერიალებს,
იქ დიადემა მთის მწვერვალთა მზეზე ბრჭყვიალებს,
იქ ფრინველთ ჰანგში ჩაქსოვილა ლხენა და შვება,
იქ ურიამული ცის კამარას ეთამაშება.
იქ ბუნებაა, ჩემო კარგო, მხოლოდ ბუნება!
იქ არის მხოლოდ სანატრელი თავისუფლება.
იქ ტყვედქმნილთა მზე ოცნებაა, სხვა არაფერი,
ის კი ფრთას გაშლის უზრუნველი და ბედნიერი.
მუზა იქ სცხოვრობს, პოეზია მეფედ იქ არი,
იქ გესმის ასულთ მძუხარე ხმა, ნაზი, ნარნარი,
დაუგდე ყური... შენ მოისმენ ჰანგსა ნაღვლიანს,
იცი, რა აკრთობს, რა აწუხებს აქ ადამიანს?
„თავისუფლება დავკარგეთო, თავისუფლება!..
შეისმინევი, ჰე, ბუნებავ, მუდარა ჩვენი!
გრძნობა გვეკარგვის, სული შფოთავს... გული წუხდება...
რად არ სწყდებაო ჩვენი კვნესა, ტანჯვა ესდენი?
მზე დაგვექათქათებს... ყვავილთ გუნდი გვეალერსება,
ტანჯვა არისო ყველაფერი მოსაგონებლად,
თავისუფლება აღარა გვაქვს, თავისუფლება!
იტირეთ, ძმებო! ცრემლი დაგვრჩა მანუგეშებლად!..“
როცა დავუგდებ მე ყურს ამ ხმებს, მეც ვიტანჯები...
ფიქრი გულცივად და თან მშვიდად მესაუბრება:
„მითხარი, რისთვის ნეტარებენ სამშობლო მთები,
მითხარ, რად ცელქობს ფრთაგაშლილი ტურფად ბუნება?“

[1909]

მსახიობ ქალს

როცა ფიქრებით დატყვევებულ-გარემოცული
მარტო ხარ, ობლად და გიტანჯავს სულს მწუხარება,
როცა უცნაურ აღმაფრენით გიტოკავს გული
და წარგიტაცებს საოცარი იდუმალება;
ან როცა სატრფოს გატაცებით ესაუბრები,
ორთავეს გიწვევს განსაცხრომლად ტყე დაბურული,
მისი სიტყვებით, მისი სუნთქვით უებრად სტკბები,
კვლავ საოცნებოდ აღტაცებით მიიღების სული.
როცა ხარხარებ განუწყვეტლივ, ანდა ქვითინებ,
როცა ბრძოს მეფად, გვირგვინისნად თავის თავს აცნობ,
კერძო გულისთქმას, სულის კვნესას ვმარხავ, ვივიწყებ,
მხოლოდ მას ვფიქრობ, რომ შენ მაშინ ურცხვად თვალთმაქცობ.
ოჳ, რარიგ მინდა მაშინ ძლევის დაგიდგა ძეგლი,
გულწრფელ სიტყვებში გამოვხატო ეს გრძნობა მცირე:
ძეგლის ღირსი ხარ, რადგან სული უკანასკნელი
შენს ერთ სიყვარულს, ხელოვნების ტაძარს შესწირე!

[1909]

ახალ ტალღას

„იქაც ყოველი არემარე“

იყო მოწყენით“

ნ. ბარათაშვილი

მუდამ თან მსრბოლი ფიქრი მწვავდა, ფიქრი მტანჯავდა,
გამოვექეცი გულის დამწველს მშვიდ არემარეს;
ნაპირი ზღვისა იმავ სევდით მშვიდად სუნთქავდა,
ცას შესცქეროდა ზღვა ლაჟვარდი გულცივს, მდუმარეს.

და უზრუნველად
სიო ფრთამალი,
თავისუფალი
ჰქროდა მთა-ველად.

ფიქრს მისცემოდა სივრცე წყნარი, ვრცლად გადაშლილი,
მზის მკვეთრი სხივი ზღვას მოწყენილს დასციმციმებდა,
კამკამს სევდიანს დასცქეროდა ნორჩი ყვავილი,
გედი ყივილით წრფელ მეგობრებს ცისკენ იწვევდა.

არ მინდა, არა! სულს მოსწყინდა ეგ ერთფერობა,
სული ეძიებს ქარიშხალს და ბობოქარ ტალღებს,
მუდმივ დუმილში ვერ თავსდება ტანჯულის გრძნობა
და ნაზ სიმღერას, გულში აღძრულს, ზღვას შეღალადებს:

შენს მოღლოდინში
გულს ნუ მიდაგავ,
დაჰკარ, დაჰჰუხე,
ახალო ტალღავ!

[1909]

პოეზია

ახ, ნუ შეახებთ ხელს ჩანგის სიმებს,
ქნარი მწუხარედ ანკრიალდება;
ციურ კაეშნით ზედ დასციმციმებს
მას უკვდავების ნაზი ღვთაება;
არ ვიცი, რისთვის, განთიადისას
მე მან გადმომცა წკრიალა ქნარი
და ყოველ წინსვლას მგოსნის ჰანგისას
თავს დაპფარფატებს, როგორც სიზმარი.

ნუ, ნუ გასთელავთ ფეხქვეშ შვენებას,
ნუ შეურაცხყოფთ დიდების ტაძარს:
ბედით რჩეულთა წრფელ მისწრაფებას,
მათ იმედის სხივს და თავშესაფარს.
ნუ მეუბნებით, რომ განთიადზე
უღვთოდ წამებულს აღმოხდა სული, –
არა, ის სცოცხლობს, ჩვენს მიმკრთალ ცხადზე
უფრო წარმტაცი და დიდებული!

[1910]

მსახიობის დღიურიდან

...ვინ რას დამაკლებს... ჩემში ძალაა
ფრთაგაშლილი და დაუთრგუნველი;
დე, კვლავ ეჭვით დამხარხარებდეს
მტერთ ურცხვი გუნდი, ბრბო უზრუნველი.

იმედი... ერთადერთი იმედი
გზას მისხივოსნებს მომავალისას,
ამ იარაღით თუნდ მთლად გავაქრობ
გარს შემოხვეულს შავს ძალას მტრისას...

[1910]

პრძოლაში ვეძებ...

პრძოლაში ვეძებ თავდავიწყებას,
პრძოლის ქუხილში მიიღტვის სული.
ვერ ვუდალატებ საფლავთა მცნებას
ცხადათ და ძილში აღმფოთებული.
სამშობლო მხარევ! შენი შვენება
სისხლით ირწყვება და იღებება.

მოქანცულ გულით მეთაურები
წმიდა დროშის წინ ძირს ეცემიან
და მძიმე წყლულით დალდასმულები
ისე, ვით უწინ, მშვიდათ კვდებიან!
ახალ გმირს ეძებს უკანასკნელი
მათი წუხილი და გული წრფელი.

ოჳ, ვისაც მწარედ აკვნესებული
გული გედაგვისთ კაეშან-სევდით,
ვისაც მრისხანედ გიტოკავსთ სული,
ჩემსკენ გამოსწით, შემომიერთდით!
თავისუფლების დროშა იხრწნება...
მაშ, ცეცხლში ვპოვოთ თავდავიწყება...

1910

ოცება კლდეზე

ცა ვარსკვლავებით შემოიჭედა,
ნყნარად აცურდა ნარნარი მთვარე,
ძილს მისცემია მშვიდი მინდორი
და დაფიქრებით სდგას მთა მდუმარე.

როცა ნიავი, მთით მოწყვეტილი,
ტყის მწვანე კალთებს შეეპარება,
მაშინ ირლვევა გამეფებული
მკვდარი სიჩუმე და მდუმარება.

მე მომეჩვენა, ვითომ ოცნებას
თავისუფლების შესხმოდა ფრთები,
მე ეხლაც მახსოვს მისი შვენება,
მისი ღიმილი, მისი თვალები.

„სად გაჰქრა-მეთქი“, – ვკითხავდი ნიავს
და შორს გავხედე მთების მწერვალებს,
იქ, კავკასიის კლდეზე ვამჩნევდი
მოღლილ-მოქანცულ და მიმქრალ თვალებს.

ოცნება კლდეზე მიჯაჭულიყო,
ოცნება სისხლში თრთოდა და კვნესდა,
სქელი ღრუბელი თავს ევლებოდა
და ყორანთ გუნდი მის სხეულს სწენდა.

[1910]

მხოლოდ პუნება

1

ნუ მომაგონებ, ჩემო ღვთაებავ,
იმ ნეტარ ღიმილს, იმ სავსე ღამეს:
ვერ ვეღირსები ბედნიერებას,
ვერ ვეღირსები კვლავ იმ სიამეს,
ვერ ვეღირსები კვლავ იმგვარ კოცნას,
ბურუსში ხვეულს, ტყბილს და მომხიბლავს.
ნუ მომაგონებ დაკარგულ ედემს,
ნუ მომაგონებ ჩემს შავბნელ საფლავს!

2

შენს თვალებში სიცოცხლე კრთის
ტკბილ-ნეტარი, მოკამკამე,
ხან ნათელი, ვით დღის შუქი,
ხან შავბნელი, როგორც ღამე.
მე კი, ტურფავ, საფლავი ვარ,
გულცივი და მარტოდმარტო...
არრა მატკბობს... არც მსურს ვისმეს
გულის ფიქრი განვუმარტო.

3

ღამეა... ცელქი ნიავი დაპქრის...
მთვარე ღიმილით მესაუბრება:
„შენ შეგითვისებს, სულით ობოლო,
მხოლოდ ბუნება... მხოლოდ ბუნება!“
რითმების გუნდი გარს მომხვევია,
ყვავილი წყნარად მეჩურჩულება:
„სულით ობოლო... შენ შეგითვისებს
მხოლოდ ბუნება... მხოლოდ ბუნება!“

[1910]

სასაფლაოზე

მზეს შევნატროდით... ვკვნესოდით,
ცრემლს ვლვრიდით შუალამისას,
მხიარულება არ ჰქონდა
დაწყვეტილ სიმებს ჩანგისას.
მზეს შევნატროდით... მზე გვსურდა,
მზე ცხოველსხივებიანი –
თავისებური, ძლიერი,
ახალი, განგებიანი!

მზეს შევნატროდით და ისიც
გაბრწყინდა სასაფლაოზე,
დისკოგადახრით აენთო
წყვდიადით მოცულ ხაოსზე,
ხელი ვკართ... ისევ ისევე
ვქვითინებთ შუალამისას,
ისევ ღუმილი ამწუხრებს
დაწყვეტილს სიმებს ჩანგისას.

მზეო, მიეცი საზღვარი
მწუხარე ფიქრთა ქროლასა,
„მზეო, ამოდი, ამოდი...
ნუ ეფარები გორასა“.
სიკვდილი უსასობაა,
საფლავთან ერთად იხრწნება,
სადაც კი შენი დიადი
ბორბალი ამობრწყინდება!

შორს ჩვენგან, ღამის წყვდიადო!
შორს, შორს, ბურუსო გრძნეულო!
თვალის ამხვევად შექმნილო
და ბორკილებად ქცეულო...

ჩვენ მზე გვსურს... ხალხო, შეერთდი –
ზევით ასწიე მზე, ზევით...
მის ალდგომასთან მნათობის
სხივებად გადავიქცევით!

[1910]

ՇԱՐՎԱՆԻ

Նատելս աղջնեծովով,
Սերպոտ անտեծովով,
Շեզերագեծովով,
Բիթո գարզանազ, տացնե ըշլեծո...
մացրամ զոն օցու,
րոճուս դանցու
ցինեծա մենուս գրտուս –
սանտելտան րոմ տրտուս...
րոճուս մոյզեծո, ան սագ ցաշէրեծո?

մյուծազ, Շենց սյուլուտ,
գրտացաննուրովուտ,
նյութար հյուրիսովուտ
եղլոցնեծուսաս յուլոմո գրամարս,
մացրամ զոն օցու,
գրանչա սագ ցուցուս,
րոճուս ան րուտցուս
սամսալա ճոմինուս
ըշլեծուս ցուրցունս մոցումլցոնս սանարս?

[1910]

დილა

თვალუნვდენი, მღელვარე ტბა
მზის სხივების ცეცხლზე გათბა...

ვარდს დაეცა გულზე წვეთი
ცის წიალით მონაკვეთი.

შეფრთხიალდა ცის ტოროლა
და მიდამო აათრთოლა!

აჭიკუჭიკდი ტოტზე, ჩიტო...
იბრჭყუვიალე, მარგალიტო...

და ხრიალით შავბნელ ხევში,
ნიალვარო, გადაეშვი!

მსურს, ნაღველი საბოლოვო
თქვენს უბიდან ამოეწოვო!...

[1910]

* * *

არ მშორდება სევდა მწარე,
შავ ფიქრს ველარ გავეყარე...
ოჰ, რად, რისთვის შემიყვარე?

შენს ნაზ თვალებს შევადარე
ცის ლაუვარდი მოელვარე...
რისთვის, რისთვის შემიყვარე?

ჩემი მზეა, ჩემი მთვარე
შენი სული მონარძარე...
ოჰ, რად... რისთვის შემიყვარე?

უბსკრულის პირს გავიარე,
ცრემლის წვეთად დავიღვარე...
რისთვის... რისთვის შემიყვარე?

მტრულად გვიცქერს მშობელთ მხარე,
შვება გამინიავქარე...
ოჰ, რად, რისთვის შემიყვარე?

გულის ტანჯვა ვერ დავფარე,
ნიავს კოცნა დავაბარე...
ქალო, რისთვის შემიყვარე?

[1910]

ათასფერად მოქარგული
თვისკენ მიწვევს ტურფა ველი;
იქ ნიავი წყნარად დაჰქრის,
მსუბუქი და უზრუნველი.

იქ ციურ ცვრით დანამული
ვარდი მეტყვის ქებათ-ქებას
და ღიმილით მომაფრქვევენ
ყვავილები სურნელებას.

მაგრამ ყველას მირჩევნია,
როს ყვავილი საფლავს ამკობს
და მჩქეფარე ნაკადული
უდარდელად მირაკრაკობს.

[1910]

გაზაფხულის ღამე

ცელქი სიო აღტაცებით ბუჩქნარს დალალს უხუჭუჭებს
და პეპელა, ძალმიხდილი, ჩასდნობია ვარდის ტუჩებს;
მთვარე ყინვით ნაკვეთ მწვერვალს მხურვალებით ლოცავს, კოცნის
და ხანდასმით ისმის ჰანგი გულჩათუთქულ ღამის მგოსნის.

იადონო! ერთხელ კიდევ გამაგონე ხმა გრძნეული;
არა მძინავს და ყურს გიგდებ სევდიანი, იჭვნეული.
ბუჩქის ძირას, ფეხაკრეფით, ახლო... ახლო მოვირბინე,
გადმეშალა ფიანდაზად ძირს მინდორი მობიბინე.

არ ვიცოდი – რა მინდოდა, არ ვიცოდი – რას ვიცდიდი,
ცას მხურვალედ მივაშტერდი და სიმწარით ავქვითინდი.
ნიავი კი აღტაცებით ბუჩქნარს დალალს უხუჭუჭებს
და პეპელა, ძალმიხდილი, ზედ ადნება ვარდის ტუჩებს...

[1910]

ჩემო მაღონეავ!

გულატოკებით,
ტკბილ ფიქრთა გზნებით,
ზეშთაგონებით,
ციურ ოცნებით
გაქანდაკებდა მხატვარის ხელი.
მაგრამ ეს გრწამდეს,
ვინც უნდ გხატავდეს,
ჩემდენ სიყვარულს
ვერ იგრძნობს ალძრულს,
თუნდ ღმერთი იყვეს, თუნდ რაფაელი!

ვერა, ვერ ვუცქერ გულდამშვიდებით
ოცნებით სავსე შენს ცისფერ თვალებს,
მოვკვდებით... ერთად აღარ ვიქმნებით,
ესლა მაშტოთებს... ესლა მაწვალებს...

მაგრამ რას ვამბობ,
გრძნობას გავათბობ
და მსუბუქ ფრთებით
გადავფრინდებით,
ჩემო მადლნავ, ოცნების მხარეს.
იქ მე დავხატავ
ჩვენს უკვდავ სიზმარს,
იქ კვლავ მოვმართავ
ჩემს წკრიალა ქნარს,
იქ გულშივ ჩავკლავ გრძნობათ სამარეს!

[1910]

შუალამეა... ზღვის ნეტარ გულში
წყნარათ სხივებს ბანს კაშეაშა მთვარე...
შუალამეა: ვარსკვლავთა კრება
მორცხვათ ციმციმობს შუქმოელვარე...
სატრფოვ, აღარ მსურს შენგან შორს ყოფნა, –
მსურს, მთვარესავით სხივებში მხვევდე!..
ერთხელ დახედე ჩემის ყოფნის ზღვას,
ერთხელ ჩემს გულშიც ჩამოიხედე...
შუალამეა... სადლაცა მწყემსი
სალამურს უკრავს, ღულუნობს სტვირი...
ხედავ, ნაზ ყვავილს როგორ ეხვევა
მთით მოწყვეტილი ცელქი ზეფირი!..
დავემხვე პირქვე და ავქვითინდი,
თავდავიწყებით მიწას ვემთხვიე...
სატრფოვ გულისა! ცელქ-ნიავივით
შემომეკონე... შემომეხვიე!..

[1911]

ჰაგლეტის ქარით

ვუძღვნი მონაზონ ქალს რ-ს

ამაოა მთლად ცხოვრება, დრტვინავს წუთისოფელია...
წადი... წადი მონასტერში... მონასტერში, ოფელია!..

ტკბილი ნანა სულს უთხარი, უბედობა ხატს აჩვენე...
და მაშვრალი სული, გული მონასტერში მოასვენე!..

მაშ, შორს მტვერი! შორს, შორს მინა!.. – ის ცის უარმყოფელია...
წადი... წადი მონასტერში!.. მონასტერში, ოფელია!

[1911]

პირველი ენერეტოვე

დღიურისებურიდან

დილის ნიავმა ჩაყვითლებულ ველს დაუბერა,
ნისლი დაშალა, მთის კალთაზე წაართო ბინა,
შემდეგ წყნარის ფრთით წყლის ნაპირზე რაღაც ჩასწერა
და მინდვრის მკერდზე, ყვავილებში მსწრაფლ მიიძინა.
სკოლის აივანს დაყრდნობილი შორს გადავსცქერი
იღუმალ ფიქრში და ნალველში მოქანცულ სოფელს,
იქ ბნელი მეფობს... იქ წყვდიადი, სინათლის მტერი
თან დაატარებს რაღაც შავს და მგესლავ სამოსელს.
ხალხო ბედკრულნო! მე მიჭირავს ხელში სანთელი
მე იმის პოვნას განუსჯელად სიცოცხლე მივე,
არ შეუკრთება საშინელ ხვედრს მასწავლებელი,
დეე, თან სდევდეს უგნურთ მტრობა, შიმშილ-სიცივე.
მე ვიტყვი სიტყვას და გაგითბობთ გაყინულ[სა] გულს,
მოგაჯადოებსთ ჩემი ზრუნვა თბილი და წრფელი,
დეე, თან მდევდეს მკაცრი ხვედრი სულდაღონებულს,
არ შეუკრთება საშინელ ხვედრს მასწავლებელი!
– მასწავლებელი! მოსაწვევი ჩამოვკრა ზარი?
– ჩამოჰკარ ჩქარა! უფრო ჩქარა... კიდევ დაჲკარი!
– მასწავლებელო, ეს რას ნიშნავს, ხომ არვის ელი?
– ჩამოჰკარ! – სწავლად თვისკენ იწვევს მასწავლებელი.
ვხედავ აქ, ჩემკენ მოაბიჯებს პატარა ბავშვი,
წრფელი ლიმილი დასთამაშებს მხიარულ ბაგეს
რა აღტაცებით მოციგლიგებს იგი სკოლაში...
თქვენ ნუ დასცინით მომავალ გმირს და მოქალაქეს.
– მასწავლებელი! მოსაწვევი ჩამოვკრა ზარი?
– ჩამოჰკარ ჩქარა! უფრო ჩქარა... კიდევ დაჲკარი!
რა სევდიანად იცქირება მოხუცებული
ავადმყოფობით, სიუძლურით ღონემიხდილი.
მშვიდ თავშესაფარს ითხოვს მისი გული ვწებული,
აქ კი დარაჯად მისდგომია შავი სიკვდილი.
სავსე ოჯახი უპატრონოდ მიტოვებული

წინ ეხატება და არ იცის, რა მოაგვაროს.

ჩემსკენ მოხუცო! დაიმშვიდე მღელვარე გული,
მე შევარიგებ ისევ შენთან მტრად ხდილ სამყაროს.

– მასწავლებელო! მოსაწვევი ჩამოვკრა ზარი?

– ჩამოჰკარ ჩქარა... უფრო ჩქარა... კიდევ დაჰკარი!

ვხედავ აქ, ჩემკენ მოაპიჯებს გლეხი მაშვრალი
რომ მესაუბროს და იმედი თან წაიყოლოს

მასზე, რომ შავი მისი შრომა, შრომა მართალი
არ დაინთემება უნუგეშოდ ბოლოს და ბოლოს.

– მასწავლებელო! მოსაწვევი ჩამოვკრა ზარი?

– ჩამოჰკარ ჩქარა... უფრო ჩქარა... კიდევ დაჰკარი!

ნუთუ არა სჩანს მერთალი სევდა მიმქრალის სახის,
აპა, ის მოდის... მოდის წყნარად, თავჩაქინდრული,
განადგურება წინ მეხატვის მისის ოჯახის,
გადუტრიალდა ბედის ჩარხი უბედურ-მტრული.
მას მეზობელმა გუშინ ცეცხლი რომ გაუჩინა,
შემდეგ მზაკვრულად მის თვალის წინ გადიხარხარა...
სახლი დაეწვა და საბრალოს არა აქვს ბინა.

ჩემსკენ ბედ-შავო! მე მაქვს შენთვის ბინა პატარა.

– მასწავლებელო! მოსაწვევი ჩამოვკრა ზარი?

– ჩამოჰკარ ჩქარა! უფრო ჩქარა... კიდევ დაჰკარი!

ორნი მოდიან, რომ იპოვონ სიმართლე ჩემთან
და გადასწყვიტონ საბოლოოდ ამტყდარი დავა.

ერთია მათთვის ყველათერი, რაც სურთ, ისა სთქვან,
სიბნელემ მათი მეზობლობა გაანიავა.

– მასწავლებელო! მოსაწვევი ჩამოვკრა ზარი?

– ჩამოჰკარ ჩქარა... უფრო ჩქარა, კიდევ დაჰკარი!

აი, შკოლისკენ ახალგაზრდა მოდის ვიღაცა,
იმას უთუოდ წიგნები სურს... იქ კიდევ ქალი
სდგას, უნაშუსო უცხოელმა რომ მოიტაცა
და ეხლა ისევ გადისროლა უგზოდ საწყალი.

გზას მე გასწავლი, ჰე, ბედკრულო! სწავლით გამობარი
ხელში მიჭირავს მე სანთელი სიბნელის მქრობი.

– მასწავლებელო! მოსაწვევი ჩამოვკრა ზარი?

— ჰო, კიდევ, კიდევ! ხედავ, გათბა ცისა ტატნობი!
მგზნებარე სხივი აიზიდა მხიარულ ცაზე,
ფრინველთა გუნდმა კამარაში გაინავარდა,
ერთი ღრუბელი, როგორც მგზავრი, სევდიან გზაზე
რომ დასცურავდა, მოსწყდა მწვერვალს და ძირს დავარდა.
მე კი ძალას ვგრძნობ... მსურს სიცხოვლე ავამოძრავო,
გავანადგურო დაყოლილი შავ ფიქრთა გზნება,
მომეცი ძალა, გევედრები, ჰე, ცაო, ცაო!
რომ შევასრულო წმიდად ჩემი დანიშნულება
და სიმაღლემდე ავიყვანო მუდმივ მხლებელი
წრფელი მიზანი, მოქმედებით უხვად გამთბარი;
არ შეუკრთება საშინელ ხვედრს მასწავლებელი,
აბა, ჩამოჰკარ... მოსაწვევი ჩამოჰკარ ზარი!

[1911]

მუსიკა

ფანჯრიდან მთვარის მოსჩანს გულმკერდი,
სახეზე დამთრთის მკრთალი ნათელი...
აპა, გაისმის მუსიკა წყნარი,
გრძნობის მხიბლავი, დამტკბობ-დამწველი...
იზრდება ჰანგი... იზრდება სევდაც...
ეჭ, გასკდი, გულო, და გადმოლვარე,
რაც მარტონბით მოგროვილია
შენში გლოვა და ბალლამი მწარე!
სიყვარულს ვეძებ... ტრფობა მწყურია...
მეგობარს ველი... ის კი არსად ჩანს.
მაშ, რა გაალხობს ჩემს მწუხარებას,
რა გაანელებს ჩემს ღრმა კაეშანს?..
კმარა მუსიკა! ეხლა ის გულსა
მწვდება ვით შხამი, ვითა ნაღველი...
იზრდება ჰანგი, იზრდება სევდაც,
სულის მწამლველი, გულის მდაგველი...

[1911]

ეჭვი

აუსრულდა სიოს ნატვრა,
ის ყვავილთა ვნებით დათვრა...
გაფითრებულს
ვარსკვლავთ კრებულს
სევდიანი მისცა კითხვა,
თუ სოფელი, ვით ცივი ზღვა,
რად კანკალებს,
რად ვალალებს,
რატომ სწამლავს ყოფნის რისხვა?
დაქანცული იდგა ფიჭვი...
ხორცზე იჭვი, სულბეც იჭვი
ოცნების წუთს
ფრთხილს და სათუთს
უშხამავდა შესაზარი –
და ფიქრობდა, თუ რათ არი,
ქვეყანა რომ
უგრძნობმა დრომ
დააბერა უსაფარი?
სიო მიწვდა სევდის წალკოტს,
ზედ დააკვდა ფიჭვის ნაზ ტოტს
და ფიქრის დროს
ობოლ წყაროს
სევდიანი მისცა კითხვა,
თუ სოფელი, ვით ცივი ზღვა,
რად კანკალებს,
რად ვალალებს,
განა არ სჯობს – შეგვიყვაროს?

[1911]

სიჩუმის აგელოზი

ეძინებათ ცის ვარსკვლავებს... ეძინებათ ტბის ფერიებს...
მთვარის სხივი ცაზე დელავს, თითქო ღრუბლებს იგერიებს.
ეძინება ყვავილთა გუნდს, არემარეს ეძინება...
დაქანცულ ველს, მდუმარე მთებს ლამის სუნთქვა ეფინება.
დაიძინე, ტყის ფოთოლო, დაიძინე, ქვეყნის სევდავ...
დაიძინე, არემარევ, და როგორც კი შემოგხედავ,
დაიძინე შენც, ცის ღმერთო, შენც, ყვავილის ცელქო მუმლო...
დაივინწყეთ ხევხუვებში მიმალული საიდუმლო...

ცათ შეტყურცნილ წვეტიან მთას მოხვევია ფიქრთ სამოსი;
ვერ მისწვდება კაცთა ზიზლი, ვერც ქვითინი მიდამოსი.
დაიძინე – დაიძინე, ფიქრთა მსხვერპლო – შავო მთაო!..
ნანას გეტყვის ანგელოზი და ძილის ჰანგს სასაფლაო...
შენ არ იცი, თუ რათ სცოცხლობ, რათ არსებობ, რისთვის ფიქრობ...
არ იცი და ძილის ძალას ვერ გაფანტავ... ვერ ჩაიქრობ...
როცა ნისლი დაგანვება, არ დალონდე, ჩემო კარგო!..
მარადის მსურს ძილის კოცნა შენს სერებზე შემოვქარგო.
დაიძინე შენც, ცის ღმერთო, შენც, ყვავილის ცელქო მუმლო!..
დაივინწყეთ ხევხუვებში მიმალული საიდუმლო.

[1911]

შემოდგომა

ვუძლვნი ო. გრიშაშვილს

- დავილალე... საოცნებო განსვენება სულს სწყურია,
დავილალე... მწარე ნაღვლით ჩემი სახე დაიჩრდილა.
შენი სახეც, ჩემო კარგო, დაღალული... უძლურია,
ვინ მოგიკლა სულის შვება, ფიქრთ ნავარდი, ტრფობის დილა?
დავილალე, დავილალე, მოსვენება ორივეს გვსურს...
ეჲ, ვინ მოგვცემს თავშესაფარს... ვინ გადაშლის უშლელ კუკურს?
მაგრამ, ღმერთო, სთქვი, რას ნიშნავს ეგ ღიმილი ღვთაებრივი?
– ეგ ნარსულ დროთ მოგონების საოცნებო არის სხივი.
– ახ... ისევე იტანჯები... აი, შენი წმინდა წყლული.
– ეს აწმყოსი არის სხივი უსიცოცხლო... უფერული.
– მაგრამ შენ რომ ნელ-ნელ სჭკნები ერთ დროს ვნებით ანაგზნები?
– ეს მომავალს მიკარნახებს... მთლად დავსჭკნები... მთლად
დავსჭკნები!
– ნუ დასჭკნები, ჩემო კარგო, გევედრები, ნუ დასჭკნები!
შეიწირე ჩემი ცრემლი და სამგოსნო ჩემი ხმები.
ახმაურდა ნაზი სიო, ძირს დაჰყარა ოქროს ცვრები.
– ნუ დასჭკნები, ნუ დასჭკნები – ცისფერ ყვავილს ვევედრები.
– ვჭკნები... მაგრამ სიცოცხლე მსურს... ვჭკნები, მაგრამ ყოფნა
მინდა, –

სთქვა ყვავილმა, ძირს დაემხო და სიმწარით აქვითინდა.

მალე დაჰკრავს შემოდგომის სუსხიანი, მწარე ქარი.

ზენაარო! მიეც ყველას სუსხის დროს თავშესაფარი.

მე კი... მე კი უსასოო ხეტიალში უხმოდ ვევდები,

ნუ დასჭკნები, ჩემო კარგო, ნუ დასჭკნები, გევედრები.

რაა ჩემთან ქარიშხალი, რას დამაკლებს მწარე ბედი!

ვივლი, სანამ სიყვარულის სხივს არ მომცემს შემომქმედი.

ყვითელ ფოთლით შეიმოსა გაზაფხულის მთა და ველი,

ყვითელ ფოთლით დაიფარა ტყის სიჩუმე უდარდელი,

ყვითელ ფოთლებს შემოვილებ, ნუ დასჭკნები, ნუ დასჭკნები.

აგიტაცებს ჩემი ქნარი, გაგაცოცხლებს ჩემი ფრთები;

ნუ დასჭერები, ჩემო კარგო, ნუ დასჭერები, გევედრები!
— მე მეძახის... მაგრამ, ზეცავ, შენ ხომ შენის ფერით მკვებე,
შეიწირე ჩემი სული სევდიანი... მეოცნებე.

შეიწირე ჩემის მწუხრის და იდუმალ ლოცვის ხმები.
— ნუ დასჭერები, ნუ დასჭერები, — ცისფერ ყვავილს ვევედრები.
დასჭვნა კიდეც... აი, მისი უსასოო წმინდა ფერფლი...

შეიწირე, ზეცავ... ზეცავ... შემოდგომის ნორჩი მსხვერპლი.

რითმებისგან მე მსუბუქი იმას კუბო დავუწანი,
„სულთა თანა“ რომ ვუმღერე, ცელქმა სიომ მომცა ბანი;

ჩემს გულში ის დავასვენე... იქ მივეცი ბინა წყნარი...

მალე დაჰკრავს შემოდგომის სუსხიანი მწარე ქარი,

ზენაარო! მიეც ყველას ამ დროს მყუდრო შესაფარი.

ხიდან ფოთლებს ჩამოცვენილს, ჩაყვითლებულს, დამჭენარს,
გამხმარს

ვინდა მისცემს მყუდრო ბინას, ვინდა მისცემს თავშესაფარს?
ცაზე ბურუსს და მთის წვერზე გადაფენილ ღრუბელთა ჯარს
ვინდა მისცემს მყუდრო ბინას, ვინდა მისცემს თავშესაფარს?
წვიმის წვეთი სევდას მღერის, ობლობისას აუღერებს ქნარს,
მას ვინ მისცემს მყუდრო ბინას, მას ვინ მისცემს თავშესაფარს?
ხედავ, ზღვაზე იალქანი როგორ ელტვის შვების საზღვარს,
მაგრამ ტყვილად იპრძვის, სცდილობს, არვინ მისცემს
თავშესაფარს...

შენც ნუ იტყვი, ამოების ქსელში წმინდა შვება ვსცანო,
შენ, ჩემს გულში დამარხულო, დაფლეთილო იალქანო!
მგზავრმა გნახა ყვავილი და ზედ დაგადნო მკრთალი ძალა,
შენ მას დიდხანს ვერ ატარებ... დაიღალე... დაიღალა!

მალე დაჰკრავს შემოდგომის ქარიშხალთა ზიზღი, შური...
ზენაარო! მიეც ამ დროს ყველას მყუდრო ნავთსადგური.

რა ვქნა?

ძლვნათ თავ. ***-ს ასულს ზ-ს.

რა ვქნა... რა ვქნა, ჩემო კარგო... აბა, როგორ შეგიყვარო?
სიცოცხლეო, მთლად დამიშრა იმედის და რწმენის წყარო.
სიო ჰქონდა... არემარეს შუალამის რთავდა ბინდი,
მე დავემხე ობლად შენს წინ და სიმწარით ავევითინდი.
ამ ქვითინით ჩემი გული სიყვარულს კი არ ეძებდა –
სულ სხვა გრძნობა მსნამლავდა და სულ სხვა ფიქრი მაკვნესებდა:
გრძნობა, რომ ეს სიყვარულიც სიძულვილათ შეიცვლება
და ფიქრი, რომ სიყვარული მუდმივი არ შეიძლება.
რა ვქნა... რა ვქნა, ჩემო კარგო, აბა, როგორ შეგიყვარო...
სიცოცხლეო, მთლად დამიშრა იმედის და რწმენის წყარო.

[1912]

ՅԵԼՆԻ ՖԻՎԱՅՈՒՆ

ՅԵԼՆԻ ՖԻՎԱՅՈՒՆ –
ՑՍԱԼՈ, ԾԱՆԿՆԱՐԴՈ!
ԱՖՐԵ ՏՇ ՑՎՈՅՆ –
ՏՈՉՈՎԵԼՈԽ ՎԱՐԴՈ
ԾԵՋՆՈԵՐԵԲԱԳ
ՑԱՋԱՌՄԼԵՔԱ...
ԾՐՈՎ ԵՄ ՈՎՈԼԵՔԱ –
ԾՐՈՎ ԵՄ ՈՎՈԼԵՔԱ?!
ԱՐՈԽ ՏԱՋԼԱՎԱ
ԵՐԳԱՐՈ ԹԵԱՐԵ,
ԱՐՈԽ ԾՄՈՋԱ ՎԱ
ԾՈՒԺՈՒ ՄՑՑԵԲԱՐԵ.
ՈԼՎՈՇԵՔ ՅԵԼՈ
ԹԿՎԱՋԱՐՈ, ՄՍՄԼՈ...
ԾԱՆԿՆԱՐԴՈ, ՑՍԱԼՈ,
ԾԱՆԿՆԱՐՈ, ՑՍԱԼՈ!

[1912]

სერგალა

რად მინდა ნიჭი, ჩემო ლამაზო,
ჩემის ჰანგით თუ ვერ დაგალონებ?
რად მინდა ქნარი, თუ იმის ხმაში
სამოთხის ჰანგებს ვერ გაგაგონებ?
ან რად მიმაფრენს ცელქი ოცნება
და გულს ალერსის წყურვილით ავსებს,
თუ ეს ოცნება დაუღალავი
შენც ჩემთან ერთად ვერ აგიტაცებს?
გული სავსეა წყნარი სიმღერით,
სულში ვარსკვლავი ბედის გაბრწყინდა.
ვიმღერებ... შევქმნი სევდის დიდს სახეს,
წყურვილსაც მოვკლავ... მაგრამ რად მინდა?

[1912]

გამოსალება

მყინვარო, რისთვის ჩაფიქრებულხარ,
არაგვო, ჩრდილი რაზედ გფენია?
მტკვარო, შენ მაინც მითხარ, რას სწუხხარ,
შენ მაინც რაზედ მოგიწყენია?
ნუთუ იგრძენით, რომ ჩემი გული
ისევ სავსეა მნამვლელ გრძნობებით,
რომ ვერასდროს კვლავ ვეღარ გიხილავთ
და სამუდამოდ გემშვიდობებით?
დამშვიდდით! მუდამ თქვენთან იქნება
ჩემი სიმღერა და ჩემი ნანა,
შემოგწირავდით ერთად ყველაფერს,
მაგრამ რაღა მაქვს სიმღერისთანა?

[1912]

ახალ ცლის ლაშეს

ჩირალდნებით გავაშუქე სევდიანი ჩემი ბინა.
იუნონავ, შენ გელოდი და მიტომ არ დამეძინა;
დავდიოდი წინ და უკან და ჩირალდნის შუქზე ვთრთოდი
და სიჩუმეს ყურს ვუგდებდი და სიჩუმით გეძახოდი.

გეძახოდა ჩემი სული, გეძახოდა ჩემი ვნება:
მე მომწყურდა შენთან ერთად ახალი წლის მიგებება;
ჩირალდნებით მიტომ მოვრთე და ავანთე ჩემი ბინა
და მომწყინდა მარტოობა და უშენოდ მომეწყინა.

კვირაძალის თაფლის სანთელთ ალი გაკრთა, როგორც
გველი,
სურნელოვან წელსაცხებლით მოვასხურე სარეცელი,
ახალ წელთან შენ გელოდი და ველოდი ყოფნას ახალს
და ვუცდიდი განახლებას და ვეძებდი აღდგომის კვალს.

ხომლი მოჰკვდა, დაიბნიდა, აიღველფა ცის ეთერი,
ცას ნათელი გადაევლო სევდიანი, მტრედისფერი,
შენ არ სჩანდი... დავიკვნესე და სიჩუმემ მომცა ბანი
და დაყრუვდა ჩემი ბინა და ჩავაქრე ჩირალდანი.

დიდი ხნიდან ვურიგდები ჩემს წამებას, მოძმეთა შურს,
ცხოვრებასაც აღარ ვებრძვი და ცხოვრებაც აღარა მსურს...
დიდი ხნიდან ბედს მივენდე და იმისი მსხვერპლი ვხდები
და მომწყინდა ყველაფერი და ყველაფერს ვურიგდები.

მაგრამ ამ ჩემს მარტოობას, სიჩუმეო, ყური მიგდე,
ჩემს უსაზღვრო მარტოობას მე არ ძალმის შევურიგდე.
სახსნელი გზა კი არსად სჩანს და ამაოდ ველი მშველელს
და ამაოდ დღე დღეს მისდევს და ამაოდ სცვლის წელი წელს.

[1912]

* * *

ირგვლივ, გარშემო სევდიანი ისმის ქვითინი,
პიტალო მთებმა გლოვის ნისლით შეიმკეს თავი,
ოჳ, რა დროს მისწყდა და გარინდდა მღელვარე უინი,
შავი ძაძებით შეიმოსა ჩვენი გვირგვინი...
ოჳ, რა დროს გატყდა, რა დროს გატყდა სიცოცხლის ნავი...
და დღეს გავიგეთ ეს ამბავი გულმოსაკლავი.

ხვალ კი, როდესაც ძვირფას ცხედარს ერთგულთა კრება
სამარადისოდ, სამუდამოდ დაესალმება,
როდესაც იგრძნობს მიწის კვნესა და ცის კამარა,
თუ ვინ დაპეარგა და რომელი დაასამარა, –
მიდით, მგოსნებო! შავი თალზით შემოსეთ ქნარი,
ცრემლით იგლოვეთ მოამაგე დაუვიწყარი...
მიდი, მსოფლიოვ, თაყვანი ეც იმ გმირის საფლავს:
შენი დიდება, შენი ღმერთი მოჰკვდა, აღარ გყავს!

[1913]

საუგარი ვალსში

როდესაც ვუცქერ მე შენს თვალთა უძირო ლაჟვარდს,
როცა თვალი თვალს უსწორდება ისე, შემთხვევით,
დატოვებული, შორი კუთხე მომაგონდება,
მოგონებები თვალწინ რბაზან სევდიან რხევით.
ოჳ, რაოდენი სისპეტაკე მარხია შენში,
რამდენი წმინდა ვარსკვლავები თრთიან შენს გულში,
სიყმანვილეში შენგვარ ქალზე ოხრავდა გული,
გული მტკივოდა შენს ალერსში, შენს სიყვარულში.
მე მაგონდება ჩვენი ძველისძველი სასახლე,
გვერდზე მოხრილი, შავი ყავრით გადახურული
და ბალი შორი, სავსე ვარდით, ცაცხვის ხეებით,
მარჯვნივ და მარცხნივ დაქსელილი და დაბურული.
რამდენი ღამე მითევია შენს მოლოდინში,
ცას ვარსკვლავიანს შუქს მატებდა ელვარე მთვარე...
ჩემო ღვთაებავ, ოჳ, ვინ დათვლის, თუ რაოდენი
მოლოდინის და გულწრფელობის ცრემლი დავლვარე.
და იმ ცრემლებით ირწყვებოდა ჩემი ვარდები
და იმ ქვითინით იზრდებოდა მომავლის ნანა.
შენ არსით სჩანდი, მაგრამ ჩემთვის უცხო არ იყო
შენი თვალების იდუმალი, წმიდა ქვეყანა.
და დღეს, როდესაც შენ აქ გხვდები უმადლო ბრბოში,
თუ რას განვიცდი, ცამ, სინდისმა იცის მარტოდენ;
ვინ დააფასებს მაგ სინმიდეს ჩვენს სამშობლოში,
ვინ დააფასებს, თუ მაგ გულში რა ფიქრნი თრთოდენ?
მე ვგრძნობ ჩემს ირგვლივ მხიარულ და უდარდელ ქალებს,
ვიცი, რას ფიქრობს გიუ ფერხულში აქ თვითეული,
მათ მხოლოდ სახეს არ უშიშვლებს შავი ნიღაბი,
თორემ ნახევრად შიშველი აქვთ მთელი სხეული.
სანდახან განცდის სურვილებით მე მათ ვშორდები
და მენამლება გული მათი უმიზნო ხმებით.

ვდგევარ კუთხეში, სიბნელეში, ვუცქერ შორიდან
და მსურს ვიტირო მწარე კვნესით, მწარე ცრემლებით.
განკიცხვის ლექსი იბადება ჩემს დაღლილ გულში
და ილესება როგორც დანა გლადიატორის.
და ვწუხვარ, ვწუხვარ, რომ დღეს თუ ხვალ ეგ მძლავრი ტალღა
შენც გადაგითრებს მოლივლივე ტალღათა შორის.

[1914]

სანთლები

შორს, ზურმუხტისფერ სივრცეს იქით, სანთლები სჩანდა.
დასასვენებლად მიიწევდა იქ მეზღვაური...
ერთხელ ზღვა გასწყრა, აირია, გაუინიანდა:
ტალღებმა შექმნეს ვაი-ვიში, აურზაური
და გემს უმიზნოდ, საუკუნოდ დააგვიანდა!

მას აქეთია იალქანი ზღვაზე მიფრინავს,
მისთვის ერთია – სად დახუჭავს ოცნება თვალებს,
მიუწდომელი სანთლები კი ბრწყინავს და ბრწყინავს...
როგორ მაგონებს ის სანთლები ჩემს იდეალებს!

[1914]

ელეგია

სარკმლიდან ვუცქერ, თუ თეთრი თოვლი
მთა-ბარს როგორ რთავს და ათანაბრებს,
სული ეშვება მოგონებაში,
სიყმაწვილისას ვიგონებ ზღაპრებს –
ზღაპრებს, რომელთა უხმო აჩრდილში
ჰქრება ყოველი... გრძნობა დუნდება,
რაც კვლავ არასდროს არ განახლდება,
რაც კვლავ არასდროს არ დაბრუნდება...
შემოვიხვიე ტანზე ნაბაჭი...
გაველ ქუჩაში, მსურს ბრბოს შევერთო,
რა უდაბნოა, ოჟ, ჩემო ზეცავ,
რა სიჩუმეა, ოჟ, ჩემო ღმერთო!
ახალი წელიც ვერაფერს მეტყვის,
ახალი წელიც ვერ მომცემს პასუხს,
ისევ უდაბნო... ისევ დუმილი...
ისევ თოვს და თოვს... გული სწუხს და სწუხს...

[1914]

რა სევდიან ზღაპარს ამპობს ქარი...

რა სევდიან ზღაპარს ამბობს ქარი,
ამეშალა ჩვეულ ფიქრთა ჯარი.

დაიძინეთ, სურვილებო, კმარა!
კმარა ცრემლი, რაც რომ დაილვარა.

დაიძინე შენც, იმედო ჩემო,
ჩემო რწმენავ, ზეცავ და ედემო!

მოგონებავ, შენ რამ აგაჩქარა?
დაიძინე, დაიძინე, კმარა!

შავი ლამე ძილს ქსოვს აბრეშუმად
და შრიალით მოდის... ჩუმად, ჩუმად...

[1914]

ლექსეგი

ქუთაისი. 1914

სილოვანება

ვის უნახავს შავი წიგნი, წიგნი წითელ ასოებით,
დაწერილი სისხლის წვეთით, დაწერილი სასოებით?
დღეს ის წიგნი არვის ახსოვს, დღეს ის წიგნი არვინ იცის
და უამთ მტვერით იფარება წიგნი ცის და დედამიწის.
დიდხანს ვწერდი, დიდხანს მწვავდა შთაგონების ცეცხლი მწვავე,
ვწერდი უინით, ვწერდი ვნებით... ვწერდი და ვერ დავათავე.
და ვფიქრობდი: ჩემს შავ წიგნში თუ არს-მეთქი რამ ისეთი,
რომ არ აჩნდეს მწარე გესლი, რომ არ აჩნდეს სისხლის წვეთი?
და მომწყინდა ყველაფერი, და მომბეზრდა ყოფნის მცნება,
ვსთქვი, სხვას რას აქვს ფასი ქვეყნად – რომ რა იყოს ხელოვნება.
მაგრამ ჩემში საუბრობდა ხმა დამწველი, ხმა ფარული: –
„ხელოვნება – ეს ოქროა მიწის გულში დამარხული,
ხელოვნება მარგალიტს ჰეგავს, მას ზღვა ფარავს შეუცვლელი,
მას ვერასდროს ვერ მისწვდება კაცის გული, კაცის ხელი...
არის წმინდა პოეზია და მუსიკა არის შორი,
მაგრამ ქვეყნად არ არსებობს – ცის ალერსი, ცის ამბორი.
არის საღვთო ბილიკები ამ სივრცისკენ მიმავალი,
აირჩიე მათგან ერთი, აირჩიე ერთი კვალი!“
შავი წიგნი არ თავდება, შავი წიგნი შვაზე წყდება...
მას იქით კი კაცის გრძნობა და გონიერას სწვდება.

[1914]

მიმღერა რამე

როგორ მიყვარდა! მაგრამ ხსოვნა იმ ტრფობის სრულის
დარჩა ჩემს გულში წაუშლელი და მოკამკამე.
იმას იგონებს უძლურება დაღალულ გულის.
ჩემო ნუგეშო, იმ სიწმიდის, იმ სიყვარულის
მიმღერე რამე!

ყმაწვილკაცობა, სიხალისე სიცოცხლის დილის
ისე გამიქრა ვით ბურუსი... როგორ ვენამე!
ეხლავ მაშინებს ჭმუნვარება მომავლის ჩრდილის.
ჩემო ნუგეშო, იმ სიცოცხლის, იმ სიყმაწვილის
მიმღერე რამე!

მქონდა მიზანი... ბრძოლა იყო ცა მისი მცნების,
მაგრამ კაცთ გესლით დავუძლურდი და მოვიშხამე;
აი, ნაყოფი ქარიშხლიან სიცოცხლის ვნების,
ჩემო ნუგეშო, იმ ბრძოლის და იმ გატაცების
მიმღერე რამე!

ახალგაზდათა დაცემის და დაუძლურების,
ახალგაზდათა მწუხარების მე ვარ მოწამე;
მეც იმათ შორის უკურნებელ წყლულებით ვკვდები,
მიმღერე რამე, გევედრები, გემუდარები,
მიმღერე რამე!

[1914 წლის ივნისამდე]

შავი ყორანი

გზა გავიარე... მსურს მოვიხედო
და დავინახო მთისა ქედები –
შავი ყორანი გზაზე მომჩხავის:
„ნუ იხედები... ნუ იხედები!“

გზაზე მივდივარ... მსურს გავარკვიო
გასავლელი გზის სივრცე უცვლელი.
შავი ყორანი ისევ მომჩხავის:
„შორს ნუ გასცერი... შორს ნურვის ელი!“

მაგრამ სადა ვარ? გზა აღარა სჩანს,
ამ საბნელეშიც გაჭირდა გავლა;
შავმა ყორანმა ფრთა ფრთას შემოჰკრა,
შავმა ყორანმა თავზე დამჩხავლა.

გადაიფრინა და მომაგონა
დრო, უბედობის გვერდით მხლებელი,
უამი, ყველაფრის მქნელ-გარდამქნელი,
სივრცე, ყველაფრის მიმტევებელი.

[1914 წლის ივნისამდე]

რომ თაყვანი სცეს

მზე მოელვარე, ლაჟვარდი ცა, თეთრი ზოლი მთის –
დღის მოკამკამე შვენებაში კანკალებს და თრთის...
გრილი ნიავი მწვანე ბუჩქებს, დაბურულ ბალებს,
ცისფერ ყვავილებს, ხავერდოვან მინდვრის ბალახებს
სძრავს... აცახცახებს...

ნორჩთა მცენარეთ მსუბუქ ორთქლით, ყვავილთა სუნით
შეზავებული ოდნავ სუნთქავს მშვიდი ეთერი
და გაზაფხულის პირველ სხივებს წყნარი ზუზუნით
ეთამაშება უთვალავი პეპელა-მწერი
და მათ გარშემო ბუქ-ბუქად დგას ყვავილთა მტვერი.

გამოდის გარედ ადამის ძე ლონემიხდილი: –
ქვებს და ბალახებს, ცის სივრციდან ჩამოწოლილ მზეს,
ხეებს და ტყეებს, საოცნებოს რასაც კი ხედავს,
ხელის შეხება რისთვისაც ჯერ ვერ გაუბედავს, –
რომ თაყვანი სცეს.

[1914 წლის ივნისამდე]

პოეტი

რამდენჯერა ვსთქვი, თუ ვისთვის მინდა
სევდიან სიმთა მწუხარე უღერა?
რამდენჯერ იჭვი მეწვია წყნარი,
რამდენჯერ ხელში ავიღე ქნარი,
რომ დამემსხვრია და არ მემღერა.

ამ დღროს მწყუროდა, რომ მიმემალა
ჩუმი ქვითინი და სიმთა წკირა.
ხალხისთვის, ჩემში რაც ძლევას ქმნიდა –
ჩემი ოცნება და წმინდათწმიდა
დაუბრუნებლად, მთლად შემეწირა.

მეც ვშთანთქმულიყავ მწყრალ ურიამულში,
მომეკლა სულის ვედრება წრფელი,
მაგრამ სიმღერის გადავიწყება,
ჰანგთა დამარხვა და დამიწება
ვერ შევიძელი, ვერ შევიძელი.

სიმღერავ, უხმე დაღლილთ, დაქანცულთ,
აჩვენე ცეცხლში ნაწრთობი გული,
დაე, ისმენდენ ჰანგს დაუცხრომელს,
დაე, იცოდენ, რომ ყოფნის მგმობელს
მათდამი კიდევ აქვს სიყვარული.

[1914 წლის ივნისამდე]

შემოდგომა

I

ობოლ ფოთლებს, ნაზ ყვავილებს
ქარიშხალი თავზედ ივლებს;
კორდი კდემით თვალებს ნაბავს,
მორცხვად თავს ხრის, სუნთქვას სძაფავს,
ტანთგახდილი და შიშველი
მთას შესჩივის: „ვერ მიშველი?“
ვიღაც კვნესის, ვიღაც ჰეკვდება,
ვიღაც ნისლში ინაკვთება.

II

მოწყენილია მიდამო, თეთრი
ნისლის ზღვა მინდორს გადაეფინა.
გადმოიმალა სიცივე მკვეთრი,
ჩემს არსებაში იპოვა ბინა.
მომბეზრდა ყოფნა... სულს შეეთვისა
აზრი: დაფარვა ქარიშხლის ფიფქით,
ვით ყრუ ძახილი უკვდავებისა
დროთ საზღვარს იქით, დროთ საზღვარს იქით!

[1910]

გზაზე

თვალუნვდენელი, შორი, ვრცელი, დაუსაბამო,
ჩუმი, მყუდრო და სევდიანი იყო საღამო.

თოვლზე დაცემულ სისხლის წვეთის მსგავსათ მზის რგოლი
ლრუბელთა შორის იშლებოდა სხივანათრთოლი.

ლურჯი ბურუსით ინთქმებოდა ხშირი ტყე-ველი
და მყუდროება იყო ირგვლივ დაურღვეველი.

ამ დროს მომესმა სევდიანი სიმღერა გზაზე:
ეს ხომ მხედარი ოცნებობდა სხვა ქვეყანაზე.

გადაიარა ჩემს თვალთანინ და მიიმალა,
სამარადჟამოდ გაურკვევი აღმიძრა ძალა.

და მივდიოდი მარტოდმარტო სევდიან გზაზე
და ისევ ისე ვოცნებობდი სხვა ქვეყანაზე.

ლურჯი ბურუსით ინთქმებოდა ხშირი ტყე-ველი
და მყუდროება იყო ირგვლივ დაურღვეველი!

[1913]

ტყეში

ზეფირს ფოთლებით
კალთა ევსება,
ზამბახს ოცნებით
ეალერსება: –
„გამომყე, წამო!“

ხარობს მიდამო.

ზეფირს ქნარი აქვს,
დაუგდე ყური:
დაგწვავს, მოგხიბლავს
ჰანგი ველური,
დაგძლევს ექსტაზი...

ციური, წაზი.

ეოლ, მთა-ბარი
ნუ შეაწუხე...
ტყეს ტალღა ჩქარი
დაჰკარ, დაჰქუხე!
ზვირთი დასძარი.

ჰა, ჩემი ქნარი!

[1910]

პოლდზე

რა სიწყნარეა! მთვლემარე კორდზე
მე შევაყენე დაღლილი ცხენი.
ლელეთა შორის აცურდა ნისლი
ნაპრალთა მკერდზე გადანაფენი
და მთვარის შუქი მინელებული
ტყეებს და ველებს უვლის გარშემო.
არც სიო დაპქრის, არც ხის რტო იძვრის...
რა სიწყნარეა, ოჰ, ღმერთო ჩემო!
ჰეი, გაიღვიძე, ქარო ძლიერო,
გამოაღვიძე მიდამო მკვდარი,
გასწი, უამბე ადამიანებს –
თუ როგორ ვკვნესი მიუსაფარი
და თუ მათ შორის ალმოჩნდა ერთი
ჩემი იბლობის თანამგრძნობელი,
ისიც დიდია მისთვის, ვისთვისაც
ზღვა-უდაბნოა მთელი სოფელი.
ჰეი, გაიღვიძეთ, ტყისა ფოთლებო,
და თუ ოდესმე დაობლებული
მოვიდეს აქ ის, ვისაც ვაებით
ჩემმა სიმღერამ დასწყვიტა გული,
უთხარით, რომ მას დიდხანს ველოდი,
დიდხანს ველოდი ყმანვილურ ჟინით
და ცივ სამარეს ამოვეფარე
დასუსტებული ამ მოლოდინით!

[1914 წლის ივნისამდე]

დუმილი

ნიავმა წყნარად წაისისინა,
ხევში შეიჭრა და მიიძინა;
შესწყდა, ნუგეშო, ბულბულის სტვენა,
მზე ჩაესვენა, მზე ჩაესვენა.
მარტოკა ერთი იდუმალ ვნებით
მთის ხრიოკებში რაკრაკებს წყარო,
გაუღენთილია ტყბილ-სურნელებით
მთელი ბუნება, მთელი სამყარო.
დღე დაქანცული, ღონემიხდილი
ასავარცხლებულ მთებს იქით კვდება,
ცა ნაღვლიანი, ცა მოწმენდილი
გაფერმკრთალებულ ტბაში ფერფლდება
და გამჭვირვალე ბინდ-ბუნდი ღამის
ქვეყნად მოსცურავს მსუბუქი ფრთებით,
ჯეჯილი ველზე ისე სდგას, ლამის,
ბინდში გადადნეს იდუმალებით.
თავჩაქინდრული არ შეირხევა
არც ცაცხვის ტოტი, არც ალვის ტანი,
გარინდებული ტყე არ ირყევა,
არც სევდა სჩანს და არც კაეშანი.
შეჯადოებულ მიდამო-არეს
წამნამზე უთროთის ნეტარი ძილი,
კიდით კიდემდე მიწას მთვლემარეს
გამთბარ გულ-მკერდში იხვევს დუმილი.
აცურდა მთვარე, აცურდა წყნარი,
ვერცხლისფერ შუქმი გახვია ველი,
ტბას დააფრქვია შუქი ნარნარი,
მთა აათეთრა შიშველ-ტიტველი,
თითქო მიწიდან სურს ამოაშროს
უმჩნევი ფიქრი და ცრემლთა ფრქვევა,
და მე მგონია – მინა არასდროს
დუმილიდან არ გამოერკვევა.

[1914 წლის ივნისამდე]

სარკესთან

გუშინ მთელი დღე ვხეტიალობდი,
მომწყინდა რაღაც... აღმეძრა წყლული...
ჩემს ოთახში კი ღამით დავბრუნდი
ისევ უმიზნოდ დალონებული.
არ მსურდა სანთლის გაჩირალდნება,
საკმაო იყო მთვარის კაშკაში:
ის ისე ნაზად იცქირებოდა
ღია სარკმლებში და ფანჯარაში.
სარკესთან მიველ და დავინახე
სიღრმეში სახე ჩემი ვნებული,
როგორც ცხედარი – მთვარის ნათელზე
ლიმნაშლილი და გაფილრებული.
დიდხანს ვუცქერდი ჩემს მეორე ჩრდილს,
დიდხანს მის სახეს ვუკვირდებოდი,
ვიტანჯებოდი, მაგრამ ამ ტანჯვით
გულის სიღრმეში მევე ვსტკპებოდი!

[1914 წლის ივნისამდე]

ახალ ცისკართან

განთიადს სძინავს ლურჯ სარეცელზე,
ჯერ დილის სიო არ მოხვევია,
არ დასცემის ყვავილებს ნამი
და მათ მქერდს ვნებით ჯერ არ მთხვევია.
მთვარის რბილ ნათელს ფერი ელევა,
ვარსკვლავთა გუნდი კლდის ირგვლივ დნება
და დამძიმებულ ნისლთა თეთრი ზღვა
მთის კალთებიდან დაბლა ეშვება.
დარჩი, ღვთაებავ! სულს ღონემიხდილს
სურს აღმადგენელ ოცნებად სწამდე,
დარჩი! მსურს ჩემი უსაზღვრო ვნებით
ვიქანცებოდე განთიადამდე.
მომეცი მე ის უკანასკნელი,
რომელსაც შენი მხურვალე გული
ჯერ ვერ იცილებს... მომეცი იგი,
გთხოვს, გევედრება შეყვარებული.
და დავრნმუნდები მე მხოლოდ მაშინ,
რომ ჩემს გარეშე ღმერთი არა ჰყავს
მას, ვინაც სულის დაუნანებლად
ახალ ცისკართან ყველაფერს ჰყარგავს.

[1914 წლის ივნისამდე]

წუხელი, ღამით...

წუხელი ღამით ქარი დაჰქროდა
და დიდხანს, დიდხანს არ დამეძინა.
მე მქონდა ბინა, თავშესაფარი,
მაგრამ ქარიშხალს არ ჰქონდა ბინა.
ხან კარებს უკან ატირდებოდა,
ხან დარაჯობდა სარკმელის წინა,
გადამიშალა თვალწინ წარსული
და მნარედ, მნარედ ამაქვითინა.
როდესაც მისებრ მიუსაფარი
ვეხეტებოდი სევდიან ღამეს,
რამდენ ტკბილ ფიქრებს მოელო ბოლო,
რამდენ ოცნებას, რამდენ სიამეს...
წუხელი, ღამით ქარი დაჰქროდა
და როცა დილით გამომეღვიძა,
ყვითელ ფოთლებს და დამსხვრეულ რტოებს
მიმოეფარათ ყამირი მიწა.
ბალში გავედი... იქაც ბილიკზე
დაცვენილიყო ფოთოლი რბილი
და დიდხანს, დიდხანს ვხეტიალობდი
წარსულ სიზმრებში გადაფრენილი.

[1914 წლის ივნისამდე]

ყვითელი ფოთოლი

შემოდგომისა ველურ ჰანგში
ჭკნება ფოთოლი;
ყმაწვილი გულიც უნუგეშო
ფიქრებში დნება.
მაგრამ სხვა ფოთოლს აამწვანებს
კვლავ გაზაფხული –
და სიყმაწვილე კი არასდროს
არ დაბრუნდება!
ქვითინებს ქარი, თან წაიღებს
ყვავილთა ჩურჩულს...
ჰანგი საზარი სულს მიშფოთებს
და გულში მწვდება –
რომ ვერასდროს ვერ ვეღირსები
მე ჩემს გაზაფხულს
და სიყმაწვილე კი არასდროს
არ დაბრუნდება!

[1912]

სარკმელთან

სარკმელთან ვზივარ. მალე, სულ მალე
სევდიან ჰანგებს დავუგდებ მე ყურს:
მოვა მოხუცი ძალმილეული
და ააკვნესებს ჩემს კართან ფანდურს.
გადიფრენს თვალწინ ძველი ოცნება,
შეიკუმშება ტანჯვებით გული,
რომ არასდროს არ განმეორდება
დრო ბედნიერი, დრო დაკარგული.
და გავყვები ჩემს მარტოობის გზას
სამარისაკენ მიმავალ გზამდე...
კვნესის ფანდური და მეც ვიკვნესებ...
უნდა ვიკვნესო, მაგრამ სანამდე?
სარკმელთან ვზივარ... მალე, სულ მალე
სევდიან ჰანგებს დავუგდებ მე ყურს:
მოვა მოხუცი ძალმილეული
და ააკვნესებს ჩემს კართან ფანდურს!

[1912]

* * *

ხშირად ვოცნებობ და შევსცქერი ცას,
ვეძებ უხილავს, ვუცდი ვიღაცას.

მე ვმღერი მაშინ და მთრთოლვარე ხმას
სევდით ვუერთებ ჩამქრალ გულისთქმას!

ჩემს გულში ვეძებ ვარსკვლავებს, მთვარეს,
მეგობრებს, სატრფოს ეშნით მღელვარეს;

არ ანათებენ ისინი ჩემს გულს,
არღა მომფენენ შვებას, სიხარულს.

ბნელდება მთვარე, თრთის ვარსკვლავი ცის
და ძირს ეშვება ოცნება სივრცის...

[1912]

ზმუნვარება

როცა მზის სხივი უკანასკნელი
მოსწყდება მყინვარს და მიძინებს,
როცა ბუჩქებში ნიავი ნელი
ნაზად და წყნარად წაისინებს,
როცა ბულბული საღამოის ჟამს
მიდამოს უმღერს მომხიბვლელ ნანას,
როცა სიჩუმის ღმერთი დარაჯად
ციდან დასცქერის მთელსა ქვეყანას;
როცა ტბის ფსკერში ჩაიქარგება
სახემიბნედილ მთვარის ღიმილი,
დედავ ბუნებავ! იმ დროს მხოლოდ მე
რისთვის გამირბის ნეტარი ძილი?
ოჳ, ვინ დამწყევლა, გარეწარივით
ტყის სიღრმეში რომ დავეხეტები?
ან აჩრდილივით რად მიდგანან წინ
გარდაუვალი და ჩუმი მთები?
წყეულ იყოს ის შავბნელი წუთი,
როს ის ვარსკვლავი ცაზე ჩნდებოდა,
სადაც ეწერა, რომ ჩემს განწირულს
სულს მოსვენება არ ღირსებოდა,
რომ სიყმანვილის მჭკნარ ყვავილებზე
არრა მშთენოდა წყლულთა მალამოდ,
რომ ჩემს ოცნებას აუსრულებელს
დავთხოვებოდი სამარადუამოდ.

[1914 წლის ივნისამდე]

განცილულება

ერთ კედელს იქით როიალის ხმას
აჰყვა ქალის ხმა მშვიდი და ნელი...
მივყევარ ფიქრებს... აგერ ქვითინით
მისწყდა აკუორდი უკანასკნელი,
სიჩუმე მეფობს... მაგრამ მე მაინც
არ მესვენება, გამიკრთა ძილი.
ისევე ვდგები და ტანზე ვიცმევ,
ოთახს ვცილდები სუსტი, დაღლილი.
იგივ სიჩუმე მეფობს ქუჩაში,
დაპერის, სისინებს ნიავი გრილი,
ცაცხვი ირხევა მთვარის ნათელით
მოთეთრებული და მოვერცხლილი.
რას ვეძებ ნეტა ამ ხეტიალში?
ბედნიერებას? ოჳ, არა, არა!
სიყვარულს? – განა ამ სიყვარულმა
მე ოცნება არ დამისამარა? –
მე საფლავს ვეძებ, რომ დამიამოს
და დამავიწყოს გულის ღრმა წყლული,
ეს კი არ არის ბედნიერება,
არც მეგობრობა, არც სიყვარული.
მნარე ნალველი დაგუბდა გულში,
სიცოცხლის ძეგრა იდუმლად ჰქება,
მის დავიწყებას დავეძებ მარად
და არსად არის ეგ დავიწყება.
ისევ სიჩუმე მეფობს ქუჩაში...
დაპერის, სისინებს ნიავი გრილი,
ცაცხვი ირხევა მთვარის ნათელით
მოთეთრებული და მოვერცხლილი!

[1914 წლის ივნისამდე]

ნიაღვარი

როცა მზე მწერვალს გადმოანათებს
და სხივს დაადნობს თოვლიან მთაზე,
უკვდავებაა მაშინ მნათობის
მშვენიერება და სილამაზე.
მაგრამ როდესაც აღქაფებული
ზვირთი გზას ურხევს მომსკდარ ნიაღვარს,
ვინ გამოხატავს ამ მრისხანებას,
რა სული შეჰქმნის სტიქიას ამგვარს?

დაადნე სხივი, სულო ციერო,
ამ გაცივებულ, ნაღვლიან გულზე,
ტკბილი მორევი შემიგუბდება
ჩვენს ყვავილებზე, ჩვენს სიყვარულზე.
და თუ ოდესმე, ვით ნიაღვარი,
გულის სილრმიდან გრძნობა მოსკდება –
ვფიცავ, რომ მევე მომკლავს, დამღუპავს
ჩემი ნაღველი, ჩემი ოცნება!

[1910]

უდაბნო

სიყმაწვილეში მე ვჭკნებოდი, როგორც ფოთოლი,
ობოლი ვიყავ მე მაშინაც, სულით ობოლი.

ჟამი მიჰქროდა ახალი დღით განრინებული,
არ მშვიდდებოდა ჩემში მაინც გული ვნებული.

დღესაც მარტო ვარ, სიყვარულის არ მესმის ნანა.
ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა მთელი ქვეყანა.

რად მინდა სატრფო, ნათესავი, თანამგრძნობელი?
ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა მთელი სოფელი.

მოვკედე და გული ვის დავწყვიტო, ვინ დავაობლო?
ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა ჩემი სამშობლო.

რად მინდა მივსწვდე მიუწდომელს, ვრცელს და უსაზღვროს?
ჩემს უდაბნოს ვერ გავსცილდები მაინც ვერასდროს.

მეგობრობაში, სიყვარულში, შურში, მტრობაში
მარტო ვიქნები და რა ვპოვო მარტოობაში?

ვიმღერო? მაგრამ ჩემთვის რაა ჩემი სიმღერა?
წუთით მიტაცებს, სამუდმო წყლულს კი ვერ შლის, ვერა!

და თუ შორს ვინმე ტკბება ჩემი სევდიან ხმებით,
ის ჩემს ხმებს მიჰყავს... მე ვის წავყვე ჩემის წამებით?

ან მეგობარის თუ მომესმას ნეტარი ხმობა –
სად შემეძლება სიყვარული და მეგობრობა?

არცა თუ მცირედ შეუდგა გულს სევდა-ნალველი,
რომ კვლავ შემეძლოს ზეცისაკენ აღვაპყრო ხელი.

ოჸ, სად ხარ, სადა, უჩვეულო რაიმე ძალო,
სიცალიერის შავი ნისლი რომ გამაცალო!

[1914 წლის ივნისამდე]

დაკარგული ეძევი

ოჳ, ევა, ევა! ედემს დაკარგულს
ოდეს ვიგონებ, თვალი ცრემლს ღვრიან,
დარდით სამარე მე გამეთხრება!
დავიღუპები ადრე თუ გვიან.
და ვერ გავიგებთ სიცოცხლის მიზანს
დატყვევებულნი შენის შვენებით,
სამარეს ვპოვებთ და უფრო ადრე
სხვა სამარეში ჩავესვენებით.

გაზაფხულია და ყვავილები
მორცხვად თავს ხრიან იქაც და აქაც,
მაგრამ გამქრალს და ადრე დაკარგულს
სამოთხის ყვავილთ არ გვანან რაღაც.
უმიზნო ხელი შემომქმედისა
ხეებს ფერადი ძაფებით ქარგავს,
მაგრამ გამქრალ და ადრე დაკარგულ
სამოთხის ხეხილს არ ჰგავს და არ ჰგავს!

საუკუნეთა შორი გრეხილი,
ჩვენთვის მარადის მიუწდომელი,
შორით დაგვცინის, როგორც სატანა,
ვინებ ჩვენ – უფრო მალლა მდგომელი.
მწარე ნალველით დაჩრდილულ გულში
მისი აჩრდილი რომ ისახება,
მის გვერდით ჩვენი შავი სამარე
უფრო ცხოველად დაინახება.

ოდეს იკითხონ ადამისა ძეთ,
ვისი სურვილით, ვინ და რად ჰქმნიდა,
ვინ უპასუხოს? ან მათი სულის
თავისუფლება ვინ შეისყიდა?
ვინ ჰკითხა ამ სულს ქვეყნად გადმოსვლა,
ვინ ჰკითხა ისევ უმიზნოდ წასვლა?
და ქვეყნიურთა ვნებათა გროვის
ვის სურს გარდამქნელ თიხაში გაცვლა?

სამარადჟამოდ ვინც დაგვიკარგა
დაუკრეფელი სიცოცხლის ბალი,
ვინც სიცოცხლეში დაგვასამარა,
ის ძალა იყო, შენ – იარალი.
თუ უკვდავების მომნიჭებელიც
ხვალ დამტირებლად გადაიქცევა –
რა უნდა გითხრა შენ, ვინაც პირველ
იგემე ხილი? ოჰ, ევა, ევა!

დრო მოვა და ჩვენ ცრემლით ციურით
ცივ სამარეში დავინამებით
და ჩვენი ყოფნა ამქვეყნიური
გამოვისყიდოთ ტანჯვა-წამებით.
ტკბილია შხამი, თუ უმიზეზოდ
ბედნიერება მოიშხამება,
კვლავ დაგვიბრუნებს ბედნიერებას
და გულსაც გასწმენდს ჩუმი წამება.

[1914 წლის ივნისამდე]

მთაწვეობაზე

მახსოვს: ჩემს პედკრულ სიყმანვილეში
ჩემებრ მწუხარეს ვენვეოდი მთას
და ღამე თავის სილამაზეში
შემომახვევდა მშობლიურ კალთას.
სევდიანი და დაფიქრებული
ცის უდაბნოში სცურავდა მთვარე,
სცურავდა მთვარე და თეთრი ნათლით
ივერცხლებოდა გარს არემარე.

თეთრი ზოლები შორი მთებისა
იკარგებოდენ ცისა სიღრმეში
და ხის ფოთლები ფერხულს უვლიდენ
ნიავის ველურ სიხალისეში.
ქვევით კი ნისლით შემოსუდრული
და მოწყენილი ოხრავდა მტკვარი,
ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისმოდა გმინვა
ძლივს გასაგონი, ძლივს ამომსკდარი.

მე კი ვცდილობდი არ გამეგონა
კაცთა გულიდან ნაფეთქი ხმობა:
ღამის უსივრცო საკურთხეველთან
იკარგებოდა კაცთა ობლობა.
მე ღამის სახეს უფრო ვწვდებოდი,
ვინემ კაცისას, როცა ნარნარი
ცის უდაბნოში სცურავდა მთვარე –
ციდან ძახილი მესმოდა წყნარი.

მეხატებოდა წარმტაცი მხარე,
რომლის არ არის ამ ქვეყნად ფასი,
რომელს ამშვენებს მთვარის წათელი
და აფერადებს ვარსკვლავთ კისკასი.
მთვარევ, შენ იცი ეგ საიდუმლო,
რომელსაც გულით დავატარებდი,
ქვეყანას უშნოს და ულამაზოს
შენს მინაზებულ შუქს აფარებდი.

არ იყო შენთვის არც საუკუნე,
არც წელიწადი, არც ერთი წამი.
იყო უკვდავი მშვენიერება,
განუსაზღვრელი იყო კამკამი.
იყო ის გრძნობა გამოუთქმელი,
რომელიც მხატვარს ვერ შეუქმნია,
შემოქმედის ხელს გამოუსახავს
და ადამიანს ვერ შეუგნია.
შენ იცი მხოლოდ, თუ რასაც ვგრძნობდი
მარტობაში შუალამისას,
რომ ღამის სახეს უფრო ვწვდებოდი,
უფრო ვწვდებოდი, ვინემ კაცისას.

[1914 წლის ივნისამდე]

სოჭელში

ყრუ ხმაურობა-ქუნილისგან გამოქცეული,
აპა, შევდივარ კვლავ სოფელში ღონემიმქრალი...
ფიქრნი გულს სწენენ მომავალით გამოწვეული,
მსურს დავივიწყო და ცხოვრება ვიწყო ახალი.
უკეთესი დრო, სიყმანვილე აქ უნდა ჩავკლა,
უნდა ჩავიქრო გატაცების გიჟური ჟინი,
რომ კიდითკიდეს არ ესმოდეს ჩემი სიმღერა,
ქარიშხლიანი სიყმანვილის მწარე ქვითინი.

ჩუმი ბუტბუტით ხის ფოთლები მეგებებიან,
უსიზმრო ძილში ღრმად გართულან ალვის ხეები,
მტრედისფერ ცაზე მიბნედილნი ვარსკვლავნი თრთიან,
განსასვენებლად მთებს დართხმიან ცის კიდეები.
ცხოვრების ზვირთთა დაუცხრომელ ტრიალის შემდეგ
ყრუ სასაფლაოს მომაგონებს სოფელი მთელი,
სადაც სულდგმულნი არ იძვრიან გრძნეულ ძილიდან,
მყუდროება და სიმშვიდეა დაურღვეველი.

ბუნებავ ტკბილო! ვურიგდები ჩემს სევდიან ხვედრს,
შენ შეითვისე და შეიტკბე მწუხარე შვილი,
უთხარი ნანა, როგორც დედა ეტყვის თავის შვილს
და მიაძინე შენს გულმკერდზე ღონემიხდილი,
რომ მარტოობის დამთრგუნველ და დამლუპველ ჟამად
ჩემს სულს იდუმალ და შეუმჩნევ სიამეს ჰეგვრიდე.
განსაცდელშია დამსხვრეული და ცივი სული,
მიუალერსე ავადმყოფ გულს და დაამშვიდე!

[1914 წლის ივნისამდე]

ხომლი

ნათელი ღამე, გაშლილი ზღვა, ცის დასავალი
სდარაჯობს ეთერთ სიმშვიდესა და მყუდროებას.
მარტოდენ ზეირთი მოვერცხლილი და ძილგამფრთხალი
დროგამოშვებით გაიტაცებს საწუთოებას
თავის სიზმრებით, თავის მწარე მოგონებებით,
დაღლილ-დაქანცულს უსაფუძვლო სიცოცხლის ვნებით.
მე მახსოვს და არ მავიწყდება ვარსკვლავთ კაშკაში,
შუქთა ფერხულში ისე ნაზად გადაშლილიყო
და მხოლოდ მარტო ვარსკვლავებმა იცოდენ ცაში,
რომ ქვეყნად ჩემზე ბედნიერი არავინ იყო.
უამი რბოლდა... ვერ ასწრებდა შეხედვას თვალი
და შეეჩვია გული სევდას, ურწმუნოებას.
ნათელი ღამე, გაშლილი ზღვა, ცის დასავალი
ისევ სდარაჯობს სიმშვიდესა და მყუდროებას.
ვარსკვლავთა ხომლი ისევ დნება შუქთა ფრქვევაში,
ზღვისა ყვავილებს უალერსებს სამხრეთის ქარი,
ეხლაც კი მხოლოდ ვარსკვლავებმა იციან ცაში
ჩემი ფიქრები და წარსულის მწარე ზღაპარი!

[1912]

AVE MARIA

ელვარებს, დნება წმინდა ნათელი
მკრთოლვარ-მთრთოლვარე შუქთა მფრქვეველი.
ძლიერო სულო! შენკენ მოილტვის
ლოცვა-ვედრება და საკმეველი.
რა რიგ მწყურია, შენს შორეახლოს
განახლებისა მოვიკლა უინი
და ვუცქეროდე, თუ როგორ ბრწყინავს
ღვთაებრივობის შენი გვირგვინი.
რამდენი ღამე გამითევია,
მზის ამოსვლისთვის რომ შემეხედა,
მე ვერ ვამჩნევდი, თუ როგორ რთავდა
მთვარე ვარსკვლავებს, როგორც შვილთ დედა.
ასე, არ მინდა ვუცქირო წმინდანთ,
გარს რომ გარტყიან, ყველა ბნელდება
და თვალწინ მხოლოდ შენი აჩრდილი
უხილავ ძალით ხორციელდება.
ოჳ, ეს ნათელი, თვალთა ნათელი
გულის სიღრმემდე მწვდება, მედება!
რა არის შენთან კაცთა ბორკილი
ან ხორციელის შემოქმედება?
იყო დრო და შენ ქვეყნად იყავი
მაგ განუსაზღვრელ მშვენიერებით,
მაგრამ რით უნდა დაგეტყბო გული,
კაცთა ღალატით თუ ცბიერებით?
ეხლა აღარ ხარ და ჰქმნის ოცნება
უკვდავი სახით უბრალო ტილოს,
რომელსაც ძალუძს თუნდაც ველური
დაატყვევოს და დაიმორჩილოს.
მასში ყველაა, რასაც დალლილი
ადამიანი ქვეყნად ეძიებს,

შვენება, სული და სილამაზე
ჩვენს ლოცვაშია, მუდამ რომ ჰგიებს.
ელვარებს, დნება წმინდა ნათელი
მკრთოლვარ-მთრთოლვარე შუქთა მფრქვეველი...
დედაო ღვთისაგ! შენკენ მოილტვის
ლოცვა-ვედრება და საკმეველი.

[1912]

ჩემი ქარი

როდესაც ხალხთა ურიამულში დავიკარგები,
რომ მოვიპოვო კაცთა შორის თავშესაფარი,
მაშინ ქნარი სდუმს, სდუმს, სიჩუმეს გარემოუცავს,
მწარე ნალველით ავსებული სდუმს ჩემი ქნარი.

როდესაც მტრობა, შური, დევნა ირგვლივ მეხვევა,
ზედ გულზე მაძევს სასიკვდილო სევდის ლახვარი,
მაშინაცა სდუმს ჩემი ქნარი სევდით მოცული,
მწარე ნალველით ავსებული სდუმს ჩემი ქნარი.

როდესაც მოძმეთ სურთ ცოცხლადვე დამასამარონ,
სურთ რომ შეღებონ ჩემის სისხლით წამების ჯვარი,
იმ დროს ქნარი სდუმს და სიჩუმეს გარემოუცავს,
მწარე ნალველით ავსებული სდუმს ჩემი ქნარი.

მაგრამ როდესაც გავშორდები ქვეწარმავლობას,
სულს არ მიხუთავს უმიზნობის ქსელი საზარი, –
განვლილს იგონებს ჩემი ქნარი აზვირთებული,
აზვირთებული, აღტყენილი ულერს ჩემი ქნარი.

როცა ხალხში ვარ – მეკარგება რწმენა, ხალისი,
როცა მარტო ვარ – მაქვს სამგოსნო წმიდა ტაძარი:
ტყე, მინდორ-ველი, მთის წიალი, კლდის ნანგრევები
და ჩემი ქნარი, მარტობით შექმნილი ქნარი!

[1914 წლის ივნისამდე]

განახლდა გული

განახლდა გული... დღე ის აღარ ვარ,
რაც უწინ ვიყავ... ფერი ვიცვალე...
გზა დამიცალე, შავო ბურუსო,
წყეულო ღამევ, გზა დამიცალე!
წინ ვივლი, სანამ დავმიწდებოდე,
ბედს კი მაინც არ შევურიგდები.
წინ ნუ მიხვდები, შავო ბურუსო,
წყეულო ღამევ, წინ ნუ მიხვდები!

ნუთუ არ მეყო, რაც დასაბამით
გაუნელებელ ცეცხლში ვეწვალე?
ჩამომეცალე, შავო ბურუსო,
წყეულო ღამევ, ჩამომეცალე!
ვივიწყებ წარსულს... ჩემს სიყმანვილეს
გამოითხოვების ცრემლებს ვაპკურებ,
გავანადგურებ ხელის შემშლელ ნისლს,
წყეულ ღამესაც გავანადგურებ...

წამების ცეცხლში განახლდა გული,
ფერი ვიცვალე, ფერი ვიცვალე.
გზა დამიცალე, შავო ბურუსო,
წყეულო ღამევ, გზა დამიცალე!

[1914 წლის ივნისამდე]

უკანასკნელი დღე

ალერსიანი შემოდგომის
დღე მევლება გარს,
ნიავი მითხობს უცვლელ ზღაპარს,
სიკვდილის ზღაპარს.
და ყვავილები თანაგრძნობით
მეხვევიან გარს
და ფიქრი მიაქვს შორს ნიავქარს,
სევდის ნიავქარს!

ხვალ არ ვიქნები ქვეყანაზე
და იმიტომ მსურს
ვიპოვო რამე, რომ წავუღო
ზეცას მედიდურს.
მართმევს მე ამ დღეს უკანასკნელს
სამარის მტვერი,
მართმევს იმგვარად, ვით წამართვა
მაზ ყველაფერი!

ოჳ, არ წამართვათ, არ წამართვათ
დღე ეს წათელი,
დღე სევდიანი, დღე დაღლილი,
უკანასკნელი!

[1914 წლის ივნისამდე]

სასაფლაოზე

ნიავი დაჰქრის... სასაფლაოზე
ღამე ეშვება წყნარად, ბინდდება.
შემოვა ქალი, დაჯდება ქვაზე
და მწარედ, მწარედ აქვითინდება.

ქვითინი თვითონ კუბოს ჩასწვდება,
ცრემლები კიდევ – ყვავილთა ძირებს...
გამოიგლოვებს პირველ სიყვარულს
და სიცოცხლესაც გამოიტირებს.

ვინ მისცემს ნუგეშს ობლადა შთენილს?
თვითონაც იცის – რისთვისაც კვდება:
არ განახლდება წარსული უამი,
ბედნიერება არ დაბრუნდება!

[1912]

ՇՈՇՈ ԵԱՆՈԱ

մե կվլազ վնաելող Շենს սամարես ցանմարքոյելուլս,
սասացլառնի միջ անատեծս... ցազացոլնո տրտուան...
այ ցերպոն մամինեցս սոյցալամգո տօռոլս, մոնպյենոլս,
այ սածրճոլցելագ մեցոնքընուց ար մշտաենան.

մինդա ցոամծո... դա ծեցրո րամ մինդա ցոամծո...
թշցուցոնանո ալարա մայեւս ցիագո դա ժոլո
մաս Շեմգեց, րաց Շեն մոմաթոց ցեռցրեծուս ზլաչից,
մաս Շեմգեց, րաց մե մոցաթոց պրմոծուս լոմոլո.

մե կվլազ վնաելող Շենս սամարես, մացրամ პորցելո
Շենո ալցերսո ցացոցեծուլ ցուլս ար սփորուա.
մե ցրյմոլո մինդա, սոյմանցոլուս პորցելո ցրյմոլո,
դոգո խանու, րաց ոմցարագ ար մուգորու!

[1914 նլուս օվնուսամցե]

მგზავრის სიმღერა

თავგანწირულად მინდორ-ველად
მიმაფრენს ცხენი.
გაზაფხულია... სიო დაპქრის
კიდითი კიდე,
მზე სხივებს აფრქვევს ქვეყანაზე
შვების მომფენი,
არე-მიდამოს ლვთაებრივი
ატკბობს სიმშვიდე.
ამ სიმშვიდეში მე ვერ ვპოვე
ვერც სიტკბოება,
ვერც რამ ისეთი სასიცოცხლო
და სანეტარო.
დაპქროლე, ქარო... მე არ მიყვარს
ეგ მყუდროება,
მე ქარიშხალთან შებმა მინდა,
დაპქროლე, ქარო.
ბედნიერებას მე არ ვეძებ
ამ ქვეყანაზე,
შვების ძებნაშიც ვტყვილდებოდი
ქვეყნად ყოველთვის
და, დეე, მოვკვდე, თუნდ ვიცოცხლო
ქარიშხლის ხმაზე,
როგორც მოხდება... ეგ სუყველა
ერთია ჩემთვის!

[1914 წლის ივნისამდე]

დარიალისა ვიწრო კლდეებში

დარიალისა ვიწრო კლდეებში
თერგი მრისხანე, მახსოვს, ცრემლს ღვრიდა.
მეც უნუგეში და ძლიერ ხმებში
ფიქრი უსაზღვრო კაეშანს მგვრიდა.
სევდიანი და შუქმონავარდე
ცის უდაბნოში სცურავდა მთვარე,
ბევრი ვიტირე, ბევრი ვიდარდე,
ბევრი მწუხარე ცრემლი დავლვარე.
ვეთხოვებოდი სამშობლო მხარეს
ღრმა ძილში შთანთქმულს, მაგრამ უზრუნველს,
შორს დავეძებდი მყუდრო სამარეს,
უცხოეთისკენ მე ვიშვერდი ხელს.
„მძულხარ, მონობავ!“ – ვამბობდი და ხმებს
ცელქი ნიავი სათუთად ჰკრებდა,
„მძულხარო“, – ასე უთვლიდა ზვირთებს,
„მძულხარო“, – თერგი იმეორებდა.
სევდიანი და შუქმონავარდე
ცის უდაბნოში სცურავდა მთვარე,
ბევრი ვიტირე, ბევრი ვიდარდე,
ბევრი მწუხარე ცრემლი დავლვარე!

[1911]

ძეგნა

ოჳ, სად, სადაა მისი საფლავი!
გემუდარებით, მიჩვენეთ ჩქარა...
მე ის მიყვარდა და ის კი თურმე
გაცივებულ ლოდს ამოეფარა!
შორს ვიყავ მისგან და ეხლა მასზე
მოგონებები ჩემთვის არ კმარა,
გამოვეშურე უცხო ქვეყნიდან,
რომ მომესმინა ან ჰო, ან არა!
ნუთუ სამუდმოდ საფლავს მიეცა,
ნუთუ დალლილა და თვალს არ ალებს?
ჩავძახებ მას ხმას სიყვარულისას
და ნუთუ პასუხს არ ამომძახებს?

ია თან მიმაქვს, ვარდიც თან მიმაქვს,
თან მიმაქვს ჩემი სპეტაკი გული,
ნუთუ ვერ ვპოვო ქვეყნად ვერასდროს
მიწადეცეული და დაკარგული?
ნუთუ ზვირთებმა მთლად დაამსხვრიოს
უილაჯო და ობოლი ნავი?
მანამდე მასთან მინდა ვიტირო,
ოჳ, სად... სადაა მისი საფლავი!

[1914 წლის ივნისამდე]

ქარიშხლის შემდეგ

სად კაეშანი ისევე მეფობს,
სადაც კვლავ დარჩა ძველი იარა,
იქ ქარიშხალმა გადაიარა,
იქ ქარიშხალი მწარედ გმინავდა;

ჰკუნესდა, ჰკიოდა და დაფრინავდა
კიდითი კიდე – ვით ბელზებელი.
რა დარჩა შემდეგ? ისევე ძველი
უკურნებელი და მწვავე წყლული.

და მწარე ფიქრით გარემოცული
მივჩერებივარ ცისა დასავალს,
ვისმენ მიდამოს თავგადასავალს
სიჩუმეში მყოფს, სიჩუმით ნათქვამს.

ყოველ ობოლ წუთს, ყოველ ობოლ წამს
ტყეს მიმკვდარებულს და თმაგანენილს,
რტოებს, ქარიშხლით ასე დალენილს,
განმარტოებულს ვავედრებ საფლავს.

სულს ის მიშფოთებს და გულსაც ის ჰკლავს,
რომ ამ დუმილში ყოფნა ვერ იღხენს
და ქარიშხალიც არ გადაიფრენს,
სანამ სიკვდილი ქვეყანას ჰფარავს.

[1914 წლის ივნისამდე]

მორი გაზაფხული

დაე, ვცდებოდე, მატყვილებდეს ოცნება ჩემი...
აუსრულებელ იმ ოცნებებს კვლავ მივეცემი.

ჩემს შორ გაზაფხულს უდარაჯებს სიცოცხლის ვნება,
იმ შორ გაზაფხულს, ჩემთვისაც რომ გამობრწყინდება.

სინამდვილეში ოცნებისას ავანთებ კანდელს,
იმ შორ გაზაფხულს ფეხქვეშ ვუგებ ყოფნას დღევანდელს.

[1914 წლის ივნისამდე]

შორი ალერსი

გადამავიწყდა ჩემგან თქმული სიმღერა ძველად
და ახალ ჰანგებს ვეძიებდი ფიქრთ გასართველად.

მაგრამ სიმღერა იგი ძველი თან აქვნდა სოფელს,
ის არ ჰყარგავდა ჩემს მწარე ცრემლს, ცრემლს შეუშრობელს.

არის სხვა ცრემლი, ყოველ ცრემლზე უსიამესი,
როცა ვერ გწვდება საუკუნეთ შორი ალერსი...

როს სული სცოცხლობს, სხეული კი სამარეში სდუმს,
უამი გეძახის ხელოვნების სევდიან ქურუმს.

ის წრფელი ცრემლი კვლავ აადგენს ხელოვნებას ძველს,
კვლავ გააცოცხლებს მიწით გმობილ წინასწარმეტყველს.

[1914 წლის ივნისამდე]

შორი სიახლოვე

სადღაც მინახავს ქალის სახე წრფელ-მოკამკამე
და ის აჩრდილი არ მშორდება არც დღე, არც ღამე.

ალერსის სიტყვებს ჩამჩურჩულებს ახლო მდგომელი,
მაგრამ მარადის დაფარული, მიუწდომელი.

ოჰ, დიდხანს... დიდხანს ვძებნე იგი და ვერსად ვპოვე!
ვიცი, შორს არის, მაშ, რად მტანჯავს ეგ სიახლოვე?

[1914 წლის ივნისამდე]

მუხა

მუხა პირველი იგრძნობს ალიონს
და პირველ სალამს განთიადისას,
ამაყად გასცქერს მთას კავკასიონს,
მეფურ დუმილით დაჰყურებს მიწას.

მუხა პირველი მეხს ეგებება
შეუშფოთებელ და მძლავრ რტოებით,
შეუშფოთებლად და მძლავრად ჰკვდება
ველზე მდგომარე განმარტოებით.

ყანებში სადღაც ატირდა ლალლა...
ძირს, ძირს ეშვება მოხუცი მუხა,
ნაკადს დაეცა, ნაკადმაც ტალლა
აამლელვარა, ააჩუხჩუხა.

წაილებს ხსოვნას უამი პირქუში,
გასცდება დღეებს, განაპირდება;
მარტოდენ ჭოტი მუხის ძველ ლრუში
დაისადგურებს და ატირდება!

[1912]

ASTRE

ცად აზიდულა, ვით მარმარილო,
მყინვარის თეთრად ნაკვეთი თავი,
სცურავს მთოვარე, სცურავს მუქ ცაზე,
ვით ოკეანეს სივრცეზე ნავი.
დარიალისა ვიწრო კლდეებში
ბნელ ღამეს ითევს ბურუსი შავი
და ისმენს თერგი, თუ ცაზე როგორ
ესაუბრება ვარსკვლავს ვარსკვლავი.
მყუდრო ღამეში მოხეტიალე
ბედუინს სიზმრად უნახავს მხარე,
სადაც მუდმივი, დაუჭკნობელი
სილამაზეა და სინარნარე,
სადაც ქვეყნიდან ზეცის საზღვარზე
სწყდება კაცთ ოხვრა გულმოსაკლავი,
სადაც იდუმალ-მარადიულზე
ესაუბრება ვარსკვლავს ვარსკვლავი.

[1914 წლის ივნისამდე]

ՅԱՐԺՈՍ ՅՐԵՎԱՆԻ

ալծագ մցոսանմա ჩագօ ժշել նիշնի
գայցութեղծունո վարդուս գոտելու,
յալնունու եղամա մուշճլզնա օգո
դուցեա նանո, դուցեա նրոյելո.
դա ամ սահնակարս ուս ոնախազդա
գանոնցպետելուս պրեմլեծուս պրյազեպուտ,
սանամ մեռոր զոնմե մցոսանո
ար Շեմովուդա մաստան Շեմտեզեպուտ.
դայնուս ցուրցզունուտ Շուծլշեմյոնծուլու,
„ուզո, լումուլուտ երկուուդա პորզելս, –
մյ ամ ցուրցզունուտ եալքմա Շեմամյո,
ար Ֆըացս Շենս լմերտաս դա Շեմոմնուրզելս!“
Պորզել մցոսաննի Շուրմա ոչյետյա,
դասնցա ցուլուստյմամ, մագրամ Շեհերճա
դա սպասուեա: „եալքս մյելմուրուրէուլս
ունուուս մյուգամ, զոնց Շենյեր մլերճա,
մուստցուս կո, զոնց Տոպմանցուլուգան
ցաւպուցեա եալքս դա ցանապուրճեծա,
զարդուս ուռուռուլուց սայմարուսուա,
դայնուս ցուրցզունու մաս ար Տիորդյեծա!“

[1914 նլուս ունուսամճը]

* * *

არ მინდა სიტყვა, არ მინდა სიტყვა!
როდესაც სიტყვა დაიბადება,
სამართლის ალი – როგორც ბურუსი,
ისე ირლვევა და იფანტება.
მხოლოდ თვალებით, მაგ განუსაზღვრელ
სევდის მორევში მცურავ თვალებით
მითხარი რამე, თორემ სულს დავლევ
გამოურკვეველ ქენჯნა-წვალებით.
მე სული არ მაქვს ამქვეყნიური,
შენზე ოცნებით დაიწვა იგი,
განშორდა სოფელს და თუ კვლავ სცოცხლობს,
სცოცხლობს ისე, ვით ტრფობის ტარიგი.
და ზექვეყნიურ სიყვარულით მწვავს
გამოუთქმელი და მწარე ალი,
სადაა სიტყვა, რომ ამოაშროს
გულში ნაგრძნობი და ნაფიქრალი?

[1914 წლის ივნისამდე]

ვარსკვლავიანი კამარა ბრწყინვას!

ვარსკვლავი იწვის, ვარსკვლავი ბრწყინვს,
ვარსკვლავიანი კამარა ელავს.
მოდის, მოსცურავს შვალამის ბინდი
და ჩრდილი ჩრდილზე მიდის, მიღელავს.
რძისფერ სინათლით გარს შემოხვეულს
ბავშური ძილით ქვეყანას სძინავს.
ვარსკვლავიანი კამარა ელავს,
ვარსკვლავიანი კამარა ბრწყინვას.
მომხიბვლელ ჯადოს მყუდროებისას
ქვეშ მოჰყოლია მაღალი მთები
და მუდმივ თოვლით გადაფარულნი
სხედან ამაყად, როგორც მდევები.
და ყინულისგან ქანდაკებული
მათი გვირგვინი ბრწყინვას და ბრწყინვას,
სიჩუმეს არღვევს მხოლოდ ნიავი,
ტყისა ფოთლებში როცა დაპლინიავს
და მისი სუნთქვა – ვით დედის ნანა
მძინარე სოფელს თავზე ევლება,
ალერსიანი ნიავი დაპერის,
ალერსიანი ნიავი ჰკვდება.
ვდგევარ მთის წვერზე განმარტოებით,
გულშივ ვიკავებ მომსკდარ სიმღერას.
ვარსკვლავიანი კამარა ჯაჭვავს
სმენას, სიმღერას და თვალთა ცქერას.
და შიში, რომ ხმა ადამიანის
დაარღვევს ციურ იდუმალებას,
მაქვავებს თავის ფარული გრძნებით,
მხოლოდ მე ძლივს ვგრძნობ ამ წარმტაც გრძნებას.
ჩემს ქვევით ღვარად სცურავს ნათელი,
ჩემს ზევით ცეცხლი ზეცას ედება,
ვარსკვლავიანი კამარა ბრწყინვას,
ვარსკვლავიანი კამარა დნება.

[1914 წლის ივნისამდე]

ტყის პირად

ტყის პირად თვალის მოსატყვილებლად
მივწევი და ძილს მივეცი თავი,
ჭადრების ჩრდილი მეხვია საბნად
და ნანის მთქმელად – მხოლოდ ნიავი.
მძინარეს თავზე დამტრიალებდა
ტყისა ფოთლები და ყვავილები
და ძილში ოდნავ ჩამომესმოდა
უცხოდ მომღერალ ფრინველთა ხმები.

მესიზმრა ამ დროს, რომ მოვიპოვე
სიმდიდრე, ვერცხლი, ქება-დიდება
და ყველაფერი, რაც ქვეყანაზე
ფულით იმხობა და იყიდება;
სამაგიეროდ მთელ ქვეყანაზე
მოსიყვარულე ვერ ვპოვე გული.
გამომეღვიძა. სალამოს ნისლით
იჩადრებოდა ტყე დაბურული.

თვალი მოვავლე და დავინახე
ჩემი სიმდიდრე: გზა, მინდორ-ველი.
ვთქვი – ვისთვის მინდა ქება-დიდება
ან სხვა სიმდიდრე დაულეველი?
დღეს ტყეა ჩემი თავშესაფერი,
ხვალ – უდაბნოელ დარაჯის კერა,
ზეგ – გაშლილ ცისქვეშ გავათევ ღამეს
და მუდამ მიძმობს ჩემი სიმღერა.

[1914 წლის ივნისამდე]

რა მშვენიერი იყო ნამი...

...რა მშვენიერი იყო ნამი ყვავილის გულზე...
მზე სხივს აფრქვევდა, ათასფერად ღვივოდა ნამი,
შიგ იხატვოდა, როგორც ამაყ ზღვათა უბსკრულზე,
ზეცის შვენება, ზეცის სხივი, ზეცის კამკამი.

...რა მშვენიერი იყო ნამი ყვავილის გულზე.
ცა ვარსკვლავებით მოჭედილი ზე დასცქეროდა,
თითქო ცის შვილის ყოფნას ვარდზე და სიყვარულზე
განცვიფრებოდა... თვალს ლულავდა... არა სჯეროდა.

დღეს აღარ არის! წაჰყვა მზის შუქს აფერადებულს,
დალია სული სიყმანვილის ნაზ გაზაფხულზე,
მაგრამ მგოსანი კვლავ იგონებს მის ნეტარ წარსულს;
...რა მშვენიერი იყო ნამი ყვავილის გულზე!

[1910]

ყვავილები

ყვავილებისას გვირგვინებს ვწნავდი,
სატრაფოს საფლავზე დადება მსურდა...
უცებ ნიავმა წამომიქროლა...
რისთვის წამართვა, რისთვის შეშურდა?

მინდვრად ყვავილთა კონა შევკარი,
ჩემთვის გვირგვინის შეკონვა მსურდა,
ოცნება იყო... და სინამდვილემ
ესეც წამართვა, ესეც შეშურდა.

კუბოს ფიცრები ყვავილით მოვრთე,
გულში კაეშანთ გუნდი აცურდა...
სიკვდილს ვეძებდი... ის არსით სჩანდა...
ყვავილიც ჩემთვის მას შურდა... შურდა.

ბუნებავ, ტრაფობის წმინდა ყვავილი
რომ დამაბარე – ვერსად ვერ ვპოვე,
ბედნიერება ჩემთვის არ არის,
ბედკრული შვილი გამომიგლოვე.

[1910]

სიმღერა

ოდესლაც, სადლაც მარტოობაში
გულით ამომსკდა სიმღერა წყნარი.
ჩემი სიმღერა ქვითინი იყო,
სულით ობლობას კვნესოდა ქნარი.

ხანი გავიდა, გადამავიწყდა
სიმღერა სადლაც, ოდესმე თქმული,
სანამ არ ვპოვე მეგობრის გულში
ღრმად ჩაქსოვილი და შენახული.

ერთხელ, როდესაც გზად მივდიოდი,
მე მოვისმინე ჩემივ ნალველი –
ბავშურ ოცნებით გატაცებული,
ყმაწვილურ ვნების გამომსახველი.

და ვერ ვივიწყებ ქალწულის სახეს
სადლაც, ოდესმე ფიქრში ზმანებულს,
შემდეგ ახდენილს სინამდვილეში,
მაგრამ საკმაოდ დაგვიანებულს.

[1914 წლის ივნისამდე]

მცუსარება

შავად გაშლილის ღამის იჭვით შემოხვეული
გამძვინვარებულ ქარიშხლისას ვისმენდი კვნესას,
გულში არ ვგრძნობდი მე დაფარულს და ტკბილ ოცნებებს,
არცა ღიმილით გავცქეროდი სევდიან ზეცას,
არც მოგონებებს ქარიშხლიან სიყმაწვილისას,
არც უსაფუძვლო და უმიზნო სიცოცხლის ნაყოფს,
არც მომავალის ვაი-ვაგლახს არ ვიგონებდი –
მაინც არ ჰქონდა მოსვენება ჩემს სულს ავადმყოფს.

შხამი – ოდესმე მეგობრების ხელით მოწვდილი,
წყლული, ცხოვრების სისასტიკით ერთხელ ჩნეული,
შეუმჩნეველად მინამლავდა უკეთეს წამებს,
რადგან სიხარულს არ იყავი, სულო, ჩვეული.
ტყვიისფერ ღრუბლებს, ცას და მინას შუა დაკიდულთ,
მძიმე ცრემლები ჩაბნელებულ თვალთვან ცვიცოდა.
აღარა ჰქონდა მოსვენება ჩემს სულს ავადმყოფს
და ჩემს გულშიაც შვების ცეცხლი აღარ ღვიცოდა.

გაივლის უამი და, ვინ იცის, იქნებ ზეცაზე
მწუხრის დემონმა ვერ დასტოვოს ის ძველი კვალი,
მაგრამ, ეჰ, სულო, ერთფეროვან ბრწყინვალებაში,
თუნდაც ედემში რა იქნება შენთვის ახალი?
რაც ოცნებებში განგიცდია მთელი არსებით,
სინამდვილეში მას ექნება რამე ფასი?
კმარა! ვერ ჰპოებ მოსვენებას, ჩემო ბედურულო,
დასცალე ბარემ... სულ დასცალე წამების თასი.

[1914 წლის ივნისამდე]

სინათლი

ეჰ, წულარ ელი ჩემგან ისევ ლოცვა-ვედრებას,
მე აღარა მაქვს საიმისოდ ძალა და ღონე.
მხოლოდ იმიტომ გაგიხსენე და მოგიგონე,
რომ შენში ვმარხავ მთელ არყოფილ ბედნიერებას.

წურც ცრემლებს ელი... მე მრცხვენია ეხლა ცრემლების,
რომელთაც თვალი აქ ოდესმე ღვრიდა და ღვრიდა.
გრწამდეს – საქმაოდ გამიცივდა საბრალო გული,
აღტაცების და სინრფელის დრო გაპქრა, წავიდა.

მრცხვენია, როცა მოვიგონებ ჩემს გატაცებას
და ამ დროს ვნატრობ, მოგონება გულში არ თრთოდეს.
მაგრამ რა ვუყოთ... რას ჩაიდენს აქ კაცი ისეთს,
რომ შემდეგ მაინც გულსაკლავად არ დასცინოდეს.

[1914 წლის ივნისამდე]

სანამ შორს იყავ...

მე შენით ვქმნიდი განთიადის, ძლევის სიმღერას,
შენით ვხატავდი ელვარებას უსაზღვრო ცისას,
ურნყულ გულისთვის შენში ვჭვრეტდი დაობლებული
სრულ ჰარმონიას ჭკუისას და სილამაზისას.

სანამ შორს იყავ... და როდესაც ახლო შეგხედე,
სულ არ აღმოჩნდა შენში იგი მიმზიდველობა.
აგრე გამიქრა მე ოცნება უკანასკნელი,
აგრე დავმარხე სინამდვილით მოკლული გრძნობა.

მე ეგ ვიცოდი... მე წინადვე ვიცოდი ეგა
და მაინც მსურდა იმ ოცნების სახესთან დგომა,
ამაოდ შექმნილ ციურ სულთან – მხურვალე ლოცვა
და აქ, ამ ქვეყნად შექმნილ კერპთან – მწარე შეცდომა.

[1914 წლის ივნისამდე]

ქარი

მე ვწერდი... ამ დროს სევდიანი
შვალამის ჩრდილი
ვარსკვლავთა გუნდში ხან იქ, ხან აქ
დასრიალობდა.
ქარი ხან სტვენდა, ხან სტიროდა
გულამისაკვნილი,
ხან გამოუთქმელ სივაგლახით
ჰკვნესდა... წვალობდა.
გული უსმენდა მას, ამ ქვითინს
გამოურკვეველს
და ოცნებობდა აუხდენელ
ფიქრ-მოგონებით,
ქარი კი ისევ ედებოდა
ქვითინით ტყე-ველს
და მჭკნარ ყვავილებს იტაცებდა
მოსხლეტილ ფრთებით;
თითქო იცოდა – ცარიელი
იყო ქვეყანა,
მისთვის არ იყო ამ სივრცეზე
თავშესაფარი,
მხოლოდ მე ვიყავ იმის მსგავსი
და იმისთან
და მოწყენილ ხმებს მიტომ კვნესდა
სარკმელთან ქარი.
დასცხრი, გრიგალო! ყველაფერი
როდი დავკარგეთ,
რა ვუყოთ, გულში თუ სიამის
ჩურჩული მისწყდა?
რად დაგავიწყდა წყნარი ლოცვა
ქალწულის ბაგეთ
და მოგონება დღეთა წარსულთ
რად დაგავიწყდა?

[1914 წლის ივნისამდე]

როგორც აჩრდილნი – დაღალულნი დავდივართ ქვეყნად
და არემარე, თვით ცის სივრცე მოსილა ბნელით.
ცისა დასავალს გავცქერიგართ... უკანასკნელად
დღე იქ გაგვიქრა და ახალ დღეს კი აღარ ველით...
ვის შეუძლია ბედნიერად რომ იგრძნოს თავი,
ან ჰეროვან ბეპლების გუნდს ვინ შეაჩერებს?
წუთი, რომელსაც სიხარულის ნაყოფი ჰქვია,
თავიანთ ფრთებქვეშ ბედნიერად ვის დაბერებს?
ახალგაზდაა მეტისმეტად კაცთა იმედი
და მოხუცია საიმისოდ ეგ ჩვენი გული.
ოჳ, იყვეს აგრე... ბედი სწერდა ალბათ ამ სტრიქონს,
ბედი უმიზნო ჩვენი ყოფილით განდიდებული.
და თუ წამება გაჩენილა კაცთ ჯოჯოხეთად,
მე მსურს ეს ხვედრი სევდიანი თან წავიყოლო;
ვიცი – ბოლო აქვს ქვეყანაზე ყოველგვარ სახეს,
მაგრამ წამებას, ჩემს წამებას კი არ აქვს ბოლო;
მე ვეძებ მასში თავისებურ ბედნიერებას,
იგი სავსეა ძლიერებით, ვით ცეცხლის ქურა...
რომ კვლავ შეეძლოს განმიახლოს ძლევის სიმღერა,
რაც სინამდვილემ წამართვა და გამინადგურა.

[1914 წლის ივნისამდე]

უკანასკნელ დღეს

სად არ ვძებნიდი უკანასკნელ დღეს,
დღეს სიცოცხლესთან დათხოვებისას...
მაგრამ ბინდ-ბუნდი ზეცას ფარავდა
და შავი ნისლი ბურავდა მიწას...

არსით არ სჩანდა ჩემი სიკვდილი,
მწუხარე იყო თვით ჩემი სული
და მას სწყუროდა თავდავიწყება
და არსად იყო ის დასასრული.

დღეს კი, როს შავი სახე სიკვდილის
შავბნელ უფსკრულში მიცდის და მიცდის,
მინდა ვიმღერო გამარჯვებისა,
მაგრამ მომწყინდა – არ ვიცი რისთვის.

რაც მოხდა, იგი ნისლს ეფარება,
ხსოვნა იდუმალ საზღვრებს შორდება,
არ განახლდება შავი დღის ძებნა
და სიცოცხლეც არ განმეორდება.

[1914 წლის ივნისამდე]

მდინარის პირზე

ზვირთები რბიან: მკაფიოდ ისმის
მათი დუდუნი მშვიდი და წყნარი,
ასე ისწრაფვის ჩვენი ცხოვრების
უმჩნევი წამი სხვადასხვაგვარი;
ზვირთები სივრცეს უერთდებიან,
ზღვის ნაპრალებში გააქვთ თარეში,
ასე ინთემება ჩვენი ცხოვრება
საუკუნეთა სიმბუხარეში.
ვაი მას, ვისაც არ ასვენებდა
ქვეყნიურ ვნებათ და ფიქრთა გროვა,
ვისაც აქ სურდა ბედნიერება,
მაგრამ ნუგეში ვერსად იპოვა.
საუკუნეთა შორი გრეხილი
ზრახვათა იმათ გადაავიწყებს,
გადაავიწყებს, რომ ნირვანაში
სამაგიერო არარა მისცეს!

[1914 წლის ივნისამდე]

ორი პეპელა

პირველი

აცივდა, ნისლით შემოიბურა
 ცად ატყორცნილი მთების კალთები,
 ცრემლით აივსო სიცოცხლის სურა...
 ზაფხული ჰქრება; აპა, მეც ვკვდები!
 ალარ დარჩება ჩემი ნასახი,
 ისევე წავალ, როგორც მოვფრინდი...
 ოჰ, რა კარგია ისევ სიცოცხლე,
 ტყე, მინდორ-ველი, საღამოს ბინდი.
 და ნუთუ მართლა უკვალოდ ვქრები?
 მახსოვს, შავი ზღვის პირად ვინმე ყრმა
 მივიდა, წყალში ქვა გადისროლა
 და მე მომესმა მისი სუსტი ხმა:
 „ოჰ, ასე ჰქრება ყოველი არსი,
 ვითარცა ეს ქვა, ვით ეს პეპელა,
 სწრაფ-უმიზნოა მათი სიკვდილი!“ –
 სთქვა და უკანვე გაბრუნდა ნელა.

მეორე

მახსოვს, მეც მახსოვს... როცა ყრმამ წყალში
 მწუხარე სიტყვით ქვა გაისროლა –
 უკვალოდ როდი გაჰქრა იგი ქვა...
 ზღვა შეკრთა, წყალმა დაიწყო თრთოლა,
 რგოლი რგოლს მიჰყავს წყნარი ლივლივით,
 დაჲყვა ზღვის სივრცეს დაუსრულებელს,
 ნაპირს მიასკდა და გამობრუნდა,
 ისევ დაადგა გზას უსაზღვროს, ვრცელს,
 ეხლა არა სჩანს...

პირველი

ნუთუ სულ გაჰქრა?

მეორე

არა! ფერიამ მიამშო, რომა
წავა ზაფხული, არემიდამოს
შეაცვლევინებს ფერს შემოდგომა,
შემდეგ ზამთარის მთრთოლვარე ხელით
შეიფერება სული და გრძნობა,
წელიწადები წელიწადს შესცვლის,
შთამომავლობას – შთამომავლობა, –
მხოლოდ ის ღელვა, ან უჩინარი
მუდამ იცოცხლებს და არ მოკვდება,
რადგან არ არის ხელის შემშლელი
მისთვის საზღვარი და დაბრკოლება!

პირველი

მაშ, ჩემი ყოფნაც ვარდ-ყვავილებზე
სულ არ ყოფილა ისე ამაო...
გვდები, მშვიდობით!

მეორე

მშვიდობით, დაო!

მოჰკვდა! ყვავილზე დაეცა მკვდარი,
ობოლი ნამი მინას დავარდა,
აჲა, მახლობლად გაჩნდა ფუტკარი
და ყვავილს ფრთხილად გაუნავარდა,
იმის გულიდან აჲკრიფა მტვერი,
ნამი კი ალბობს და ალბობს მინას,
ვინ იცის, იქნებ ზღაპარს უამბობს
კვალგადაუშლელ საუკუნისას.
წელიწადები წელიწადს შესცვლის
შთამომავლობას – შთამომავლობა...
ეჲ, მაგრამ სხვაა მაინც სიცოცხლე,
ვნებებს ხომ მარხავს მისი გაქრობა.

[1914 წლის ივნისამდე]

მომაკვდავი

ნათესავები და მეგობრები
ჩემს სარეცელთან მოდის, გროვდება,
ყველა გრძნობს, თუ რა მწარე ლიმილით
სიკვდილის ჩრდილი მიახლოვდება.
მომიახლოვდი შენც, ჩემო კარგო,
ხელი შემახე ციური გრძნობით,
მსურს მხოლოდ ერთი რამ სიტყვა გითხრა,
უკანასკნელად გითხრა: მშვიდობით!
მე შენ სიყვარულს დიდი ხანია
მფარველ გენიად დავატარებდი,
არვის ვუმხელდი ჩემს საიდუმლოს,
უვნებ ნიავსაც არ ვაკარებდი.
მე არ ვიცოდი, შენსა გარეშე
რა იყო ღმერთი, რა იყო ზეცა,
მე ვლოცულობდი და შენზე ლოცვამ
ჟინი, სურვილი გამიორკეცა.
და ასე მიმაქვს ცივს სამარეში
ეს ჩემი გრძნობა გამოუთქმელი...
მომიახლოვდი, ჩემო ნუგეშო,
უკანასკნელად მომეცი ხელი.
უკანასკნელად მესმოდეს შენი
ზექვეყნიური, უკვდავი ხმები,
რომ თავზე მადგე განსვენების ჟამს
ვით ანგელოზი სულის მიმღები.
არ მჯერა, სული რომ გაიფანტოს
შენზე ლოცვაში აღმონაცენი,
ის თვით სიკვდილის შემდეგაც მაინც
სამარადისოდ შენია, შენი!

[1914 წლის ივნისამდე]

მოგონება

ტყის ფართო გზაზე, მახსოვს, ეტლი მიგვაქროლებდა,
შენს სუნთქვას ვგრძნობდი ბედნიერი შენსა მახლობლად.
მე გიამბობდი ჩემს მრავალგვარ თავგადასავალს,
სიყმანვილეზე გიამბობდი შთენილი ობლად.
საღამო იყო... მზე დასავლით ესვენებიდა,
ტყეს ედებოდა გამჭვირვალე და ლურჯი ბინდი,
ამ დროს ვიგრძენ, რომ შენ სრულიად ყურს არ მიგდებდი,
ეტლის სიღრმეში გადავემხვე და ავქვითინდი.
წამოვიწიე და მათრახი გადავკარ ცხენებს,
ელვის სისწრაფით გზას გაეკრა ბუქ-ბუქად მტვერი.
როგორ უგონოდ მივაფრენდი გზაზე ჩემს სევდას,
როგორ უგონოდ ტრიალებდა გარს ყველაფერი.
ტყე გზას გვიცლიდა და ბინდ-ბუნდში თვალს ვერ ვასწრებ-
დით,
ხეების გუნდი იქ, ეტლს უკან როგორ რჩებოდა,
ისე მწყუროდა ამ დროს ლტოლვა განუსაზღვრელი,
ისე მომნატრდა, რომ გზას ბოლო არ ჰქონებოდა.
და ერთადერთი ცის ლრუბელი ვრცელ უდაბნოში
მოხეტიალე, უთვისტომო, მიუსაფარი
თან მიგვყვებოდა განუყრელად, განუშორებლად,
მსუბუქი, როგორც განვლილ დღეთა შორი სიზმარი.
მეჩვენებოდა — თითქო ტყეში ვიღაც კვნესოდა
და მე ეგ კვნესა უსასოო გულში მწვდებოდა,
ცრემლი მდიოდა, რადგან ჩემი უკანასკნელი,
ჩემი მწუხარე სიყვარული მაგონდებოდა.

[1914 წლის ივნისამდე]

დემონი

გაშლილ წალკოტში ნორჩ ყვავილის
მოწყვეტა მსურდა,
მაგრამ სერაფიმს ბედკრულისთვის
ესეც შეშურდა!
ყვავილს სინაზით კალთა თვისი
მან დააფარა
და უშფოთველი, გულწრფელობის
ცრემლი დაჰლვარა.
მწარე ღიმილით, გესლიანი,
მე მას განვშორდი
და შავს ქვესკნელში განწირულად
დავქროდი, ვძრწოდი!

ოჳ, ვის, ვის ესმის ჩემი კვნესა
და ტანჯვა სულის,
საუკუნეთა მსვლელობაში
გაცივებულის?
ადამიანო! ყოფნა შენი
კუბოდ იცვლება,
მე კი, უბედურს, თვით სიკვდილიც
არ მელირსება!
უსიყვარულოდ, უმნიშვნელოდ
მიჰქრიან დღენი,
ოჳ, ვის, ვის ძალუძს განიცადოს
ტანჯვა ესდენი?

[1910]

თამი შემოქმედებისა

მოხდება ხოლმე, ცა მიზიდავს
განუსაზღვრელი,
ვარსკვლავთა შორის, სხივთა ტბაში
არა მყავს ტოლი.
ვპრძნანებ – ტყის შქერში გაჩუმდება
ნიავი ნელი,
ვიტყვი და თრთოლვად გადიქცევა
ვერხვის ფოთოლი.
მზე ჩემთვის ბრნწყინავს და მეფე ვარ
ყოვლისმოქმედი,
არე-მიდამო ნეტარების
ცრემლით ივლება,
ჩემს ხელში არის მაშინ ჩემი
მძვინვარე ბედი,
ქვეყნად ყოველი არსის სული
მემორჩილება.
ეს მაშინ არის, როცა აზრი
მიჰქრის შორს, შორს, შორს!
და ლტოლვა გულში დაგუბული
ეძლევა შვებას,
ირგვლივ ვერ ვხედავ ჩემს თანაბარს
და ვისმეს ჩემს სწორს,
რომ ამგვარადვე ეძლეოდეს
ტკბილ-ნეტარებას...
ვხედავ, მიფრინავს იქ, სადლაცა,
ნისლი უსახო,
ვგრძნობ, რომ მის ტალღას, ერთხელ ჩემს მძლევს,
გააპობს მკერდი
და მზადა ვარ, რომ ველური ხმით
ყველას შევსძახო: –
„დამიმორჩილდით... ყველაფერს ვქმნი...
ღმერთი ვარ, ღმერთი!“

[1912]

ცუთი

ჟამთა ცეცხლით განწმენდილი, ფრთასუბუქი, ფრთასათუთი
მოელვარე ცის კიდურში გამიტაცებს ხოლმე წუთი.
მავიწყდება ამ დროს ღმერთი, წუთს ვუმონებ გულის ძერას,
რაღვან ღმერთი ჩემშივეა და მევე ვქმნი ბედისწერას.
წუთი მაძლევს აღმაფრენას, მაგრამ წუთი თუ გამნირავს –
დამიმონებს, გულს გაგმირავს, ძირს ჩამითრევს და დამძირავს.
მიწიდანაც ტყვეყოფილი თვალს ვადევნებ ვარსკვლავთ რბენას
და მაშინაც წუთში ვეძებ საოცნებო აღმაფრენას.
და როდესაც მე ბედს ველი გრიგალივით მოგუგუნეს –
ლოდინშიაც წუთს მივყვები და მივყვები საუკუნეს!

[1913]

3503ლი სიყვარულს!

ოჱ, ჩემს ვნებისგან დაცლილ სიცოცხლეს
რომ მოვლენოდი ათი წლის წინად,
ის მხოლოდ შენ ერთს, შენ დაგსახავდა
ოცნების მეფედ, მზიურ გვირგვინად!
მაშინ ალერსი ისე მწყუროდა,
ისე ველოდი ტკბილ თანაგრძნობას,
ისე ვათევდი უძილო ღამეს...
ეხლა კი ვწყევლი, ვწყევლი მე ტრფობას.
მან ამოაშრო გულის სილრმიდან
აუხდენელი ოცნება ნაზი
და მთელ სიცოცხლეს სულით ობლობის
წითელ ზოლივით დაავლო ხაზი.
ეხლა რაღა ვარ? იმგვარი ტრფობა
არ შეუძლია არც სულს და არც გულს...
დაგაგვიანდა... ეხლა მე ვწყევლი
და ვწყევლი, ვწყევლი, ვწყევლი სიყვარულს!

[1913]

სად?

საით მივყევარ ჩემს მოწყენილ გზას,
სად ვპოებ შვებას მიუსაფარი?
რას მომცემს ისეთს მე საქართველო
და ან რას მისცემს მას ჩემი ქნარი?
არ ვიცი! მაგრამ უმიზნო დღეებს
ვითვლი და ვითვლი ყმაწვილურ ჟინით,
ყოველ დღეს გულის ტკივილით ვხვდები
და ვეთხოვები მწარე ქვითინით.

მარტოდმარტო ვარ... ვისაც ოცნება
ედემის ციურ ხატებათ სთვლიდა,
ვისაც სიყრმითვე მე თაყვანს ვსცემდი,
ყველა მომცილდა, ყველა წავიდა.
აუხდენელ ფიქრს ვინ არ იგონებს,
ძველ ოცნებებზე რომელი არ სწუხს?
ვწუხვარ, ვეძახი ჩემს სიყმაწვილეს,
მაგრამ არავინ იძლევა პასუხს!

საით მივყევარ ჩემს მოწყენილ გზას,
სად ვპოებ შვებას მიუსაფარი?
რას მომცემს ისეთს ჩემი სამშობლო
და ან რას მისცემს მას ჩემი ქნარი?
არ ვიცი... მაგრამ უმიზნობაში
ფიქრს ვერ ვაკავებ ცრემლად მონაქუხს...
ვწუხვარ... ვეძახი სიცოცხლის მიზანს,
მაგრამ არავინ იძლევა პასუხს...

[1913]

* * *

მალე ფერგადაშლილი
ამწვანდება ტყე-ველი,
გაიშლება ყვავილი,
სურნელების მფრქვეველი;
გაცოცხლდება დაფნარი,
მთის მწვერვალი, ტყის პირი
და დაივლის ნარნარი
გაზაფხულის ზეფირი.

წყნარი სევდა მეწვევა,
წამიღებს სიმთა ჟღერა;
ნისლით გამოერკვევა
ჩემი გულის სიმღერა.
ქვებს, ბალახებს დაატკბობს
ჰანგი თავისებური,
მკაცრი, მაგრამ ლამაზი,
ნაზი, მაგრამ ველური.

როდი მიყვარს გულისთქმა,
თუ ნაღველს არ ერევა,
ათას ხმაში ჩემი ხმა
ამ ხმამ განაცალკევა.
როდი მიყვარს გულისთქმა,
თუ გულმავე არ ჰპოვა,
ათას ხმაში ჩემი ხმა
ამ ხმამ განამარტოვა...

[1913]

შორეულს

ხალხი ირევა, ხალხი ფუსფუსებს...
დალონებული მივდივარ ბრბოში...
ლრუბელთა შორის ისე წევს მთვარე,
როგორც ცხედარი ვერცხლის კუბოში
და კაცთა ქუხილს ეხმაურება
მიბნელებული ღამის სიცილი,
ღამის სიცილი დასცურავს ქვეყნად
ათეთრებული და მოვერცხლილი.
მგონია, თითქო ბრბოდან გამოვა
ლამაზი ქალი, ცისფერთვალება,
მე დამიძახებს და მომაბრუნებს,
რომ ვუთხრა სულის ქენჯნა-წვალება;
მწარე სიტყვებით ვუმდერებ მე მას
საუკუნეთვან შექმნილ სიმღერებს,
სხივნართ გვირგვინებს თავზე დავადგამ,
ვინც გულს მომიკლავს ან ამიძგერებს...
ვეტყვი – რომ ყველა მომბეზრდა ქვეყნად,
რომ დავიღალე მე ამ კუბოში,
რომ მას ველოდი და მუდამ ასე
დალონებული ვვიდოდი ბრბოში...

[1913]

AURORA

გაფერმურთალდა სავსე მთვარე და გაყვითლდა შუქთა ცხრილი,
ცის გუმბათი მოვერცხლილი მე ზღვის სიღრმეს შევადარე.
ვარსკვლავთ გუნდი მოელვარე თრთის, ნელდება, ვით ღიმილი,
ფერმიხდილი, მოწყენილი, ნაზი, ფრთხილი, მგლოვიარე...
ნისლში მყოფი არემარე – ნანგრევების არის ჩრდილი,
არის სივრცე და დუმილი, მარტოობა არის მწარე,
ყოველი ხე და სამარე, ხევხუვებში მოფენილი,
არის უღვთოდ მოწყენილი.

ამოვდივარ!.. ღამის ნაკვთებს მალე გაჰკვეთს ჩემი ფრთები,
ბუნებაო, შენ ნუ კრთები, კაეშანი ნუ აგანთებს,
მთის მწვერვალო, მაგ შენ კალთებს ნუ ელტვიან იმედები,
მთავ, დაბლა ნუ იხედები, ნისლი უღელს ნუ დაგადებს.
ამოვდივარ! გულისნადებს ნუ წაგართმევს ღამის ხები,
როს მომავლის მზის სხივები კანდელივით დაგქათქათებს...
მალე, მალე ველებს და მთებს ტიტანივით მოვევლები,
ვნების რკალად მოვედები მუდმივ თოვლით შემოსილ მთებს...

[1913]

მარტონი ვართ!

ოჳ, რა ტკბილად ეძინება ღამეს მდუმარს და ფერმიხდილს!
მარტონი ვართ, ჩემო კარგო, ყური უგდე ჩემს სუნთქვას ფრთხილს...
ველთა შორის გამოისმა ხმაურობა მშვიდი, წყნარი
და ყვავილებს ზედ დააკვდა მონავარდე ცელქი ქარი...
ჩუმად გეტყვი – მარტონი ვართ – მივლის ფიქრი ამაზრზენი,
მთელი გულით მე შენი ვარ... სამუდამოდ შენი, შენი...
შემიძლია დაგივიწყო? – მიპასუხე, ამიხსენი,
მთელი სულით მე შენი ვარ... სამუდამოდ შენი, შენი!

[1911]

ელეგია

წვიმის წვეთები დასცურავენ
ფანჯრის მინებზე,
ქარი ვედრებით კარებთან დგას: –
„გამიღეთ კარი!“
რა ადრე გაჰქრა გაზაფხულის
მზიანი ჩრდილი,
რა ადრე გაჰქრა ჩემი ყრმობა,
ჩემი საზმარი!
დროო წყეულო, სად წარიღე
ჩემი ფიქრები,
დროო ბოროტო, სად დამარხე
ოცნება წყნარი?
მარქვი, ოჳ, გველო, რად დაგჭირდა
რომ მოგეწამლა
ყვავილოვანი სიყმაწვილე
და ჩემი ქნარი?
დალონებული გავცერივარ
ცისა დასავალს,
სადაც იშლება მოღუშული
ლრუბელთა ჯარი...
ქვითინებს ზეცა, ქვითინებენ
ცაცხვის ხეები
და გულმოკლული ქვითინებს და
ქვითინებს ქარი...
დამათრობელი – როგორც ჩემი
მოგონებები,
წინ მიდგას ღვინო, ლალისფერი
და ძველი ღვინო...
ვსვამ განუწყვეტლათ, ვსვამ, რომ დავთვრე
მოგონებებით,

რომ მეც საზარლად ვიქვითინო
და ვიქვითინო.
ოჳ, რად მომექცა ასე უღვთოდ
მე ჩემი ბედი,
რად დამიმსხვრია სიყმაწვილის
წრფელი სიამე...
სადაა ჩემი ყვავილები,
სადაა რწმენა?
ზეცავ, სასტიკო, მიპასუხე,
მითხარი რამე!

[1914 წლის ივნისამდე]

შპნება...

ჭკნება, ყვითლდება საპრალო ბალი,
ქარი უბერავს, ფოთლები ცვივა...
გამოურკვეველ მწუხარებაში
სული მიკვნესის და გული მტკივა!
ოჳ, მტკივა გული! ყვითელ ფოთლებით
კვალ-ბილიკები მიმოიფარა,
ფოთლები სცვივა ჩემს გატაცებას
და შემოდგომის მეფობს იარა...
რა ვქნა, რა ვუყო ამ მწუხარებას,
არც დღე, არც ღამე ის არ მშორდება
და ჩამჩრებულებს: „ამაოდ ელი,
ის არასდროს არ განმეორდება.
სიყმაწვილისა ნეტარი ფიქრი
გულში ამაოდ ისევ გიღვივა...
ამაოდ ელი, ამაოდ ელი!“
ოჳ, გული კვნესის... ოჳ, გული მტკივა!

[1914 წლის ივნისამდე]

გახსოვს?

გახსოვს, თიბათვის თეთრ ლამეებში,
ოდეს ნათელი მთვარის რძისფერი
გადავლებოდა ტბებს და ხშირ ტყეებს
და გამჭვირვალე იყო ეთერი?
რიონის ზვირთი როგორ არხევდა
ცის ელვარებას, გულში ჩანაქსოვს,
როგორ ვეკვროდით ერთმანეთს ვნებით...
წარსულო დროო... მითხარ, ხომ გახსოვს?

მე აღტაცებით ვმდეროდი მაშინ
და სიყმანვილე თრთოდა ჩემს გულში,
მე ვივიწყებდი მთელ დედამინას,
შენს ნაზ ალერსში, შენს ტკბილ ჩურჩულში...
წავიდა, გაჰქრა უამი ნეტარი...
ეხლა სიყვარულს გული ალარ გთხოვს...
არ გთხოვ არაფერს... მხოლოდ მითხარი,
ყველაფერი ეს ხომ ისევ გახსოვს?

სადა ხარ ეხლა? კვლავ მარტოდმარტო
რიონის პირზე ვდგევარ მოკლული.
ნალველი სცურავს ჩემსა სახეზე
და მეკუმშება ტანჯვებით გული.
მწარე ღიმილით, უხმო ღიმილით
ვუახლოვდები, მაგრამ მშორდება
დრო – რომელსაც სულს ვერ დავავიწყებ,
დრო – რომელიც არ განმეორდება!

[1914 წლის ივნისამდე]

შემოდგომის დღე

შემოდგომის დღე, შემოდგომის დღე,
დღე ნაღვლიანი, ღონემიხდილი,
როგორ ეკვრება ცას ბნელი ჩრდილი,
როგორ ირხევა გაძარცული ტყე...
შემოდგომის დღე, შემოდგომის დღე.

ცვივა და ცვივა ხეებს ფოთოლი,
გაყვითლებული, უდროოდ მჭკნარი,
დაბერავს რისხვით, დაბერავს ქარი,
გაყვითლდა მდელო, გაყვითლდა მოლი...
სცვივა და სცვივა ხეებს ფოთოლი.

სავსე ვარ რალაც იდუმალ გრძნებით,
გამოუთქმელი მიტაცებს შვება!
რა არის იგი? ბედნიერებით
გამოწვეული უბედურება,
თუ უბედობა სიმწარე-ვნებით.

დამშვიდდი, გულო: შეგიყვარდება
ვინმე ამ ქვეყნად... დამშვიდდი, გულო,
წავა დღეები უსიხარულო,
ისევ აღდგება გამქრალი შვება,
ჩემო ოცნებავ და სიყვარულო!

წავიდა, გაპქრა... ვერ შევეკითხე,
რისთვის გამშორდა, რისთვის წავიდა...
გამიქრა სულის ოცნება წმიდა,
ილულება მზე, იძარცვება ტყე...
შემოდგომის დღე, შემოდგომის დღე!

[1914 წლის ივნისამდე]

* * *

იმ ნეტარ ღამეს, მშვიდს, იდუმალს, გამოუცნობელს,
ოდეს ცა მიწას მოუთხრობდა განვლილ სიამეს,
რა ნეტარებით გავცექეროდი მძინარე სოფელს,
რა ნეტარებით კვლავ ვიგონებ იმ ნეტარ ღამეს.
პირველი კოცნა... მთვარის შუქი... ხეების ჩრდილი,
მდინარის ოხვრა, ცელქი სიო, ჩურჩული წყნარი...
ოჳ, სად გაფრინდი... რად მომიკალ ყრმული ღიმილი,
იყავ კურთხეულ, ვინც წამართვი წრფელი სიზმარი.
იმ ნეტარ ღამეს, მშვიდს, იდუმალს, გამოუცნობელს
ვარსკვლავი ვარსკვლავს მოუთხრობდა განვლილ სიამეს.
რა ნეტარებით გავყურებდი მძინარე სოფელს
და როგორ ოხვრით აწ ვიგონებ იმ ნეტარ ღამეს.

[1914 წლის ივნისამდე]

სიზმარი

შუალამისას ჩემს სარეცელთან
ვიღაცა ალერს მთხოვს, მევედრება,
თვალთაგან ცრემლი სცვივა და სცვივა,
განთიადისას კი მიდის, ჰქრება.
და მწუხარე უამს მარტოობისას
სული არ მშვიდობს, გული არ სცხრება,
თვალწინ იშლება მთელი წარსული
და დაკარგული ბედნიერება.
„ვინა ხარ, ვინა, ჩემო სიზმარო,
უსიყვარულოდ ვდნები და ვკვდები“, –
სევდით გავსძახი გამქრალ ოცნებას
და მწარედ, მწარედ ავქვითინდები...
გავალებ სარკმელს, დაპბერავს ქარი,
ნაზი პეპელა შემოფრინდება,
ჟინით ეცემა ჩემს სარეცელზე
და ისიც კვდება... უმიზნოდ კვდება.

[1914 წლის ივნისამდე]

პიცდის სტუმარი

ოჳ, გევედრები, ნუ შემიშფოოთებ
ლოცვას მხურვალეს, ლოცვას პოეტურს...
შუალამეა... მოვსთქვამ და ვგოდებ...
– შენთან ყოფნა მსურს... შენთან ყოფნა მსურს...
– ბინდი ლამისა გადაიშალა,
განთიადია... მე ვიტანჯები...
სად მიგაქს სუნთქვა... სად მიგაქს ძალა?
– შენთან დავრჩები... შენთან დავრჩები!
– ნაზი, წარმტაცი და მიმზიდველი
ახალი მხარე, ახალი ბინა,
ჯადოთა მხარე შიშველ-ტიტველი
მე მარტოობამ შემამჩნევინა.
წყეულ იყავ შენ... შენს სუნთქვას ძლიერს
გრძნობამ წუთები გადაატანა,
რას შთამისახავ ახალს, ზეციერს?
– იყავ დემონი, იყავ სატანა!
– მაგრამ შენ ვინ ხარ? დიდების სახე
თუ უკვდავების ნაზი სამოსი?
სევდა ხარ ლამის თუ სივაგლახე,
თუ სიცივე ხარ სასაფლაოსი?
ოჳ, ნეტავი მეც გამაგებინა,
რას მიმზადებენ უამნი და დრონი...
ოჳ, მიპასუხე, ვინა ხარ, ვინა?..
– იყავ სატანა, იყავ დემონ!

[1914 წლის ივნისამდე]

ლაურა

სონეტი

ჟამსა სევდისას, მარტოობის ჟამსა მწუხარეს,
ოდეს არსაით თანაგრძნობის ხმა არ მომესმის,
მე კვლავ ვოცნებობ ლაურაზე, იმ ლაურაზე,
რომელმაც სხივით გააშუქა სიცოცხლე მგოსნის.
სიყმანვილიდან ვზრდიდი გულში მე იმის სახეს,
თავს ვევლებოდი ტკბილ ოცნებას, როგორც ფარგანა
და როს პეტრარკას ნაზ სონეტებს ვიზეპირებდი,
ჩემთვის ლაურა იყო შორი, უცხო ქვეყანა:

მე არ მინახავს მისი სახე ჩემს სამშობლოში
და ვერცა ვნახავ ვერასოდეს ლაურას სახეს,
ასე უმიზნოდ, უალერსოდ სულს დავლევ ბრბოში,
ასე მოვკვდები ჩემს საყვარელ საქართველოში,
ისე დამიგებს მე სიკვდილი აუცლელ მახეს,
რომ ვერ ვიხილავ ვერასოდეს ლაურას სახეს.

[1914 წლის ივნისამდე]

ბედს იქით!

დავხუჭე თვალი, გულის სიღრმეში
რომ დამენახა რამე ნათელი
და მოვიგონე ნეტარნი დღენი
და გაზაფხული უკანასკნელი.
რა ადრე მოჰკვდა, რა ადრე მოჰკვდა!
ეხლა ღამეა... ქვითინებს ქარი,
რომ გამახსენოს ტკბილი წარსული
და მოგონების სახე ნეტარი,
მაგრამ ვის ველი, ან რად ვლონდები,
განა არა მაქვს წინ მომავალი?
რად ჩავიგონო გზის უმიზნობა,
რად ავარიდო სიცოცხლეს თვალი?
ვის შევუშინდე? რას შევუშინდე?
დავიწყებული სად არის ჩრდილი?
დაბრკოლებები? – უამისოდ ხომ
არც გმირობას აქვს ქვეყნად ადგილი!
წავალ, გავყვები ამ სევდიან გზას,
ზღვათა ქუხილით, წყალთა ლიკლიკით...
და დავამკვიდრებ დალლილ სიცოცხლეს
შორს, სხვა ედემში! შორს, ჩემს ბედს იქით!

[1914 წლის ივნისამდე]

ოჱ, ნუ იფიქრებ, რომ მოკვდა გული,
რომ სულ დავმარხე ოცნება წრფელი,
განადგურების სევდიან გზაზე
ბევრი რამე მაქვს ხელუხლებელი.

ველი, ვიბრძოლებ... მე ამ ყვავილებს
ვატარებ – სანამ მექნება ძალი,
რომ არ შეეხოს მას სინამდვილის
ძალა შავბნელი, ხელი მუხთალი.

და მუდამ გულში გავზრდი იმ იმედს,
რომ სადღაც არის ისეთი მხარე,
სადაც ედემი ყვავის და სადაც
ველარც ჩანვდება ბნელი სამარე.

წინ მელის ბედი... რაც იყო, იყო...
ის წარსულია განუკურნელი...
ხელუხლებელი კიდევ ბევრი მაქვს
და კიდევ დამრჩა ოცნება წრფელი.

[1914 წლის ივნისამდე]

ერთმა ცუთმა

გზაჯვარედინზე შავი დემონი
წინ გადამიდგა მე ქალის სახით...
„ოჰ, მებრალები, – მან მითხრა, – რადგან
გზას ვერ გააპობ ვაი-ვაგლახით!
ბედნიერება არ არის ქვეყნად,
ბედნიერებას პოეტები ქმნით,
გამოგიქროლებთ ტკბილი ოცნება,
დაგწვავთ, დაგათრობთ... ისიც ცოტა ხნით.
იყავი ჩემთან, იყავ უგონო!
ალერსით დაგწვავ, წამომყე, წამო,
თუ ერთი წუთით მოგმადლებ შვებას,
მთელ სიცოცხლეში უნდა ეწამო!“
ჩამჩურჩულებდა ეგ ნეტარი ხმა,
ხმა ეგ ცბიერი, ხმა მომხიბლავი,
ციურმა შვებამ გამომიქროლა,
ოცნების ტალღებს მივეცი ნავი!
დაუფიქრებლად ამ ერთმა წუთმა
ტკბილი ღიმი და ნაზ ფიქრთა ბინა,
მთელი იმედი და მომავალი
სამარადისოდ დამაკარგვინა!

[1914 წლის ივნისამდე]

* * *

გული სწუხს და სწუხს... გარედ სწვიმს და სწვიმს,
ცას ტყვიისფერი ღრუბელი მოსავს,
ტყე გაიძარცვა და მის კალთებზე
ფრთხილი გველივით ნისლი მიცოცავს.
სწუხს არემარე, კვნესის მიდამო,
ხმაჩაწყვეტილათ ზუზუნებს ქარი...
და მის ქვითინში მე ჩემის ყრმობის
აუხდენელი მესმის ზღაპარი.
გაჰქრა ზაფხული... ნავიდა ის დღე,
როს მეორე დღეს შვებით ვხვდებოდი,
მე ყვავილები მესიზმრებოდა
და მე ყვავილებს ვესიზმრებოდი.
ეხლა კი ბნელი შემოდგომის დღე
ვერ განაახლებს მზის ელვა-ციმციმს,
დასჭკნა ყვავილთა ნარნარი გროვა...
გული სწუხს და სწუხს... გარედ წვიმს და წვიმს.

[1914 წლის ივნისამდე]

დაცუზული თვალები

ტბა, ლერნამით შემოსილი,
გამჭვირვალე – როგორც მინა,
თეთრი თოვლით დაიფარა,
უნუგეშოდ გაიყინა.
ეგ თვალებიც, ჩემო კარგო,
ნამნამთ გუნდში ჩაიმალა,
სამუდამოდ დაიხუჭა,
როცა სევდით დაიღალა.

გაზაფხული მალე მოვა,
აენთება სხივი მწველი,
ტბაზე გედი აცურდება
ამაყი და უზრუნველი.
მაგრამ თვალებს, ჩემს მკვლელ თვალებს
ვინ ჩააბნევს სიცოცხლის ძაფს?
გლოვით თავი დაუხრია
შენს საფლავზე ობოლ კანაფს...

ცამ ტბას ცრემლი დააფრქვია,
ზამთრის სუსხმა სხივი მოჰკლა,
მე თვალები დაგიხუჭე,
ცამ საფლავი დაგიორთქლა.

[1912]

* * *

მე ვუკვირდები ამ უძირო ზღვას,
ამ დამშვიდებულს, იდუმალ მხარეს:
რას მიმზადებს ის, დამწველ კაეშანს
თუ ნეტარების სხივებს ელვარეს?
არ ვიცი, არა! მხოლოდ როდესაც
ბედის გრიგალი მიახლოვდება,
ჩემში უსაზღვრო აღტაცებას ვგრძნობ
და მთელ სხეულში ძალა გროვდება...
გროვდება, როგორც ერთ კალაპოტში
მთებში დაფანტულ ნაკადულთ გროვა
და მიდის ის წინ, მიდის უშიშრად,
არ დაკარგავს მას, რაც მოიპოვა...
და როდესაც ზღვას უახლოვდება,
ამ დამშვიდებულს, იდუმალ მხარეს,
კიდევ არ იცის, ზღვა რას უმზადებს,
ბედნიერებას თუ სიმწუხარეს.

[1914 წლის ივნისამდე]

ახალი ნელი

ФАУСТ: Мне скучно, бес!

МЕФИСТОФЕЛЬ: Что делать, Фауст?

სცენა „ფაუსტიდან“

...და კვლავ იწყება ახალი წელი
და ისე როგორც ძველი, თავდება;
დღე მომავალი, დღე ხვალინდელი
გუშინდელ დღისგან არ განსხვავდება.
ირგვლივ კაცთ სახე დალონებული
ხვალინდელ დღესაც არ გაშორდება,
მოწყენილობა და წუთების თვლა –
ხვალაც იგივე განმეორდება.
ძლივს შესამჩნევი სხვადასხვაობა
ვერ შეცვლის ერთ მთელ არარაობას...
აი, ცხოვრება! მე მასში ვრაცხდი
ერთ განუსაზღვრელ სანახაობას;
ვრცელ ასპარეზად მიმაჩნდა იგი,
მოქმედებისთვის ფართე და სრული,
ნამდვილად... იგი ბილიკი არის
ვინრო, ეკლებით შემოსაზღვრული.
მე მჯეროდა, რომ ბედნიერება
სუფევს კაცთათვის გაჩენილ დღეში
და ნამდვილად კი ბედნიერ დღეებს
სულ ათს თუ დავთვლი ჩემს სიცოცხლეში.
მე მჯეროდა, რომ შევება სუფევდა
უჩინრად სადმე: ქვეყნად თუ ცაში,
ნამდვილად იგი არსად არ სუფევს,
არც ცის სივრცეში, არც ქვეყანაში.
დავასამარეთ ფუჭი ოცნება,
მოწყენილობა დარჩა უცვლელი...
ძლივს ძველი წელი საფლავს მივეცით,
მაგრამ კვლავ მოდის მსგავსივე წელი!

[1914 წლის ივნისამდე]

* * *

მარტოობის უამს, უამს მწუხარე განდეგილობის
მეწვევა ჩემი იდუმალი მეორე სახე...
გამოუცნობი წრფელი ჟინით ვდგევართ პირისპირ,
იგი ძლიერი – მე კი სუსტი და მოცახცახე.
თვალწინ მეშლება განვლილთა დღეთ მწუხარე რიგი
და უნაყოფო ჩემსა ბრძოლას მაგონებს იგი,
ჩემს სიყმაწვილეს და დაკარგვას რწმენის, სიმტკიცის,
არარაობას სიცოცხლისას თვალწინ გადმიშლის...
რისთვის? ვინ იცის!

და მსურს მე ამ დროს, მსურს უსაზღვრო თავისუფლება,
რომ ჩემს მახლობლად არ სუფევდეს წამების ღმერთი,
მსურს არ დამდევდეს იდუმალი სახე მხილების
და ვიყო ერთი – ყველგან, მუდამ მსურს ვიყო ერთი.

[1914 წლის ივნისამდე]

* * *

მყუდრო ნაპირზე, სადაც ზღვის წინწკლებს
ათამაშებდა სუნთქვა სიოსი,
ალფროთოვანებულ ფიქრებში იდგა
ყრმა მეოცნებე – ყრმა ჰენიოსი.
და მას ზღვის ტალღა ეუბნებოდა:
„ოჳ, რისთვისა ხარ ეგრე თავხედი,
რომ ფიქრობ, თითქო გასცილდი საზღვარს,
რასაც კაცთათვის ამყარებს ბედი?“
ყრმა კი ამაყად უპასუხებდა:
„საიდან იცნობს ეგ გულცივობა,
თუ რა ძალაა შემოქმედისთვის
საკუთარ ძლიერ სიმღერის გრძნობა!“
ტალღა კვირობდა: „რა შობს ამ გრძნობას,
უცნაურ ძალს რომ ესაბამება?“
მაგრამ ყრმა ისევ უპასუხებდა:
„ამგვარ გრძნობას ჰქმნის მხოლოდ წამება!“

[1914 წლის ივნისამდე]

მე დავიბადე განთიადისას,
როცა მთის წვერზე დილა მაისის
თვალებს ახელდა... და ნაზი იყო
ელვა-ელფერი მტრედისფერ სივრცის...

შემოდგომაზე, მახსოვს, ვიბრძოდი,
ცხარედ ვიბრძოდი ყმაწვილურ უინით,
მაგრამ დაცინუით მომიკლეს რწმენა
და ძირს დავემხვე კვნესა-ქვითინით.

ვცხოვრობდი ზამთრის ყინვა-ქარბუქში,
ხსოვნა არ იყო ჩემში ზაფხულის
და ნელა-ნელა მიჭვნობდა დღეებს
სიცივე სულის, სიცივე გულის.

დღეს კი, როდესაც შავი ბურუსი
მისპობს და მიკლავს ოცნების კუთხეს,
ჩემს გაჩენის დღეს ვწყევლი იდუმალს
და ვლოცავ ყოფნის აღსასრულის დღეს.

ბნელი ღამეა... მალე ინათებს...
ჩქარა, სიკვდილო, ოჟ, გევედრები...
გადმომივლინე ტკბილი ოცნება,
გადამაფარე შავბნელი ფრთები!

[1914 წლის ივნისამდე]

თვალები

შენს ცისფერ თვალებს როცა შევხედავ,
უსაზღვრო სევდას მე ვამჩნევ მათში...
და ფიქრი ფიქრზე თითქო სცურავენ
უსიტყვო ტბაში, უხმო კამათში.
და ხშირად მინდა გკითხო, თუ რისთვის
ასე სასტიკად გექცევა ბედი,
რისთვის წაგართვა სპეტაკი რწმენა,
რისთვის მოგიკლა ნორჩი იმედი.
მაგრამ, როდესაც წარმომიდგება,
რომ კაეშნისთვის სიტყვა არ არის –
მე მხოლოდ გიცქერ, გიცქერ და ვწუხვარ,
ჩუმად მიმონებს დარდი სამარის.
ასე ორ გულში ერთი ნაღველი
გაუნელებლად იწვის და იწვის,
ასე იტანჯვის ორი არსება
და ვერრა უთქვამთ ერთმანეთისთვის.

[1914 წლის ივნისამდე]

გელიორება

რა უშავს იმას, ვისაც არრა აქვს
და არც დაეძებს ამ ქვეყნად რამეს,
ვინც გზას უკაფავს უკვდავი სულის
თავისუფლებას და სითამამეს,
სხვისადმი შური ვინც გულს ჩაიკლა,
ვინც სავალი გზა გააფართოვა,
არ იცის, რაა გაუბედავათ
დასამარებულ ფიქრების გროვა;
ვინაც არ იცის დანაშაული,
მოთმენით იტანს დაცინვას, გმობას
და იარაღად ხმარობს მწარე დროს
მხოლოდ სიმშვიდეს და გულცივობას.
რა უშავს იმას, ვინც მტერთა შორის
თავმდაბალია და უწყინარი,
ვინც მოუსვენარ და მქუხარ ბრძოში
თავს შეიფარებს მშვიდი და წყნარი.
ვისაც არ ხიბლავს არც ეს ქვეყანა,
არც ის სოფელი, არც მძლავრი ვნება,
ვისთვისაც საგანს არრა შეადგენს
და არც არავის ემორჩილება,
ვინც იჭვებისგან თავისუფლდება,
ბრძოლას არ იწვევს წუთიერ დღეში
და ასე წყნარად განისვენებს ის
მარადისობის უფსკრულ-სილრმეში.

[1914 წლის ივნისამდე]

ფანტაზია

რომ მომცა ფრთები, ავფრინდებოდი,
გადავცდებოდი მე ბედის საზღვარს,
თავისუფლებას მივანიჭებდი
ფიქრთა ლელვას და გრძნობათ ნიაღვარს...
ზღვის ქარიშხალთან მძვინვარე ტალღებს
შევებმებოდი თვალდახუჭული,
რომ მომესმინა, თუ როგორ ისმის
უმიზნო ხმაში ვნების ჩურჩული.
მწვანე მანტიით შემოსუდრულ მთებს,
სადაც ძილს აფრთხობს ნიავის ფრენა,
მივაშურებდი მე ბრძოლის შემდეგ,
დაღალულ სულს რომ იქ მოესვენა.
შუადლის სიცხით, ტირიფთა ჩრდილქვეშ
გამიტაცებდა ოცნებათ ზოლი
და მოვისმენდი, თუ ჩუმად როგორ
ესაუბრება ფოთოლს ფოთოლი.

[1914 წლის ივნისამდე]

* * *

არასდროს ისე არ მენატრება
თავისუფლება, ვით გაზაფხულზე,
როცა ბუნება ახმაურდება
დედამიწისა გაყინულ გულზე.
როცა მიდამო ვარდ-ყვავილებით
ლურჯ ხავერდივით მოიქარგება,
როცა ბულბულის ხმები რაკრაკით
ბუჩქნარს ედება და იკარგება...
ვიღაც მეძახის სიცოცხლისაკენ
სიკვდილის გზაზე თრთოლვით მიმავალს,
ვაგლაა! ვერავის ირგვლივ ვერ ვხედავ
და ისევ ცრემლი მახუჭვინებს თვალს...

[1914 წლის ივნისამდე]

* * *

სთვლემს ტყის ნაპირი თავჩაქინდრული,
უხმო ალერსით ეკვრის ტოტი ტოტს...
დასძინებია ალერსიან ბალს,
დასძინებია სევდიან წალკოტს...
ვარსკვლავიანი შვალამე ბრწყინავს,
შვალამე იწვის... დნება ნელ-ნელა.
მოგონებათა ელვარებს სარკე,
მაგრამ ჩემს გულში ბნელა და ბნელა...
ვეძახი სულს და ხმას არვინ მაძლევს,
უხმო ალერსში ეკვრის ტოტი ტოტს...
დასძინებია ალერსიან ბალს,
დასძინებია სევდიან წალკოტს...

[1914 წლის ივნისამდე]

ორი ზარი

ღამით მივედი სასაფლაოზე
და ვინახულე ძველი ტაძარი,
ფრთხილად ავედი ძველ სამრეკლოზე,
ფრთხილად დავრეკე მთვლემარე ზარი...
მსურდა, რომ ყველას გაღვიძებოდა,
ვისაც სძინავდა ცივ სამარეში,
ვინაც მიყვარდა ან პატივს ვცემდი
ჩემს განუსაზღვრელ სიმწუხარეში;
რომელთაც სწამდათ ქვეყნად სიცოცხლე
და დღეს საფლავის ფარავდათ ლოდი,
მათ მოვუხმობდი სასოწარკვეთით,
ზარის მწარე ხმით მათ ვეძახოდი...

და ქვესკნელიდან თითქო ამავ დროს
მიცვალებულთა რეკავდა ზარი
და ეძახოდა მათ, ვინც აქ დარჩათ,
მათ, რომელთ სწამდათ ყოფნის ზღაპარი.
კუბოს ფიცრებზე ძვლების რახუნით,
მკვდართა გუგუნით თრთოდა ქვესკნელი,
შეერევოდა ცოცხალთ ძახილი
და მკვდართა მოთქმა უკანასკნელი.
და შუაში კი სიცალიერედ
ჩაბნელებული უფსკრული შავი
ბნელი თვალივით იცქირებოდა,
სამარადუამოდ დაუნახავი...

და ორი ზარი საბედისწერო,
ერთმანეთისთვის მიუწდომელი,
დაცინვა იყო, ვით ორი სული,
ვით ის ქვეყანა და ეს სოფელი...

და დიდხანს, დიდხანს ვისმენდი გუგუნს,
და დიდხანს, დიდხანს ზარი ჰელებდა...
მაგრამ ამაოდ მოვუწოდებდი
მათ, ვინც ამაოდ მიმიწოდებდა...

[1914 წლის ივნისამდე]

გემზე

ლურჯ მთების ზოლი ლურჯ ცის სივრცეში
შორს, უსაზღვროდ შორს მიიკლაკნება,
ლურჯ ოკეანეს ლურჯი ტალღები
ლურჯ ტყიან წაპირს აქცევს, აკვდება.
შორს იალქანი მოსჩანს მცურავი,
ლალად გაშლილი, ვით გედის ფრთები,
და დაუცხრომლად ატოვებს ამ ფრთებს
ხან ქარიშხალი, ხან ზღვის ზვირთები.
გემს კი ზღვის სუნთქვა გახშირებული
ხან დაუშვებს ძირს, ხან ასწევს მაღლა,
მაგრამ რა არის გემისთვის შიში,
რა არის ბრძოლა, რა არის დალლა?
იგი ვერც წარსულს გამოაბრუნებს
და ვერც მომავალს ვერ მიეწევა...
მისთვის ერთია ზღვაზე სრიალი
და ზღვის ტალღებზე ნაფოტად ქცევა.
ლურჯ მთების ზოლი ლურჯ ცის სივრცეში
შორს, უსაზღვროდ შორს მიიკლაკნება,
ლურჯ ოკეანეს ლურჯი ტალღები
გემს ეხლება და ვაებით სკდება...

[1914 წლის ივნისამდე]

პოეტი

ვნახე მგოსანი ზღვის პირად მდგარი...
ტალღა ტალღაზე თრთოდა, დგებოდა,
სტიქიის ბრძოლა დაუდეგარი
მგოსნის თვალებში იხატებოდა.
გრგვინვა-ქუხილით ზღვის ზედაპირი
ეხეთქებოდა ნაპირთა კლდეებს
და ზღვისა ქაფი ისე წარმტაცად
ემწერივებოდა ჭავლს და კიდეებს.
ვნახე და თვალნინ დამიდგა შორი
ჭაობში მყოფი ბრბო დაუმცხრალი,
ზეგარდმო ნათლით მოსილ პოეტად
ვის არ ხედავდა იმისი თვალი.
მან ჯერ არ იცის, რომ ზღვის კიდეზე
დროს უცდის მგოსნის გული ნამდვილი,
რომ თავის სიტყვით უკანასკნელით
ლრმა სევდაში მყოფთ დაუფრთხოს ძილი...
მოვა... მქუხარე, მაგრამ ნაზ სიტყვით
ძალას ალუძრავს თავდახრილ მონებს...
და დავიწყებულს, მაგრამ ნამდვილ ხმებს
კვლავ გაახსენებს, კვლავ მოაგონებს...

[1914 წლის ივნისამდე]

* * *

დაღლილ წამნამთ ქვეშ გამოხედვას უდაბნოსებურს,
რაც დასრიალებს უმიზნობით ხანდახან ქალში,
შეუბოჭნია მოძრაობა მთელის ქვეყნისა,
მთელი ქვეყანა გახვეულა ქალის დალალში.

ჩემი ცხოვრება, ვით სწეული დაუმარხველი
წარსულისაგან სწყევლის, სწყევლის ამ ფერმკრთალ სახეს,
ის ვერ განშორდა განმყინვებელ, მკვლელ თვალთა ცქერას,
ვერ განერიდა თმას მთრთოლავსა და მოცახცახეს.

სიზმართა რგოლში ჯადო მკაცრი ტანჯვა-წამების
მაჩვენებს ხოლმე სახეს მნარეს და სახეს ველურს.
სიზმართა რგოლში მე ვიგონებ ჩემს დამმონებელს,
დაღლილ წამნამთ ქვეშ გამოხედვას უდაბნოსებურს.

[1914 წლის ივნისამდე]

* * *

ხანდახან მშეფოთარ ქალაქის ხმაში,
გრგვინვა-ქუხილში, კვნესა-წუხილში
ფრთხილად მოისმის ბულბულის სტვენა,
ნაზად, ნარნარად, ისე ვით ძილში.

ხანდახან მტვრიან ქალაქის ქუჩებს,
როცა ქვითინებს და კვნესის ყველა,
როგორც ჩვენება გასაკვირველი,
ფრთხილად აყვება თეთრი პეპელა.

ასე, ნუგეშო, ჩემს მშეფოთარ ყოფნას
შენ მოუვლინე სხივი პირველი,
როგორც სიმღერა მოულოდნელი,
როგორც პეპელა გასაკვირველი.

[1914 წლის ივნისამდე]

პვარი

გატყდება ნავი მშფოთარე ზღვაზე,
ატყდება კვნესა-ოხვრა საზარი
და ამ დროს, როგორც ლანდი, ჩვენება,
შორს გამოჩნდება დამხსნელი ჯვარი...
წინ, მეზღვაურო! თუ იგი ჯვარი
მართლა დამხსნელი არ არის შენთვის,
მასზე წამებას და მწარე ჯვარცმას
მაინც იპოვი მუდამ, ყოველთვის.

ასე ხანდახან ცხოვრების ზღვაზე
რაღაც სპეტაკი, უცხო შვენება
ქარიშხლიან და ბობოქარ ღამეს
თეთრი ლანდივით მოგეჩვენება...
წაჲყე, მგოსანო... თუ იგი ტრფობა
მართლა დამხსნელი არაა შენთვის,
მშვენიერ ტანჯვას და ვნების წამებს
მაინც იპოვი მუდამ, ყოველთვის.

[1914 წლის ივნისამდე]

რომანსი

პოემიდან

ცელქი ნაკადი
ნორჩ ყვავილს მკერდს ბანს,
კრებს ცის ლაშვარდი
ფიქრთა შადრევანს.
ორი ვართ ველად...
ტოკავს ბუჩქნარი
და მიმზიდველად
გვცემს ვნების ქარი.

ოდეს სიო მთის
არხევს შენს დალალს –
სთქვი, სევდა რისთვის
დაგციმციმებს თვალს?
სცოცხლობ და სხვებში
ვერ ვპოვებ შენს ცალს,
მოჰკვდები – მკერდში
ჩავიგებ ხანჯალს.

მტანჯავდა სევდა
დამწველ-ძდაგველი,
ნაღველი მლევდა,
მნარე ნაღველი.
აწ ამოგვიღონ
გრძნობა თანდათან...
რაც სურთ, ის გვიყონ...
რაც სურთ, ისა სთქვან!

[1911]

უსიყვარულოდ

უსიყვარულოდ
მზე არ სუფევს ცის კამარაზე,
სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება
სასიხარულოდ...

უსიყვარულოდ არ არსებობს
არც სილამაზე,
არც უკვდავება არ არსებობს
უსიყვარულოდ.

მაგრამ სულ სხვაა სიყვარული
უკანასკნელი,
როგორც ყვავილი შემოდგომის
ხშირად პირველს სჯობს,
იგი არ უხმობს ქარიშხლიან,
უმიზნო ვნებებს,
არც ყმაწვილურ ჟინს, არც ველურ ხმებს
იგი არ უხმობს...

და შემოდგომის სიცივეში
ველად გაზრდილი,
ის გაზაფხულის ნაზ ყვავილებს
სულაც არა ჰგავს...
სიოს მაგივრად ქარიშხალი
ეალერსება
და ვნების ნაცვლად უხმო ალერსს
გარემოუცავს.

და ჭკნება, ჭკნება სიყვარული
უკანასკნელი,
ჭკნება მწუხარედ, ნაზად, მაგრამ
უსიხარულოდ.

და არ არსებობს ქვეყანაზე
თვით უკვდავება,
თვით უკვდავებაც არ არსებობს
უსიყვარულოდ!

[1914 წლის ივნისამდე]

პორიზონტიდან ზენიტამდე

პორიზონტიდან
ზენიტამდე მხოლოდ ვარდებით,
წითელ ვარდებით
შენი კვალი დაიფარება...
გზას, სევდიან გზას
მოვხიბლავთ და შევუყვარდებით,
ჩემი სიცოცხლე, ჩემი ქნარი
თუ გეყვარება!

პორიზონტიდან
ზენიტამდე შენს წარმტაც სახელს
ყოველი სული და სიცოცხლე
გაიმეორებს,
მყინვარი დახრის შუბლს ამაყს და
ფიქრთ გამომსახველს,
შენის სახელით ამოსჭედავს
მთებსა და გორებს.

პორიზონტიდან
ზენიტამდე ღრუბელთა გუნდი
ძირს დაეშვება, ლბილ საწოლად
რომ გაგეშალოს...
მე იალქანად გადვიქცევი,
ოლონდ დაბრუნდი...
ცეცხლს ნუ მისცემ სულს,
რომ იწვალოს და ივალალოს!

პორიზონტიდან
ზენიტამდე ალვის მწერვალებს
წაუჩურჩულებს შენსა სახელს
ზღვის წიავ-ქარი
და ის სახელი დასწვავს ზეცის
მიბნედილ თვალებს...

ოლონდ დაბრუნდი... ოჰ, დაბრუნდი
და სთევი ზღაპარი!

ჰორიზონტიდან
ზენიტამდე მნათობთა კვალი
შენს ლამაზ ფეხთა საბილიკოდ
გადიჯაჭვება...
ოლონდ მასმინე კვლავ შენი ხმა
წყლულთა დამცხრობი,
ოლონდ მალირსე შენი ნახვით
ის ტებილი შვება.

[1914 წლის ივნისამდე]

ოჰ, როგორ მსურდა!

ოჰ, როგორ მსურდა, რომ სიყვარული,
საბედისწეროდ ჩვენს გულში ზრდილი,
ისე მომენტო, რომ არ აგცლოდა
ბედნიერების წმიდა ღიმილი.
რომ ია-ვარდით დაგებულ გზაზე
აღმენთო შენი ოცნება ტკბილი,
მაგრამ არსად სჩნდა ბედნიერება,
არ მოგეკარა სახეს ღიმილი.
რა მოგანიჭა შენ ჩემმა ტრფობამ?
მხოლოდ წამება, ვაება, გლოვა...
შენმა ოცნებამ ის, ვინაც გსურდა,
ჩემში ვერ ნახა, ჩემში ვერ პოვა!
ამაოდ ღვრიდი შუალამისას
ცრემლებს, რომელთაც არა აქვს ფასი,
ამაოდ გსურდა, რომ დაგეცალა
ბედნიერების, სიწმიდის თასი.
ამაოდ ფიქრებს მოუწოდებდი,
ფიქრი ხომ მაინც გაგინადგურდა...
ამაოდ თრთოდი... ამაოდ კვნესდი...
მე ის არა ვარ, ვინაც შენ გსურდა!
მაგრამ ნუ სწუხხარ! შენი მგოსანი
ეხლა იმ ბნელ გზით არა, არ მიდის,
თავის შეცდომებს და მწარე ცოდვებს
მწარე ცრემლითვე გამოისყიდის!

[1914 წლის ივნისამდე]

* * *

მთვარე მთის ხრიოკს ამოეფარა,
სიცხე მინელდა, მტვერს მიეძინა.
მეურმე მღერის და მოგონებათ
აჩრდილს სურს მისცეს ტრფობათა ბინა.
შორს ბალი მოსჩანს, მოსჩანს ჯეჯილი
და ისევ ბალი, ისევ მთის ქარი,
მე ვდგევარ, როგორც ტყვე უცხოეთში,
როგორც სიზმარში უცხო სიზმარი.
როგორც სიზმარი დავიწყებული,
თრთის და კანკალებს ცაზე ვარსკვლავი,
მე კი კაეშნის მხარეში მიწვევს
სევდით მოცული ოცნება შავი.

[1914 წლის ივნისამდე]

* * *

ის ჩამომშორდა, როგორც სიზმარი
აუხდენელი და მომხიბლავი,
არ ვიცი, საით წაჟუვა ზღვის ტალღებს,
სად შეაჩერა დალლილი ნავი.

მაშინ ცას უფრო სხვა ფერი ჰქონდა,
სხვაგვარის ღელვით ღელავდა ველი,
მაისი იყო, მთას მოპევეოდა
ნაზ გაზაფხულის მთრთოლვარე ხელი.

მაგრამ ის მოვა – შემოდგომისას
მოვა დალლილი და ფერმიხდილი,
ოჳ, რა მწუხარე ლამე იქნება,
ველარ ალსდგება წარსულის ჩრდილი.

მაშინ მე ვეტყვი, რომ მოჰკვდა გული,
რომ სიზმარივით გაჰქრა ყოველი,
რომ ჩემს წარსულში არ ვეძებ ახალს
და სიყვარულშიც ხსნას არ მოველი!

[1914 წლის ივნისამდე]

მუსიკა

გუშინ, როცა არემარეს შუქს აფრქვევდა მთვარე ციდან, მე მომწყინდა... მე სარკმელი გამოვალე და სარკმლიდან წკრიალა ხმა შემოიჭრა, ვით ღრუბლიდან მთვარის შუქი და ჰანგებად დაიღვარა, ვით სურნელი, ვით ქარბუქი.

ლამის თრთოლვა იდუმალი გარინდებით ამ დროს სთვლემდა და ნაზი ხმა მის სივრცეში ლივლივებდა, ლივლივებდა! თითქო ორთქლად ეფრქვეოდა არემარეს ეს ცის ხმები და სცურავდენ ამ ლურჯ ორთქლში ვარსკვლავები, ყვავილები! მაგრამ ჰანგი გაიზარდა და თანდათან შეიცვალა, ახმაურდა მასში გრგვინვა და სტიქის რაღაც ძალა, ამ დროს თვალწინ იშლებოდა ჯურლმულები და ხევები, იმედთა და რწმენის ზღვაზე მოცურავე ნამსხვრევები. ჰანგთ ნაკადში ინთქმებოდა კაცთა გული, კაცთა თვალი, იყო რაღაც საშინელი, იყო რაღაც იდუმალი, ტბათა ბსკერზე თითქო ელვის დაიკლაკნა ბილიკები, მაგრამ აპა, სულ უეცრად შეიცვალა ისევ ხმები: ლაუვარდოვან ტბის სარკეზე გასრიალდა ვერცხლის ნავი, ოდნავ დასწვდა წყალს ნიჩაბი, ვით ნიავი, ვით ნიავი... მთიდან ნისლი ჩამოცურდა, ნისლი ბნელი, ნისლი შავი და გაშალა ტბის სივრცეზე თმა-გიშერი, თმა-ნაწნავი. და ისმენდა ამ სიმღერას და ტოკავდა, როგორც ნავი, სანამ კვლავ არ შეიცვალა ჰანგთა ტალღა მომხიბლავი: ეხლა თითქო ღრუბელთ ზევით დაოცნებობს ფიქრი წყნარი, ცის ვარსკვლავებს აგროვებს და ზღვას სთავაზობს ნიავერი. მდუმარე ზღვის ლაღ სივრცეზე ნისლად იდგა ის სიმღერა და ტოკავდა ზღვის ქალწულთა მოხიბლული გულისძგერა. მწველი იყო ის სიმღერა, ვით შუადღის ბრნებინვალება, სადაც გრძნობა გზას პოულობს, სადაც ცეცხლი იმალება.

და ისმოდა ეს სიმღერა და ღვივოდა თვით ამ ხმაში
და ნარნარად იკაფავდა გზას უსაზღვრო ქვეყნაში,
იკვალავდა გზას და თრთოდა უსაზღვრობის სიღრმე-წყლულში,
იკვალავდა გზას და რეკდა გარინდებულ ცის ჯურღმულში,
ერთხელ კიდევ ჰანგთ კამარა მიძინებულ ქვეყნის გულში
მიატარა-მოატარა და გაიბნა შორს, უფსკრულში!

[1914 წლის ივნისამდე]

ჩვენება

ბნელი ბინდ-ბუნდით მოცულ მხარიდან
ქალწულის აჩრდილს გამოვუძახე,
მას მშვენიერი შთავბერე სული
და მშვენიერი მივეცი სახე.
მასში ტაძარი ზეშთაგონების
ისე შევქმენი, ისე აღვაგე,
რომ უკვდავების უსაზღვრო ენით
ავამეტყველე ქალწულის ბაგე.
და მე ვტკბებოდი ჩემის სიზმრებით
და როცა მის ხმას ვნებით ვისმენდი,
ვუცდიდი რაღაც უცხო სასწაულს,
ვუცდიდი, მაგრამ მაინც ვითმენდი.
განთიადისას ნისლი დაიძრა,
მთების კალთებზე ისე ჩამოწვა,
რომ ვერ გავიგე, თუ სად გაჰფანტა
ქალწულის სიტყვა და ჩემი ლოცვა.

[1914 წლის ივნისამდე]

* * *

სიზმარში ვნახე: ყვავილებს ვკრეცდი,
ნითელს, ლურჯსა და თეთრ-თეთრ ყვავილებს,
ვუფრთხილდებოდი, როგორც ნატვრის თვალს,
მათ სუსტ ღეროებს, მათ ობოლ ღილებს.
დავაწყვე იგი სასაფლაოზე,
სადაც სიკვდილის მეფობს ნავარდი
და როცა დილით გამომეღვიძა,
იქ ვერ ვიპოვე ვერც ერთი ვარდი.

ნეტარ წუთებით მთვრალ სიყმაწვილის
ბედნიერ დღეებს, ავსებულს ჟინით,
ვუფრთხილდებოდი ჩემს გაზაფხულზე,
ვმოსავდი ნატვრის ფარჩა-გვირგვინით.
დავიმახსოვრე მე ეს წუთები,
ეს გაზაფხული ნაზი, სათუთი...
გამოვერკვიე შემოდგომაზე
და აღარ დამხვდა არც ერთი წუთი!

[1914 წლის ივნისამდე]

როგორც სიზმარი

მე მივდიოდი, მე მოვდიოდი
ყვავილთა შორის – ვით ნიავქარი.
მე სიყვარული მესიზმრებოდა
და მე ვიყავი – როგორც სიზმარი:
მე მივდიოდი, მე მოვდიოდი,
ზვირთივით სწრაფი, ზვირთივით ჩქარი,
ჩემი ოცნება სწვავდა ყვავილებს
და მე ვიყავი დილის ცისკარი.

მაგრამ ოცნებამ დამასნეულა,
სიმწრით აივსო ყვავილთ ნექტარი
და ძირს დაეშვა ფრთამომსხვრეული
ფიქრი ნაზი და დაუდეგარი,
ყვავილთა შორის სიამის ნაცვლად
მწარე ქვითინით ქვითინებს ქარი...
და მწარე კვნესად მომესმის მხოლოდ
სალამოს ზარი... სალამოს ზარი.

შემოდგომაა... ბალის ბილიკებს
მიმოფენია ფოთოლი მჭკნარი...
და მე მივდივარ და მე მოვდივარ
და მე ვარ ისე – როგორც სიზმარი.

[1914 წლის ივნისამდე]

* * *

მე ცის ვარსკვლავს არ შევნატრი, განთიადის შუქით ძლეულს,
მოწყენია საწყალს ცაზე, უიმედოს, ფერმილეულს.
არ შევნატრი ყომრალ ღრუბელს, ცას რომ ფარაეს ფრთატივტივა,
ატკივდება ხოლმე გული და ცრემლები სცვივა, სცვივა.
მე ზღვის ტალღას არ შევნატრი, კლდის ნაპრალს რომ ეტმასნება,
მას ხომ გული აღარა აქვს, აღარა აქვს ცეცხლის ვნება.
მიყვარს მარტო ქარიშხალი თვალუნვდენელ ზღვიდან ზღვამდე,
ზღვიდან ზღვამდე, ციდან ცამდე თავისუფლად მონავარდე!
მიყვარს მისი ნანგრევებზე ახალ გრძნობის შვება-ლხენა,
მასში სცოცხლობს ფიქრთა ჩემთა იდუმალი აღმაფრენა!

[1914 წლის ივნისამდე]

პვნესა

მთის მწერვალებს, მთის მწერვალებს
მთის არწივი უგზნებს თვალებს,
შესტირის და შევალალებს.

მთის მწერვალებს ხომ მზე ანთებს
და მათ კალთებს, და მათ კალთებს
აელვარებს, აქათქათებს.

ჰანგი ისმის საარაკო,
ნაკადი სჩქეფს: „ახ, ჭალაკო,
დუ-დუ! დუ-დუ! რაკ... რაკ... რაკ!“

კვნესა ისმის: „შევინახეთ
და ვერ ვპოვეთ, ვეღარ ვნახეთ,
რაც დავამხეთ, რაც დავმარხეთ“...

ცას არ ესმის, ის მკერდს ანთებს
და მდუმარე მთების კალთებს
აელვარებს, დაქათქათებს.

[1910]

* * *

ჰორიზონტი იდნავ ღელავს შემოდგომის მურთალი სხივით
და სცვივიან ხეს ფოთლები მომაკვდავი პეპლებივით...

ყვითელ ფოთლით მოიფარა ხეივანი, ბილიკები.
თეთრი ნისლით შეიმოსა ცად აწვდილი ყინვის მთები.

ობლადა სდგას მონასტერი, სადაც თავი შეაფარე,
სადაც ციურ ფიქრთა ნისლში მიატოვე ცოდვათ მხარე.

მაგრამ მე ვერ დაგივიწყე, კვლავ მიყვარხარ ძველი ვნებით,
იმავ სულით, იმავ ფიქრით, იმავე თავდავიწყებით.

ჰორიზონტი იდნავ ღელავს შემოდგომის მურთალი სხივით
და სცვივიან ხეს ფოთლები მომაკვდავი პეპლებივით!

[1914 წლის ივნისამდე]

არვინ არის...

მახსოვეს, მე გზაჯვარედინზე ვიდეგ სასოწარკვეთილი,
როცა ვნახე შენი ჩრდილი თანამგრძნობი და კეთილი.

მე მას შემდეგ გმირად გავხდი, გადავლახე მთა და ბარი...
მთა და ბარი მე მისმენდა და მე ვიყავ მთის ზღაპარი...

მაგრამ მალე, ისე მალე! ობლად ვიგრძენ ისევ თავი...
და მომწყურდა შენი ნახვა და ვერ გპოვე მომხიბლავი.

გაზაფხულის თეთრ ღამეებს აელვარებს გზნება მთვარის,
მაგრამ ჩემთვის ის ღიმილი არსად არის, არსად არის!

შემოდგომის საღამოებს ირგვლივ უვლის ჩრდილთა კრება,
მაგრამ ჩემთვის შენი ჩრდილი აღარ ჩნდება, აღარ ჩნდება...

ზამთრის დღეებს ყვავილების აღმაფრენა სულს არ ატეპობს...
და მიმკრთალი მზის ღიმილი ვერ გამათბობს, ვერ გამათბობს...

გაზაფხულის ღამეებში ვის ვუმღერებ სერენადებს
და ზაფხულზე ვის გავუმხელ სულის შფოთვას, გულის ნადებს?

შემოდგომის ბნელ დღეებში მოწყენილი ვისთან ვივლი,
რომ დავმარხო უსულგულო ეგ დღეები დაწყევლილი?

ზამთრის დღეში, როცა თოვლი მთასა და ბარს ათანაბრებს,
ვინ მიმღერებს სევდის ჰანგებს, ვინ მიამბობს ყრმობის ზღაპრებს?

არვინ არის – ვუალერსო და მივიკრა დაღლილ გულზე,
არვინ არის, რომ ვუამბო დროთ ზამთარი გაზაფხულზე.

[1914 წლის ივნისამდე]

ტყემ ნამიზვანა!

წამიყვანა ტყის ჯურლმულმა, ტყის სიმწვანემ წამიყვანა,
გადმიშალა ხის რტოთა და ბალახების მწვანე ყანა...
დაუბერა ნელმა სიომ, ვარდს მოჰპარა ცის მანანა
და რტოები, ხის რტოები მიაქანა, მოაქანა: –
„ნანა-ნანა“...

ალეანდრას ბალახებში ძენნამ ტოტი დააფარა,
ვეღარ დაწვდა და მწუხარემ ისევ სიოს დააბარა:
„ნუ ცახცახებ, არ განახვებ მზის თეთრ სხივებს... არა, არა...“
ალეანდრა ისევ შეკრთა და ცრემლებათ დაიღვარა:
„ქმარა, ქმარა!“

შემდეგ ცელქმა ტყის ფერიამ, ღმერთო! რა არ განიზრახა,
ჯერ გაშიშვლდა და როდესაც ტბაში თავის ტანი ნახა,
სულ გაკვირდა... მერე მოსწყდა და როდესაც დამინახა,
შეჰკივლა და მიიმალა და ჯაგიდან დამიძახა:
„ხა, ხა, ხა, ხა!“

მუხის ჩრდილქვეშ მიმეძინა და ფოთლები პეპლებივით
მეცემოდენ მთელ სახეზე, აღგზნებულზე სიზმრის სხივით...
და მესმოდა ფოთოლთ ჰანგი: „ჩვენ არ ვკვნესით, ჩვენ არ ვჩივით...
ნიავივით, ნიავივით ტყეში ვცხოვრობთ, ტყეში ვღვივით
ნიავივით!“

ვიყავ ჩუმი, ვიყავ ჩუმი და ვხედავდი ცის ლურჯ ტატნობს
და ვფიქრობდი ნათელ ფიქრით ფიქრებს ძნელად გამოსაცნობს;
და ფიქრობდა ნათელ ფიქრს ტყე და იღუმალ ნაფიქრ-ნაგრძნობს
ჩემს ფიქრებში მოგონება ეხლა აფრქვევს, ეხლა ადნობს,
ნაფიქრ-ნაგრძნობს...

ვიყავ ჩუმი და მესმოდა იდუმალი სიმთა უღერა,
სევდიანი იყო ჰანგი და მეც გული ამიძგერა.
დავიმლერე: „მესმის, მესმის... და ვერ დავთმობ ვერა, ვერა!“
და სიჩუმემ ნიავივით გამომძახა: „მჯერა, მჯერა
ეგ სიმლერა“.

[1913]

გათიადზე

ტბას დაეცა ლურჯი ნისლი მსუბუქი და გამჭვირვალე,
დაფიქრებულ ცათა უფსკრულს დილის სუნთქვა დასძრავს
მალე!

ცა ნათლდება და ზამბახთა ნაზ თასებში ტკბილნასვამი
ალმასივით ალ-ბურუსში თრთის, ციმციმებს დილის ნამი!

გათენების ტალღა-ზვირთში იშმუშნება ტყის ლერწამი,
გაპერა ლამე, გაპერა, როგორც ერთი წუთი, ერთი წამი.

ოჳ, არ მინდა, რომ დაგშორდე! მე მოგხვიე წელზე ხელი,
შენ ჩემს მკერდზე დაყრდნობილი ვნებით სუნთქავ და მე ცხელი

შენი სუნთქვა დავინწყების ბურუსში მხვევს, მიგუბებს სულს
და მე ვასმენ, როგორც სიზმარს იდუმალ ხმას, ნეტარ ჩურჩულს:

„სიცოცხლეო, როცა ასე ლელავს, ტოკავს განთიადი,
მე გშორდები... დავგვიანდი... ეხლა დროა... წადი, წადი!

უკანასკნელ კოცნის შემდეგ მე მივდივარ... მაშ, მშვიდობით,
დამერწმუნე, ვერვის ჰპოვებ შეგიყვაროს ჩემებრ გრძნობით...

მალე მოვა შემოდგომა, მოვა წვიმა, ნიალვარი
და სარკმელთან ბნელი ლამით ქვითინს იწყებს მწარე ქარი:

შენც სარკმელთან ცრემლს დააფრქვევ, გაგიტაცებს შორი ვნება
და მწუხარე შემოდგომით მომიგონო შეიძლება!

მოიგონებ გაზაფხულზე გაღვიძებულ ბუჩქნარ-წალკოტს
და სარკმელში რომ ვისროდი ხან ზამბახებს, ხან ვარდის ტოტს.

[1914 წლის ივნისამდე]

სალაშო

დანამულ ბალახებს მძინარე ტბის პირად
მსუბუქი ნიავი ათრთოლებს ხშირ-ხშირად.

ხავერდი ცის სივრცე, ლაუვარდი და მუქი,
ქათქათებს, ელვარებს, როს სწყდება მზის შუქი.

და ჩრდილი მწუხარე, წერწეტა ხის ჩრდილი
ეცემა ბილიკზე შემკრთალი, დალლილი.

და ისმის ციური გალობა ნარნარი:
„სალამო სიცოცხლის, სალამო დამტკბარი...“

ვინ იგრძნო სიცოცხლე ამაო, უმიზნო,
ან შვება ვინ იგრძნო, ან ტრფობა ვინ იცნო?

ცრემლებით ვიხილეთ პირველად მშობელი,
ცრემლებით დავტოვებთ სიკვდილის მგმობელი“.

[1914 წლის ივნისამდე]

* * *

ყველა დასრულდა! ვით გრიგალის შემდეგ ტყე-ველი,
სიცალიერით სავსე არის ეგ ჩემი გული...
ცაზე მისცურავს ბადრი მთვარე შუქთა მფრქვეველი
და ცის უდაბნო უდაბნოა სევდით მოცული...
ფეხთქვეშ მიგდია დამსხვრეული სწრაფვათა ნავი,
მაგრამ ოცნება მაინც სცოცხლობს კვლავ, მომხიბლავი,
კვლავ ტალღებს ელის... ვით გრიგალის შემდეგ ტყე-ველი,
იმავე გრიგალს ელოდება დაუძლეველი.

[1914 წლის ივნისამდე]

...და გაფიტრდა

და გაფიტრდა ქალის სახე, და გაფიტრდა ქალის სახე,
როცა კოცნა პირველ ტრფობის მის მხურვალე ტუჩს შევახე.

და გაფიტრდა ის მაშინაც, როცა იგრძნო რაღაც ძალა,
და გაფიტრდა, როს ამ ძალამ წინ სხვა მხარე გადუშალა.

და მე მახსოვს მხოლოდ ერთხელ სახე გაუალისფერდა,
ალბად ტრფობამ გაიტაცა და თან გულიც სძგერდა, სძგერდა.

და გაფიტრდა... ვნახე ბოლოს, კუბოში რომ იწვა წყნარად,
თვალდახუჭულს საკმეველი გარს უვლიდა ნაზ-ნარნარად.

და ყვავილთა შორის იწვა სანთლისფერი მისი სახე,
როს მხურვალე ჩემი სული გაცივებულ ტუჩს შევახე.

და მას შემდეგ ვერ ვიცილებ უჩვეულო ფიქრთა კრებულს
და ვიგონებ, და ვიგონებ ქალს, სიკვდილით გაფიტრებულს.

[1914 წლის ივნისამდე]

ქალის ლადი

როცა შუქი ვარდისფერი, ვარდისფერი, მორცხვი, ნაზი,
დაიღვარა განთიადზე,
როცა სხივმა ოქროსფერად მთა აანთო ბუმბერაზი
და ბალს, ახლად აყვავებულს, გადააჭდო ოქროს ხაზი,
და ყვავილებს, მორცხვ ყვავილებს მოახვია ოქროს მტვერი,
და წერნეტა ხის მწვერვალებს ფრთა შეახო ოქროსფერი,
და ტოკავდა დილის ხმებზე წვეთანკარა ოქროს ჩქერი,

მაშინ, ტურფავ, გადაბურულ ხის რტოებში ისე სჩანდი,
რომ საოცრათ შემიყვარდა შენი ლანდი, შენი ლანდი.

ვერ ვარჩევდი, სიცოცხლეო, მე იმგვარად გარდაგქმენი,
რომ მეგონა, თუ ხორცსხმული იყო ლანდი იგი შენი.

მაგრამ რისთვის გამჭვირვალედ გახდა ლანდი, ჩრდილი, ანდა
რისთვის შორად, ზეციურად, მიუწდომლად მომელანდა?

ხელუხლებელს, ჰაეროვანს სხეულს ხელი ვერ შევახე
და ვიგრძენი, რომ თანდათან იშლებოდა ლანდის სახე

და ვიგრძენი, რომ როდესაც მომეხვია მსურდა ხელი,
მხოლოდ ეთერს უსხეულოს ჩრდილი რთავდა შეუცვლელი.

დნება, დნება ოქროს ლანდი!
დნება ლანდი,
ჰქრება ლანდი,
ვდგევარ გრძნობამორეული,
მოგონება სევდას მაქსოვს,
მაგრამ მახსოვს, მუდამ მახსოვს
ლანდი წმინდა, მოწყენილი,
ლანდი არაქვეყნიური, ლანდი უცხო, შორეული!

[1914 წლის ივნისამდე]

მე და ზამბახი

ბნელ ღამის დროს წყნარი ძილი რომ ეწვევა თეთრ ზამბახებს,
მათ ნარნარი მთის ნიავი უალერსებს, აცახცახებს.

დასჩურჩულებს: „სიზმრად ვნახე თქვენი სახე მომხიბლავი
და მოფრენა განვიზრახე, გენაცვალოსთ ჩემი თავი!

მზეს ნუ ელით... დღე დიდია, სიზმარს უნდა ყურისგდება,
სანმოკლეა ეგ სიზმარი, გაკოცებს და გაფრინდება,

გაფრინდება... მერე ცეცხლის მზე ამოვა, დღე მწვავდება
და გგონია, თითქო იგი არასდროს არ გათავდება!“

მეც, მეც ასე მიჩურჩულებს იდუმალი ფიქრთა გროვა,
დავივიწყო, ვინაც ჩემში გრძნობათ ცეცხლი ამოსწოვა,

მაგრამ მაინც ჩემი სული, ვით ზამბახი მინდორ-ველის,
მზის ამოსვლას უდარაჯებს და სიყვარულს ელის, ელის.

[1914 წლის ივნისამდე]

სიცივე

ქარით დატირებული, უნუგეშოთ შთენილი
მე მინახავს ფოთოლი ველად ჩამოცვენილი.

და სტიროდა მიდამო, იძრცვნებოდა ტყეები,
და სცურავდენ, სცურავდენ შემოდგომის დღეები.

შემდეგ თოვლი დასცვივდა და ვით სულს მოტივტივეს
შევაჩვიე სიცივე ჩემი გულის სიცივეს.

შემდეგ... შემდეგ არ ვიცი! უნუგეშოთ შთენილი
იყინება ფოთოლი ველად ჩამოცვენილი...

[1914 წლის ივნისამდე]

* * *

ჩემი ვარსკვლავი, სატრფოო, ცის თაღზე შუქად რომ ადის,
შენი ლიმილის ცეცხლია, გამათბობელი მარადის;

ჩემთვის სიმღერა, შვენებავ, შენი ხმა არის ნარნარი,
დიდება სიყვარულისა, ლმერთთ სამსხვერპლოზე დამდნარი.

და მე, შენს მგოსანს, იქ ძალმიძს მარადუამს ვიბედნიერო,
იქ ძალმიძს მხოლოდ ვიცოცხლო, სადაც შენა ხარ, ციერო.

და რაც კი ქვეყნად ამ ჩემს თვალთ უეცრად მოეჩვენების,
მარტოდენ ანარეკლია მაგ ლვთაებრივი შვენების.

[1914 წლის ივნისამდე]

მაისის ლამეს

მაისის ლამეს, გაბრწყინვებულ მაისის ლამეს
ლამაზ ლეილას ფანჯარასთან მე მივიპარე.
მე ფეხაკრეფით გავიარე ბალის ბილიკი
და მეშინოდა, რომ ლამის ლანდს მპარავდა მთვარე...
მე შევიხედე ფანჯარაში... ლეილა ამ დროს
ფიქრს მისცემოდა უდარდელათ წამონბლილი,
სჩანდა, რომ რაღაც ოცნებებით შორს გატაცებულს
გულმკერდს ურხევდა და შინს გვრიდა სიამე ფრთხილი.
აი, წამოდგა... ტყის გედივით ყელმოლერილმა
ვარსკვლავთ გახედა დაფიქრებით და გაილიმა,
იგი შვენოდა – ნაზი, როგორც პირველი ვარდი
და მკვირცხლი – როგორც უდარდელი მაისის წვიმა.
წიგნი მიაგდო, ბროლის თითოთ თმა გაიშალა,
შემდეგ გაიძრო ტანსაცმელი – ასძრა საბანი
და მე სპეტაკი, ვით მაისის თეთრი ყვავილი,
წინ წამომიდგა ახალგაზრდა ქალწულის ტანი!
მაისის ლამეს, გაბრწყინვებულ მაისის ლამეს,
როცა ვარდები იშლებოდა, ყვავოდა ველი,
ბევრჯერ ლეილას ფანჯარასთან მიდარაჯნია,
ბევრჯერ მდენია ტრფობის ცრემლი შეუწყვეტელი.

[1914 წლის ივნისამდე]

ესპიზი

ცისფერ თვალებს არ სწერიათ ხილვა ბედის უკეთესის,
ბროლის თითებს თამაში აქვთ და გიტარაც კვნესის, კვნესის:
„ასე რისთვის შეიცვალა გაზაფხულის წმიდა დილა,
თუ ღიმილი მხიარული ჩემთვის ჯერაც არ ყოფილა!
ასე რისთვის მიეფარა მზე დალვრემილ მთის ნაპრალებს,
თუ ნამდვილი მზის ნათელი არ უნახავთ ჯერ ჩემს თვალებს?“
მე რა ვიცი, სიცოცხლეო, რა გალონებს, რა განუხებს,
არც ის ვიცი, შენს კითხვაზე რომელი ცა გიპასუხებს,
შერიგების მოლოდინში ბედი ჯერაც არსაით სჩანს
და ვერ ვნახე კაცი, ვინაც არ იცნობდეს მაგ კაეშანს.

[1914 წლის ივნისამდე]

ԱԹԱՐ ԺԱՅՈԼՈ

Քոյքազս ქարո, նած-նարնարո, դա դայնարո Քոյքազս, Քոյքազս...
դա ზլզուս ტալլա, ტալլա ჩյարո մմայրո լրենոտ սալ կլճես լռոյքազս...
Յորութոնցի ալուսոյերո, Յորութոնցի ցուս ոյերագու
ზլզուդան պամգուս, պուգան ზլզամճուս մթուս ալմյուլմի հագուս... հագուս!
Վացեցար մտանց, վացեցար մարդո, վացեցար երտո, վացեցար ոծլագ...
Մորոյուլո արցոնա սիհանս, արցոնա արց մախլոնձլագ.
Մեօլուց երտո օալյանո, զոտ ղամուս ոյրտա ցարեյուլո,
դայնանանքս կարուսացան դայլուետուլո, դաեյուլո.
Բյու, ժախուլուց օսմուս ზլզուդան: „Վոլյուպեօն, Պայ-Շու... նազո!“
Ալինագ, զոնմե օլյուպեա... ზլզա կյածո դա սայլազո.
Դա ზլզա եարոնքս... ზլզուս յոյսպրոյուլո տացգաննիրոյուլ մյերմոլուս յլուս,
մացրամ այ տացս զոն ցասնորացս? ան մենացըս զոն շմբելուս?
Զոն ցայցեաս մռմակաձացուս ցանյուսանձլորյուլ ծոլմա-նալզելուս?
Զոն րաս ցդյեաս ցըճուս կանցյեաս, սեցա ունենուս ցամռմասանցելուս?
Սագ արուն մեցոնձրեօն, նյուտոյ պայլա ზլզամ դաշոյարա?
Զլզանց կապո օլյուպեօն, Շվելա շնճա, նազո, ჩյարա!
մացրամ կմարա, ալար օսմուս արց կյուտունո, արց ցուգեօն,
դակալյութա! Տովուրում մշտանտյա յնապոյզո մոնուգեօնա...
Քոյքազս կարո, նած-նարնարո, դա նաժցնարո Քոյքազս, Քոյքազս
դա ზլզուս ტալլա, ტալլա ჩյարո սալ կլճես ցերմզուն,
լռունուս դա լռոյքազս!

[1914 Ելուս օվնուսամցե]

საიდუმლო

ფრთხილად!

ხელი არ შეახო ჩემს დაფარულ გულისძგერას,

თორემ ვფიცავ, არ დავინდობ შენს უმანკო ბედისწერას!

ფრთხილად, ფრთხილად! დაუკირდი ჩემს ქცევას და

თვალთა ცქერას

და ნუ ცდილობ თვალებიდან საიდუმლოს გადაწერას.

საიდუმლო მაგიწყდება... ხსოვნის ბსკერზე დამარხული,

საიდუმლო, რომლის ტკივილს განიცდიდა მარად გული,

საიდუმლო, რომლის სევდამ გადმომდვარა სინანული,

საიდუმლო, რომლის მწარე სირცხვილივით მდევდა, მდევდა,

საიდუმლო, რომლის სიღრმეს ვერ დაიტევს შენი სევდა!

ოჳ, ამ მწარე საიდუმლომ თავგანწირვა შექმნა მწარე

და ამოსწვა ჩემი სული ერთხელ წმიდა, მოელვარე...

და ამოსწვა სული, მაგრამ შეუერთდა თვით ალს ნაქსოვს,

თვით დაიწვა და გარწმუნებ, არაფერი დღეს არ მახსოვს.

მე არც ვნანობ! მეტსაც ვიტყვი, თუ დამჭირდა თვით სიკვდილად
მოვაჩვენებ ვისმეს ჩემს ბედს... შენ კი ფრთხილად,

ფრთხილად,

ფრთხილად!

[1914 წლის ივნისამდე]

* * *

სიცოცხლის აჩრდილს
სული არ ერთვის,
სხვა გამოძახილს
ვისმენ ყოველთვის.
მხიბლავს ეთერი
და ვმღერი... ვმღერი...
სხვა ყველაფერი
ერთია ჩემთვის.

სასიყვარულოდ
გული აღარ თრთის,
აღარ მიწოდებს
ნეტარება მთის,
შავ დემონს მივე
ფრთა მოტივტივე
და ყოველივე
ერთია ჩემთვის.

ადრე წამერთვა
ალერსი ღმერთის,
სხვა ღმერთს არც ვეძებ,
არც სული ელტვის...
დღეს კი ვის ველი?
დღეა ნათელი
თუ ღამე ბნელი –
ერთია ჩემთვის!

[1914 წლის ივნისამდე]

პრისტი

მწარე ბრძოლის ცეცხლ-ალმულში ელვარებდა ჩემი ხმალი,
მე არ მრნამდა ამ ბრძოლაში გაკითხვა და ცოდვა-ბრალი

და სადაც კი ხელჩართული მწვავდებოდა კაცთა ომი,
როგორც ლომი მე ვიბრძოდი, ცეცხლისა და სისხლის მდომი.

ყვავილოვან სიყმანვილის რომ დამიჭვნა ია-ვარდი,
მე მწყუროდა სისხლის ღვრაში ჩამენთხია გულის დარდი.

მაგრამ ერთხელ, როცა ველად მე გარს მერტყა მტერთა ჯარი,
მწარე კვნესა შემომესმა გულის სილრმით ამომსკდარი:

დაჭრილი და ძალმიხდილი ბრძოლის ველზე ეგდო მტერი,
სისხლი სჩქეფდა და ერთოდა მტვერში სისხლი, სისხლში მტვერი.

და რა უნდა მომხდარიყო, რომ მომეკლა ეგ მტარვალი?
მე ავთრთოლდი, ავკანკალდი და ვიშიშვლე სწრაფად ხმალი –

მაგრამ ამ დროს, ქრისტევ, ქრისტევ, წინ დამიდგა შენი ჩრდილი,
მზის სხივივით ანთებული და ჩრდილივით მოწყენილი.

და ეგ სახე, შენი სახე, სახე მშვიდი, სახე მტკბარი
სათნოება-მწუხარებით მიცქეროდა განამწარი.

საყვედურით მიცქეროდენ მე თვალები მწველი შენი
და მკითხავდენ, თუ რათა ვკლავ, ან მკვლელად რად შევიქნი?

შეიბოჭა ჩემი ლტოლვა, განადგურდა ფიქრი ლალი,
ძირს დავუშვი სწრაფად ხელი და დავყარე იარალი –

მივატოვე ბრძოლის ველი, გადვიარე ტყე და მთები
და მას შემდეგ მოღალატეს მეძახიან მეგობრები.

1914 წ. მარტი

დგება ნაზი შემოდგომა

დგება ნაზი შემოდგომა და მეც სევდით ვეგებები...
შეიცვალა ირგვლივ რალაც... მაგრამ რა? რომ ველარ ვხვდები?

ოქროს ფოთლებს ხეივნებში ფერხული აქვთ, როგორც ძველად...
როგორც ძველად მთვარიან ცას ღიმი უკრთის მიმზიდველად...

როგორც ძველად ნიავქარი დასრიალობს ჩემს მახლობლად,
ჭკნობის სუსხი ახლოვდება... მხოლოდ მე ვარ ეხლა ობლად...

იყო ჩემთან... ჩემთან იყო ის თვალები... ის ღიმილი,
როგორც შორი მოჩვენება, ვით ზმანება ნაზი, ტკბილი...

ალარ არის... გაზაფხულის ყვავილებთან ერთად მოჰკვდა
და ეგ გულიც უჩვეულო დარდ-კაემნით ამიტოკდა.

ფერმილეულ შემოდგომას მარტოდმარტო ვეგებები...
ველოდები ნახულ სახეს და ლოდინში ვკვდები... ვკვდები!

ვარსკვლავთ შუქი დაიცარა და განელდა მიმქრალ ცაში,
მხოლოდ მთიებს ისევე აქვთ იქ სინათლე და კაშკაში...

[1914 წლის ივნისამდე]

* * *

რა წამებაა, როცა იმედთა
ნაცვლად გულს ჭმუნვა გარემოიცავს...
როცა მეგობართ გუნდი გეცლება,
როს თანამგრძნობი არავინა გყავს...
როცა არა ხარ მოხუცებული
და მაინც გრძნობ, რომ არავის ელი,
როცა უცხო ხარ მთელი სოფლისთვის
და უცხო არის შენთვის სოფელი.
სიზმრად გინახავს ხორცსხმული სახე
მშვენიერება, თვით სიზმარ-ცხადი,
ელოდი შენ მას და გიტაცებდა
ოცნებათ გუნდი ფერად-ფერადი.
მაგრამ შავი ფრთა სინამდვილისა
გაგინადგურებს ამ ოცნებას ტკბილს,
როცა უმიზნოთ, უნიადაგოთ
გულხელდაკრეფით მოელი სიკვდილს.
ხანდახან ღვინით სავსე ფიალით
მოკლე ხნით გათრობს ოცნებათ ზოლი,
მაგრამ რას აქნევ წუთიერ შვებას...
შენ სულითა ხარ ქვეყნად ობოლი.

[1914 წლის ივნისამდე]

* * *

თეთრ თოვლის ქვეშ სიზმრებს წაჰყვა მთის გრეხილი უხმო, შორი,
და, მღელვარე გაზაფხულზე ძილს მიეცა ველ-მინდორი.

თოვლის ფიფქით შეიმოსა ნაძვი ტოტებდახლართული,
და, მღელვარე გაზაფხულზე გაიყინა ნაკადული.

გაიყინა ცის ლაუვარდი, გაიყინა ქვეყნის გული,
და, მღელვარე გაზაფხულზე ტყე გარინდდა დაბურული.

სად, სად გაჰქირა ასე უცებ ყვავილთა და ფოთოლთ კრება
და ოცნება გაზაფხულის მუდამ რისთვის მესიზმრება?

[1914 წლის ივნისამდე]

იბობოქრე, ცხოვრების ზღვავ, ჩემს ირგვლივ,
იბობოქრე, მე რა უნდა დამაკლდეს!
პიტალო კლდეს რას დააკლებს ზღვის ტალღა,
რას დააკლებს ზვირთი გამობრძმედილ კლდეს?
ბევრგვარ გრიგალს გადუვლია ჩემს გულში,
ბევრს ქარიშხალს ურბენია ქვითინით...
ბევრი ტალღა აღტყენილა გარშემო,
დავუსჯივართ შურით, ეკლის გვირგვინით.
ბევრჯერ ჩემი იალქანი დაშლილა,
არ მჯეროდა, თუ სადმე გამიყვანდა,
ბევრჯერ, ბევრჯერ მწარედ ავტირებულვარ,
როცა შველა არსაიდან არ სჩანდა.
ყველაფერი ამ ბრძოლაში დავლუპე:
იმედები, უმართლობის მხილება...
რაც დავკარგე, ხომ დავკარგე სამუდმოდ,
დამრჩა მხოლოდ მწარე გამოცდილება.
და რაც დამრჩა – მას ვერავინ წამართმევს,
უიმედოს, ბედისაგან განამეტს
და ვიბრძოლებ სტიქიური გულისთქმით,
რაც დავკარგე, რას დავკარგავ იმის მეტს?
იბობოქრე, ცხოვრების ზღვავ, ჩემს ირგვლივ,
რას გახდები, ან რა უნდა დამაკლდეს?..
პიტალო კლდეს რას დააკლებს ზღვის ტალღა,
რას დააკლებს ზვირთი გამობრძმედილ კლდეს?..

[1914 წლის ივნისამდე]

წავიპის ლამე

შავბნელი ღამე, წამების ღამე,
ღამე მწუხარე, ღამე სირცხვილის!
ოჳ, ნეტავი არ გათენდებოდეს,
არ გაჩნდებოდეს სიწითლე დილის!
რად მოვექეცი ასე საშინლად,
განა სამისო მწყუროდა რამე?
შავბნელი ღამე, სირცხვილის ღამე,
როგორ ვაწამე, როგორ ვეწამე!
ნუ, სინანულო! ეხლა არ მინდა
მთელის არსებით ჩავხედო ჩემს გულს,
იქ ვერ ვიპოვი ვერც გამართლებას
და ვერც სიბრალულს და ვერც სიყვარულს.
როგორ შევხედო ეხლა იმ თვალებს?
როგორ შევხედო ეხლა იმ ტუჩებს!
შავბნელი ღამე, სირცხვილის ღამე
ხსოვნას ვეღარ შლის, წყლულს ვერ მიყუჩებს.
ნუ, სინანულო! ეხლა არ მინდა,
რომ გამიახლდეს იგი წამება,
საცაა ხომლი მოჰკვდება ცაზე,
საცაა ნისლი გაიფანტება...
მალე იფეთქებს ალმოსავლეთი
და სინანულიც მოჰკვდება დილის,
ღამე შავბნელი, წამების ღამე,
ღამე მწუხარე, ღამე სირცხვილის.
მოჰქრის, მოღელავს სიონ ნარნარი,
ვარდი ირხევა, იფრქვევა ცვარი.
თენდება! ლმერთო ოჳ, რად, რად, რისთვის!
ღამე... ის ღამე... დაუვიწყარი.

[1914 წლის ივნისამდე]

ალგომაი

მყინვარის თოვლით მოსილ ყინულზე
ობლობის სიტყვა მგზავრმა დასწერა,
შიგ ჩააქსოვა დაგუბებული
კაეშან-ფიქრი და გულის ძერა!
მყინვარის გულზე დაწერილ სიტყვებს
მზის ფერადები ამოშლის მალე,
ასე წაიშლის ლამაზ ქალის ორთქლს
სარკე სპეტაკი და გამჭვირვალე.

მაგრამ ჩემს სიტყვას აქ ამოკვეთილს
ვერ წაშლის ქვეყნის ზრახვა და ვნება,
წამალე თუნდაც ამ ფურცლებიდან,
მაგ გულიდან არ ამოიშლება.
გულიდანაც რომ ამოიცალო,
ჰანგებს გაჰყვება სიმღერა თანა,
ქვეყნისთვის იგი არ არის უცხო –
უცხო არაა მისთვის ქვეყანა!

[1914 წლის ივნისამდე]

პოეტის

ნუ ერწმუნები, ნუ ერწმუნები
ქალის ნაზ ღიმილს და თვალთა ცქერას.
იგი წაგართმევს სულის სიწრფელეს,
იგი მოშხამაგს ციურ სიმღერას.
როდესაც იგრძნო, რომ ის გშორდება,
უტოლმეგობროდ მალე გაგრიყავს,
ნუ დაივიწყებ იმ მწუხარე დროს,
რომ მარტო არ ხარ, რომ სხვა ღმერთიც გყავს.

ნუ დაენდობი შენს წრფელ მეგობარს,
თავისუფლება ვინ დაიმონა?
ან იმათში ფეთქს მონური გული
და ან შენა ხარ იმათი მონა.
როდესაც იგრძნო, რომ მათი გრძნობა
შენდამი წმიდა ყვავილებს ჰკარგავს,
ნუ დაივიწყებ იმ მწუხარე დროს,
რომ მარტო არ ხარ, რომ სხვა ღმერთიც გყავს.

რა არის კაცთა ქება-დიდება?
იგი ფუჭია და წარმავალი,
მე ბაქშვობაში მრწამდა დიდება,
რომ მომეხიბლა მით მხოლოდ ქალი.
წარვიდა ის დრო... დღევანდელი დღე
წარსულ იმედებს არ ჰგავს და არ ჰგავს.
წარვიდა ის დრო... მე მაინც მჯერა,
რომ მარტო არ ხარ, რომ სხვა ღმერთიც გყავს.

როცა დაჰკარგო თავშესაფარი,
არსით არა სჩინდეს ბინა ისეთი,
რომ იქ იპოვო შენ მყუდროება,
რომ იქ იპოვო შენ შენი ღმერთი,
ნუ დალონდები... არსებობს მხარე,
სად თანაგრძნობაც არსებობს შენთვის,
იქ დაუდეგარ მეოცნებე სულს
ბინა ექნება მუდამ, ყოველთვის!

იქ ლოცულობდა პეტრარკას სული,
იქ მუსიკობდა თვით დანტეს ქნარი
და ბაირონის ამაყმა ღელვამ
მხოლოდ იქ ჰპოვა ნავთსაყუდარი,
იქ რუსთაველის დატრიალებდა
შემოქმედების წრფელი ნადიმი
და იქ ტოკავდა უცნაურ გრძნებით
ბარათაშვილის მწუხარე სიმი.

ვაი მას, ვისაც იმედდაკარგულს
ვერარა შველის, ვერარა იხსნის...
შენ კი, მძლეველო, ნუ დალონდები,
თვით ეგ წამება შენვე ღმერთად გქმნის!

[1914 წლის ივნისამდე]

ჩემს ირგვლივ

აპა, ჩემს ირგვლივ ყველაფერმა იცვალა ფერი,
ვარდ-ყვავილებით მოიქარგა წყაროს ნაპირი,
მზისა სხივებით აფერადდა ცისა ეთერი,
ჭალაზე მწყემსის ალუძუნდა მწუხარე სტვირი...
წყნარმა ოცნებამ არემარე გარემოიცვა,
შეამკო იგი ყვავილებით და მორცხვი ვწებით,
ვით მოჩვენება – გაზაფხული დაეშვა ქვეყნად –
გაასვენებენ შემდეგ ცხედარს ამ გვირგვინებით,
გავყვები კუბოს თავდახრილი და მოწყენილი,
გული არ იზამს, კვლავ სიცოცხლით რომ ავითრთოლო.
ყველა გათავდა, ყველაფერმა იცვალა ფერი,
მარტო ჩემს კვნესას განუსაზღვრელს არ უჩანს ბოლო.

[1913]

ქალცელი

როგორც წყნარი ღიმილი
ნათელ-კაეშნიანი,
ღამე დაუვინყარი,
ღამე სუბუქფრთიანი
ეფინება მაღალ მთებს,
ეფინება ველს მწვანეს
და ვერცხლისფრათ ანათებს
მკვდართა სამყოფ სავანეს.
ჯვრებს და ლოდებს, აკლდამებს
ლანდი ღონემიხდილი
დასწოლია აჩრდილათ
შავი, როგორც სიკვდილი.
ღამის სიო ზვირთივით
ბალახს ედუდუნება...
და მთლად გარინდებული
მას ყურს უგდებს ბუნება.

ჩუ, სად ისმის ქვითინი
გულით ამონახეთქი,
ოჳ, არ გესმის ეს ოხვრა?
სიოვ, დაჩუმდი-მეთქი!
ოჳ, რამდენი ტკივილი,
რამდენი მწუხარება
და რამდენი ვაება
ამ ხმებში იფარება.
სდგას ქალწული საფლავთან
და მთებს კი ღამის ჩრდილი
დასწოლია ლანდებათ
შავი – როგორც სიკვდილი.

[1914 წლის ივნისამდე]

სამოყვარლი

აპა, ის კუთხე, ის არემარე,
სადაც ოცნება გვირგვინებს ჰქმნიდა,
სად სიყმაწვილე სწრაფი, ვით ტალღა,
ვით ტალღა სწრაფი გაპქრა, წავიდა.
აპა, ის მთები, ცად აზიდულნი,
მუდმივი თოვლით მოსილი მთები,
წავიდა, გაპქრა სულყველაფერი,
როგორც ზვირთები, როგორც ზვირთები!
აი ტყე, სადაც ვხეტიალობდი
მთის ნიავივით თავისუფალი...
სადაც ყმაწვილურ აღტაცებაში
ხარობდა გული, ხარობდა თვალი!

რას აქნევს სული თავისუფალი
საქართველოსას დრტვინვას უმიზნოს,
დღეს მშვენიერი თავისუფლება
იქ არგის ძალუძს, იგრძნოს და იცნოს.
ბედო, წაილე, რაც მოგიცია,
წაილე კაცთა პატივისცემა,
წაილე ჩემი მგოსნის გვირგვინი,
ყმაწვილთა ოხვრა და ქალთა კდემა,
წაილე ყველა, – მე არ ვინანებ,
რაგინდ საშინელ ცეცხლში ვდნებოდე,
მე ამ მონებში ცხოვრება არ მსურს, –
არ მსურს, რომ მათში ძეც ვითვლებოდე.
გთხოვ, დამიბრუნე ჩემი სამშობლო,
სადაც მალხენდა ოცნება ყრმობის,
სადაც არ ვგრძნობდი, თუ რას ნიშნავდა
ფიქრი სირცხვილის, ფიქრი მონობის,
სადაც ფრთასუბუქ დამის სიოსთან
შემეძლო ფიქრის წრფელად განდობა,
ოჳ, დამიბრუნე ჩემი სამშობლო,
ჩემი სპეტაკი ახალგაზდობა!

[1914 წლის ივნისამდე]

ვერსად, ვერასდროს...

ვმოგზაურობდი... მე მინახავს მუდმივი თოვლით
შემოსუდრული კავკასიის ამაყი მთები,
იმათ ალერსში მსურდა შენი გადავიწყება,
მაგრამ, აჩრდილო, წუთითაც კი არ მავიწყდები!

თერგის მშფოთარე ხმაურობას მე ყურს ვუგდებდი
და შევაჯერე დარიალის ბილიკ-კორდები,
განშორებითა მსურდა შენი გადავიწყება,
მაგრამ შენს აჩრდილს, სიცოცხლეო, ვეღარ ვშორდები!

...და ვმოგზაურობ... კიდით-კიდე, ზღვა და ხმელეთზე
მიჰქრის, მიტაცებს მწუხარების ამაო ფრთები,
მაგრამ ვერასდროს ვერ გივიწყებ და ისიც ვიცი,
ვერსად, ვერასდროს, ვერცერთი გზით ვეღარ შეგხვდები!

[1914]

უცხო მოგონება

თითქო სიოს ფრთის შეხებით ჩამოსცვივდა ყვავილს ნამი
და ჩასძირა ლაუვარდმა ტბამ დაზნექილი ტბის ლერწამი;

თითქო ბნელი შემოდგომის წვიმის ზურმუხტ-მარგალიტმა
ღამის ნისლში ააკვნესა დადუმებულ ქნართა რითმა.

თითქო მთელი უკვდავება სრიალებდა ლაუვარდ ცაზე
და ლაუვარდის ამოოხვრით კრთოდა თვალთა სილამაზე.

ოჳ, თვალები! არ მინახავს მე თვალები უკეთესი,
მათში კვნესდა კაეშანი, მისტიური ცეცხლის მთესი;

მათში ფეთქდა უკვდავების უხილავთა ტალღათ კრება,
რაც არადროს არ მოჰკვდება, რაც არასდროს არ გაჰქრება.

და როდესაც მე ტყვედ ვყავდი იმ თვალების ჯადო-გრძნებას,
მწარე კვნესით ვიგონებდი რაღაც უცხო მოგონებას.

[1914 წლის ივნისამდე]

ამაოდ ცდილობ

ამაოდ ცდილობ, რომ ჩემის სახის
გულის სიღრმეში წაშალო კვალი,
ის იქ იცოცხლებს, როგორც ტბის გულში
ჰაეროვანი სახე ფერმერთალი.
ვერ განიშორებ ყინიან წარსულს,
მოგონებებში ვერ წაშლი მის კვალს,
მუდამ აანთებს ის შენს თვალებში
ბედნიერ დღეთა ცხოველ ნაპერნკალს.
წადი, სადაც გსურს... შორს, მარტო მყოფი,
როგორც დემონი მოუსვენარი,
არ მოგასვენებს მისი დაღლილი
და გატაცებით მკვნესარე ქნარი.
და სახე მკრთალი, დაღონებული
მარადის თვალწინ დაგეხატება,
ბევრჯერ იტირებ და იქვითინებ,
ბევრჯერ წარსულზე გული დაგწყდება.
მოჰკვდი, რას ნიშნავს? სამარეშიდაც
თან ჩამოგყვება მწველი სიმღერა,
რომ დაგიბრუნოს განსვენებაში
სიცოცხლის სული და ვწების ძგერა.
და როცა ცრემლი განშორებისა
ტრფიალის სურვილს გაუცხოველებს,
გიურუ ვწებით ზედ დააკვდება
ორ გველს და ორ ლერნს: შენს დაღლილ ხელებს.
სიმებს გააბამს ორთა გულს შუა,
სიმღერას მოჰყენს ტყესა და ველებს
და ამ ჰანგებში თვით უკვდავება
შენს სურვილებსაც აამეტყველებს.
და ფერფლი შენი მივიწყებული
სამარის ჩრდილით გამოიხმობა,
ასეთი არის ტრფობის სიმღერა
და ასეთია თვით იგი ტრფობა!

[1914 წლის ივნისამდე]

ერთხელ...

წვიმა და ქარი ერთხელ ღამით, შემოდგომისას
მძვინვარ ქარიშხლად გადაიქცა და იწყო ქროლა.
დაიგუგუნა შუალამის შავმა გრიგალმა,
მიაწყდა ხეებს, ააკვნესა და აათროლა.
კარი, ფანჯრები, სარკეები მთლად აძაგძაგდენ,
სანთელთა შუქმა ქარიშხალთან დაიწყო შებმა,
მიირხ-მოირხა მოელვარე დიდი კანდელი
და რეკა იწყო მისმა მწვანე მინის მძივებმა.
მე ვკანკალობდი. უცნაურ ძალს ტყვედ ჰყავდა მაშინ
ქარის აკკორდათ გარდაქმნილი ჩემი არსება.
როგორ მწყუროდა ქარიშხალთან ერთად გაფრენა,
ბრძოლა, სიცოცხლე, სიყვარული, სიამე, შვება!

[1914 წლის ივნისამდე]

სიკვდილი

მას სიკვდილის დროს ეჩვენებოდა,
რომ სული, ხორცით განშორებული,
ცისა ლაქვარდში დასრიალობდა,
სადაც შუქს ჰეფენდა ვარსკვლავთ კრებული.
და გადაცურდა უსაზღვრობაში
თავისუფალი, ფრთამოელვარე
და დავიწყების წმინდა უფსკრულში
გადადნა ზრუნვა და ფიქრი მწარე...
და ლიმილს ჰგვრიდა მას ქვეყნიური
ყოველი ტრფობა, ყოველი ვნება,
რა უქმად სჩანდენ ყოფნის დღეები,
რა ფუჭი იყო კაცთა დიდება.
აქ არ სუფევდა კაცთ სიხარული,
არც კაცთა ვრცელი ტანჯვა-წამება
და სიკვდილის დროს გაპქრა ყოველგვარ
გამოცანათა იდუმალება.

[1914 წლის ივნისამდე]

ეძემის პარაგთან

სული მწუხარე, სული ცოდვით გამოწვეული
ედემის კარებს დალვრემილი მიუახლოვდა,
ყოფნის ღელვისგან დავრდომილი, იჭვით სნეული,
დღის ელვარებით მარტო ჩრდილად გადაქცეული,
თვალებით სთხოვდა ბედს ზენაარს, თვალებით სთხოვდა!

განსასვენებლად სულს სწყუროდა ხეების ჩრდილი,
ისე საამოდ ირხეოდა ტყე დაბურული,
ისე აღმძვრელად სისინებდა ნიავი გრილი,
ისე წარმტაცად მოისმოდა ფრინველთ ჟივილი,
რომ დიდხანს, დიდხანს კრძალვით იდგა ცოდვილი სული.

მისთვის არ იყო ეგ ედემი გაშენებული,
არც ეგ სიგრილე გაჩენილი არ იყო მისთვის,
ედემის სახე მას ამაოდ მოსტაცებდა თვალს,
ამაოდ ფიქრი უხატავდა ტკბილსა მომავალს
მას, ბედისწერით დასჯილს მწარე უკვდავებისთვის.

ცის უდაბნოში შემდეგ იყო მხოლოდ მოწყენა,
ნეტარის ძილით ისვენებდა ანგელოსთ გროვა,
მარტო ცოდვილმა ქვეყნის სულმა ვერ მოისვენა,
სიზმრად თუ ცხადში თან დასდევდა ის შორი ლხენა,
რაც როსმე ნახა, მაგრამ თვით კი ვერ მოიპოვა.

[1914 წლის ივნისამდე]

უცილავი

აივაზოვსკის სურათის წინ

მზე დასავლით იღველფება, ლამის ბინდი ხლართავს ჩადრებს,
ლურჯ ცის ფსკერზე სხივი ჰკვდება, სალამს აძლევს ჩონჩხებს და
გვდრებს,

ფიქრში თავი დაუხრიათ სასაფლაოს დარაჯ ჭანდრებს
და ნაღველი შეპარვიათ სურნელოვან ალეანდრებს...
მარტოდმარტო ვეხეტები, საფლავთ შორის ვაჟლერებ ქნარს,
უხილავი მწუხრის ჩრდილში მეუბნება უკვდავ ზღაპარს:
„მე სული ვარ შემომქმედი შეუზღუდველ სულთა თანა,
სამუდამო – როგორც ლმერთი, დაუძლევი – ვით სატანა,
ყოფნამ ყოფნას უკვდავება უხილავათ დაატანა,
თქვენ, მცოცავნო, უკვდავება გიკვირთ განა, შეგშურთ განა?
ერთი ხელით ხომლს დავხატავ, მთვარეს მოვხვევ ოქროს სხივებს,
სიბნელისგან მზის შუქს გავყობ ანათრთოლებს, ანამძივებს,
ერთის სუნთქვით დედამინას გადავაფრქვევ ნაზ ყვავილებს,
მთას გრიგალი დაუბერავს, ააკვნესებს, ააკივლებს...
უხილავი ყველგან სუფეეს, უხილავი ყველგან გეძებს,
უხილავი გაგახარებს, უხილავი აგაკვნესებს,
დედამიწავ! სული მეფობს შეუზღუდველ სულთა თანა,
სამუდამო – როგორც ლმერთი, გაბედული – ვით სატანა“.
დედამიწას გარინდებულს მოხვევია ფიქრთ სამოსი,
რაღაც სევდით გამსჭვალულა მშვიდი სუნთქვა მიდამოსი,
მზე დასავლით იღველფება, ლამის ბინდი ხლართავს ჩადრებს
და ფიქრებს სწოვს სურნელებად ცელქი სიო ალეანდრებს.
ისევ ისე ვეხეტები, საფლავთ შორის ვაჟლერებ ქნარს,
ისევ ისე მეუბნება უხილავი უკვდავ ზღაპარს.

[1913]

თვით მიმოზა...

მე მიმოზა დაგინახე, უდაბნო და შიშველ მთაზე
მარტო იყო... ნათესავი არ გააჩნდა ქვეყანაზე.

ძირს კი, სადაც ქვეყნიური ვნების ხმები სულს სწამლავდა,
მარტოობა არ სუფევდა... მეგობრები ყველას ჰყავდა.

ეჱ, გულისთქმავ! რა ვუყოთ, თუ მარტოობა შენც გხვდა გზაზე,
თვით მიმოზაც ხომ მარტოა უდაბნო და შიშველ მთაზე.

და რა ვუყოთ, ბედო ჩემო, თუ ყოველთვის, თუ ყოველთვის
სამშობლოსთვის შენ უცხო ხარ და უცხოა იგი შენთვის?

ის ყოველთვის მარტო არის, ვისიც სული, ვისიც გრძნობა
ფაქიზია და ქვეყნიურ გატაცებებს ვერ ენდობა.

[1914 წლის ივნისამდე]

ქალი და ხელოვნება

ხავერდოვან მინდვრის ბალახს მოპიპინე არხევს ქარი,
თითქო ალერსს ევედრება და ჩურჩული ისმის წყნარი.

მაგრამ მალე დალლილ ყვავილს გაშორდება ცელქი ქარი,
გაიტაცებს ობოლ ყვავილს სწრაფუ-უმიზნო ნიალვარი.

გატაცებულ მგოსნის ჰანგებს გაგიუებით ისმენს ქალი,
თითქო სურს, რომ ამ ჰანგებში გარდაიქმნეს ძილგამკრთალი.

მაგრამ მალე ცელქი ქალი, ვით ყვავილებს თეთრი მტვერი,
გაშორდება დალლილ მგოსანს, მობეზრდება ყველაფერი.

მე მინახავს, ყვავილებზე მონავარდე თრთის პეპელა,
აშრობს და სცლის ყვავილის გულს ისე ნაზად, ისე ნელა...

მაგრამ მალე ყვავილის მტვერს კმაყოფილი მოსცილდება,
ყვავილი სულს განუტევებს, პეპელა კი პეპლად რჩება!

ასე მგოსნის წრფელ სიმღერას ქალის ნაზი სევდა ბურავს,
სულ ქალი სვამს ამ სიმღერას, სანამ მთლად არ ამოსწურავს.

ამოაშრობს გრძნობიერ გულს, საუკუნოდ მოსცილდება,
სიმებს დასწყვეტს საბრალო ქნარს და ქალი კი ქალად რჩება.

დავილალე მე ამ ამბით... თქვენ, მხატვრებო, თქვენც, მგოსნებო,
დაგრჩათ კიდევ ქალში რამე სანეტარო, საოცნებო?

[1913]

* * *

როგორც სინათლე მოხეტიალე,
გადივლის თვალწინ ტკბილ დღეთა გუნდი
და შემდეგ... შემდეგ ტკბილ სიზმარ-ცხადში
ჩაიხვევს ფიქრებს ღამის ბინდ-ბუნდი.
ამ ბინდ-ბუნდშიაც ნაზ ფრთაშეხებით
სიცხადის შვილი, ტკბილ დღეთა კრება,
როგორც სინათლე მოხეტიალე,
ისე გადივლის, ისე გაჰქრება.

[1914 წლის ივნისამდე]

იღვალი

სიყმაწვილის ტკბილთა დღეთა მოჩვენება მე შევქმენი,
მასში ერთოდა სილამაზე შარავანდედ-შუქის მფენი.
მასში წმინდა, უჩვეულო, ზეციური ცეცხლის მჩენი
ცისფერ თვალებს ანაზებდა სინარნარე ალმაფრენი.
და დღედალამ იმ ოცნებას ატარებდა ფიქრი ჩემი,
იდუმალად არა მქონდა მწუხარე უამს ნუგეშმცემი,
ნისლით იყო დაბურული ჩემი ზეცა და ედემი
და სალ კლდისკენ მიმართული იმსხვრეოდა რწმენის გემი.
მხოლოდ ერთხელ შევამჩნიე მოჩვენების მსგავსი სახე,
პაეროვან და მიმზიდველ ქალნულთ შორის დავინახე.
შემდეგ ბევრი ვივაგლახე, მთა და ბარი გადავლახე,
მაგრამ მაინც ვერსად ვნახე იმ თვალთ შუქი მოცახცახე.
დარდ-კაეშნით შესუდრული არ ვითვლიდი ყოფნის დღებს,
დემონიურ სულის ლტოლვით გადავევლე მთებს და ტყეებს,
ეკლიანი გზის სიძნელე დავძლიე და გადავლახე,
მაგრამ შენი ნაზი სახე ვერსად ვნახე, ვერსად ვნახე!
ცის ფსკერიდან ხმელეთამდე მოვიარე კიდით-კიდე,
ავაშფოთე ზღვის ტალღები, დავარღვიე ტბის სიმწვიდე,
ყმაწვილური გატაცებით ზეირთი ზეირთებს დავაჯახე,
მაგრამ შენი ნაზი სახე ვერსად ვნახე, ვერსად ვნახე.
დავითგალე ყვავილთ გუნდი, ტბის ლერწმებიც ვათვალთვალე,
არყოფნის წიგნს დავუკვირდი, ყოფნის წიგნიც გადავშალე,
წავიკითხე ცის ლაუკარდზე ვარსკვლავთ თრთოლვა მოცახცახე,
მაგრამ შენი ნაზი სახე ვერსად ვნახე, ვერსად ვნახე!
სად არ ვიყავ, სად არ გძებნე, ვის არ ვითხე, ვის არ ვთხოვე,
გავცილდი ხალხს მოფუსფუსეს, შევიყვარე სიმარტოვე,
რომ ოცნების სამეფოში ერთხელ მაინც დამენახე,
მაგრამ შენი შორი სახე ვერსად ვნახე, ვერსად ვნახე.
და დღედალამ იმ ოცნებას კვლავ ატარებს ფიქრი ჩემი,
იდუმალად არარა მაქვს მწუხარე უამს ნუგეშმცემი,
ნისლით არის დაბურული ჩემი ზეცა და ედემი
და სალ კლდისკენ მიმართული იღუპება რწმენის გემი!

[1914 წლის ივნისამდე]

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

ლამე დღეს შეხვდა ალდგენილს მკვდრეთით
და გადაჰკოცნა აღმოსავლეთით.

მაშინ განითლდა მორცევი სახე დღის,
მას შემდეგ იგი ლამის ჩრდილს უფრთხის.

ასე, მე მახსოვს კოცნით ნაკვალი
შენს ლოყის ძირში წითელი ხალი.

პატარა ხალი, კოცნის შემდეგ რომ
დააჩნდა სახეს და წაშალა დრომ.

მაგრამ მაშინ კი გადიდდა ხალი, სახეს მოედო ვით ნაპერწკალი.

მოედო! ასე კავკასიის მთებს
ავრორა მორცხვი ცეცხლით აანთებს

და შემდეგ ვარსკვლავთ უამბობს კრებას განცდილ სიამე-ბედნიერებას.

[1914 წლის ივნისამდე]

მე მესიზმრება

მე მესიზმრება კოცნა არაჩეცულებრივი,
რაღაც სპეტაკი და უმწიკვლო, როგორც ცის ვნება,
ჰაეროვანი – როგორც სიოს ნელი ალერსი,
მსუბუქი, როგორც გაზაფხულის დღეთა შვენება.
მე მესიზმრება ქვეყნისაგან განშორებული,
მხურვალე ლოცვით დაქანცული ქალწულთა კრება
და თვალთა ცქერა სათნოებით, ლმობით აღვსილი
მე მესიზმრება.

მე მესიზმრება რაღაც წმინდა, შორი ქვეყანა,
სადღაც, ოდესლაც ზმანებული, ერთხელ ნახული...
მე მესიზმრება ანგელოზთა ციური ნანა,
ღამის დუმილში ჩაქსოვილი და ჩასახული.
ტკბილი ოცნება გამიტაცებს, ვით სიზმარ-ცხადი,
მკრთალი სინათლით სევდის ნისლი მიდის და ჰქერება...
და რაღაც წმინდა, შორეული, უცხო ქვეყანა
მე მესიზმრება!

მე მესიზმრება ტკბილი ძილი, სამარადუამო,
ირგვლივ ბინდბუნდი და დუმილი დაურღვეველი,
მესმის, არც მესმის ქვეყნიურთა ვნებათ ძახილი,
თუ ეს სიოზე თრთის, შრიალებს მწვანე ტყე-ველი?
თუ ეს ზღვის ზვირთის სიმღერაა, რომ გამოისმის?
თუ ეს ზღვის ზვირთის სიმღერაა, უცებ რომ სცხრება?
და ტკბილი ძილი, სამუდამო, დაურღვეველი
მე მესიზმრება!

[1914 წლის ივნისამდე]

სიყვარული და ხელოვნება

მთის ასული სერზე შესდგა იდუმალი ხმით გართული,
შუბლს გვირგვინი უმშვენებდა დაფნის ფოთლით დახლართული...

და ოქროსფრად, და ოქროსფრად ელვარებდა თმა სხივნართი,
და სიოზე ირხეოდა გამჭვირვალე თეთრი კვართი.

და თითები რითმებივით ჩამოქნილი, ჩამომდნარი
ქნარს შეეხო და აღელდა უჩვეულო ღელვით ქნარი.

თვითონ სიოც კი აღელდა და გაიბნა წარმტაც ხმებში,
თვით პეპლებმაც უცნაური ცეკვა იწყეს ყვავილებში.

ყვავილებიც კი აღელდენ და აღელდა ირგვლივ ყველა,
არემარე შთაგონების წმიდა ცრემლმა დაასცელა.

ამ დროს გაჩნდა ქალწულთან ყრმა, სიყვარულის წრფელი სახით,
დაიჩოქა და ხორცსხმულ სულს უთხრა თრთოლვით და ცახცახით:

„ოჳ, გიპოვე! მე მიყვარდა შორეული შენი სახე,
დიდხანს გძებნე, მაგრამ მაინც ვერსად გნახე, ვერსად გნახე“.

ცეცხლად იქცა ორთა გულში შეერთების მწველი ვნება,
ერთი იყო სიყვარული და მეორე ხელოვნება...

ბუნებაო, როცა შენ მათ მკვეთრი თვალი გაუსწორე,
ორივ მოჰკვდა, აღარ იყო არც ერთი და არც მეორე!

[1914 წლის ივნისამდე]

მე და ლაშვ

ეხლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუალამე იწვის, დნება,
სიო, სარკმლით მონაქროლი, ველთა ზღაპარს მეუბნება.

მთვარით ნაფენს არემარე ვერ იცილებს ვერცხლის საბანს,
სიო არხევს და ატოკებს ჩემს სარკმლის წინ იასამანს.

ცა მტრედისფერ, ლურჯ სვეტებით ისე არის დასერილი,
ისე არის სავსე გრძნებით, ვით რითმებით ეს წერილი.

საიდუმლო შუქით არე ისე არის შესუდრული,
ისე სავსე უხვ გრძნობებით, ვით ამ ლამეს ჩემი გული.

დიდი ხნიდან საიდუმლოს მეც ღრმად გულში დავატარებ,
არ უმულავნებ ქვეყნად არვის, ნიავსაც კი არ ვაკარებ.

რა იციან მეგობრებმა, თუ რა ნაღველს იტევს გული,
ან რა არის მის სილრმეში საუკუნოდ შენახული.

ვერ მომპარავს ბნელ გულის ფიქრს წუთი წუთზე უამესი,
საიდუმლოს ვერ მომტაცებს ქალის ხვევნა და ალერსი;

ვერც ძილის დროს ნელი ოხვრა და ვერც თასი ღვინით სავსე,
ვერ წამართმევს მას, რაც გულის ბნელ სილრმეში მოვათავსე.

მხოლოდ ლამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამკამემ,
იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა ლამემ.

იცის – როგორ დავრჩი ობლად, როგორ ვევნე და ვეწამე,
ჩვენ ორი ვართ ქვეყანაზე: მე და ლამე, მე და ლამე!

[1913]

ქალცულის ოცნება

როცა მთვარის ნაზი შუქით ივერცხლება ალეის ტანი
და ლანდებით იმოსება დაჩრდილული ხეივანი,

ყვავილები ირხევიან და ირხევა ცაცხვის ჩრდილი
და ირხევა ტბის უფსკრული ვარსკვლავებით მოჭედილი –

ამ დროს სარკმელს დაყრდნობილი ახალგაზრდა ქალწული სდგას,
სდგას, ოცნებობს და სიფრთხილით უდარაჯებს ღამის სუნთქვას.

ღამის სუნთქვა ასე ამბობს, ღამის სუნთქვა ასე მღერის:
„ეს ქალწული რას გვიყურებს, ეს ქალწული რას გვიცექრის?

მთვარე ხვალაც ცაზე ივლის, მთვარე ზეგაც ივლის, ივლის...
და ქალწულს კი არ შერჩება ეს ოცნება სიყმანვილის...“

ის ოცნება წუთიერი თან წაჰყვება დროთა ელვას,
არ დაინდობს ყმანვილურ ფიქრს და ყმანვილურ გულის ღელვას...“

მწუხარე დგას კვლავ ქალწული... ითვლის, ითვლის ვარსკვლავთა კვალს,
ვარსკვლავთა კვალს ნისლი უვლის და ცრემლები ქალწულის თვალს...

[1914 წლის ივნისამდე]

გეთსიმანის ლაპა

სიჩუმეა...

მხოლოდ წყნარად თუ ირხევა დაფნის ტოტი,
მხოლოდ ნაძვი თუ ირხევა, თორემ ისე სდუმს წალკოტი...
სიჩუმეა.

ჩუმად, მშვიდად მირონინებს მთების სიო ფრთების რხევით
და კედრონის ნაკადული მას ბანს აძლევს ხმაშერევით.
ჩუ, ფეხის ხმა!

მოდის ქრისტე და მიწყნარდა ბალ-ბუჩქნარი
და ლოცულობს მაცხოვარი და ოფლი სდის, როგორც ღვარი.
მალე, მალე მას ჯვარს აცვამს უგუნურთა ურცხვი კრება,
მალე საფლავს მიეცემა, მაგრამ ქრისტე კვლავ აღსდგება.
კიდით კიდეს მოედება მისი წრფელი ქადაგება
და ეგ ლოცვაც უშედეგოთ არ ჩაივლის, არ გაჰქრება!
სიჩუმეა.

არემარეს აღდგომის ჰფლობს სიხალისე,
მხოლოდ სიო თუ ირხევა, თორემ ისე, თორემ ისე
სიჩუმეა,
სიჩუმეა...

[1914]

გურიის მთაბი

ნინ, მეეტლევ!

ეგ ცხენები გააქანე, გააქანე!

მსურს, რომ ერთხელ კიდევ ვნახო გაზაფხულის მთები მწვანე.

მსურს, რომ დაფნით გადაეხლართო მძიმე ფიქრთა

ოკეანე...

ნამიყვანე!

მთები! როგორ შვენის მათზე გაზაფხულის ბუჩქ-ფოთოლი,

როგორ შვენის ველზე ნამი გამჭვირვალე, როგორც ბროლი.

ცა ისეა მონმენდილი, ცა ისეა შეუმკრთალი,

რომ ანგელოზს დაინახავს მოდარაჯე კაცის თვალი.

კიპარისი ისე ღელავს, ისე ღელავს, ისე ღელავს,

ისე ტოკავს, ისე ტოკავს, როცა ქარი გადათელავს...

წყარო, კლდეში მოჩუხჩუხე, წვეთანკარა, ვით ცის ვნება,

დაფნის ბუჩქთა მწვანე ჩარჩოს ეომება, ეხეთქება.

და ჩანჩქერი მთით ნასხლეტი, დაფერილი დილის სხივით,

ძირს ეშვება და იფრქვევა და გადადის რძის ქაფივით.

ვდგევარ მთაზე... და სიჩუმის იდუმალი მესმის ენა

და მიტაცებს სწრაფი ფრთებით ჰოეტური აღმაფრენა.

ვხედავ სოფლებს სიცოცხლის და განახლების თვალით მზირალს,

ვხედავ სურებს, ვხედავ დაფნარს, ვხედავ მდუმარ ნასაკირალს.

ჩუმად! ვიღაც მღერის მთაზე... რა ძალაა ამ ტკბილ ხმაში,

არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში,

არსად, არსად არ არსებობს ბრძოლის შინი, ბრძოლის ქარი,

არსად ისე არ გადმოხეთქს უკმარობის ნიაღვარი

და არსად მთელ ქვეყანაზე არ ჰყოცნიან ისე ვნებით,

ისე ცეცხლით, ისე შინით და იმგვარი გატაცებით.

ვერსად ისე ვერვინ გაგხვევს გამოუცნობ ცეცხლის ტბაში,

როგორც ლერწამ-ქალწულები აქ, ამ წარმტაც ქვეყანაში.

და, მეეტლევ,

თუ მათ ალერსს ვერ ველირსე, გეთაყვანე,

საალერსოდ ისევ მიწვევს გაზაფხულის მთები მწვანე...

მაშ, გარეკე ეგ ცხენები,

სადმე შორს, შორს წაიყვანე,

გამაქანე,

გამაქანე!

გეტერა

ლამის ლეგენდა დაჭქრის, დასცურავს,
ჩანგის სიმების მოისმის ულერა,
თავდავიწყების სავსე მორევში
დღეს ლხინს ეძლევა ქსანტე, გეტერა.
ტკბილ ნეტარების მდუმარებაში
აპა, სიმღერაც გაისმის წყნარი,
ხან ნაზი, როგორც თოლიას კვნესა,
ხან მწველი – როგორც სატანის ქნარი.
ველური ცეკვა, თასთა წერიალი,
მოწყენილ კაცთა ხარხარი მწარე,
მელოდიური, გაძაფული ხმა
და სინანულის ჰანგი მგზნებარე, –
ყველა ამ ხმებში დაგუბებულა,
შეერთებულა და ადის ცამდე,
ჰანგი, შექმნილი ღვთის დასაგმობლად
და დაშვებული სინანულამდე.
გადაშვალამდა. თასები ღვინით
დაიცალა და ისევ ივსება,
მოწყენილია რაღაც გეტერა,
სხვა ყველა დათვრა, ის კი არ თვრება.
საცაა ხომლი ჩაჭქრება ცაზე,
მთვარის ნათელი დწება და ჰკვდება,
ფანჯრის ფარდიდან დილის რიურაჟი
ალმოსავლეთით ოდნავ იღვრება
და განთიადის თეთრი ღრუბელი
აცურდა ისე, ვით იალქანი,
და თრთის მხიარულ დღის მოლოდინში
გაშიშვლებული გეტერას ტანი.
უეცრად ვიღაც სტუმართაგანმა
ფანჯარას ფარდა გადააცალა
და განთიადის ელვარე სხივი
მსწრაფლ გადმოიჭრა, ვით ცეცხლის ძალა,

გააცხოველა და გაანათა
გაშიშვლებული გეტერას ტანი,
გარინდდა ამ დროს მთელი დარბაზი,
არ ზის არცერთი სტუმართაგანი.
მათ წინ გეტერა იდგა, რომ სული
სხეულისათვის მიეცა გრძნობით,
მწუხარე – თავის უმიზნო ბედით,
ამაყი – თავის მიმზიდველობით.
ოქროსფერ თმებით შემობურულ შუბლს
ღვთაებრივობის აჩნდა ნიშანი,
მზის სხივზე თითქოს ოქროსი იყო
გაშიშვლებული გეტერას ტანი.
იმგვარად თეთრი, ვით მარმარილო,
თრთოდა, ტოკავდა ძლიერი მკერდი,
როცა იქავე მდგომმა მხატვარმა
ურცხვ ქალს შესძახა: „ქსანტე, შეჩერდი!
ქსანტე, მაგგვარად განაბე სული,
ოჳ, არ დაიძრა, გთხოვ, გევედრები,
გავავუკვდავებ მე მაგ შენს სხეულს,
საუკუნეთა წაგილებს ფრთები,
ქარიშხლიანი შენი წარსული
აღსდგება, რომ კვლავ გაიღოს ხმები,
იცხოვრებ ქვეყნად მაშინაც, როცა
სხეულით ქვეყნად აღარ იქნები!“
სთქვა მოქანდაკემ... მაშინვე მიწა
გადაურია, დასწნა, დაგრიხა
და წუთის უმაღ უკვდავ ქანდაკად
გადააქცია უბრალო თიხა
და აფროდიტას სახედ ტაძარში
დასდგა, რომ მისთვის ეცათ თაყვანი
და დიდხანს, დიდხანს იცოცხლებს კიდევ
გაშიშვლებული გეტერას ტანი.
გამოგვიქროლებს ძველი ფიქრები,
ოდნავ შეარხევს ოცნების აკვანს,
არვინ იკითხავს – თუ რას ჩავდივართ,
არვინ იკითხავს – თუ ვის ვცემთ თაყვანს,

ან რომელს ვხედავთ ამ ერთ სახეში
ან რაა ჩვენი ლოცვის საგანი,
ნმიდა ტაძარში თვით აფროდიტა
თუ სათაყვანო გეტერას ტანი?

[1914 წლის ივნისამდე]

მესაფლავე

მესაფლავე, შენ ამბობ, რომ ქვეყანაზე ვინც კი კვდება,
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავინწყდება?
ეპ, არ მჯერა მე ეგ რაღაც... მომაბეზრე კიდეც თავი
და შესწყვიტე, თუ ღმერთი გრწამს, ეგ დაცინვა გულსაკლავი.
ვარდის თვეა, მაისია, ნორჩ ბალახებს სიო არხევს,
ხეებს ყვავილთ თეთრი გუნდი, როგორც თოვლი, ისე აწევს,
მზე ნარნარი სხივებს აფრქვევს და სითბოში მთა-ბარს ახვევს,
ყვავილებით მოქარგულა არემარე მომხიბლავი.
ვერა ხედავ, იმ საფლავზე როგორ სტირის ობლად ქვრივი?
რარიგ შევნის ახალგაზდა ქალს ეგ სევდა ღვთაებრივი!
განა გუშინ არ იყო, რომ ამ მოკლულმა დარდით ქალმა
ცრემლი ღვარა, როცა სატრფო ცივ სამარეს მიესალმა?
დღესაც იგი იმ სამარეს გულმოკლული დაქვითინებს,
დღით არ იცის მოსვენება და ღამითაც არ იძინებს.
მოვა ხოლმე და დაჯდება ცივ სამარის გაშლილ ქვაზე,
დარდით არის გაუღებთილი მისი უღვთო სილამაზე;
თმას გაიშლის, დაემხობა და ცრემლები სცვივა, სცვივა...
სულს მიშფოთებს ეგ ქვითინი, გული მტკივა, გული მტკივა.
მაგრამ რა ვქნა? მესაფლავევ, ჩუმად იყავ, უგდე ყური...
გესმის? გესმის, როგორ კენესის დაღლილი და უბედური?
„გავქრე ისე, როგორც ნისლი, როგორც ლამის მოჩვენება,
არ მელირსოს კვალარეულს სიმშვიდე და მოსვენება,
შენი სახე გულს კანრავდეს, როგორც ვიყო, სადაც ვიყო,
თუ როდისმე არ მახსოვდე... თუ როდისმე დაგივიწყო!“
მესაფლავევ! კიდევ იტყვი, რომ ამ ქვეყნად ვინც კი კვდება,
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავინწყდება?
აი, თუნდაც, გალავნისას მესაფლავე აღებს კარებს,
ახალგაზრდა ვინმე ვაჟი კიდევ სატრფოს ასამარებს.
გულმოკლული ძვირფას კუბოს არ ცილდება, არ შორდება,
განა როსმე სხვა ამგვარი სიყვარული მეორდება?
უსაზღვროა მისი სევდა, უსაზღვროა მწუხარება
და გადმოსჩქეფს გულმოკლულ ვაჟს თვალთვაზ ცრემლთა მდუღარება.
ფიცით ამბობს: „ოპ, შეშფოთდეს სამარეში ჩემი ძვლები,
არ ათბობდეს ჩემს სამარეს გაზაფხულის მზის სხივები,

გავქრე ისე, როგორც ნისლი, როგორც დამის მოჩვენება,
არ მეღირსოს კვალარეულს სიმშვიდე და მოსვენება,
შენი სახე გულს ჰყანრავდეს, სადაც ვიყო, როგორც ვიყო,
თუ როდისმე არ მახსოვდე, თუ როდისმე დაგივიწყო!“
მესაფლავევ, კიდევ იტყვი, რომ ამ ქვეყნად ვინც კი კვდება
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?

ის ქალი კი, წელან რომ ვთქვი, ისევ მოდის თმაგაშლილი
და სამარეს დაუვიწყარს თავს ადგება, ვით აჩრდილი.
ხელში ვარდის მთელი ბუჩქი, ჯერ ისევე დაუმჭქარი,
მოაქვს, რომ მით დაამშვენოს სამარისა თეთრი ჯვარი.
ოჳ, ეს ქალი, ალბად დარდით ყვავილივით ჭენება, ჭკნება...
სევდას სახე დაუფარავს და სიყვითლე ეპარება.
საცოდავი! თვალებსაც კი დასჩნევია უძილობა,
ასე ხდება, როცა ლამით მოგონებებს იწვევს გრძნობა;
ეხლა? ეხლა კიდევ იტყვი, რომ ამ ქვეყნად ვინც კი კვდება
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?

და ის ვაჟიც, გუშინწინ რომ მიაბარა სატრფო საფლავს,
არ ცილდება სასაფლაოს სევდიანს და გულმოსაკლავს;
სახე თაფლის სანთელს უგავს, სანთელივით დნება, დნება,
თავს დასცექერის დაუვიწყარს, გლოვის სიტყვას ეუბნება.
მის თვალებსაც დასჩნევია ლამის თევა, უძილობა –
ასე ხდება, როცა ლამით მოგონებებს იწვევს გრძნობა.
მესაფლავე, ეხლაც იტყვი, რომ ამ ქვეყნად ვინც კი კვდება,
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?

დღეს იმ ქალმა გულმოკლულ ვაჟს უნებურად მოჰკრა თვალი.
გაიფიქრა: „ისიც ჩემებრ სტირის ცრემლებშეუმშრალი.
უძიროა კაცის სევდა, უძიროა კაცის გული,
რას არ ითმენს სიყვარულის ცხოველ ნათელს მოკლებული“.
ასე ამბობს სევდიანი ქალის ცისფერ თვალთა ცქერა,
ალბად, ვაჟსაც ამ უსიტყვო ცქერამ გული აუძგერა...
ასე იცის თანაგრძნობამ... შენ კი ისე იღიმები,
თითქო მართლა იბმებოდეს იმათ შორის ის სიმები,
რომლის ძალით ორი გული სამუდამოთ შეერთდება,

ეპ, არ მჯერა მე ეგ რაღაც... ქვეყნად ეგრე როდი ხდება...
როცა ფიცით აცილებენ მიცვალებულს სამარემდე,
ფიცს არ სტეხენ... ფიცს არ სტეხენ უკანასკნელ ყოფნის დღემდე.
გამიგონე, მესაფლავევ, შენ არ იცი კაცის დარდი,
თორემ რაა, ჩემს თქმაზე რომ სულელივით ახარხარდი?
რა ვუყოთ, რომ იმ ვაჟმა ქალს მოუტანა ნორჩი ვარდი
და მწუხარედ წასჩურჩულა: „შემიყვარდი, შემიყვარდი.
ჩვენ ერთი გვაქვს მწუხარება; შეგაერთოთ სულთან სული...
გამომყევი, ქალო, ცოლად... ძლიერი მაქვს სიყვარული...
მართალია, ის სატრფონი არც შენ, არც მე აღარა გვყავს,
მაგრამ მათი მოგონება ვერ გაარღვევს უხმო საფლავს.
დავიგინყოთ ის წარსული, სატირალი, სავალალო
და ახალი შევქმნათ ყოფნა... გამომყევი ცოლად, ქალო!“

დაუცადე, მესაფლავევ, თუ რა პასუხს მისცემს ქალი,
შენ გგონია, რაკი ვაჟმა დაივიწყა თავის ვალი,
ქალიც ასე მოიქცევა? მე მგონია არა, არა...
განა გუშინ არ იყო, რომ სატრფო მიწას მიაპარა?
მკვდრის აჩრდილთან ვინ იცინის, მკვდრის აჩრდილთან ვინ იხუმრებს?
აი, წახავ აბეზარ ვაჟს რა პასუხით გაისტუმრებს!

მაგრამ ქალი, ღმერთო ჩემო, მორცხვად თავს ხრის და ჩურჩულებს: –
„თანახმა ვარ! ერთადერთი მომავალი მასულდგმულებს...
ჩვენ ერთი გვაქვს მწუხარება, ნუ ვიგონებთ დროს უბედურს,
მე შენი ვარ სამუდამოდ... წამიყვანე, სადაცა გსურს“...

მესაფლავევ, ეხლა კი გაქვს ნება, რაც გსურს, კვლავ იგი სთქვა...
სამუდამოდ ასამარებს კაცთა ხსოვნას სამარის ქვა.
ალბად, ქალ-ვაჟს დღეს ერთი აქვს ბინა... ხედავ, გადის ხანი,
არ წახულობს სასაფლაოს დღეს არცერთი იმათგანი....
საფლავთაგან მტვერს და ბალახს დღეს არავინ არ აცილებს
და მოვლასთან ერთად ფერი წართმევიათ ვარდ-ყვავილებს...
განისვენეთ, განისვენეთ, დავინყებულ არსთა ძვლებო...
თქვენს ყოფნაში არ ერევა ცოცხალთ ფიქრი საარსებო...
განისვენეთ, ძლიერი და უკვდავია თქვენი ძილი...
რაღად უნდათ, რად სჭირიათ თქვენს საფლავებს ვარდ-ყვავილ?

ან რას გარგებთ მოკვდავ კაცთა სამუდამო ცრემლთა ფრქვევა? ძილით ვეღარ გამოგარკვევთ ვერრა ძალა, ვერც შემთხვევა... ასე ხდება ქვეყანაზე, ყველა ცოცხლობს, ყველა კვდება და ვაი მას, ვის სიკვდილი სიცოცხლეშივ ავიწყდება...

ზარსა სცემენ... იმ ორს, რომელთ დაივიწყეს ბედი მწვავე, იმ ორს ერთად გადავერცხლილ კუბოში სჭედს მესაფლავე... სჭედს და რალაც მწარე ფიქრზე თან ველურად იღიმება, იცის, იცის მესაფლავემ, როგორც უნდა... როგორც ხდება... განისვენეთ, განისვენეთ დავიწყებულ არსთა ძვლებო, თქვენს ყოფნაში მე ბევრი მაქვს მწუხარე ჟამს საოცნებო!

[1912]

პოვენი

შავე

პოემა

ვუძღვნი ძვირფასი მეგობრის
დემონის ხსოვნას

მეგობრულ სალამს გიძღვნი მშვიდად
ბნელ საფლავში მყოფს,
საყვარელ დემონს ჩვენის სულის
დემონად ქცეულს.
შავი ფიქრებით, მწარე ხვედრით
დალლილს, ავადმყოფს,
რად, რად აშფოთებ ეგრე რისხვით
ჩემს სულს იჭვნეულს?..

|
1

მიჰქერიან დღენი...
და მეაცრი სენი
სულით ობლობის აღარ მშორდება.
ატყდება გული,
როცა წარსული
იმედის სხივი მომაგონდება.
აღარ იტაცებს
გულის ფრთხილ ძაფებს
ეს უნდობელი სამსალა მწვავე.
ზღვას, ზღვას მივმართავ
და იქ დავმარხავ
სევდა-კაეშანს... გასწი, მენავე!

2

ხარობს ეთერი –
პირმშვენიერი
ცა ვარსკვლავებით შემოჭედილა.
ოჳ, მთვარე, მთვარე,

სხივმონარნარე,
ისიც ხომ ჩემებრ ობლად შთენილა.
მზადა ვარ, მის გულს,
ცივ-მიწელებულს,
ეს ცივი გულიც დავუმონაო,
აქ კი ზღვა წყნარად,
ტკბილ ფიქრთა გვარად
სთვლემს და მდუმარებს... შენი ვარ, ზღვაო!

3

მიჰქრის ნიავი,
რომ მომხიბლავი
ჰანგი თავდახრილ ყვავილს უმღეროს,
აქ სულთემას ვძედავ...
ვერად ვერ ვხედავ
ტანჯვა-წამებას საბედისწეროს.
დეე, სხვა უამ-დროს
სულს კვლავ ეწვიოს
მოწყენილობა და ფიქრი მწვავე.
დეე, დამწველი
მფლობდეს ნალველი,
ეხლა მე ვსტკბები... გასწი, მენავე!

ასე მღეროდა შუალამისას
ზღვის მოსაუბრე და მოტრფიალე.
მიჰქროდა ნავი... სიმღერას ყრმისას
გულში იკრავდა ზღვა გამჭვირვალე.
თითქო გრძნობდაო, რომ დატანჯული
მასში სახავდა ბედნიერებას,
ქვეყნად ადრევე მოცილებული
სულის სიმშვიდეს და მოსვენებას.
ბევრჯერ, როდესაც ადამიანი
ქვეყნიურ ტრფობის წყურვილს მოიკლავს,
სულით ობლობა და კაეშანი
ზღვის გულში ტრფობას გამოისახავს;
ბევრჯერ, როდესაც დევნილ-კიცხული
ქვეყნად სიყვარულს ვერ ეღირსება,

განყენებული, მშფოთვარე გული
მხოლოდ ბუნებას შეეთვისება.
მიყვარს ბუნება, მხოლოდ იქ არის
მშვენიერება ხატად შექმნილი.
განდევნილია ჩრდილი სამარის,
მოკვეთილია მონობის ჩრდილი.

||

მაგრამ ეს რაა? შანშეს აკვირვებს
ყრუ და საეჭვო იდუმალება.
არსით ძახილი... შორს, ზღვის ნაპირებს
მიმოფენია ღრმა მწუხარება.
ერთი წუთი და მის ნავს ყოველ მხრით
ავაზაკები მიესვეიან.
„არ გაუშვათო... დაჲკათ... დაიჭით!“
და დასაჭერად მიიჩნევიან.
გაშეშდა შანშე... მენავემ კრძალვით
მისკენ დახარა ამაყი თავი:
„რას მიპრძანებო...“ – მაგრამ სიმალით
იქავე გაჩნდა სულთამხუთავი,
შეჯაჭვეს მაგრად... მიჲყავთ, მაგრამ სად?
აი, გამოჩნდა კიდეც კუნძული,
მთვარის სხივებზე ბრგედ და ლამაზად
იდუმალ ხელით შემოქარებული.
შურისძიების და სიბრაზისკენ
გადაიხარა გრძნობის სასწორი.
შანშე აღგზნებდა თვალს კუნძულისკენ
და თრთოდა როგორც გლადიატორი.
„დასცხრი, – მენავემ წაუჩურჩულა, –
ამაო არი აქ მრისხანება,
რაკი ამგვარად გამოხატულა
ჩვენი ხვედრი და ღვთაების ნება“.

|||

გამოცანაა შანშე ყველასთვის,
თავის წარსულზე არაფერს ამბობს;
ტყვე არის, მაგრამ ბატონიც არის,

თავს არვის უხრის... უფლად არვის სცნობს.
ამაყი თავის ვინაობაზე
გულჩათხრობილი კრინტსაც არა სძრავს;
საუბარს მის სულს და მის გრძნობაზე
ვერვინ ახერხებს, ვერვინ უბედავს.
ავაზაკების წრფელ ყურადღებას
უცნაურ ძალით თვისკენ იზიდავს.
რაღაც აერთებს მათ მისწრაფებას,
რაღაც მათ გრძნობას ჯაჭვს სდებს და ხიბლავს.
კითხვებზე პასუხს აძლევს ნაწყვეტად,
თუ მეტს კითხავენ, ყურს აღარ უგდებს.
გულზე რა აწევს ფიქრად და სევდად,
ვერვინ მიხვდება, ვერვინ გაუგებს.
ხალხს ეტანება, მაგრამ იქაც კი
ბუნდოვანია, გასაოცარი,
ვერც ერთი მკვლელი და ავაზაკი
ვერ გახდა მისი სწორ-მეგობარი.
თითქო მეტია ყველაფრისათვის,
მას არაფერი ქვეყნად არ ატკბობს.
ხალხს ისე უცქერს, თითქო არავის
არ მიენდობა, ფიქრს არ გაანდობს.
ძვირად შეხვდებით მხიარულ სახით,
თავდავიწყების ბურუსში ხვეულს.
ვერ მოატყვილებთ უნდობელ მახით
შანშეს გულს სასტიკს, მუდამ იჭვნეულს.
როგორც მანქანა, უცხო ღიმილი
იმის სახეზე თუ გადაირბენს,
გულის სიცხოვლე, იმედის ჩრდილი
ნაღვლიან თვალებს ნათელს ვერ მიჰყენს.
თვალთა სიღრმეში, იქ, სადაც ერთი
მეფობს საფლავი და მწუხარება,
წყვდიადსვე ებრძვის მეორე ღმერთი
მკაცრი, სასტიკი იდუმალება!..

IV

მოხიბლულია მითი ელილი,
ამური მის გულს ნაზად აწვალებს.

სევდიანია და მოწყენილი,
უიმედობით ძირს ნაპავს თვალებს.
ის ყვავილია, მსუსხავ ჭინჭრებში
ბრგედ და წარმტაცად ამოკვეთილი;
სულ სხვა სხივია ავაზაკებში
ბუნების უინი, ტურფა ელილი.
თვალების შუქი – ცის არის ძალა,
თვით გრძნობის სიმებს ეთამაშება,
ვინც მით ალინთო და გაიმსჭვალა,
ის მონა არის, ვეღარ აღსდგება –
ქვეყნის მძლეველი და მბრძანებელი
თუ სულს ერთ მიზნად დაისახავდა,
მთლად რომ მოევლო ქვეყანა მთელი,
ვფიცავ, უკეთესს ვერვის ნახავდა.
ელილის მამა მეთაურია
ავაზაკების მრისხანე გუნდის,
მუდამ ბრძოლა და სისხლი სწყურია,
მშვიდ ნეტარებას მისთვის გაურბის.
ან რას დაეძებს, თუ ცეცხლის აღი
იმის ასულის გულში ტრიალებს?
მოვაო წამი და ქარიშხალი
ყველას მოგვსრესსო, გაგვატიალებს.

V

სევდიანი და დაფიქრებული
შანშე მზის ჩასვლას თვალს ადევნებდა.
ცის ჰორიზონტი ანითლებული
ზღვისა დასავალს მკრთალ ნათელს ჰყენდა.
მიუახლოვდა ელილი წყნარად,
ფრთხილად უცხოელს შეახო ხელი.
მობრუნდა შანშე და ცეცხლის გვარად
ერთხელ გამოკრთა თვალთგან ნათელი.
უცნაურ ძალამ მთლად დაატყვევა,
„იცი, – ელილიმ მას უთხრა გზნებით, –
ჩემი ცრემლები და ღამის თევა
მარტოდენ ზეცამ იცის სავსებით.
ოჳ, შენ მიყვარხარ... ნუ განრისხდები,

გთხოვ... თანაგრძნობის მომაპყრო თვალი;
ოჰ, გევედრები... შენს მონად ვხდები
თავისუფალი სეიმის ქალი.
დე, განრისხდეს ჩემზე სეიმი,
თემმა ურცხვობის დამადოს ხუნდი,
არ შეშფოთდება გონება ჩემი,
ტანჯვა ის იყო: მე ვსწუხდი... ვსდუმდი...
მითხარი რამე... სული მიშფოთავს...
მითხარ, სანამდი უნდა ვიწვალო?
ძალა არ შემწევს, გრძნობა აღარ მაქვს,
შენს გარდა ვინმე გავითვალითვალო...“
თითქო განცხრომა და აღტაცება
ტკბილ სხივუნახავ გულს კვლავ ეწვია.
ერთი წუთი და ელილი სტკბება,
შანშე მხურვალედ გადაეხვია.

VI

როცა ტკბილის და ნაზ გრძნობის ნაცვლად
ადამიანებს ქვა გვიდევს გულში,
ვერარა გვაქცევს ადამიანად,
ამაოდ ვეძებთ ხსნას სიყვარულში.
ნაზ ტუჩებს ვკოცნით... ვეალერსებით...
წუთითაც თითქო არსება სტკბება,
მაგრამ სულის ხსნას ვერ ველირსებით,
სუყველაფერი სწრაფად გაჰქრება.
ადრე მობეზრდა შანშეს ელილი,
ადრე სიყვარულს ჩამოსტყდა ფრთები.
სად გაჰქრა, შანშე, ოცნება ტკბილი,
სად გაჰქრნენ ლხენა და იმედები?
იგი ისევე უნდობელია,
ჯავრიანია და მოწყენილი,
მაგრამ რაც უფრო საკვირველია,
ერთ ლამეს გაჰქრა სადლაც ელილი.
ეძებეს, მაგრამ ვერსად იპოვეს,
გადააჯერეს ძებნით მთაბარი,
ვის არ ჰკითხავდნენ... ვის არ მოსთხოვეს,

გაპქრა ელილი... ალარსად არი.
მშობლებმა კიდეც გამოიტირეს,
სამგლოვიარო ჩაიცვეს შავი.
ცას შესანდობრად მსხვერპლი შესწირეს,
ისევ რბის ხანი დაუღალავი.
ვინ შეამჩნევდა, თუ რა სასტიკად
შანშე კრთოდა და იტანჯებოდა.
მარტო დარბოდა ველად და მინდვრად,
ალარ ჩნდებოდა... იმალებოდა.
არ იტაცებდა ავაზაკების
მისწრაფება და ლტოლვა ახალი:
„უნდა ავიღოთ თემი თათრების,
გავსწყვიტოთ ერთად კაცი და ქალი!“

VII

„ვინ არ იცის, რა სასტიკად
გვემუქრება ულუმ-ხანი,
ძმებო... სევდა მაწევს ფიქრად,
ძლიერი მაქვს კაეშანი,
მოგვდგებიან თათრები და
ამოგვწყვეტენ... ამოგვსრესენ,
თქვენთვის ცუდი მე არ მინდა,
მფარველი ვარ თქვენი ესდენ.
მისთვის ვამბობ: რომ დავასწროთ,
ის სჯობია, გეფიცებით,
დავეცეთ და ავაოხროთ,
დავდნებით და დავიწვებით...
ჩვენი ბედი ბრძოლა არის,
სიკვდილია განსვენება.
გამომყევით, ვისაც კაცის
სიცოცხლე არ ენანება“, –
ეუბნებოდა ერთხელ სეიმი
მის ავაზაკებს, განწირულ ჯავართ,
ბრბოს იტაცებდა ბრძოლის ციმციმი, –
„გაგვიძელ, სეიმ, ჩვენც, ჩვენც შენთან ვართ!“

VIII

აფრა აშალეს... ზღვა წყნარად სთვლემდა,
შორს მიფრინავდა ყივილით გედი;
უფრო შორს კიდევ კაცთ მუნ იწვევდა
ახალი სხივი, ახალი ბედი.
იქ უშრეტელი შფოთავს ქარცეცხლი,
იქ კვლავ ისმიან ბრძოლისა ხმები;
ზღვაზეც გაისმა რისხვის აღმძვრელი
ხმა... იმღეროდნენ ავაზაკები:

1

მიჰქეის ნავი,
მომხიბლავი
კამარა კრთის
ზღვის სივრცეზე,
ამაყ-ცელქზე
მზის სხივი თრთის!

2

ჩვენ კი მარად
უღალავად
ბრძოლას ვეძებთ
და მით გრძნობას
კვლავ აღდგომას
ვაიმედებთ.

3

სულს მოსწყინდა
სივრცე წმიდა,
ერთფერობა.
ახალ იმედს,
ახალ ტკბილ ბედს
ეძებს გრძნობა.

4

იმ დროს ველით,
როცა ცეცხლით

დაჰკრავს ალი,
ნარიტაცებს
მოკვდავ კაცებს
ქარიშხალი.

5

ვინ უწყს, რამდენს
სისხლს დაადენს
მკაცრი ბრძოლა.
შორს წუხილი,
ტანჯვის ჩრჩილი,
შიში, ძრწოლა...

6

დაგვალონებს,
დაგვამონებს
სევდა წამით
და მოვასწრებთ,
რომ გავაქროთ
ბრძოლის შხამით!

7

წუთი არი
და სიზმარი
ეს ცხოვრება,
როგორც მერთალი
ცისა რკალი,
ნელ-ნელ ჰქერება.

8

მაგრამ გაჰქრეს
მკაცრ ბრძოლის დღეს
ამაყურად
და ჩვენ მოვკვდეთ
ბრძოლის ველზე
ვაჟკაცურად!

მისწყდა სიმღერა და ავაზაკთა
ურიცხვი გუნდი კლდეს მიეფარა,
ალარსად სჩანდნენ... ნაცვლად ზღვის წყალთა
მკრთალი სიბნელე შემოეპარა.
დაცალიერდა უცებ კუნძული,
ადამიანთა მისწყდა ძახილი;
მხოლოდ აქა-იქ გადაჩადრული
ჯაგებში კრთოდა ქალების ჩრდილი.

IX

„ჩქარა, მენავე! – შანშე ამბობდა, –
მოაცურევი სისწრაფით ნავი...
გული გასკდომას ტანჯვით ლამობდა,
მტანჯავდა ფიქრი სულთამხუთავი.
დრო ჩვენს ხელთ არის... ვერვინ შეგვამჩნევს,
ეხლავე ჩუმად მოვსცილდეთ კუნძულს.
ო, რად ცახცახობ... რა ფერი გადევს,
ვერვინ გაგვიგებს ლტოლვას დაფარულს“.
მაგრამ სასტიკად დაშინებული
მენავე გადგა კანკალით განზე;
შეაცვლევინეს ავაზაკთ გული
გამბედაობა-ერთგულებაზე.
„მაშ, არ მოდიხარ? – შანშემ შეჰყვირა,
– მენავე იდგა გაშეშებული, –
მონავ! სჩანს ურცხვად გადაიბირა
ავაზაკთ რიცხვმა ეგ შენი სული“, –
სთქვა და უბიდან საშინელ რისხვით
ამოაცურა ბასრი ხანჯალი
და წუთის უმალ მჩქეფარე სისხლით
შემოილება მონა საწყალი.
მკვდარი დაეცა... შანშე ყელში სწვდა
და ზღვის სიღრმისკენ გადაისროლა...
ერთის ნახტომით ის ნავთან გაჩნდა,
კიდე შეაკრთო და აათრთოლა.
საჭე მოზიდა... და ნაპირიდან
ნავი ნაპრალებს გადააცილა,

მოუსო ნიჩაბს... ერთხელ შვა წყლიდან
კუნძულს შეხედა და მიიმალა.

X

რა წარმტაცია თვალუწვდენელი
ზღვის სივრცე შორი განთიადის ჟამს,
როდესაც მთვარე, სხივთა მფრქვეველი,
ღიმილით დასცქერს მომხიბლავ კამკამს.
როცა მსუბუქი, შეტოკებული
ფერს იცვლის წყნარად ვარსკვლავთა კრება
და ცის ბრნწყინვალედ მორთული გული
ზღვის შორ ლავარდში უებრად კრთება.
თითქო ჰანგს სძლვნიან განთიადისას
შემაერთებულ ფრთაშესხმულ კავშირს
და იქარვებენ ტანჯვას გულისას,
მარხვენ თან მიმსრბოლ კვნესა-გასაჭირს.
არც ზღვა ნეტარი, არც ცა მორთული
არ ემონება გულისთქმას ვიწროს
და საიდუმლოდ ათრთოლვებული
იქ სული ხარობს... მიყვარს ზღვა ამ დროს...

მაშინაც, როცა აღშფოთებული
ტალღა ტალღაზე ჰქუებს და გრიალებს
და ფრთაშესხმულად აგორებული
ნაპირებს წალეკს, გაატიალებს,
როცა ქაფს იყრის და მრისხანებით
ვით ცეცხლის მარცვლებს ჸაერში აპნევს
და ველურ ხმებით, საზარელ ხმებით
შიშში შთაგდებულ მიდამოს არყევს,
როდესაც ანდა ხომალდთ ქარავნის
გადახეული მიმოფრიალებს,
როცა წყლის ქაჯი განგაშებს... დაძრნის...
როცა დემონი ცაში ხრიალებს,
თითქო ვერ ითმენს სასტიკ მონობას,
სამარცხვინოს და საბედისწეროს,

და შხამ-ნალველში ილესავს გრძნობას...
ომობს... თავხედობს... მიყვარს ზღვა ამ დროს...

ერთხელ, როდესაც აღტაცებული
გადავსცექროდი ზღვის ამაყ ტალღებს,
ნავი შევნიშნე, მთლად დამსხვრეული
ძლივსლა იჭერდა დაფლეთილ კალთებს.
მე მომაგონდა ობოლი სული,
ქარიშხლის ცეცხლში ობლად მფრინავი.
დავაკვირდი და მიტოვებული
მაშინვე შანშეს ვიცანი ნავი.

XI

შორს კი, იქ, სადაც მოულოდნელად
შეშფოთდა ერი და ულუმ-ხანი
და კარ-მიდამოს დამწველ-მდაგველად
გადაეფინა სევდის საბანი,
ომობს სეიმი... თვალებში უკრთის
განწირულება და მრისხანება;
ის გამარჯვებას სულაც არ უცდის,
მაგრამ სიცოცხლეც არ ენანება.
ალფროთოვნებულნი მისი სიტყვებით
წინ ისწრაფვიან ავაზაკები;
ვერც ჯართა რიცხვით, ვერც ძლიერებით
ვერას გამხდარან იმათთან მტრები,
ცეცხლის აღმურში ინათლებიან,
ფრთაშესხმულ ძალას ბრძოლით იჩენენ,
სიკვდილს უშიშრად ეგებებიან
და ძლევის ნათელს მიდამოს ფენენ.

საღამოვდება... აგერ დიდებით
მნათობი მთებში გადაესვენა.
ტკბილმა სიმღერამ ტკბილის იმედით
სეიმის მებრძოლთ აღუძრა ლხენა.
ესეც მიწყნარდა და მდუმარებამ
სისხლით მოსვრილი მოიცვა არე;

კაშკაში იწყო ვარსკვლავთა კრეპამ
და მთას გვირგვინად დაადგა მთვარე.
ხის ძირში სძინავს სეიმს მოქანცულს,

მთვარის ნათელი მის შუბლს ძლივს ხვდება
და არემარეს, ლრმად ძილში შთანთქმულს,
ნელი ნიავი ეთამაშება.
დროგამოშევებით სადმე ბულბული
დაუსტვენს ნაზად და სევდის ხმაზე,
რომ გამოხატოს ამ ღამის სრული
მშვენიერება და სილამაზე.
დროგამოშევებით ნაკადი წყნარი
ნაღველს შესცინებს, ჩაიბუტბუტებს
და ღამის ჩრდილი, გაუგებარი,
მთის ობოლ ყვავილს გულში იხუტებს.

სძინავს მოქანცულს სეიმს და ძილში
სიზმრებსა ხედავს გამარჯვებაზე,
მაგრამ ვინ მოსჩანს, აგერ, ხის ძირში
მძინარ სეიმს რომ წაადგა თავზე?
შეკრთა სეიმი... წამოდგა ზეზე,
უცნაურ ძალ-ქვეშ კრთოდა და თრთოდა,
უცნობს მიაპყრო თვალნი სახეზე
და მრისხანედ სთქვა: „აქ რა გინდოდა?
შანშე, შენ ტყვე ხარ!..“ მაგრამ მოსულმა
მსწრაფლ დააფარა ტუჩებზე ხელი:
„ჩუმად... ოჳ, ჩუმად! ვერ შესძლო გულმა,
საალსარებოდ შენთან მოველი,
დამიგდე ყური... ბედერულს აღარ მაქვს
მშვიდობიანი ცხადი და ძილი,
ეს მოგონება ჩემს გრძნობას სწამლავს,
მე, მე მოვკალი შენი ელილი.
ნუ მკითხავ, რისთვის... მე ასე მსურდა...
და პირველია ელილი განა?
ჩემი ნაზი მზე როცა შეშურდა,
მეც სისხლით მოვრნყე მთელი ქვეყანა“.

მუხლთ მოეკეცა სეიმს... ამაოდ
ხმლისკენ მარჯვენის წალება სცადა,
გრძნობა დაჰქარგა... მოკვდა საბრალოდ,
წუთი და შანშე აღარსად სჩანდა.
მოულოდნელი უბედურება
მკვეთრად, ძლიერად გამოიხატა:
ავაზაკთ გუნდი, ეს გულქათ კრება,
დამარცხდა... გაჰქრა... მიმოიფანტა.

მოშორებული ზრახვას ქვეყნიურს,
სიკეთეს, ლხენას, ქება-დიდებას,
შანშე არ ეძებს მშვენებას ციურს,
ის ეძებს მხოლოდ თავდავიწყებას.
კვლავ მღერის, როცა მსხვერპლი ესდენი
დროს სვლასთან ერთად მოაგონდება:
„მიჰქრიან დღენი... და მკაცრი სენი
სულით ობლობის აღარ მშორდება!“

[1910]

მცენოსი

ი. გრიშაშვილს

მეგობარო! შენ გინახავს
მდუმარ ტბაზე ხის ფოთოლი,
ტბა ნანას რომ უმღეროდა,
გამჭვირვალე, როგორც ბროლი?
მთის ნიავმა ხის ფოთოლი
ააცალა ზეირთთა ცემას,
აქ გაშალა და ზედ ლერწმით
სევდით სავსეს ვწერ პოემას.
პოეზიის წმიდა ცრემლი
და ნაყოფი ფიქრთა მცირე,
შენ მოგიძლვენ, მეგობარო...
შეიწირე, შეიწირე!

|

დასრულდა ლხინი. სიმღერა შესწყდა.
მიდუმდა ზურნა. დასცხრა ნაღარა.
ირგვლივ სჩუმე მკვდარი გამეფდა,
ბარს ღამემ ჩაღრი გადააფარა.
ვარსკვლავთა გუნდი აენთო ცაზე,
ელვარე სხივი მთავარემ მთას სტყორცნა,
ვნებით დაადნა ჭალარა თავზე,
ქვეშ დაიხარა და გადაჰკოცნა.
მდუმარე ჩრდილი მთამ ბუმბერაზმა,
როგორც მანტია, ქვეშ მოიფინა
და ყვავილოვან ველზე მთის ნაზმა
ნიავმა ეშხით ჩამოიფრინა.
იქ ახლად აშლილ ნამიან ჯეჯილს
ჯერ ჩაეკონა, მერე ფრთა სტკიცა,
იქ კი, ფერდობზე ფიჭვნარს შეფენილს

სამარადისო ტრფობა შეჰველუა.
ვიშ, რა ღამეა, ჰაერი მთელი
შეუბოჭნია რაღაც ტკბილ ჯადოს,
ამაოდ ცდილობს მხატვარის ხელი,
რომ უკვდავ ხაზით შეაფერადოს.
ამაოდ ცდილობს ოცნება გრძნობის
ამოკვნესებას ღრმად გულში ჩარგულს,
იგი ვერ სწვდება იდუმალობის
სევდიან სახეს, ბინდში დაკარგულს.

მოხუცმა მამამ დღეს საყვარელი
ასული თვისი დააქორნინა,
აამოძრავა კოლხიდა მთელი,
ქორნინების ხმა ქვეყნად მოჰვინა.
თავის სიცოცხლის მანუგეშებლად
მამას ელენე ტყვილა არ სწამდა,
ეთხოვებოდა, დნებოდა ცრემლად,
ლხინი კი დიდი გადაიხადა.
აჲ, ეს რას ნიშნავს? ელენე შეერთა,
დალალი მხრებზე გადაიყარა,
ძალ-ლონე ველარ შემოიერთა,
გულის ღრმა სევდა ველარ დაჰვარა.
ამობჯენილი შეგუბდა სული,
სალაპარაკო წაერთო ენა,
ამოიკვნესა და გულწასული
ტახტის ფიცრებზე გადაესვენა.

სამი წლის წინად, როცა პირველი
დამწველი ალი ელენემ იგრძნო,
ცის ღმერთი, კოცნის შემომწირველი,
ერთბაშად პპოვა და გამოიცნო.
სამის წლის წინად, ერთხელ რომ მთებში
ჩადრმოხურული დასეირნობდა,
გართული იყო რაღაც ფიქრებში,
გული იდუმალ ტოკებას გრძნობდა.
სალამო იყო, ცის სივრცე შორი
მზის მდაგველ სხივებს ათამაშებდა

და ცელქ ნაკადის ზვირთთა ამბორი
მიდამოს ციურ ხმებით ავსებდა.
მეორე მხარეს ნაკადულისას
ფიქრმორეული იდგა ყმაწვილი,
ალარ ჰეფარავდა სევდას გულისას,
ნაზ ჰანგს მღეროდა მკერდგადახსნილი:
„იმისთვის ვმლერი ცეცხლმოდებული,
იმისთვის ვტირი ნალვლიან ხმაზე,
რომ მთლად მიმონებს აზვირთებული
შენი შვენება და სილამაზე.
რა გენალვლება, ჩემო ნუგეშო,
ციურ არსებად, ცის ლმერთად მრნამდე?
მზად ვარ უფსკრულში ვნებით ჩავეშო,
ოღონდ მწყალობდე, ოღონდ გიყვარდე!”
კდემამოსილად თვალს ძირს დახრიდა
ელენე, როცა ამ ხმებს ისმენდა
და თეთრი მკერდი, ბროლივით წმიდა
ნაყარ თმებს მორცხვად გადმოიფენდა.
რად, თვით ელენემ ეს არ იცოდა,
რად უტოკავდა გული ტიალი,
რაღაც განგებით სწვავდა, ათრობდა
მთებში ჩურჩული და ხეტიალი.
ხან ნაკადულის პირზე სცხრებოდა,
ხან ცა ჰეთლავდა გასაოცარი
და ახლო-ახლო ისევ ესმოდა
წრფელი ჩურჩული, სიმღერა წყნარი.

ერთხელ ელენეს მოღლილ-მოქანცულს
მთის ყვავილებში ტკბილად ეძინა,
მშვიდსა და ნარმტაც სიზმრებში წასულს
ბაგე შეუკრთა და გაეცინა.
და სწორედ ამ დროს აზვირთებული
საყვარელ ბაგეთ იგრძნო შეხება,
გამოედვიძა, გული ვნებული
მიმზიდველ ქსელში გადნა-გაება.
ამაყი მწყემსი, მის წინ დახრილი,
ელენეს ტუჩზე თვის ტუჩებს სკვნიდა,

ეგრძნო ტრფიალთა ოცნება ფრთხილი,
ოჰ, ღმერთო! რაგვარ ცეცხლით ჰკოცნიდა.
„როგორ მიყვარხარ!“ – ჩასჩურჩულებდა, –
მე შენი ვარო და შენ კი ჩემი,
ფიქრი მარადის გულს მიწყლულებდა,
ეხლა კი მათრობს ტკბილი ედემი.
სიმი გულისა მეხმაურება,
თან ალმაგზნებლად და თან ამყოლად,
მეყო დამდაგველ ბედის ყურება,
გემუდარები, გამომყე ცოლად.
მთელი გონება და გარეშემო
ყოველი არსი, მთელი ბუნება,
ცით მოვლენილო, ლვთაებავ ჩემო,
ან მხოლოდ შენზე მედუდუნება.
არ შემიძლია ჩამოგეთხოვო,
არ შემიძლია განვსცხრე, დაგტოვო,
ხსნა, მოსვენება ვიღას შევთხოვო,
ბედნიერება ვიღასთან ვპოვო?
ზვირთთ ნიალვართან ტალღათ რგოლები
წარმიტაცებენ თან გადამყოლად,
თუ თანამგზავრად არ მეყოლები,
გემუდარები, გამომყე ცოლად“.
„მეც, მეც მიყვარხარ...“ – ამბობს ელენე, –
შენს ტკბილ მალამოდ გამოვისკვნები,
თან წამიყოლე... მკერდს მიმისვენე,
შენთან მოვკვდები... შენი ვიქწები!“

ასე ამბობდა, მაგრამ მამამ კი
ერთ მდიდარ კაცზე დააქორნინა,
მისცა, როგორც ცეცხლს მშვიდი ზვარაკი,
ქორნინების ხმა ქვეყნად მოჰყინა.
ოცნებიანი დაპქროდა სევდა,
სიმღერა შესწყდა... დასრულდა ლხინი,
ირგვლივ სიჩუმე მკვდარი გამეფდა,
მხოლოდ ნიავის ისმის სისინი.
„ვინც მიყვარს, იგი ჩემთან არ არის, –
ფიქრობს ელენე, – რაა განგება...“

განშორებისა ნისლი დაგვხარის,
მაგრამ მე მაინც ის მეყვარება.
ჩემო ნუგეშო, როდესაც ქმარი
გადასცილდება მშობლიურ კარებს,
ჩემსკენ ისწრაფე... გული ქვა არი,
მას, ვინც არ უყვარს, ვერ შეიყვარებს”.

||

გაჰყვა ელენე... გაჰყვა უცხო ქმარს
და სიყვარულის დღეებს გაფრენილს
მოიგონებდა, როგორც მკრთალ სიზმარს,
დასატანჯავად ქალისთვის შთენილს.
მორთულ დარბაზში, როგორც აჩრდილი
შენუხებული, დაეხეტება,
ოცნებათ გუნდი ჩადრგადახდილი
იმის თვალთა წინ ჰეკვდება და ჰეკვდება.
ჰეკვდება, ვით სანთლის შუქი მთრთოლვარე
ლამის წყვდიადში უცებ გამკრთალი
და ისე კი, რომ განცხრომის მხარეს
შესახედავად ვერ მისწვდა თვალი.
ზიზღს უნთებს გულში ალერსი ქმარის,
არ იცის, რა ჰქმნას, იცის მხოლოდ ის,
რომ ნეტარება მისთვის არ არის,
ბედნიერება არ არის მისთვის.
მაგრამ შვილიც ჰყავს და ის უქარვებს
გულს შემოწოლილ სევდას და დარდებს,
მას არრა ართობს... ის უყურებს სხვებს,
ფიქრი კი შორს, შორს მიანავარდებს
იქ, სადაც გული ობლად დასტოვა,
იქ, სადაც ვნება დაასადგურა,
სადაც ხიბლავდა ოცნებათ გროვა,
სადაც მწველ ტრფობის ცრემლი დასწურა!
რა იქნებოდა სიცოცხლე ჩემთვის,
რომ შენ არ მყავდე, უმანკო, წმინდა,
მკერდზე იკრავდა თავის პირმშო შვილს
და მხურვალების ცრემლით ჰეკოცნიდა.
„ოჳ... დედა, დედა, იქ ვიღაცა სდგას, –

ბუტბუტებს ბავშვი, – შეხედე, დედა...
მე მეშინია, ვაი, თუ შთანმთებას“...
„დამშვიდდი... ნისლი სცურავს ტყეზედა“.
„ოჳ, არა, არა, ვერ ვხედავ განა,
ის ჩვენკენ მოდის... მოდის, მოჰყორინავს“...
„ეგ ნისლი მთიდან გადმოექანა,
ეგ ხომ იმისი თეთრი ფრთა ბრწყინავს“.
„დედილო, იგი გეძახის! გესმის?“
„მესმის... დაიცა, მე მივსცემ პასუხს“.
და ჲა, გაისმა ძალა იმის ხმის,
თითქო ვიღაცა ტყის სიღრმეში სწუხს...
„სალამი, მწყემსო... ოჳ, მე შენ გიცან“...
„მიცან, ელენე? არაფერს მეტყვი?“
„ოჳ, გეტყვი, გეტყვი! რაც სურთ, ისა სთქვან,
შენს რჩევა-სურვილს წამლად დავედვი...
მოვრთე ოთახი ნორჩ ყვავილებით,
სამოთხესა ჰვავს საწოლი მთელი,
თვით ჲაერს ირგვლივ შურით და ვნებით
დამათრობლად ხდის ნელსაცხებელი.
ფარდაგად შლილა ყვავილთა გუნდი,
ვარდ-ზამბახებით უკეთ ვინ მორთავს?
სატრფოვ, გამოსწი! მოდი, მობრუნდი,
გული მიღელავს, სული მიშფოთავს.
გამოსწი ჩქარა... შორს არი ქმარი,
სასიყვარულოდ გაშალე ფრთები...
რა გენალვლება ერთი, მითხარი?
განთიადამდე შენი ვიქნები!“
ასე ეძახდა შუალამისას
ელენე მიჯნურს და ვნებით თრთოდა,
მოაჯირს ეყრდნო და სახეს მისას
მკრთალი მთოვარე თავს დანათოდა.
ვით ავი სულის მოისმა მოთქმა,
ეს ეზოს ფრთხილი გაიღო კარი,
ისევ მიჰკეტეს და ვით წყაროს ხმა,
აჲა, ჩურჩულიც ისმის ნეტარი:
„შენს თვალთა სხივქვეშ დამონებული,
ვდგევარ, ლამაზო... ეგ შენი სახე

მინდვრის ვარდია, რომელშიც კრული
სევდა სილრმეში ჩავკალ-ჩავმარხე...
ვითარცა ყვავილს გაზაფხულისას,
მსურს, რომ დავაკვდე ვარდისფერ ტუჩებს,
წმიდაა შენი ტრფობა და იმას
ყოფნის შხამ-გესლი ვერ გააფუჭებს.
შორს გადააგდე თვალ-მარგალიტი,
მოიხსენ ოქრო... ნუ შემომჩივი,
უფრო ძვირფასი ხარ ჩემი გვრიტი
უამისოთა, ვით ცისკრის სხივი“.
„ჩუ, ფეხის ხმაა... ხედავ, რა შავად
მოსჩანს აჩრდილი, მკვეთრი, ძლიერი?“
„დამშვიდი, ქალო! ეგ სალოცავად
შორით ზარსა სცემს მონასტრის პერი.
რისთვის გაფითრდი? კოცნამ წყეული
დააცხროს სულის მძლეველი ვნება,
უარს ნუ მეტყვი, თორემ ეს გული
დადნება, სატრფოვ! ცრემლად დადნება.
კმარა.... მწყურია ცა თანაგრძნობის
ვპოვო მაგ მკერდზე, მაგ ნეტარ ცეცხლში,
დევ, სირცხვილი პირველის ტრფობის
დასცხრეს, გაჰქარდეს დამწველ ალერსში“.

მისწყდა ჩურჩული... მუქი კამარა
ბინდად დაჰკვროდა ნაზ სახეს ცისას,
ჩაჰქრენ სანთლები ყველგან... არარა
არლვევდა სევდას შუალამისას.
სოფელი ნისლში გამოხვეული
ღრმა ძილმა შთანთქა... ღრმა ძილს მიეცა.
სდუმდა მიდამო... რულმორეული,
ყრუ იყო მიწა... ყრუ იყო ზეცა.
სდუმდა მიდამო განცვიფრებული
და როცა ცისკრის პირველმა სხივმა
ააელვარა შუქთა კრებული
და დილის ნამი ააციმციმა,
მწყემსი ლტოლვილი გამოჩნდა გზაზე,
მოწყვეტილ ფოთლის მსგავსად რომ თრთოდა,

ქალს გაურბოდა და სილამაზე,
მის ხელში მკვდარი, წინ ეხატვოდა.
მაგრამ ელენე... ელენე ამ დროს
საშინელ ცოდვით მოღლილ სულსა ჰგავს.
ის აღარ სცდილობს სევდა დააცხროს,
ის აღარ ელის მომხიბლავ ამბავს.
ზის მარტოდმარტო... ვით მძიმე ტყვია
თავს დასტრიალებს ნისლი სულისა,
შუბლზე ულმობელ დაღად ატყვია
მწარე აჩრდილი სინანულისა.
სწუხს, რომ ეს ღამე შეჩვენებული
ეგრე სწრაფად და მალე წავიდა,
ღამე, ღალატით ჩირქმოცხებული,
ღამე, თვით ესრე უმანკო, წმიდა.
აჲ, რარიგ სურდა... აჲ... რარიგ სწადდა,
დიდხანს გამლოდა ეგ ღამე მწარე,
მაგრამ პა, მზემაც ამოანათა
და მიწას სტყურორცნა სხივი მგზნებარე.
გარს იცქირება ნამუსახდილი,
სევდა-ნალველი გულს ჰკბენს, აჩრდილებს
და ბნელ იატაკს ძირს თავდახრილი
დასჩერებია, თვალს არ აცილებს.
განა დააცხრობს ოცნება ფრთხილი
ნამუსახდილის საშინელ წუთებს?
ქალს იქავე ჰყავს პირმშო ყმანვილი,
ყმანვილს ის სნამლავს და ის ამტუტებს,
რომ დედა, როგორც უწინ, იმგვარად
არ ჰკოცნის იმის სახეს და როცა
დედის საწილთან მივიდა წყნარად,
მშობლის მოშხამულ ლოყას აკოცა.
რარიგ იწვევდა ეს კოცნა დედის
ფიქრს, შვილის ტუჩზე დასაწაფებლად,
მაგრამ ღალატი ოჯახის და ქმრის
მის გულს ცეცხლივით მოედო მწველად.
იქ, იმ საწილთან, სადაც გამოხსნა
ვწებათა ღელვა, ჩვეული სევდა,
შვილის უმანკო ტუჩზებზე კოცნა

აღარ შეეძლო, ველარ გაპბედა.
 სურდა ეს გზნება და ტოკვა მწარე
 გამთბარ სიტყვებში გადმოეფრქვია,
 მაგრამ ვერ შესძლო და ხმა მთრთოლვარე
 ტუჩზე დაადნა ისე, ვით ტყვია.
 ნაცვლად გულიდან აღმოხეთქილი
 ოხვრა, მსახველი მწველ გასაჭირზე,
 მოისმა... ასე თხრავს ჯეჯილი
 შემოდგომისას, სამარის პირზე.
 „გამშორდი... ნადი... რა გსურს ჩემგან შენ?“ –
 უმწე სირცხვილით, უცნაურ შიშით
 ხელი ჰქრა ყმანვილს და კარებისკენ
 ის გაექანა სწრაფი ნაბიჯით.
 მაგრამ ვერ შესძლო კართ გადარება,
 ძალილეული, სუსტი, დაღლილი
 იქვე დაეცა, ვით ქანდაკება
 საფეხურიდან გადმოვარდნილი.
 და სწორედ ამ დროს კარი გაიღო,
 ქმარი მოვიდა... ქალს თვალი მოჰქრა...
 „ელენე, ბავშვო... მითხარ, რა იყო?“
 ქალმა კი მწარედ ამოიოხრა.
 „ელენე... ღმერთო... არარა არი
 შენი პასუხი... მაშ, მრისხავს ზეცა?“
 მიხვდა ყველაფერს საბრალო ქმარი
 და უნუგეშოდ მუხლთ მოეკეცა.
 „ელენე... იცი, შენ მაგალითით
 მყუდროებისას აჩრდილებ კანდლებს.
 საჩვენებელი გაპხდები თითით,
 მალე შენ ხალხი გაგასამართლებს“.

III

„დიდედა! მითხარ რამე ზღაპარი.
 რა ვქნა, რომ გულში სევდა არ ჰქრება?
 ახლო დამიჯექ, მიხურე კარი“...
 „დაჩუმდი ერთი, რა მეზღაპრება“.
 „დიდედა, მითხარ... მითხარ ზღაპარი“.
 „ოჳ, დაიძინე! დასცხრე იქნება,

გული ისე მაქვს, ვით ლოდი მკვდარი“.
„რა ვქნა, დიდედა, არ მეძინება.
მაგრამ შენ შფოთავ და რა გაწუხებს,
რისთვის არ მეტყვი? რისთვის არ ამბობ?“
„ბავშვო, საცაა ზარი დაპქუხებს,
იქნებ გავიგო. დასცხრი. ნუ ლაყბობ“.
განცვიფრებული კვლავ მიაცქერდა
ბავშვი დალვრემილ მოხუცის სახეს,
რა უცნაურად გული აძგერდა,
დაჩუმდა... მწარე ფიქრთა გაჩარხეს.
არ ეძინება, რადგან გრძნეული
თვალებში სხივს სცემს მაისის მთვარე.
სდუმს არემარე... ქანცმილეული...
სიზმარს დაეძებს კორდი მთვლემარე.
მთის ნეტარ ამბავს ჩურჩულებს ნელი
და უზრუნველი სიო კოლხიდის,
ბალს ავსებს ნაზი კვავილთ სურნელი
და ფიქრი ისევ მოდის და მიდის.
სდგას აკაცია... და სიზმრებშია
გარინდებული მისი სხეული,
ფიქრი იმისი მაღალ მთებშია,
ფიქრი წყნარი და ფრთააწეული.
არ ეძინება, რადგან გრძნეული
გარს ახვევია მაისის ლამე,
დიდედაც ფიქრთა ზღვაში ხვეული
სდგას გარინდებით, როგორც მოწამე.
შუალამეა... ბავშვს კვლავ არ სძინავს,
მისჩერებია ცისა ვარსკვლავებს,
ფიქრი სადღაცა მიპქრის, მიფრინავს,
ფიქრი რაღაცას უვალალავებს.
და უცებ ფიქრით მოცულ ჰაერში
ზარმა გრიალით დაიგუგუნა,
შეკრთა დიდედა და, როგორც მტვერში
გასვრილმა მწერმა, თავი დაპლუნა,
შემდეგ წამოხტა და გაექანა,
სიდანაც მკვეთრი მოესმა ზარი
და ამ დროს თითქო მთელი ქვეყანა

იყო საშინლად გასაოცარი.
ბავშვიც წამოხტა და დაედევნა
დიდედას... ჩიტის ფრთებით მიფრინავს,
ვერ დაეწია. ამაოდ ევნო.
ნეტარი ცა კი ბრწყინავს და ბრწყინავს.
ცა სიყვარულით განათებული
ღამის სიმშვიდით სოფელს აკვდება,
მაგრამ ვინ არის მთლად ანთებული,
სოფლის გზაზე რომ მიინაკვთება?
ვით ჯეირანი ირხევა... სხლტება,
შიშით აქა-იქ თვალებს აფეთებს,
თითქო რაღაცას ემუდარება
ირგვლივ დარაჯად აყუდებულ მთებს.
ნიავი უშლის მხრებზე ნაყარ თმას,
კაბა ლამაზად თეძოებს ახვევს
და შემდეგ, თითქო თავისივე ხმას,
ისე მოჰყვება ღრმად ჩაყოლილ ხევს.
ნიავი იბრძვის, თუ რისთვის არი
ეგრე წარმტაცი მიმავლის მკერდი
და რად ელვარებს მხრებზე ნაყარი
ხშირი დალალი, როგორც ხავერდი?
განცვიფრებული თვალს მიაყოლებს
მთვარე ობოლი და ვარსკვლავთ გუნდი,
თითქო ყოველ მის ფეხზე აურუოლებს:
„საით მიდიხარ, საით? დაბრუნდი!“
მაგრამ ის მაინც არ უგდებს ყურს მათ,
შიშით მიდის და ნუკრივით კრთება,
მიდის და ტუჩთა ნაპრალებს ჩუმად
მხურვალე ლოცვა ეფარფატება:
„ღმერთო, შენ იცი სიმართლე ჩემი,
შენ გესმის ფიქრი გულის მრხეველი,
შენ დამიმკვიდრე ტკბილი ედემი,
შენვე წამართვი სასუფეველი.
და შენვე გქონდეს ეს ჩემი სული,
ჩემი სხეული ვნებად განვდილი...
დღემდის, უფალო, წმინდათ დაცული,
დღეს კი შეცდომით ნამუსახდილი!“

და აპა, ესმის კიდეც მდინარის
გაცხარებული და ყრუ ძახილი.
მაგრამ დაიცა. ჩუ, ეგ ვინ არის,
მისკენ რომ მოაქვს ნაბიჯი ფრთხილი?
„მამავ!“ – შეჰყვირა უეცრად ქალმა, –
მითხარ, რას დამდევ, რა გსურსო ჩემგან?!”
„დაიცა, შვილო! აბა, საწყალმა
ვით მოვითმინო, ცუდი რაც რომ სთქვან.
ხედავ ჩემს სხეულს... როგორ ცახცახებს,
მას შველა უნდა... მოვლა... პატრონი...“
„მამავ, უფალი ხელს არ აგაღებს!“
„ეჳ, სად აიტანს მოხუცის გონი
ერთადერთ შვილის საშინელ სიკვდილს?“
(ხელს ავლებს მამა
და გულზე იკრავს ნამუსახდილ შვილს).
„მამავ, მამილო!“ – ქვითინებს ქალი, –
ხედავ, ნუგეშის დამებშო კარი,
რა ვქნა, რომ ასე დავძრნი მაშვრალი,
რა ვქნა, ამიხსენ, რა ვქნა, მითხარი.
ირგვლივ ქვებს მარტყმენ... ნამუსახდილის
სახელით მნათლავს ირგვლივ მთა-ბარი,
ნამართვეს წმინდა ალერსი შვილის,
თმებით დამათრევს შეშლილი ქმარი“.
„არა უშაგს რა... შენ გაგამართლებს
ხალხი, პატივს სცემს ჩემსა ჭალარას“.
„არ მაქვა იმედი, მხოლოდლა ტალღებს
მივსცემ სიცოცხლის დაძირულ ზარას.
იქ გავიქცევი, სიკვდილის ბინდი
იქ დამიქროლებს ნუგეშის მწვევი“...
„საითკენ გსურდეს, გასწი, გაფრინდი,
ლმერთს, ზეციერ ლმერთს სად გაექცევი?“
„მამავ! – ქვითინებს ისევე ქალი, –
არსით არა სჩანს ნუგეშის კარი,
რა ვქნა, რომ ასე დავძრნი მაშვრალი,
რა ვქნა, ამიხსენ, რა ვქნა, მითხარი“.
აი, გამოჩნდა კიდეც ტაძარი,
ხალხი ფუსფუსებს, ხალხი ირევა,

ხმაურობაა გულშესაზარი,
კაცი კაცზე ზის, არ არის ტევა.
ელენეს ქმარი აქა-იქ დარბის,
გლოვით, ქვითინით ვიღაცას ეძებს,
ხან მისუსტდება ძალა იმის ხმის
და უნუგეშოდ ამოიკვნესებს.
მაშინ ის სუნთქვა რაღაც იდუმალს,
სულიერ ტანჯვას გარშემო ივლებს,
ხან კი მოიკრებს ისევ ისე ძალს
და ხალხს შეკრებილს მყაცრად დაჰკივლებს:
„ხალხო! იმედის შუქი წამერთო,
წამერთო სხივი ნუგეშის მფენი,
რა დავაშავე, ოპ, ღმერთო, ღმერთო!
გაასამართლეთ ჩემი შემრცხვენი.
ღმერთი არა გწამთ? ხედავთ ჩემს თვალებს,
რომ ჩემს დამლახვრელს ხელი არ ახლოთ?“
და ხალხიც ერთხმად ტოკავს, გრიალებს –
„გავასამართლოთ, გავასამართლოთ!“
„სჯობს ვაპატიოთ, – ამბობს ვიღაცა;
„ოპ, რაებს ბოდავს ვიღაც მოცლილი,
ეშმაკის იყო და მოიტაცა,
შეცდომით ქვეყნად გადმოტყორცნილი“,
ამბობს მეორე და მას ბანს აძლევს
ხალხის ხმა ტალღად ამოხეთქილი.
„არა, ჩვენ ისე ვერავინ დაგვძლევს,
რომ ავურიოთ ბოროტ-კეთილი.
– „მაშ, აი, აქ ვარ, გამასამართლეთ,
მიყავით, რაც გსურთ, ერთია ჩემთვის.
ყოფნა აღარ მსურს, რაც უნდა აღსდგეთ
ჩემზე, ეს სული მაინც ცას ელტვის.“
და ყველამ იცნო ელენეს ხმები,
იცნო და ზიზღით აევსო გული:
„სიკვდილი მაგას... აიღეთ ქვები,
მოჰკალით, მოსპეთ, შეჩვენებული!“
უცებ მოისმა ხრიალ-გრიალი,
ქვა ქვაზე მიდის გამალებული
და ხალხი რაღაც შავ ფიქრით მთვრალი

უცებ შეჩერდა აზვირთებული.
ჯერ კიდევ ისმის კვნესა სიჩუმის,
ყორედ მიყრილან ერთ ადგილს ქვები
და თითქო შავის ნაღველით იძვრის
იქ ანგელოზი სულისმიმღები.
„ოჰ, სასამართლო! ხალხის ბრმა ძალაშ
როგორ დაგთრგუნა... სადა გაქვს ბინა?“ –
ამოიკვნესა საბრალო მამაშ
და ყრუდ, მწუხარედ ჩაიქვითინა.
მან იგრძნო მწარე ფიქრები ბრბოსი,
მან იგრძნო ხალხის შავბნელი სევდა
და ისიც იგრძნო, რომ ანგელოზი
ცოდვილ სულს სადლაც მიაქანებდა.
„ელენე... ლელი... ნუთუ არ სჯობდა,
სამარადისოდ ქვეყნად არ მეშვა?“
... ბრბო უსამართლო განაჩენს გრძნობდა,
ბრბო უსამართლო ქვევით დაეშვა.
სდგას მამა, როგორც ქვის ქანდაკება,
არ იძვრის... სუნთქვა ველარ გაჰშედა.
უცებ მოისმა, როგორც განგება,
ბავშვის ქვითინი: „ოჰ, დედა, დედა!
სადა ხარ, სადა, მე გეძებ მარად“...
მაგრამ დაავლო უცებ ხელი მხარს
და ეუბნება დიდედა წყნარად:
„წამოდი, ბავშვო! მე გეტყვი ზღაპარს,
ზღაპარს იმაზე, თუ როგორ სდევდა
კაცთ არსებობას ცოდვა გრძნეული.
იყო. რა იყო... სცხოვრობდა სევდა
ირგვლივ ფიქრებით შემოხვეული“...
მაგრამ ყმანვილი არ ისმენს მის ხმებს,
არ შეუძლია, ბევრჯელა სცადა...
„იყო...“ და მოჰყვა უსაზღვრო ზღაპრებს
ძველი ქართველი შეჰერაზადა.
„სად არის დედა?“ – კითხულობს ბავშვი.
„დაიცა, კარგად დამიგდე ყური“.
„მე დედასთან მსურს ეხლა თამაში“.
„შორს გადაჰკარგეს დედა უძლური...“

უსამართლონი... არ შეგიბრალეს
ჯერ ისევ ნორჩი და უსუსური.
გულში დაგუბულს, ნაღველში ნალესს
ზღაპარს მოვჰყვები, დამიგდე ყური!“

IV

აღელვებული ჩამოვჯექ ქვაზე,
შავმა ფიქრებმა შთანმთქეს მაშვრალი,
იქ კი, სახლისკენ მიმავალ გზაზე
ზღაპარს ამბობდა მოხუცი ქალი.
„იყო...“ მაგრამ აქ შევკრთი უეცრად,
გვერდით მომიჯდა უცხო ვილაცა,
იმისმა სახის შეხედვამ ცეცხლად
ურულით ამიღო და ამიტაცა.

„ვინა ხარ?“ – ვკითხე და თვით ჩემი ხმა
შიშით გავიღე, თითქო ვქურდობდი.

„მე? ვერ მიცანი? მსურს აქ შენთან თქმა
ყველა იმისი, თუ რასაც ვგრძნობდი“.

„ახ, შენ მწყემსი ხარ, გიცან, გიცანი.“

გულის ტკივილი მე მესმის შენი“.

„არა, სულ სხვაა ჩემი მიზანი,
მე არც მწყემსი ვარ, გრძამდეს, იგრძენი.
ელენე მოჰკლეს და მსურს, მხოლოდ შენ
გამოგიმულავნო მისი ამბავი“.

„ახ, კარგად ვიცი, მეორედ მოჰკვლენ
იმავ სიყვარულს... დაუნახავი
ცეცხლი გააქრობს ხსოვნას იმისას...“

რისთვის სცოცხლობდა, ან ელტვოდა რას?
პირველი იყო ეგ სიყვარული?“

„არა, მეორე. პირველი სრული
სულ არ ყოფილა... ის სევდიანად
მე მაშუქებდა, თვით არ ვიცი რად,
ფიქრში მახრჩობდა ტანჯვათა ხევი“.
„მე ყურს დაგიგდებ. აბა, მოჰყევი.
ნურას დაჰფარავ, მე ვხედავ, რომ შენ
ბევრჯერ გიგრძნია ტანჯვათა ზვავი,
მაგ შენს სახეზე, მითხარ, ამიხსენ,

ზიზღი რად სცურავს დაუფარავი?“
მოსული შეჰერთა და უეცრად მეც
რაღაც უცნობი აღმენთო გრძნობა.
„დაგჰკარგე რწმენა, იმედი, სიმხნეც, –
ასე დაინყო თავის მოთხოვნა, –
ეჳ, ნუღარ გიკვირს, რომ გრძნობის მკვდარის
გარს მახვევია ბნელი სუდარი,
ვერსად ვერ ვპოვე შვების ნექტარი,
ვერსად ვერ ვპოვე ნავთსაყუდარი,
მიჩვენე მხარე, სად არ ვყოფილვარ,
მითხარი რამე, რა არ მსმენია,
მაგრამ შემხედე ეხლა, ოჳ, ვინ ვარ,
ან წარსულის რამ თუ შემრჩენია.
ბავშვი ვიყავი, მაგრამ ვიცოდი,
რას დაეძებდა მთებში მანფრედი,
მეც მასთან ერთად ვკრთოდი და ვთრთოდი,
მეც მასთან ერთად ვფრენდი და ვფრენდი.
ვიცნობდი ფაუსტს. ისიც ვიცოდი,
რად შეეჩივა მკაცრ მეფისტოფელს,
გატაცებული სოფელს განვშორდი,
გატაცებული განვშორდი სოფელს.
ეჳ, ჩემო კარგო, ხსოვნას თან დააქვს
დამჭკნართა გრძნობათ ნაზი სურნელი,
განუკურნელი სევდა თან ახლავს,
სევდა თან ახლავს განუკურნელი.
ოჳ, ჩემო კარგო, ბევრჯერ, მრავალჯერ
მომაგონდება დრო სანეტარო,
როცა მეტყოდნენ: რა მშვენიერად სწერ!
როცა მეტყოდნენ: უკვდავი ხარო.
ხელოვნების წინ წმინდა ცრემლს ვღვრიდი,
რაღაც უცნაურს ვგრძნობდი სიამეს,
მრნამდა, დიდებულ რასმეს შევქმნიდი,
მჯეროდა, უკვდავს შევქმნიდი რამეს.
მაგრამ დაიხრნა ნეტარი ქსელი,
ჩემთა ოცნებათ მე რომ შიგ უხვევდი,
თურმე უბრალო იყო სანთელი,
ტიტანიურ ალს მე რომ ვარქმევდი.

ეპ, ჩემო კარგო, ხსოვნას თან დააქვს
დამჭენართა გრძნობათ ნაზი სურნელი,
განუკურნელი სევდა თან ახლავს,
სევდა თან ახლავს განუკურნელი.
მომიკვდა მამა. ზედ დავაფარე
მოწყენილობის უძრავი ლოდი,
არავინ მყავდა მე იმის გარე,
ქვეყნად რომ ვისმეს შევთვისებოდი.
მარტოობის შვილს ბევრჯერ მინახავს
სევდის აჩრდილი დამამხობელი.
მაშინ კარგად ვგრძნობ, რომ არავინ მყავს,
რომ თავის გერად მიცნობს სოფელი.
შავის ფიქრებით გატაცებული
მივადექ ერთხელ ტურფად შემქულ ბაღს,
მთვარე ფერმკრთალი, ფერდაკლებული
ვერცხლის სხივებით მოსავდა ბალახს.
უხილავ ხელით ჩარიგებული
მორცხვად თრთოლავდა ვარსკვლავთა მნკრივი,
ქვეყნად კი ყყო გამეფებული
სიმშვიდე წყნარი და ღვთაებრივი.
ყვავილთა სუნი ეშით დნებოდა,
მზის უნახავი იხსნიდა ღილებს
და ნაზი ძილი ეპარებოდა
ქვევით თავდახრილ ხეს და ხეხილებს.
ბაღი მდუმრე, გარინდებული
მთლად შეებოჭა ვნებათა ჯადოს.
ლამე მირხევდა, ლამე გრძნეული
ფიქრს უკვდავს, მარტივს და სამარადოს,
რომ სიყვარული არის მოკვდავთა
ძალა აღმგზნები და შემაერთი,
რომ სიყვარული არის აქ კაცთა
მსაზრდოებელი ძლიერი ღმერთი.
მე კი სიყვარულს ვერ მივსწდომოდი,
მე ჯერ არავინ არ მყვარებოდა,
ლამე კი თრთოდა და მეც თან ვთრთოდი,
სიმშვიდე გრძნობას ეკარგებოდა.
და სწორედ ამ დროს მე დავინახე

შადრევნის იქით ქალის აჩრდილი,
საცხე და ნაზი შვენოდა სახე,
იდგა მაღალი, ჩადრგადახდილი.
შადრევნის სრიალს გადასცეროდა
და გულდამთუთქველ სევდით მღეროდა:

ცელქი ნაკადი
ნორჩ ყვავილს მკერდს ბანს,
ჰკრებს ცის ლაჟვარდი
ფიქრთა შადრევანს.
ორნი ვართ ველად
ხის ქვეშ დამსხდარი
და მიმზიდველად
გვცემს ვნების ქარი.

ოდეს სიო მთის
არხევს შენს დალალს,
სთქვი, სევდა რისთვის
დაგციმციმებს თვალს?
სცოცხლობ და სხვებში
ვერ ვპოვებ შენს ცალს,
მოჰკვდები, მკერდში
ჩავიგებ ხანჯალს!

მტანჯავდა სევდა
დამწველ-მდაგველი,
ნაღველი მლევდა,
მწარე ნაღველი..
ან ამოგვილონ
გრძნობა თანდათან,
რაც სურთ, ის გვიყონ,
რაც სურთ, ისა სთქვან!

იგი დადუმდა: წერიალა ხმაში
ჩაჰკვდა სიმღერა გასაოცარი,
ნიავმაც უცებ იწყო თამაში,
უცებ ატოკდა ბუნების ქნარი.

ატოკდა გულიც. ატოკდა ვნება,
მაგრამ არ დასცხრა ნაღველი მწვავე,
ატოკდა ნაზი სევდის ოცნება,
ერთხელ სადღაც რომ დავასაფლავე:
შორს, ჰორიზონტზე შუქთ გუნდი გაპქრა,
განთიადისა ოცნებამ დაპკრა.
მე გავიფიქრე, რომ ეს შემთხვევაც
მალე გადივლის, ვით ტალღა მწვანე
და მე გავჰყები ჩემს მოწყენილ გზას,
ვით ზღვის უდაბნოს – მეიალქანე.
და გავიფიქრე: ოპ, ზენაარო,
რისთვის ატოკებ ჩემს სულს დანახუთს?
დაე, ობლად და მარტო ვიარო,
არ დავუტევებ შემთხვევას ამ წუთს.
სული შფოთავდა... გავექანე, თან
მივუახლოვდი ასულს... იქ თავს ვსდებ
და წყნარად ვუთხარ: რაც სურთ, ისა სთქვან,
მე შენ მიყვარხარ, მე შენ გაღმერთებ.
იგი კი იდგა, როგორც ფრინველი
ასპიტის ცქერით გარინდებული,
ვერ მოვითმინე და ზვირთი ცხელი
ძირს გადმოინთხა ცეცხლად ნთებული.
მსურდა წარსულის შავ სიცოცხლისთვის
ამ ნეტარ წუთში გზა დამელოცნა
და გაგიუებით, არ ვიცი რისთვის,
ქალს ვუწყე კოცნა... მხურვალე კოცნა.
ღიმილი მწველი და დამცინველი
სადღაც შევნიშნე ცეცხლად გზნებული,
ის კი კვლავ იდგა, როგორც ფრინველი
ასპიტის ცქერით გარინდებული.
თენდება. „მითხარ, სიდან მოსულხარ, –
მკითხავდა ქალი, – ვინ ხარ, საიდან?“
მე კი ვჩურჩულებ: „ქალო, ნუ სწუხხარ.
ვერ გეტყვი, ვერა... რაც სურთ, ისა სთქვან“. „როგორ? ვერ მეტყვი? მაშ, როგორ ბედავ
უცნობს მომვარდე. რა ჰქენი, ვაპმე“...
„მე ამის შემდეგ ვეღარ შემხედავ,

მაში, მომიტევე ეგ სითამამე“.
„ველარ შეგხედავ? ვინ ხარ ეგეთი?“
„ვინც უნდა ვიყვე, მაგრამ ზეცით ღმერთს
ჩემს გზად უქმნია ზღვა და ხმელეთი,
ხან ედემს მირგავს, ხან კი ჯოჯოხეთს“.
„ვინ ხარ, არ ამბობ. საით მიდიხარ
ან რომელ მხარეს, ეგ მაინცა სთქვი,
სად ჰპოვებ სითბოს, ან ვისთან, მითხარ!“
„ამაოდ სცდილობ, ვერა, ვერ გეტყვი“.
„ვერ მეტყვი?“ და ის კვლავ მომაცქერდა,
გაჩუმდა ფიქრში. თავი დაჭხარა,
ქვიშაზე ტოტით რაღაცას სწერდა,
შემდეგ შეკრთა და... გადიხარხარ.
„ოჳ, გიცნობ, გიცნობ. შენ ის არა ხარ, —
ქვეყნად რომ ცალად დაეხეტები,
არავინ გიყვარს, არვის უყვარხარ
და უიმედო ფიქრებში ჰკვდები.
შენ გსურს ალერსი... გწყურია ტრფობა?
ოჳ, ბედნიერად, რა ვქნა, რომ ვერ გხდი,
ჰა, ჩემი მკერდი და მეგობრობა,
ნუ გაიფიქრებ, რომ ჩემშიც შესცდი“.
მე ის მკოცნიდა. მკოცნიდა ვნებით,
ეხლა ვიგონებ ამას, ღმერთმანი,
რომ რაღაც მწარე თავდავიწყებით
დასჩურჩულებდა ბალს შადრევანი.
„შენი სახელი? შვენებავ, ვინ ხარ“,
ვეითხე ჩემს უცებ აღმოჩენილ მზეს.
„ჩემი სახელი? შენ რად არ მითხარ...
ელენე... გრწამდეს... არ დაგავიწყდეს“...
ის მე განმშორდა და განვშორდი მეც,
რაღაც ბუნდოვან ქსელში თავს ვგრძნობდი,
გამოვეთხოვე და ფიცი მივეც,
რომ არასდროს კვლავ არ შეეხვედროდი.
გზაზე ვფიქრობდი: შეუპოვარი
მეგონა თავი, ვის რაღა ვუთხრა?
დაგასაჩურრა, როგორც მთხოვარი,
რათ არ გრცხვენია, დაგასაჩუქრა.

ვინ იცის, მის გულს რა ცეცხლი ღრღნიდა,
ცის ვარსკვლავით ოდნავ მშუქარი,
ვინ იცის, როგორ ბრძოლად უღირდა
ეგ მოწყალება, ეგ საჩუქარი?!

V

გამოვეთხოვე სამშობლო მხარეს,
ჩავჯექი გემში... გულს სწენდა სევდა,
მაგრამ ოცნება მუდამ მწუხარეს
ხშირად სადღაც შორს გამიტაცებდა.
ვხედავდი, ცამდის აყუდებულ მთებს
განშორებისა ნისლი ურევდა,
ფიქრით ვკოცნიდი მათ მწვანე კალთებს,
გემი კი სადღაც მიმაცურებდა.
თვით არ ვიცოდი, საით მივქროდი,
რად ვევლებოდი ტალღათა ამბორს,
მაგრამ ერთ შავ ფიქრს გულში ვფიქრობდი:
გავფრენილიყავ საითმე შორს, შორს.
ვხედავდი ჭალებს, ფენილთ ზღვის პირად,
კლდებს და ბუჩქნარს, შებზნილს, დახლართულს,
ჩემს ობლობაში ნათესაურად
რომ მიღიმოდნენ ფიქრებში გართულს.
მზე დასავლეთით იღველფებოდა,
ზღვას დანოხეოდა ცეცხლის ალმული,
ხან იმუქებდა, ხან ნელდებოდა
ცა შუბლგახსნილი, ცა მეწამული.
მივსჩერებოდი ნარმტაც სანახავს,
ახალის ცეცხლით მიძგერდა გული
ისე, ვით ტალღა არხევდა ჩვენს ნავს,
მსუბუქი, ნაზი და ფერნასული.
რა წარმტაცია და მიმზიდველი
ზღვის სივრცე შორი განთიადის ჟამს,
როდესაც მთვარე შიშველ-ტიტველი
ღიმილით დასცექრს მომხიბლავ კამკამს.
შეტოკებული, ნაზი, მსუბუქი
ფერს იცვლის წყნარი ვარსკვლავთა კრება
და სიბრნყინვალით შემკული შუქი

ზღვის შორ ლაუვარდში ირღვევა, ჰქრება.
 თითქო ჰანგს სძლვნიან განთიადისას
 შემაერთებელ ფრთაშესხმულ კავშირს
 და იქარვებენ ბურუსს ტანჯვისას,
 მარხვენ თან მიმსრბოლ კვნესა-გასაჭირს.
 არც ზღვა ნეტარი, არც კა მორთული
 არ ემონება გულისთქმას ვიწროს,
 თეთრ, სპეტაკ ფიქრით გარემოცული
 იქ სული ხარობს... მიყვარს ზღვა ამ დროს.
 მაშინაც, როცა აღშფოთებული
 ტალღა ტალღაზე ჰქუხს და გრიალებს
 და ფრთაშესხმულად აგორებული
 წალეკს ნაპირებს, გაატიალებს,
 როცა ქაფს იყრის და მრისხანებით,
 ვით ცეცხლის მარცვლებს, ჰაერში აძნევს
 და ველურ ხმებით, საზარელ ხმებით
 შიშში შთაგდებულ მიდამოს არხევს,
 როდესაც ანძა ხომალდთ ქარავნის
 გადახეული მიმოფრიალებს,
 როს ავი სული განგაშებს, დაძრნის,
 როცა წყლის ქაჯი ზღვაში ხრიალებს,
 თითქო ვერ ითმენს სასტიკ მონობას,
 სამარცხვინოს და საბედისნეროს
 და შხამ-ნაღველში ილესავს გრძნობას,
 ომობს... თავხედობს... მიყვარს ზღვა ამ დროს.
 ხშირად ზვირთთ თამაშს გადაესცეროდი,
 მათთან ვლალობდი... მათთან ვმლეროდი...

VI

დავუმეგობრდი ვიდაც ერთ სულელს,
 ოლიმპიურად რომ სთვლემდა მუდამ,
 მეტად თავმდაბალს, მაგრამ გაუთლელს
 ააშფოთებდა სულ უბრალო რამ.
 ერთის თქმით ყველას გიჟად ნათლავდა,
 მეორეთი კი – ამაოებად,
 მე კი უსაზღვრო შური მტანჯავდა
 და მედებოდა დამთუთქველ ვნებად.

დაგვაახლოვა ერთმა შემთხვევამ:
ის ერთ ლამაზ ქალს მიუახლოვდა
და მდუმარებათ მისთა მძლე კრებამ
ნისლი გაჰეთა: ის იმ ქალს ჰაფლობდა;
და იმ ქალის წინ ვაება-ურვა
რომ დამენთხია, მე მომესურვა.
ჩემს ახლოს იჯდა მეორე ქალი,
მეტად მოსული, მეტად მაღალი.
ის გატაცებით ერთ მანდილოსანს
უმტკიცებდა, რომ საკითხი ქალთა
ისე გამწვავდა, ისე ცხადად სჩანს,
რომ ძნელი არის ავლება თვალთა.
მალე დადგება ნეტარი წამი,
სხივს მოგვფენს ზეცა და სამართალი,
მოგვაჯადოვებს დღეთა კამკამი,
წინ არ გაუშვებს თავის ქმარს ქალი.
ჩემმა ნაცნობმა რომ გაიგონა
ეს, წამოავლო თავის ცოლს ხელი,
თავი იმისკენ გადაიწონა
და უთხრა: „გესმის, ვით ბჭობს სულელი?
დალისა! ამავ სიტყვებს და აზრებს
ერთ ძველ გაზეთში ვიღაცა სწერდა“.
ქალმა შეხედა ქმრის აჩეჩილ მხრებს,
მაგრამ რაღაცგვარ ზიზღით შეხედა.
კუთხეში ერთი მოხუცი იჯდა
ძონძებში, თითქმის შიშველ-ტიტველი
და ბუტბუტებდა: „ეს რა გამიჩნდა,
რა დამტანჯველი და მგესლი გველი.
ოჳ, სარგებელი... ოჳ, სარგებელი...
სად არის ჩემი მონა მკრებელი?
ის მოკვდა, მოკვდა... ამაოდ ველი,
ოჳ, სარგებელი... ოჳ, სარგებელი“.
შემდეგ გავიგეთ, რომ ეს მთხოვარი,
ძონძში ხვეული და იჭვნეული,
იყო ცნობილი ვინმე მდიდარი,
სარგებლის ფიქრად გადაქცეული.
ჩემმა ნაცნობმა სთქვა: „ეს სულელი

რა უნდობლობით და იჭვებით ყარს...
გასესხებული აქვს დაუთვლელი
და სარგებელი კი ისევ უყვარს...
მაგრამ რას ვამბობ... თვით ყოფნას განა
არ სჯობნის მისი ვერცხლის სატანა?“
„ოჳ, არა... ვერცხლი ჭუჭყია მზისა“, –
ათრთოლებულ ხმით ამბობს დალისა.
„დალისა, ფული ზეკაცად ხდის კაცს“...
„არა! ტრფობა ჰქმნის იმ ზეკაცს წარმტაცს“.
„დალისა, ვერცხლი მზეა სხივთმფენი“...
„ოჳ, არა... არა... ჩამომეხსენი...
ვერცხლი ჭუჭყია და გესლი მზისა“, –
ათრთოლებულ ხმით ამბობს დალისა.
გაფითრებული ჩემსკენ ხრის ნაზ თავს:
„ოჳ, როდის მოვრჩე ამ სულთამხუთავს...
გულს რომ მიცივებს, ვით სამარის ქვა...“
(დალისამ, ვგრძნობდი, ეს მის ქმარზე სთქვა).
„მაშ, შენ არ გიყვარს?“ – ჩუმად ვკითხე მას...
„ის მე ვერ მიცნობს... ის მე არ მიყვარს“...
არ უყვარს... განა ამიტომ არ ჰკრებს
მის სპეტაკ შუბლზე ფიქრი ნაოჭებს,
არ უყვარს... განა ამასვე არ გრძნობს
ყველა, ვინც ქალის ხასიათს იცნობს?
ოჳ, დამერწმუნე, ოცი წლის ქალი
სამოცი წლის კაცს ვერ შეიყვარებს,
ის ეძებს გზას, რომ თავისუფალი
მის გამოსახსნელს მიაწყდეს კარებს.
მხოლოდ ამაზე ესაუბრება
შუალამისას შავ ფიქრთა გროვა,
ვაი მას, თუ ფიქრს მძღედ არ უხვდება
და თავისივე გზა არ უპოვა...
მალე ეს ფიქრი გულშივ მოჰკვდება,
ქალი თავის ხვედრს შეურიგდება...
მხოლოდ წუთებში დაეძებს შვებას,
დარწმუნებული, რომ ნეტარებას
ინახავს მხოლოდ ძვირ წუთთა კრება
და არა ქალის მთელი ცხოვრება...

დალისას, ვგონებ ელამუნება
ესევე ფიქრი წყნარი და ფრთხილი...
მე მომენონა მისი ბუნება,
რომანტიული და დაღვრემილი.
„გიყვარვარ?“ – ვკითხე დალისას გზაში,
როცა მარტონი დავრჩით ბაქანში.
კითხვამაც ბევრი აღარ აწუხა...
„ოჳ! მიყვარხარო,“ – მან მიპასუხა
და გატაცებით მომაპყრა თვალი
აღელვებული, ვით ქარიშხალი.
მე ხელში მომყვა იმისი ხელი
ნაზი, პატარა... ცეცხლივით ცხელი,
ტუჩი დაადნო ჩემს ტუჩს და ვნებით
მკოცნიდა, მწერდა თავდავიწყებით...
თითქო ყოველი გამოიგლოვა,
მან გზა მონახა... მან გზა იპოვა,
ამ დროს თვით დემონს აღარ შეეძლო
შენი გაქრობა, ლვთიურო ცეცხლო!
რომ გამოვფიზლდით, გაფითრებული
ბოროტ სულივით თავს გვადგა ქმარი,
თითქო შავ სიზმართ ჰკულავდა კრებული
და არ სწამდა კი შავი სიზმარი.
ის იდგა როგორც გასაოცარი
სულდგმული ოლიდი... სულდგმული მკვდარი.
იდგა მდუმარედ. ასწია ბოლოს
თავი... და ისევ დახუჭა თვალი...
წაიდუდუნა: „სჯობს, რომ ჩამქოლოს
ყველამ... დალისა, რაზედ მომკალი?
დალისა, განა არც კი გიყვარდი?
დალისა, განა შავ ნისლში მხვევდი?
მაშ, რად მდაგავდი... მაშ, რაზე მსწვავდი?“
„რა ვქნა... რა ვუყო, რომ ვერ ამჩნევდი“.
„მაშ, არ გიყვარდი?“ „არა, არასდროს“...
„მაშ, დეე, ზვირთმა მომკლას... დამაცხროს“.
ის გაექანა... მე დავედევნე,
გვიანდა იყო... წყალს მისცა თავი...
წამების ჯვარზე საშინლად ვევნე,

ის კი სად არის ეხლა ნეტავი.
 აღარც დალისა სჩანდა... მის ნაცვლად
 იქვე ქაღალდის ნაგლეჯი ვპოვე:
 „ჩემი მტანჯველო! მიპასუხე, რად,
 სიცოცხლის ნაშთი რად ამომწოვე?
 მე, დამნაშავეს სიცოცხლე არ მსურს,
 სიკვდილის ფიქრმა ნამახალისა“²...
 და ბოლოს, წერილს, მეტად უგემურს,
 დიდ ასოებით აჩნდა: დალისა.
 ვეძებე იგი და არსით სჩანდა,
 ვერსად ვიპოვე, ვეღარსად ვნახე,
 სახე ზღვასავით გადამიმწვანდა.
 „ჯანდაბისაკენ!“ – ნამოვიძახე...
 და ამ დროს მსურდა, რომ ქარიშხლის ფრთად
 გარდამექცია სიცოცხლის დღენი,
 რომ დამეხვეწა სუყველა ერთად,
 რომ ამედულნა ოკეანენი.

VII

ზღვა სდულდა... სწუხდა და მიღელავდა,
 გემს ხან აქ, ხან იქ ტალღებზე სცემდა,
 ცას კი გამკრთალი ელვა სერავდა
 და თითქო ღრუბლებს მას აცილებდა.
 შიშით, ვაგლახით გავყეთ ბედის ხაზს,
 ფეხდაფეხ ვსდევდით საოცნებო ზოლს
 და მივადექით წარმტაცს და ლამაზს,
 უცხო სურათად გადაშლილ სტამბოლს.
 აი, ბოსფორიც... ამის დამნახველს
 რაღა შეარჩენს სევდას და ნალველს?
 იგი შვენება, სადაც ბუნება
 მგზავრს სიკეთეზე ედუდუნება,
 მაგრამ შორს, შორს, გზავ, გასწი, სადაც გსურს...
 წამლად დაედე ჩემს სუნთქვას უძლურს.
 გავსცილდი სტამბოლს... უკან მომდევდა
 სასტიკი ლანდი, როგორც ლვთის რისხვა,
 თავის ნალვლიან ფიქრებში გვევევდა
 დაწყნარებული... სევდიანი ზღვა...

აი, ლესბოსი თავის სიტიტვლით,
საფოს სამშობლო და სიამაყე,
ჩვენ კი ისევე ვივლით და ვივლით,
სანამ დაგვიჭერს სიკვდილის მახე.
აი, როდოსი... აი, ქიოსი,
სად გაჰქრა წეტა სიცხოვლის ჰანგი?
თითქო სიჩუმის ფლობს ანგელოსი,
დადუმებულა არხიპელაგი.
აი, ედემი წეტარი... წყნარი,
რომ დაუპყრია ზღვის მცირე კიდე,
აი, ქალაქი მშვიდი... ნარნარი,
მასაც სახელად ჰქვია: სიმშვიდე.
დაუფარავი მშვენიერება
ტებილის ნანათი მას ურწევს აკვანს.
ჰაეროვნითა ბანოვანთ კრება
წინ მიუძღვება აქლემთ ქარავანს.
მესსინა... ურცხვი ალექსანდრეტა,
ბეირუტი... იქ, ტურფა ტრიპოლი.
ოჳ, ბეირუტი... ვიცოდე წეტა,
რად დახვევა ეს ყვავილთ წრბოლი?
რა თვალწარმტაცად ველავანდები
სხვადასხვა საგნებს, სხვადასხვა ფერებს,
მზის სხივნი თრთიან, როგორც ლანდები,
ცელქი ნიავი ნორჩ გულს მიძგერებს.
უეცრად... ვნებით ტროპიკულ ლამეს
დაშვებულს მიწამ მიუძღვნა კოცნა
და ცის კამარამ, როგორც მონამეს,
კვალთა აჩრდილი გაუსხივოსნა.
ოჳ, ბეირუტი... რა მსუსხავია
მისი ბუნების სიცოცხლის ბუდე,
მისი ოცნება... ზღვისა ნავია
სისპეტაკე და სივარაუდე...
მაგრამ ეს რაა? რაღაცა მიჭერს
ყელში... ოჳ, ლამის დავკარგო გონი,
თითქო საცინლად დაშავებულ მწერს
თავზე სიკვდილის მადგას დემონი.
ღრუბელთა ჩრდილით ძირს გადმოსცურდა

დალისას სახე... დამწველი გრძნობა...
ოჟ, აღარ ძალმის... და რარიგ მსურდა
კიდევ და კიდევ მოგზაურობა.
ავადმყოფ სხეულს დასვენება სურს!
ექიმი მირჩევს დავპრუნდე უკან...
„სამშობლოს ჰავა, მოქანცულს, უძლურს
მოუხდებაო“, - ასე მითხრა მან.
მოვქრივარ ისევ სამშობლოსაკენ,
მაგონდებოდა მთუთქავი ლამე...
და კვლავ ვფიქრობდი: „ეს რა ვქენ, რა ვქმენ,
მოვკალ სიცოცხლე... ჩავკალ სიამე“...

.....

VIII

რომ არ სცოდავდეს, ნეტა ვინ არის,
ჩვენ ნერვებიან და მიხრნილ დროში?
და მეც, მორჩილი დროთა ნიაღვრის,
შეველი ერთხელ საროსკიპოში.
სულ თავში, მეტად დიდ სარეცელზე
ამაყად იჯდა მოხუცი ქალი,
მეტად მსუქანი, ბადრი, როგორც მზე,
მეტად მოსული, მეტად მაღალი...
მაშინვე ვიცან მასში ის დედა,
ერთხელ გემით რომ მოგზაურობდა,
სხვებს რომ ამაყად მაღლით უცქერდა,
სჩანს, რომ მაშინაც აღარ სუმრობდა.
როსკიპებს, ირგვლივ მოსიარულეთ,
მომღერალთ, მფარველ თვალებს ავლებდა,
სდუმდა და როგორც არწივი ბუდით
მაცდურ შავ თვალებს აბრიალებდა.
როსკიპთა გუნდი ხტოდა... მღეროდა...
შაშვივით სტვენდა დიდი და მცირე...
და მომაგონდა, რაც არ მჯეროდა:
უმანკოება იმათ შევსწირე.
ეს უწინ იყო... ფიქრში გართული
უცნობმა ძალმა გამომარკვია,
ფიქრი, ფიქრთაგან გამონაკვთული,

გულზე დამანვა, ვით მძიმე ტყვია.
ერთ როსკიპს ჩემთვის, ვით მრისხანე ქარს,
ამაყი ზურგი შემოექცია,
ორნი ისმენდნენ იმის საუბარს,
მე კი ვფიქრობდა: ეს რა მხეცია!
იგი ამბობდა: ერთხელ, გემში რომ
ვიჯექი, ქმარი წამოგვადგა თავს,
როცა უნდობელ დროთა საწუთომ
ვიღაც მოგზაურს შემომავლო გარს...
ქმარი დაილრჩო... მეც გადავეშვი,
გადამარჩინეს ვიღაცებმა,
თორემ უნდობელ ოკეანეში
როგორ შემეძლო ტალღებთან შებმა?
ეხლა, ლერთმანი, გული მიწყდება,
როცა სიცოცხლის სიმუხთლე ვსცანი,
ოჳ, არასდროს არ დამავიწყდება
პირველი ცოდვის ულვთო აკვანი.
კარი გაიღო და შემოვიდა
მოხუცი, ძონძში გამოხვეული,
ჩემთან გემში რომ სარგებელს სთვლიდა,
სარგებლის ტალღათ ზღვაში რხეული.
მე გამეცინა... მოსაუბრე ქალს
ხელი დაავლო და წაიყვანა...
ვაიმე... მეხი დამეცა მაშვრალს,
დალისა იყო... ვიცანი განა!
დალისა... ჩემგან შექმნილი ცოდვა...
ოჳ, გასკდი გულო... ხსნა არსით არი...
მაისის სევდა... მაისის ბოდვა...
დალისა ურცხვი და გარენარი.
ზარდაცემული, გონარეული
კარებისაკენ მე გავექანე,
სად იყო ამ დროს ძალა მშველელი,
სად იყო ამ დროს ზღაპრული რაში,
რომ სინათლისკენ გამეცრა ხელი
და ფრენა მეწყო ცის კამარაში.
მაგრამ ჩემშივე დარჩა ეს ბნელი
და უსასოო გულის ნადები.

დღე დღეებს მისდევს, როგორც ღრუბელი
და წელიწადს კი წელიწადები.
ჩუმმა ნალველმა გველივით დამღრღნა,
სევდა გულისა რით შევამცირო?
ოჟ, ღმერთო, ღმერთო! რა ვუყო, რა ვქნა,
მეტი ვარ ქვეყნად... არ ვარ საჭირო.
მე გამოვრბოდი შავ ქალაქიდან,
იმის ყრუ ქვითინს გამოვექეცი
და ჩუმ კაეშნით ვსცხოვრობ იმ დღიდან
იქ, იმ ბერე ტყეში, როგორც ტყის მხეცი.
ბედნიერება არის ერთგვარი
ბუნების მეერზე ობლად გრძნობდე თავს,
ვაი, რომ ტალღა დაუდეგარი
არ მოგასვენებს არც იქ... დაგტანჯავს...
მარტოობისა უძრავი დონე
ერთფეროვანი მომბეზრდა მალე.
ჩემი წარსული რომ მოვიგონე,
უნიშნო აწმყოც გავითვალთვალე.
მე მომაგონდა, რომ ერთხელ ბალში
ალერსი მიძლვნა ასულმა მწველი
და ფიქრმა მიწყო გულში თამაში,
ვიდეგ მთის წვერზე დამეთმთეველი.
ერთხელ დავეშვი ქვევით და ვნახე
იგი მიდამო, ის არემარე,
სადაც, შვენებავ, გულს შთამესახე,
პირველ აღმინთე ოცნება მწარე.
და კვლავ ვიხილე მდუმარე ბალი,
იქ, შადრევანთან ისევ ის იდგა,
ვისიც პირველად ალერსი ლალი
ალინთო... მაგრამ დასცხრა, შთაინთქა.
დავიმახსოვრე მე სახე მისი,
მისი ნაზი ხმა... მისი კისკისი.
ერთხელ შევხედე მთაში ამ ასულს,
მთის ყვავილებში რომ ნავარდობდა
და მისი ცქერა ლტოლვით მოქანცულს
გულს უნდობ ცეცხლით სწვავდა, ათრობდა.
მისმა ალერსმა მე ერთხელ კიდევ

მომცა ნუგეში და თვალს მიფარდა...
 დაბნელდი ბარემ, ჩემის ყოფნის მზევ!
 როგორ მიყვარდა... როგორ მიყვარდა...
 ის ქვით ჩაჰელეს... გველივით დამღრღნა
 და კაეშანი რით შევამცირო?
 ოჟ, ღმერთო, ღმერთო... რა ვუყო, რა ვქნა,
 მეტი ვარ ქვეყნად... არ ვარ საჭირო!
 სთქვა ეს და მწარედ ამოიხრა,
 თვალი მიყრილ ქვებს თან გააყოლა,
 იქ ერთ შავ აჩრდილს მან თვალი მოჰკრა
 და მთელ სხეულით დაიწყო ურულა.
 „აი, ის მოდის! – სთქვა და ხარხარით
 წამოდგა – მოდი, შენი ვარ, შენი! –
 მე კი უცნაურ იმის მკვეთრის ხმით
 მეტად სასტიკი ტანჯვა ვიგრძენი.
 „მე შენ გეძებდი, – უთხრა მომსვლელმა, –
 დროა გაესწორდეთ... მე მძულსო მხდალი“
 და დაშვებულმა იმისმა ხელმა
 დაუყოვნებლად იძრო ხანჯალი.
 მაგრამ ხელში სწვდა მოპირდაპირე,
 წაართო და შორს გადაისროლა...
 და თვით მოსული, ვით ტვირთი მცირე,
 ძირს დაანარცხა... „გათავდა ბრძოლა?“
 მოისმა კვნესა: „დიახ, გათავდა“...
 ოჟ, რა უეცრად დავსცხრი მედგარი,
 თორემ იყო დრო, როცა არ ჰერვდა
 აქ დამარცხებულს ელენეს ქმარი...
 იგი, გახსოვდეს, არ გაგართობდა...
 მაგრამ რას ვამბობ... ეჰ, კმარა... კმარა!
 და სანამ ერთი ამას ამბობდა,
 მეორე ხშირ ტყეს ამოეფარა...

ეპილოგი

გავიდა ხანი... მე ჩამივარდა
 ხელში შემთხვევით ერთი ხანჯალი.
 დაუანგულ ხანჯალს დევიზად აჩნდა –
 „ან სიკვდილი და ან სამართალი“.

მეორე მხარეს წითელის ლაქით
ენერა: „როცა უმართლო ლოდი
გულს დამისერავს მწიკვლით, ტალახით
ზევით ამოდი, ზევით ამოდი!“
ტარზე ენერა: „როცა გრძნეული
შემომესევა სევდა-ნალველი,
ხანჯალი! შენ ხარ მაშინ რჩეული
ჩემი დარაჯი და ჩემი მცველი“.
ხალხი კი ერთხმად კვლავ ამტკიცებს, რომ
სწორედ ამ ხანჯლით მოიკლა თავი
მან, ვისაც თავი მოაბეზრა დრომ...
და სევდა ჰკლავდა სულთამხუთავი.

[1911]

ဒုက္ခလာနစ်ဗိုလ်
ဆောင်အောင်
ဒုက္ခလာနစ်ဗိုလ်

ტექსტისათვის

გალაკტიონ ტაბიძის თხულებათა I ტომში შევიდა პოეტის მიერ 1908-1914 წლებში დაწერილი ლექსები და პოემები. ტექსტები წარმოდგენილია სამ განცოფილებად: 1. 1908-1914 წლების ლექსები, რომლებიც ავტორს პირველ წიგნში არ შეუტანია; 2 პირველი წიგნი: ლექსები, ქუთაისი, 1914 და 3. პოემები.

პირველი წიგნის ცალკე გამოყოფა განაპირობა იმან, რომ იგი გალაკტიონის მიერ შექმნილი ახალი ტიპის წიგნი-მთლიანობაა, რომლის დაშლა და სხვა ლექსებთან ქრონოლოგიური რიგით გადანაწილება დაუშევებელია (იხ. თ. დოიაშვილი, წიგნი-მთლიანობა, ქრ. „გალაკტიონოლოგია“, VII, თბ., 2014, გვ. V-XXVI).

ტომის შედეგისას ჩვენ გავითვალისწინეთ ნაწარმოებთა დათარიღებისადმი გალაკტიონის თავისუფალი დამოკიდებულება და უარი ვთქვით ტომში იმ ლექსების შეტანაზე, რომელთაც ავტორი, მართალია, 1908-1914 წლებით ათარიღებს, მაგრამ სტილით და ვერსიფიკაციულ-პოეტიკური მონაცემებით აჟარად განსხვავდებიან ადრეული ხელწერისაგან. ამასთან, მათი პირველი პუბლიკაცია 20-30-იან წლებში და კიდევ უფრო გვიან მოხდა.

ტომში არ შეგვიტანია აგრეთვე პოეტის ადრეული, სიცოცხლეში გამოუქვეყნებელი ლექსები, რომლებიც სხვა დაუბეჭდავ ტექსტებთან ერთად ცალკე ტომში მოიყრის თავს.

ძირითადი ტექსტის არჩევისას უპირატესობა მიეცა პირველ-ნაბეჭდ ან ქრონოლოგიურად მასთან ახლოს მდგომ პუბლიკაციას, რომელიც არ ატარებს 1921 წლის შემდეგ განხშირებული ავტორებურის გვალს და ადგევატურად გამოხატავს ავტორის ნებას.

„წიგნი-მთლიანობისთვის“ საბაზისოა 1914 წლის გამოცემაში დაბეჭდილი ტექსტები.

ლექსებისა და პოემების ვარიანტები შედგენილია ავტორის სიცოცხლეში დაბეჭდილი ყველა წყაროსა და ხელმისაწვდომი ავტოგრაფის მიხედვით, რომელთა უმრავლესობა გვიანდელი ხანისაა.

გალაკტიონის ხელნაწერები დაცულია საქართველოს გ. ლეონიძის სახელმისის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის გალაკტიონის ფონდში. გამონაკლისები მითითებულია პასპორტებში.

პოეტის არქივში არის წიგნებიდან ამოქრიდილი ან გადაბეჭდილი ლექსების ცალები, ანდა ტექსტის უშეალოდ წიგნში სწორების შემთხვევები. ასეთ სწორებებს გალაკტიონი ახალი გამოცემის მომზადების წინ მიმართავდა და ისინი, როგორც წესი, აისახებოდა

კიდევ ამ გამოცემებში. აქედან გამომდინარე, სსენებული ამონაჭრების, ასლებისა და წიგნში სწორებათა აღნუსხვა და ვარინატებში ასახვა, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, საჭიროდ არ ვცანით.

ტომში მაქსიმალურად არის დაცული გალაკტიონის მართლწერა და, შეძლებისდაგვარად, პუნქტუაციაც. ცვლილება შეეხო მხოლოდ კომპოზიტებს, რომლებიც წარმოდგენილია თანამედროვე ნორმების შესაბამისად. ტექსტში იშვიათი რედაქციული ჩარევები ასახულია ვარიანტებში.

პირობითი ნიშვნები და შემოპლებანი

ვარიანტების ჩვენებისას გამოყენებულია შემდეგი პირობითი ნიშნები:

[ნაცვლად (მაგ. შუქმონავარდე] სხივმონავარდე B. ნიშნავს: B ვარიანტში „შუქმონავარდე“ ნაცვლად იკითხება „სხივმონავარდე“)

+ ტექსტს ემატება (მაგ. მზის + მღვრიჟ DEF. ნიშნავს: DEF ვარიანტებში სიტყვას „მზის“ ემატება „მღვრიჟ“)

- ტექსტს აკლია (მაგ. გაფერმკრთალებულ] – BCDE. ნიშნავს: BCDE ვარიანტებში არ არის სიტყვა „გაფერმკრთალებულ“)

~ სიტყვები გადაადგილებულია (მაგ. დილის რიერაჟი] ~ BCD. ნიშნავს რომ BCD ვარიანტებში არის „რიერაჟი დილის“)

* პირვენდელი ტექსტი გადახაზულია (მაგ. გამეგონა] დამენახა* B. ნიშნავს: B ვარიანტში იყო სიტყვა „დამენახა“, რომელიც ავტორს გადაუხახავს და შეუცვლია სიტყვით „გამეგონა“)

თთ – გ. ტაბიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1966-1975.

სგ – გ. ტაბიძე, საარქივო გამოცემა ოცდახუთ წიგნად, გამოცემლობა „ლიტერატურის მატიანე“, თბ., 2005-2008.

გ. ტაბიძის თხზულებათა აკადემიური თხუთმეტტომეულის I ტომის მომზადებასთან დაკავშირებული ბიბლიოგრაფიული სამუშაოები შეასრულა ფილოლოგიის დოქტორმა მამუკა შელეგიაძ.

გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდით საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციის კურატორს მარინე ყიფიანს.

***მთვარე გაშპაშებს (გვ. 15)

სელნაწერი: ავტოგრაფი 8784 (B).

ნაბეჭდი: გ. „ამირანი“, 1908, №169, 28 სექტემბერი (A).

სელმოწერა: გალ. ტ-ბ-ძ ა.

მინაწერი: გაზ. „ამირანი“ B.

4 სქელის] სქელი B; ბინდ-ბუნდით] ბურუსით A. **11** წრფელს] წრფელ B. **12** შეუთანაბრო] შეგუთანაბრო B.

არსებობს გალაკტიონის ჩანაწერი, რომელშიც აღწერილია პრესაში მისი სადებიუტო გამოსვლის ვითარება და ჭაბუკი ავტორის ემოციები: „ჩემი ორი პირველი ლექსი ერთ და იმავე დღეს დაიბეჭდა და ეს იყო ყველაზე უკეთესი და ბედნიერი დღე ჩემს ცხოვრებაში“ (სგ, XIII, გვ. 171). სხვა ჩანაწერში იგი გამოცხობს, როგორ შეუცვალა გაზეთ „ამირანის“ რედაქტორმა დომინიკა ერისთავმა (განდევილი) დამწყებ პოეტს, მისი მორიდებული წინააღმდეგობის მიუხედავად, სარითმო სიტყვა „ბინდ-ბუნდი“ „ბურუსით“ (სგ, XX, გვ. 159-160). ამის შედეგად ზუსტი რითმა (გუნდით – ბინდ-ბუნდით) დაყრუვდა (გუნდით – ბურუსით). ჩვენ გავითვალისწინეთ ჭაბუკი გალაკტიონის ნება და აღვადგინეთ თავდაპირველი ვარიანტი.

***სქელი ღრუბელი (გვ. 16)

სელნაწერი: ავტოგრაფები 1249 (B); 2823 (C); 3265 (D); 5552 (E); 5943 (F); 8852 (G); 133 დ., გვ. 1 (H).

ნაბეჭდი: ჟ. „ჩვენი კვალი“, 1908, №19, 28 სექტემბერი, გვ. 298 (A); ლექსები, 1927, გვ. 370 (I); რჩეული, 1944, გვ. 473 (J); რჩეული, 1954, გვ. 145 (K).

სათაური: ღრუბლები C; შავი ღრუბელი K.

თარიღი: 1908 BGK; 1910 J.

მინაწერი: ლექსი, დაბეჭდილი ქურნალში „ჩვენი კვალი“. 1908 წ. DE.

1 ღრუბლები] ღრუბლები A. **4-16** სხივთა... ნაღველმა] – GH. **4** სხივთა] სხივთა* D] შუქთა DE. **6** ჩვენ B] ჩვენს CDEFIJ; სჩანდა]

მოსჩანს* E] ჩანდა K. **8** მიკლაკნ-მოკლაკნა] მიუანტ-მოფანტა DE; მისი სხივები] მისი სხივები* F] ირიბი გზები B] ელვარე ფრთები C] დამის ჩრდილები DE] ანარეკლები F] ოვისი სხივები K. **9** სამარა-დისო] სამარადისო BCDEFIJK; მომეჩვენენ] მომეჩვენა CDEIJK. **10** გარდოვლენილნი] გარდოვნელინი A] გარდოვლენილნი B] გად-მოვლენილი C] გარდოვლენილი K] სწრაფ-მიმავალი DE; ღვთით] ცით BCFIJK ეს DE. **11** მსწრაფლ] სწრაფლ* E] სწრაფლ B; მსწრაფლ გაპქრა] გაპქრა-რა DE; გაპქრა] გაქრა IJK. **12** დაპფარა] დაფარა BCD-FIJK. **13** უკუმა] წყვდიადმა DE. **14** ისევ] მხარეს BF] ცას IJK; ცრემლი] ცრემლები IJK; მდის] სდის BDEFIJK. **15** ვტირი] სტირის BDF] ტირის K; ვტირი მარადის] მხარე კვნესს და თრთის F.

Н аვტოგრაფი წარმოადგენს ფრაგმენტს, რომელშიც 1-3 სტრიქონები ჯერ ზუსტად მეორდება, შემდეგ კი ამგვარი სახით: გადაეფა-რა სამშობლო მხარეს /შავი, ბნელი და/ სქელი დრუბელი.

იხ. კომენტარი ლექსისა „***მთვარე კაშკაშებს“ (გვ. 295).

რომანი (გვ. 17)

ნაბეჭდი: ქ. „საქართველო“, 1908, №7, 2 ნოემბერი, გვ. 16.
ხელმოწერა: ტაბი.

ეს ლექსი თთ-ის პირველ ტომში გამორჩენილია. იგი მესამე ტომის ბოლოში დამატების სახით დაიბეჭდა.

იხ. კომენტარი მომდევნო ლექსისა „***როცა ბულბული განთია-დისას“.

***როცა ბულბული განთიადისას (გვ. 18)

ხელნაწერი: ავტოგრაფები 8725 (B); 8781 (C).

ნაბეჭდი: ქ. „საქართველო“, 1908, №11, 30 დეკემბერი, გვ. 12 (A).

სათაური: წყურვილი თავისუფლებისა B.

ხელმოწერა: ტაბი A.

მინაწერი: საქართვ. №11. 1908. ვ. გუნიას რედაქტ.* B; საქართვ. №11. 1908. B; „საქართველო“ C.

3 აღგზნებულად] აგზნებულად B. **9** მაღალს] მაღალ B; მაღალს კლდეებში] ბორკილ-ახსნილი C. **11** იმათ შორის] იმ დროს ბედ-კრულ C.

1933 წელს იოსებ გრიშაშვილმა გამოაქვეყნა მცირე წერილი „ჩემი მოგონება გალაპარიონზე“, რომელშიც მოგვითხრობს გალაპარიონის ორი ლექსის („რომანსი“ და „***როცა ბულბული განთიადისას“) ქ. „საქართველოში“ დაბეჭდვის ამბავს: „1908 წელს ჟურნალ „საქართველოს“ მდივანი ვიყავ. ქუთაისიდან აუარებელი ლექსი მოღიოდა... მაგრამ მათ შორის თავისი უშუალო განცდით და კარგი ხელის მონახმით განირჩეოდა გ. ტაბიძის ლექსები... როცა გ. ტაბიძის ლექსები მიღიღე, მაშინვე გადაგწყვიტე მისი დასტამბვა. მაგრამ ორივე ლექსი გაჭიანურებულად მომეჩვენა, განსაკუთრებით მეორე, რომლის ყოველი ხანა ერთფეროვან „როცა“-თი იწყებოდა... ავდეჭი და შეც ამ ათ კუპლეტიანი ლექსიდან მხოლოდ ათი სტრიქონი დავტოვე. ფინალისათვის ვითომდა ჩემი შემოქმედებაც გამოვიყენე, ბოლოში ორი ბწყარი ჩაგუმატე და ამ სახით დაგებეჭდე...“ (ი. გრიშაშვილი, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. IV, თბ., 1985, გვ. 115).

„შუქს“ (გვ. 19)

ხელნაწერი: ავტოგრაფი 8409 (A); 6398 (B).

ნაბეჭდი: თხზულებანი, VII, 1950, გვ. 137 (C).

სათაური: შუქი* B; ხელნაწერი ჟურნალი „შუქი“ B; შუქი C.

ხელმოწერა: გვ. A.

თარიღი: 1908 C.

4 ტანჯულსა არეს] დაჩაგრულ მხარეს BC. **5-6** შენი... ტკბილით ნათლით შენით, გვირგვინით მშვენით BC. **8-10** რომ... განრისხებულად] რომ ჩვენი ბედის დიდი იმედის დიდება ჩანდეს შარავანდედად BC. **13** ტანჯულთ] შუქო BC.

B ვარიანტი არის მანქანაზე ნაბეჭდი, ავტორის მიერ ნასწორები ტექსტი.

ლექსი ემდვნება ობილისის სასულიერო სემინარიის ხელნაწერი – „შუქის“ პირგელი ნომრის გამოსვლას (1908 წ. 9 ნოემბერი).

60280 (გვ. 20)

ხელნაწერი: ავტოგრაფი 8418 (B).

ნაბეჭდი: ქ. „ფასკუნჯი“, 1909, №5, 1 ოქტომბერი, გვ. 2 (A).

ხელმოწერა: გა– B.

6-7 კლდისა... ნაკადული] ნაკადული გულ-მოსულად ეხეთქება კლდისა ნაპრალს B. 9 ბუჩქებში... ბულბული] ბულბულიც კვნესის სადღაც B. 11 კალთაზე] კალთაზე B. 12 ეჭვიან] იჭვიან B. 16 სასიამო] საიმედო B. 22 გადიზნიქა] გადაირხა B. 28 ჩემს] ჩემ B. 29 აადულო] გააღვიძო B.

ეს ლექსიც „შუქის“ პირგელ ნომერშია მოთავსებული, ამიტომ 1908 წლით დათარიღდა. იხ. კომპენტარი ლექსისა „შუქს“ (გვ. 297).

30თარცა ბეჭი (გვ. 21)

ნაბეჭდი: გ. „დროება“, 1908, №29, 21 დეკემბერი.

ხელმოწერა: გალ. ტ-ბ-ძე.

რ. თვარაძე ლექსის ილია ჭავჭავაძის „სიმღერას“ უკავშირებს და შეცხრამეტე საუკუნიდან მემკვიდრეობით მიღებულ ხელწერაზე მიუთითებს (რ. თვარაძე, „ლეგანდა გალაკტიონის ცხოვრებისა“, ობ., 2001, გვ. 111).

ლამა (გვ. 22)

ხელნაწერი: ავტოგრაფი 8784 (B).

ნაბეჭდი: ქ. „ფასკუნჯი“, 1909, №4, იანვარი, გვ. 3 (A).

მინაწერი: „ფასკუნჯი“ B.

2 მწერმა] წერმა A. **13** განმარტოვებულს] განმარტოებულს B.
20 არი] არის B. **22** მარტოდ] ობლად B.

მომაპვდავი (გვ. 23)

ნაბეჭდი: ქ. „ფასკუნჯი“, 1909, №9, 1 მარტი, გვ. 2.

ზოძრი (გვ. 26)

ნაბეჭდი: ქ. „ფასკუნჯი“, 1909, №12, 22 მარტი, გვ. 2; სახალხო
კალენდარი, 1910, გვ. 225.

ბაზაზხულის მოლოდინში (გვ. 28)

ხელნაწერი: ავტოგრაფი 8777 (B).

ნაბეჭდი: ქ. „ფასკუნჯი“, 1909, №14, 5 აპრილი, გვ. 3 (A); ქრ. „ახა-
ლი ჩანგი“, წიგნი მესამე, ტფილისი, 1909, გვ. 317 (C).

მინაწერი: „ფასკუნჯი“ B.

***გარდი გოგობი (გვ. 29)

ხელნაწერი: ავტოგრაფი 3839 (B).

ნაბეჭდი: ქ. „ფასკუნჯი“, 1909, №16, 19 აპრილი, გვ. 1 (A).

სათაური: ვარდი კოკობი B.

მინაწერი: ფასკუნჯი B.

4 სწრაფად] სწრაფლად B. **7** ოქ] ჰო B; ტყვილია] ტყვილია B.

სასაფლაოზე (გვ. 30)

ნაბეჭდი: ქ. „ფასკუნჯი“, 1909, №17, 26 აპრილი, გვ. 4.

14 მიჰქრის] ჰქრის A.

ამ ლექსს უკავშირდება პოეტის უფრო გვიანდელი ნაწარმოები – „ციხის ნანგრევებთან“.

ზანტაზია (გვ. 32)

ხელნაწერი: ავტოგრაფი 8781 (B).

ნაბეჭდი: აღმ. „პირველი ტალღა“, 1909, №1, ნოემბერი, გვ. 8 (A).
მინაწერი: „პირვ. ტალღა“. №1. B.

რაფაელ სანციო (1483-1520) – აღორძინების ხანის გენიალური იტალიელი მხატვარი, ავტორი მადონას (ღვთისმშობლის) თემაზე შექმნილი არაერთი ნამუშევრისა.

გოუჩარება (გვ. 33)

ხელნაწერი: ავტოგრაფი 8777 (B).

ნაბეჭდი: აღმ. „პირველი ტალღა“, 1909, №2, დეკემბერი, გვ. 5 (A);
აღმ. „კოლხიდა“, 1911, №1, თებერვალი, გვ. 14 (C).

მინაწერი: „პირვ. ტალღა“. №2. B.

9 ნაზ] ნაზ* B] ნორჩ B.

„დაპქროლა რისხეით ქარმა სასტიქმა“ – რემინისცენციაა
ნ. ბარათაშვილის ლექსისა „დამქროლა ქარმან სასტიქმან“.

ძოლხიდა (გვ. 34)

ხელნაწერი: ავტოგრაფები 313 (B); 8781 (C); პირველი ტომის მა-
კეტი, 5760, გვ. 5 (D).

ნაბეჭდი: აღმ. „პირველი ნაბიჯი“, 1909, №2, დეკემბერი, გვ. 2 (A);
ლექსები, 1927, გვ. 369 (E); თხზულებანი, I, 1937, გვ. 418 (F); რჩეული,

1944, გვ. 472 (G); ოხულებანი, VII, 1950, გვ. 139 (H); რჩეული, 1954, გვ. 147 (I); რჩეული, 1959, გვ. 10 (J).

სათაური: – BEFGJ, კოლხიდაში HI.

თარიღი: 1908 DH; 1909 EFIJ; 1910 G.

მინაწერი: „პირველი ნაბიჯი“. ალმ. C.

2-13 იქ... ადამიანს] –B. 3 დიადემა] დიადემა EFGJ; მწვერვალთა] მწერვალთა E. 8 ტყვედქმნილთა] ტყვედჰქმნილთა D] ტყვედქმნილთა H. 10 [ცხოვრობს] ცხოვრობს EFGHIJ. 13 აქ] იქ HI. 16 წერდება] სწუხე-დება CD. 17 რად არ სწყდებაო] რისოვის არ სწყდება B] რისოვის არ წყდება H; სწყდებაო] წყდებაო I. 19 არისო] არის აქ BH. 20 აღარა გვაქვს] კი აღარ გვაქვს BH. 21 იტირეთ, მმებო] ო, მწუხარების BH. 22 როცა... ხმებს] როცა დავუგდებ ყურს ამ მწვავ ხმებს CD] როს ვუგდებ ყურს ამ ამოძახილს I; მეც ვიტანჯები] ო, ვიტანჯები BH. 23 ფიქრი] ფიქრიც BH; მშვიდაღ] მშვიდათ BD. 24 მითხარი] არ ვიცი BH. 25 მითხარ] ნეტავ B] ნეტა H; რად] სად EFGJ.

1950 წელს, ოხულებათა VII ტომის მომზადებისას, პოეტს შეუ-ქმნია ლექსის ახალი ვერსია (H) სტრიქონთა თანამიმდევრობისა და გრაფიკის შეცვლით. კერძოდ, B აგტოგრაფში, რომელიც მხოლოდ ლექსის მეორე ნახევარს (14-25 სტრიქონები) შეიცავს და ახალ ვერსიაზე მუშაობის პირველ ეტაპს ასახავს, სტრიქონები ასეთი თანამიმდევრობითაა წარმოდგენილი:

„თავისუფლება დავგარგეთო, თავისუფლება!..

გრძნობა გვეკარგვის, სული შფოთავს, გული წერდება.

„შეისმინევი, პე, ბუნებავ, მუდარა ჩვენი!

რისოვის არ სწყდება ჩვენი კვნესა, ტანჯვა ესდენი?

„ტანჯვა არის აქ ყველაფერი მოსაგონებლად,

ო, მწუხარების ცრემლი დაგვრჩა მანუგეშებლად!..

„მზე დაგვქათქათვებს, ყვავილო გუნდი გვეალერსება, თავისუფლება აღარა გვაქვს, თავისუფლება!“

როცა დავუგდებ მე ყურს ამ ხმებს, ო, ვიტანჯები,
არ ვიცი, რისთვის ნეტარებენ სამშობლო მოქმედი.
ფიქრიც გულცივად და თან მშვიდათ მესაუბრება:
ნეტავ რად ცელქობს ფრთაგაშლილი ტურფად ბუნება?

ახალ, H ვარიანტში შესაბამისი სტრიქონები ასეთივე თანამიმდევრობითაა, ოღონდ ლექსი მთლიანად განხსნავებული, დატეხილი გრაფიკით არის წარმოდგენილი (5+4/5).

მსახიობ ძალს (გვ. 35)

ნაბეჭდი: ქ. „თეატრი და ცხოვრება“, 1910, №1, 2 იანვარი, გვ. 5.

ახალ ტალღას (გვ. 36)

სელნაწერი: ავტოგრაფი 7294 (B); I ტომის მაკები 5760, გვ. 36 (C).
ნაბეჭდი: ალმ. „ახალი ტალღა“, 1910, №1, იანვარი, გვ. 3 (A);
თხზულებანი, VIII, 1957 გვ. 69 (D).

ეპიგრაფი: – BCD.

თარიღი: 1909 BD.

6 დამწველს] დამწველ BCD. **7** მშვიდად] მშვიდათ BC. **8** [ცას] მას
BCD. **9-16** და... იწვევდა] – BCD. **19** ტანჯულის] ტანჯული D. **20** ნაზ]
ამ D. **22** მიდაგავ] გვიდაგავ BD; დაქუხე] დაქუხე C.

გალაკტიონის არქივში ინახება ამ ლექსის მანქანაზე ნაბეჭდი
ასლიც, ნასწორები ავტორის მიერ. ეს ტექსტი სამსტროფიანია, იგი
გადაბეჭდილი უნდა იყოს B ავტოგრაფიდან. პოეტის მიერ შეტანილ
ცვლილებებს ავსახავთ B სელნაწერთან მიმართებით:

2 ფიქრი მწვავდა] ყრმობის ხანად. 5 მას] ცას. 6 მინდა] მსურდა;
ეგ] ის. 7 ეძიებს... ტალღებს] ილტვოდა ქარიშხალთან, მედგარ ტალ-
ღებთან. 8 მუდმივ... თავსძება] ვერ თავსძებოდა იმ დუმილში. 9 ნაზ]
წრფელ; გულში აღძრულს] უსივრცო; შედაღადებს] შეღაღადებდა.

აღმანახი „ახალი ტალღა“ საქართველოში არ მოიძებნა. მისი ქსეროასლი პეტერბურგიდან, რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკიდან ჩამოგვიტანა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა, ქალბატონმა ირმა რატიანმა.

აღმზია (გვ. 37)

ნაბეჭდი: ქ. „ოქატრი და ცხოვრება“, 1910, №3, 17 ინვარი, გვ. 3.

მსახიობის დღიურიდან (გვ. 38)

ხელნაწერი: ავტოგრაფი 7728 (B).

ნაბეჭდი: ქ. „ოქატრი და ცხოვრება“, 1910, №6, 7 ოქტემბერი, გვ. 9 (A).

სათაური: – B.

მინაწერი: ოქატრი და ცხოვრება. 1910. №6. B.

4 დეკ და 5 დეკ დამხარხარებდეს] დამხარხარებდნენ B.

ბრძოლაში ვეძებ (გვ. 39)

ხელნაწერი: ავტოგრაფები 5552 (B); 7729 (C).

13 (A); ლექსები, 1927, გვ. 371 (D).
ნაბეჭდი: ქ. „ოქატრი და ცხოვრება“, 1910, №8, 21 ოქტემბერი, გვ.

სათაური: – B.

თარიღი: 1910 D.

მინაწერი: ო. და ცხ. 1910. №8. C.

B-ში მხოლოდ პირველი სტროფია წარმოდგენილი.

5 [ცხადათ] ცხადად BC; ცხადათ და ძილში] არ ცხრება გრძნობა
D. 6 [შეენება] დიდება C; 9 [შმიდა] შმინდა CD. 10 და მძიმე წყლუ-
ლით] მძიმე ჭრილობით D. 11 [შვიდათ] შედგრად D; კვდებიან]
ჰკვდებიან C. 13 გული წრფელი] წმიდა გული A] წმინდა გული C. 14
ოშ] ო D. 15 გედაგვისთ] გედაგვით C; კაეშან-სევდით] საშინელ სევ-

დით D. 16 მრისსანედ] მრისსანეთ D. 17 ჩემსკენ] ჩემკენ C; ჩემსკენ... შემომიერთდით] შევერთდეთ ერთი დიდი იმედით D.

ოცნება პლიტა (გვ. 40)

ხელნაწერი: პირველი ტომის მაკეტი №5757, გვ. 387 (B).

ნაბეჭდი: ალმ. „ჩვენი ნაბიჯი“, 1910, №1, თებერვალი, გვ. 11 (C); ლექსები, 1927, გვ. 365 (A); ოზუღლებანი, I, 1937, გვ. 416 (D); რჩეული, 1944, გვ. 471 (E); რჩეული, 1954, გვ. 147 (F).

სათაური: – C.

თარიღი: 1912 BDF.

5 სდგას] დგას F. 12 შვენება] მშვენება F. 14 გაჟრა-მეთქი] გაქრა-მეთქი F. 15 მწერვალებს] მწერვალებს BCEF. 17 მოღლილ-მოქანცულთ C; მიმქრალ] მიმკრალ C. 18 მი-ჯაჭულიყო] მიჯაჭულიყო BCF.

ხალხური ამირანის სახე, რომელსაც გალაკტიონი შემდგომშიც არაერთხელ მიმართავს, ლექსში ორიგინალურად არის ჩანაცვლებული კლდეზე მიჯაჭული ოცნების მეტაფორით.

მხოლოდ პუნქტი (გვ. 41)

ნაბეჭდი: ქ. „თეატრი და ცხოვრება“, 1910, № 10, 7 მარტი, გვ. 5.

სასაფლაოზე (გვ. 42)

ნაბეჭდი: ქ. „თეატრი და ცხოვრება“, 1910, №16, 18 აპრილი, გვ. 3 (A); ლექსები, 1927, გვ. 373 (B); ოზუღლებანი, I, 1937, გვ. 436 (C); რჩეული, 1944, გვ. 474 (D); რჩეული, 1954, გვ. 158 (E); რჩეული, 1959, გვ. 11 (F).

სათაური: ზევით ასწიეთ მზე, ზევით BCDEF.

თარიღი: 1910 BCEF.

8 თავისებური] თავისუფალი BCDEF. **13** ხაოსზე] ქაოსზე EF. **14** ხელი ვპართ] დავკარგეთ E. **15** ვქვითინებთ] ცრემლებს ვღვრით BCDEF. **17** დაწყვეტილს] დაწყვეტილ E. **18** მიეცი] დაუდე BCDEF. **22** სიკვდილი უსასობა] უსასობა, სიკვდილი BCDEF. **23** საფლავთან ერთად] ნადგურდება და BCDEF. **30** შეერთდი] შეერთდით CEF. **31** ასწიე] ასწიეთ CDEF.

ზარგანა (გვ. 44)

ნაბეჭდი: ქ. „თეატრი და ცხოვრება“, 1910, №18, 9 მაისი, გვ. 2.

ღილა (გვ. 45)

ხელნაწერი: ავტოგრაფები 6630 (B); 8715 (C).

ნაბეჭდი: ქ. „თეატრი და ცხოვრება“, 1910, №22, 6 ივნისი, გვ. 4 (A).

სათაური: მაისის დილა C.

თარიღი: 1910 C.

მინაწერი: თეატრი და ცხოვრება. 1910. №22. B; ო. და ც. №22. C.

3 ცეცხლზე] ცეცხლში B. **6** შეფრთხიალდა ცის] შეეისრა მზეს C. **8** აჭიჭიკდი] ახმაურდი C. **10** ხრიალით] გრიალით C. **12** ნაღველი] ნეპტარი C; საბოლოო] საბოლოო C.

***არ მშორდება სეზდა მზარე (გვ. 46)

ნაბეჭდი: ქ. „თეატრი და ცხოვრება“, 1910, №24, 20 ივნისი, გვ. 5.

***ათასზერად მოქარბული (გვ. 47)

ნაბეჭდი: ქ. „ნაკადული“ (მოზრდილთათვის), 1910, №8, ივნისი, გვ. 15.

ბაზარზელის ლამა (გვ. 48)

ნაბეჭდი: ქ. „თეატრი და ცხოვრება“, 1910, №35, 5 სექტემბერი,
გვ. 9.

ჩემო მაღონეამ! (გვ. 49)

ნაბეჭდი: ქ. „თეატრი და ცხოვრება“, 1916, №50, გვ. 8.
თარიღი: 1910.

ნაწარმოებს ერთვის სარედაქციო შენიშვნა: „ეს ლექსი მიღებულია 1910 წელს“.

რაფაელი – იხ. კომენტარი ლექსისა „ფანტაზია“ (გვ. 300)

***შუალამეა... ზღვის ეპარ ბულში (გვ. 50)

ნაბეჭდი: გ. „კოლხიდა“, 1911, №86, 13 ივლისი.

მწყემსი] მწყესი.

ჰამლეტის ძნარით (გვ. 51)

ხელნაწერი: ავტოგრაფი 8700 (B).

ნაბეჭდი: გ. „კოლხიდა“, 1911, №142, 23 სექტემბერი (A); ლექსები, 1927, გვ. 317 (C); რჩეული 1944, გვ. 422 (D).

სათაური: – CD.

მიმღვა: მხურვალე გულით გუძღვი მონაზონ ქალს რაისას* B.

3 ამაოა... დრტვინავს] ამოება ცხოვრებაა, ტანჯვა* B; მთლად] მთლათ B; დრტვინავს] დრტვინგის BCD. **4, 8** მონასტერში, ოფელია] ოფელია, ოფელია!* B. **6** და მაშვრალი] დამაშვრალი BCD;

და... გული] დაიღალე? ბნელი სული* B; B-ში „მოასვენეს“ შემდეგ
გადახაზულია:

შეაღამის მწარე ფიქრი დაივიწყე ან დაჰუარე...

განა არ ვგრძნობ, რომ სიჩუმე კედლებსაც კი შეაჭვარე?

ლექსის ადრესატია რაისა ჩიხლაძე, რომელსაც პოეტი ახსენებს
მეგობრის – მწერალ მიხეილ ბოჭორიშვილისადმი 1912 წელს გაგ-
ზავნილ წერილში: „ამას დაუმატე რაისასადმი მხურვალე გრძნობა,
რომელიც არაფერს მაძლევდა“ (ქ. „ცისკარი“, 1962, №12, გვ. 144).
ახალგაზრდა ქალი, ვისაც გალაპტიონმა რამდენიმე სხვა ლექსიც
მიუძღვნა (ისინი არ დაუბეჭდავს), როგორც ჩანს, არ თანაუგრძნობ-
და ვაჟს.

პირველი ენანისოვა (გვ. 52)

ხელნაწერი: ავტოგრაფი 7143-7149 (B).

ნაბეჭდი: ქ. „განათლება“, 1911, №7, სექტემბერი, გვ. 419 (A); გ.
„საბჭოთა მასწავლებელი“, 1939, №19, 4 მარტი (C); ოხულებანი,
V, 1952, გვ. 167 (D).

ქვესათაური: 1911 წ. D.

თარიღი: 1911 წ. B.

გაზეთ „საბჭოთა მასწავლებელში“ (C) დაბეჭდილია მხოლოდ
20 სტრიქნი; იგი წარმოადგენს მთლიანი ტექსტის ფრაგმენტების
ნაკრებს, კერძოდ, აქ გაერთიანებულია 7-14, 23-26, 39-44, 89-90
სტრიქნები.

BD ვარიანტებში ტექსტი წარმოდგენილია განსხვავებული
გრაფიკით – თოთხმეტმარცვლები დატეხილია მუხლებად (5/4/5).

3 ჩაუვითლებულ... დაუბერა] გაყვითლებულ მთებით დაპბერა
BD. **4-5** ნისლი... ჩასწერა] ~ BD. **4** ნისლი... წაართო] ნისლის, მთის
კალთას შერჩენილის წაშალა BD. **5** წელის ნაპირზე] მდინარის
პირს BD. **6** მსწავლებ მიიძინა] გადიბიძინა BD. **7** შორს გადავცე-
ქერი] მაღლით დაგსცექერი B] მაღლით დავცექერი D. **8-10** იდუმალ...

მტერი] ~ BD. 9 იქ... წყვდიადი] სოფელში ბნელა, წყვდიადია BD. 10
 თან... მგესლავ] იგი წყვდიადი თვის უშავესს ახვევს სამოსელს BD.
 11 ბედკრულნო] ბედკრულო BCD. 12-13 მე...მასწავლებელი] ~ BD.
 12 მე იმის] იმ სანოლის BD. 14 დევ... სდევდეს] ვერას დამაკლებს
 D. 15 გაყინულ] შეცივებულ B. 16-17 მოგაჯადოებსთ... სულდადონ-
 ებულს] ~ BD. 16 მოგაჯადოებსთ] თქვენ აღგამადლებსთ BD. 17
 სულდადონებულს] თქვენს მარად ერთგულს BD. 19 მასწავლებე-
 ლო] მე მკითხავს ბავში B] მე მკითხავს ბავში D. 20 კიდევ და-
 კარი] სწავლის დრო არი BD. 21 ხომ... ელი?] დელავხართ მწვრთნე-
 ლი BD. 23 პატარა ბავში] წიგნებით ბავში B] წიგნებით ბავში D.
 24-25 წრფელი... სკოლაში] ~ BD. 25 მოციგლიგებს] შემოვიდა BD.
 28 კიდევ დაკარი] სწავლის დრო არი BD. 29 რა... იცქირება] ნუგ-
 ეშისათვის ჩემსკენ მოდის B] ნუგეშისათვის ჩემკენ მოდის D. 30-31
 აგადმყოფობით... დონემიხდილი] ~ BD. 30 დონემიხდილი] სასომიხ-
 დილი BD. 32 აქ კი დარაჯად] დარაჯად კარს რომ BD; შავი] სნება
 BD. 33 საგსე ოჯახი] ჩემსკენ მოხუცო* B. 34 წინ... მოაგვაროს]
 გაახსნედება... უფრო მეტად უდელავს გული BD. 35 დაიმშვიდე...
 გული] მე ვიცი ვინ რა მოაგვაროს BD. 36 შევარიგებ] შეგარიგებ
 B] შეგაბრძოლებ D. 38 კიდევ დაკარი] სწავლის დრო არი B. 39
 ჩემკენ მოაბიჯებს] ნაბიჯს მოაშურებს B. 41 მასზე] მაზე AC. 44,
 60 კიდევ დაკარი] სწავლის დრო არი BD. 45 ნუთუ... სხანს] აგერა
 მოსჩანს BD. 47 მისის] მისი BD. 48 უბედურ-მტრული] უკუდმართუ-
 ლი D. 49 მას მეზობელმა] უნდობმა ხელმა BD. 50 შემდეგ მზაკვრუ-
 ლად] ნიშნის მოგებით BD. 51 დაუწვა] დაუწვეს BD. 52 ჩემსკენ]
 ჩემკენ D. 54 კიდევ დაკარი] სწავლის დრო არი BD. 56 საბოლო-
 ვოდ] საბოლოოდ BD. 57 სოქვან] თქვან D. 61 აი] მოდის BD; მოდის
 ვიღაცა] არა-ვიღაცა B] ვაჟი – ვიღაცა D. 63 უნამუსო უცხოელმა]
 უუფლებობამ, ძალადობამ BD. 64 ეხლა] შემდეგ D. 65 გასწავლი...
 ბედკრულო] გასწავლით ბედკრულებო BD. 66 სანოლი] ლამპარი
 BD. 72 მწვერვალს] მწერვალს B. 73 სიცხოვლე] სიცოცხლე D. 74
 დაყოლილი] დაყოლილთა BD. 75 პე... ცაო] ლურჯო ცაო, ლაქვარ-
 დო ცაო BD. 76 წმიდად] წმინდათ B] წმიდად D.

ლექსი ავტობიოგრაფიული ხასიათისაა: 1911 წელს გალაკტიონ
 ტაბიდე მასწავლებლად იქო შორაპნის მაზრის სოფელ ფარცხნალაში.

მუსიკა (გვ. 55)

ხელნაწერი: ავტოგრაფები 8702 (B); 8766 (C).

ნაბეჭდი: გ. „კოლხიდა“, 1911, №152, 5 ოქტომბერი (A).

ხელმოწერა: გ. ტაბიძე B; Accordi. სამშაფთელა C.

მინაწერი: ქუთაისი C.

4 გაისმის] გაისმის* B] მოისმის B; მუსიკა წყნარი] გულდამ-
თუოქველი* B] გულდამთუოქველი C. **5** გრძნობის... დამწველი] მუსი-
კა წყნარი... მუსიკა ნელი...* B] მუსიკა წყნარი... მუსიკა ნელი C. **6,**
16 იზრდება] იზრდება* B] იზრდება AB. **7** გადმოღვარე] გადაღვარე
C. **9** გლოვა] სევდა* B] სევდა C. **10** ტრფობა მწყურია] სიყვარული
მსურს* B] სიყვარული მსურს C. **11** არსად] არსით* B] არსით C;
ჩანს] სჩანს C. **12** გაალხობს] დააღნობს* B] დაჩრდილავს C. **13** რა
გაანელებს] რაღა დაფარავს* B] რაღა დააღნობს* C] რაღა დაფარ-
ავს C; ჩემს დრმა] ჩემსა C. **14** მუსიკა] მუსიკავ* B] მუსიკავ C; ეხლი] ახლა B; ეხლა... გულსა] სულს ნუ მიშფოთებ* B] სული მიშფოთავს
C. **15** მწვდება... ნაღველი] ძლიერი არის ჩემი ნაღველი* B] ძლიერი
არის ჩემი ნაღველი C. **17** სულის... მდაგველი] ჩემი დამწველი და
დამდაგველი* B] გულის მგბობარს რომ აღარ ელი (?)* B] ჩემი დამ-
წველი და დამდაგველი C.

მჟვე (გვ. 56)

ნაბეჭდი: გ. „კოლხიდა“, 1911, №168, 23 ოქტომბერი (B); ლექსები,
1927, გვ. 212 (A); რჩეული, 1944, გვ. 373 (C).

მიძღვნა: ძღვნათ გუცას B.

8, 26 რად კანკალებს] რათ კანკალობს B. **9, 27** რად ვალალებს]
რათ ვალალობს B. **12** ხორცზე იჭვი] ხორცზე ზიზღი B; სულზეც]
სულზე B. **20** მისწვდა] მიწვდა B.

ლექსის ადრესატი „გუცა“ არის ახალგაზრდა ლიტერატორი
გიორგი ფარქოსაძე, რომელიც 1911 წელს გალაკტიონთან ერთად

მუშაობდა გაზეთ „კოლხიდას“ რედაქციაში და მასალებს „გუცას“ ფსევდონიმით აქვეყნებდა.

სიჩუანის ანგელოზი (გვ. 57)

ნაბეჭდი: გ. „კოლხიდა“, 1911, №172, 28 ოქტომბერი (A); ლექსები, 1927, გვ. 156 (B); ობუჟღებანი, I, 1937, გვ. 204 (C); რჩეული, 1944, გვ. 344 (D); რჩეული, 1954, გვ. 206 (E).

სათაური: – C; სიჩუანის ანგელოზი BD; დაიძინე!.. E.

თარიღი: 1915 C; 1911 E.

7 და... შემოგხედავ] დაიძინე, შემოხედვავ DE. 8 შენც... ღმერთო] ცის კამარავ E. 10-11 ცათ... მიდამოს] – BCDE. 12 მსხვერპლო] სხვერპლო A] შორის BCDE. 13 ანგელოზი] ანგელოზი BCD] ნელი სიო E; ძილის ჰანგს] მდუმარე BCDE. 14 შენ] ჯერ E; თუ რათ] რისთვის BCDE; სცოცხლობ] ცოცხლობ CE; რათ არსებობ] რად არსებობ BCDE; რისთვის ფიქრობ] ვისზე ფიქრობ BCDE. 15 არ... ძილის] ამ სიჩუანის მტანჯავ BCD] ჯერ სიჩუანის მტანჯავ E. 17 ძილის კოცნა] სხვა სიჩუანი BCD; მარადის... კოცნა] მსურს მომავლის სიხარული E. 18-19 დაიძინე... საიდუმლო] –BCDE.

ასეთივე სახელწოდების ლექსი იმავე 1911 წელს დაწერილი აქვს ტიციან ტაბიძეს, თუმცა, გარდა სათაურებისა, ნაწარმოებებს შორის კავშირი არ შეინიშნება.

შემოღმოა (გვ. 58)

ნაბეჭდი: ქ. „განათლება“, 1911, №10, დეკემბერი, გვ. 618.

გალაპტიონმა გასული საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისში იოსებ გრიშაშვილს, ამ ლექსის გარდა, უძლვნა პოემა „მწყემსი“ (1911) და კიდევ ორი ლექსი – „მეგობარს“ და „გაზაფხულის ღამე“, რომლებიც არ დაუბეჭდავს.

რა ვძნა? (გვ. 60)

ნაბეჭდი: გ. „წვენი ცხოვრება“, 1912, №2, 3 ივლისი.

ველი პყვავიან (გვ. 61)

ხელნაწერი: ავტოგრაფები 3985 (B); 8714 (C).

ნაბეჭდი: ქ. „განათლება“, 1912, №9, ნოემბერი, გვ. 698 (A); ოქტომბერი, V, 1952, გვ. 47 (D).

სათაური: რკალიდან „გრძნობათა ფერფლი“ B; გრძნობათა ფერფლი D.

ეპიგრაფი: ველი პყვავიან/ სულო, დაწყნარდი! გოებრე C.

თარიღი: 1911 BD.

8 იცვლება] იცვლება* B] წინ მიღის BD. 12 წმიდა] წმინდა BCD. 15 მკვდარი, უსულო] მკვდარი, უსულო* B] საგაზაფხულო BD.

შურნალ „განათლებაში“ დაბეჭდილ ლირიკულ ციკლში სათაურით „გრძნობათა ფერფლი“ გაერთიანებულია ათი ლექსი: „შემოდგომის ფოთოლი“, „Ave Maria“, „მალე, სულ მალე“, „სასაფლაოზე“, „ველი პყვავიან“, „ხომლი“, „სერენადა“, „...ხშირად ვოცნებობა“, „გამოსალმება“ და „შემოქმედება“. ამ ციკლიდან მხოლოდ სამი – „ველი პყვავიან“, „სერენადა“ და „გამოსალმება“ ვერ მოხვდა პოეტის პირველ წიგნში (1914).

სერენადა (გვ. 62)

ნაბეჭდი: ქ. „განათლება“, 1912, №9, ნოემბერი, გვ. 699 (A); ლექსები, 1927, გვ. 21 (B); ოქტომბერი, I, 1937, გვ. 34 (C); რჩეული, 1944, გვ. 270 (D).

თარიღი: 1908 BC.

2 ნიჭი] იგი BCD; ლამაზო] პირიმზე BCD. **6** მიმაფრენს ცელქი] მიტაცებს კარგი BCD. **12** ვიმდევებ... სახეს] ვმდერი, ვით არვის არ უმდერია BCD.

იხ. კომენტარი ლექსისა „ველნი ჰყვავიან“ (გვ. 311).

გამოსალმასა (გვ. 63)

ნაბეჭდი: ქ. „განათლება“, 1912, №9, ნოემბერი, გვ. 699 (A); ლექსტი, 1927, გვ. 23 (B); ოხულებანი, I, 1937, გვ. 37 (C); რჩეული, 1944, გვ. 267 (D); რჩეული, 1954, გვ. 161 (E).

თარიღი: 1910 BCDE.

2 მყინვარო] პირიმზე BCDE; რისოვის] რატომ E. **3** არაგვო] პირიმზე BCDE; რაზედ] რაზე E. **4** სწუხებარ] სწუხებარ CD] წუხებარ E. **5** რაზედ] რაზე CE. **6** იგრძენით] გგონიათ BCDE. **7** ისევ] ეხლა BCD] ახლა E; მწამვლელ] მწამლავ E. **9** სამუდამოდ] სამუდამოთ B. **11** ჩემი ნანა] წრფელი ნანა BCDE. **13** რადა მაქვს] სხვა რაა BCDE.

იხ. კომენტარი ლექსისა „ველნი ჰყვავიან“ (გვ. 311).

ახალ ტლის ღამეს (გვ. 64)

ნაბეჭდი: გ. „თემი“, 1913, №104, 1 იანვარი.

იუნონა – მოსავლისა და გამარჯვების მიმნიჭებელი, ქალთა მფარველი ღმერთქალი რომაულ მითოლოგიაში, იუპიტერის მეუღლე.

***ირბვლივ, გარშემო (გვ. 65)

ნაბეჭდი: გ. „განთიადი“, 1913, №2, 2 აგვისტო (A); ლექსტი, 1927, გვ. 364 (B); რჩეული, 1944, გვ. 470 (C).

სათაური: გმირის გარდაცვალება B; გარდაცვალება C.

2 ნისლით] ნიშნად BC. **3, 5** ოპ] ო BC; მისწყდა] მოწყდა BC; მღელ-გარე] გრძნობათა BC.

გ. „განთიადში“ ლექსი მოთავსებულია ავგუსტ ბებელის სუ-რათის ქეშ, რომელსაც მიწერილი აქვს მუშაობა მოძრაობის გა-მოხენილი მოღვაწის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები: 1840-1913. არსებობს ცნობა, რომ ბებელის გარდაცვალებისადმი მიღდგნილი ეს ნაწარმოები გაღაბტიონმა რედაქციის თხოვნით დაწერა (გ. მებუკე). ორ-ორი სტრიქონი ლექსისა, დასაწყისსა და ბოლოში, წერტილებითაა შევსებული, რაც ცენზურის ნაკვალევი უნდა იყოს.

საშბარი ვალუში (გვ. 66)

სელნაწერი: ავტოგრაფები 3996 (B); 4159 (C).

ნაბეჭდი: გ. „შრომა“, 1914, №20, 14 ივლისი (A); ლექსები, 1927, გვ. 59 (D); თხზულებანი, I, 1937, გვ. 98 (E); რჩეული, 1944, გვ. 293 (F); თხზულებანი, ტ. V, 1952, გვ. 49 (G).

სათაური: ქალს მთებიდან BCDEFG.

თარიღი: 1914 CDE; 1912 G.

3 ისე] არა BCG. **6-9** ოპ... სიყვარულში] – BCEG. **7** გულში] სი-ყვარულში DF. **8-9** ოპ... სიყვარულში] – DF. **10** ჩვენი] ერთი BCG; სასახლე] ჩარდახი BCG. **16** ჩემო... ოპ] შენს მოლოდინში, ო BCG] შენს მოლოდინში, ოპ DEF. **17** მოლოდინის... გულწრფელობის] გა-მოუცნობი მდელვარების DEF; მოლოდინის... დავდვარე] გამოუცნობი მდელვარების დამე ვატარე BCG. **18** და] ოპ DEF; და... ცრემლებით] იმ ვარსკვლავებით BCG. **19** ქვითინით იზრდებოდა] ლოდინით იქმნე-ბოდა BCG. **20** არსით] არსად BCG. **21** წმიდა] წმინდა BCDEFG. **22-25** და... თროოდენ] – E. **24** სიწმიდეს] სიწმინდეს BCEFG; ჩვენს სამშ-ობლოში] ამნაირ დროში BCG] – F. **25** ფიქრინი] ძალინი BCG. **26** ჩემს] შენს BCDEFG. **29** ნახევრად... სხეული] თორემ იქ... გულში... რა ქარია გადარეული! BCDEFG. **30** ხანდახან განცდის] და მარტო-ბის BCG; მე] შენ DEF; ვჰორდები] შორდები DEF. **31** და] როს BCG; მეწარმლება] გეწარმლება DEF; მათი] ასეთ BCG] რაღაც DEF. **31-32**

სტრიქონებს შორის B-ში გადახაზულია: არ მსურს ვცხოვრობდე მათი გრძნობით. **32** ვდგევარ] დგეხარ DEF; ვუცქერ] უცქერ DEF. **33** და... ცრემლებით] არ მსურს ვცხოვრობდე მათი გრძნობით, მათი მიზნებით BCG; მსურს] გსურს DEF. **34** ჩემს დაღლილ] მაშინ ჩემს BCDEFG. **37** შენც გადაგითრევს] შენაც ჩაგითრევს BCG.

სანთლები (გვ. 68)

ნაბეჭდი: ქ. „ოქატრი და ცხოვრება“, 1914, №31, 5 ოქტომბერი, გვ. 7 (A); ლექსები, 1927, გვ. 413 (B); ოხულებანი, I, 1937, გვ. 451 (C); „ოქტო აჭარის ლაჟვარდში“, 1944, გვ. 112 (D); რჩეული, 1944, გვ. 489 (E); რჩეული, 1954, გვ. 193 (F).

გპიგრაფი: აწ თავსა მისესა საძებრად / მივსცემ, სად კლდე და წყალია. შოთა რუსთაველი D.

თარიღი: 1916 C; 1912 D; 1911 F.

2 სივრცეს] სივრცის F; სჩანდა] ჩანდა F. **4** გასწყრა] გაწყრა F. **9** მიუწყდომელი] მიუწყდომელი EF.

ელებია (გვ. 69)

ნაბეჭდი: გ. „ახალი აზრი“, 1914, №75, 20 ნოემბერი.

15 მომცემს] მისცემს.

რა სევდიან ზღაპარს ამბობს შარი... (გვ. 70)

ნაბეჭდი: ქ. „ოქატრი და ცხოვრება“, 1915, №1, 4 იანვარი, გვ. 7 (A); ლექსები, 1927, გვ. 277 (B); ოხულებანი, I, 1937, გვ. 352 (C); რჩეული, 1944, გვ. 399 (D).

სათაური: რა სევდიან ნანას ამბობს ქარი B.

თარიღი: 1916 C.

8-11 მოგონებავ... ჩუმად] – BCD.

ამ ლექსში გალაკტიონი პირველად იყენებს ათმარცვლედის ახალ მეტრულ სახეობას – 4/4/2, რაც ერთ-ერთი მაცნეა ვერსიფიკაციის სფეროში რეფორმის დაწყებისა.

ლექსები. ქუთაისი. 1914 წელი.

პოეტური კრებულის გამოცემა გალაკტიონ ტაბიძემ XX საუკუნის ათიანი წლების დასაწყისში რამდენჯერმე (1911, 1912, 1913 წლები) სცადა, მაგრამ უსახსრობის გამო ეს მცდელობანი უშედეგო აღმოჩნდა. პოეტის პირველი წიგნი 1914 წლის იგნისში გამოვიდა ქუთაისში ტუბუ გვარამიას თაოსნობით და იმ დროის ქართული მწერლობის მნიშვნელოვან მოვლენად იქცა.

გალაკტიონის პირველი წიგნი, როგორც უკვე ითქვა, არ არის ტრადიციული რჩეული, ის წიგნი-მთლიანობაა, რასაც სპეციფიკურად ორგანიზებული ლირიკული სიუჟეტი და ფარული მითოლოგიური მეტატექსტი ქმნის. აქედან გამომდინარე, ავტორის თავდაპირველი ესთეტიკური ჩანაფიქრის აღდგენისა და შენარჩუნების მიზნით ჩვენ უარი ვთქვით 1908-1914 წლების ლექსების ერთიან ქრონოლოგიურ განლაგებაზე, რაც წაშლიდა უნიკალური წიგნი-მთლიანობის არსებობის კვალს. გალაკტიონის პირველი წიგნი ამ გამოცემაში ცალკე იბეჭდება.

1914 წლის კრებულში შესული ლექსები გალაკტიონს სისტემატურად შექმნდა თავის ტომეულებსა და რჩეულებში, ოდონდ ათეულობით ტექსტმა მნიშვნელოვანი, ძირითადად კონიუნქტურული, ცვლილებანი განიცადა, თხუთმეტი ლექსი კი აგზორს არასდროს ადარ გაუმეორებია.

წიგნი-მთლიანობის ძირითად ტექსტად შეირჩა 1914 წლის წიგნში დასტამბული ტექსტები, რომლებიც თავისუფალია კონიუნქტურული ჩარევებისა და ავტოცენზურისაგან. თვალის მიღევნება ლექსების ვარიანტებზე, სადაც ასახულია ავტოგრაფებისა და პოეტის სიცოცხლეში გამოქვეყნებული ყველა ნაბეჭდი წყაროს მონაცემები, საშუალებას იძლევა დავინახოთ ცვლილებათა მოტივები და ხასიათი.

ხელოვნება (გვ. 73)

ნაბეჭდი: ლექსები, 1914, გვ. 1 (A); ლექსები, 1927, გვ. 118 (B); თხულებანი, I, 1937, გვ. 170 (C); რჩეული, 1944, გვ. 285 (D); რჩეული, 1954, გვ. 228 (E).

თარიღი: 1909 BC; 1910 E.

4 დღეს... ახსოვს] გადიარეს გრიგალებმა BCDE. **7** ვწერდი... ვერ] და ჰა, იგი დავათავე BCDE. **8** [შავ] შავს DE. **10** მომწყინდა... ყოფნის] მეწვია შემდეგი იჭვი და მომწყინდა იგი BCDE. **11** ვსოქვი] ვთქვი CDE; რა] არ BCDE. **12** ხმა დამწველი] მეორე ხმა BCDE. **14** ფარავს] პფარავს E. **15** მას... ვერ] რას იშვიათ თუ BCDE; მისწვდება] მიწვდება E. **17** ცის... ამბორი] ის ალერსი, ის ამბორი BCDE. **20** შვაზე წყდება] შუა წყდება BCDE. **21** ვერას] ვერ-რას E; სწვდება] წვდება BCDE.

„ხელოვნება“ წარმოადგენს ლექს-მანიფესტს, რომელშიც ასახულია პოეტის მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკური პოზიცია შემოქმედების ადრეულ ეტაპზე და, გალაკტიონის ცნობით, სპოციალურად პირველი წიგნისთვის დაიწერა (სგ, XIII, 306).

ტექსტის მეორე პუბლიკაციისას (ლექსები, 1927 წ.) ნაწარმოებმა რედაქციული ცვლილებანი განიცადა და ყველა შემდგომ გამოცემაში ამ სახით იძებლდებოდა.

მე-11 სტრიქონში სიტყვები: „რომ რა იყოს ხელოვნება“ შემდგომ პუბლიკაციებში ასე იკითხება: „რომ არ იყოს ხელოვნება“. 1914 წლის კრებულში ბევრი კორექტურული შეცდომაა, თუმცა „რა“ კორექტურად ვერ ჩაითვლება, რადგან პოეტი თავის ერთ-ერთ ჩანაწერში, ამ ლექსის პირველი და მეორე ვერსიების შედარებისას, თავდაპირველ ვარიანტს ზუსტად ამ სახით იმოწმებს (სგ, XXII, 387).

რადგან, ავტორის ცნობის თანახმად, ლექსი-მანიფესტი საგანგებოდ დაიწერა კრებულისათვის, ე.ი. წიგნის ძირითადი კორპუსის მომზადების შემდეგ, იგი 1914 წლით დავათარიღეთ.

მიმღერე რამე! (გვ. 74)

ნაბეჭდი: ლექსები, 1914, გვ. 2 (A); ლექსები, 1927, გვ. 359 (B); თხულებანი, I, 1937, გვ. 423 (C); რჩეული, 1944, გვ. 466 (D); ლე-

ქსები, 1953, გვ. 145 (E); რჩეული, 1954, გვ. 148 (F); რჩეული, 1959,
გვ. 13 (G).

თარიღი: 1912 CG; 1910 F.

3 წარუშლელი] წარუშლელელი F. 4 [უძლურება] დაღონება BCDEFG;
დაღალულ] დაღალულ BCEG. 5 ჩემო... სიწმინდის] – BCDEFG. 7
სიხალისე] ყვავილები BCDEFG. 8 ისე... ბურუსი] ბურუსებს იქით
გადიკარგა BCDEFG. 9 ეხლავ მაშინებს] ეხლა თავს მაღას BCDE]
ახლა თავს მაღას FG; ჭმუნვარება] ჭმუნვარება F. 10 ჩემო... სი-
ცოცხლის] – BCDEFG. 12 მქონდა] დიდი BCDEFG; ცა... მცნების]
ახალ დღეების BCDEFG. 13 მაგრამ... და] არ დავცემულვარ, მა-
გრამ გესლით მე BCDEFG. 15 ჩემო... გატაცების] მე იმ ბრძოლების
BCDEFG. 17 ახალგაზდათა] ახალგაზრდათა BCDEFG; დაცემის და]
ბრძოლის შემდეგ BCDEFG. 18 ახალგაზრდათა] და წარუშლელი
BCDEFG; მე ვარ] გავხდი BCDEFG. 19 მეც... კავდები] მოწამე გავხდი
ცეცხლისა და განადგურების BCDEFG. 20 მიმღერე... გევედრები] –
BCDEFG.

ნაწარმოები წიგნი-მთლიანობის თემებისა და მოტივების ერთ-
გვარი რეესტრია და პროლოგის ფუნქციას ასრულებს. საბჭოთა
ლიტერატურული მიმღერე „რამე“, ისე როგორც პირველი კრებუ-
ლის არაერთი სხვა ლექსი („შავი ყორანი“, „განახლდა გული“,
„ელეგია“, „მგზავრის სიმღერა“, „დარიალისა ვიწრო კლდეებში“,
„გურიის მთები“...), პირდაპირ დაუკავშირა პოსტრევოლუციურ რეაქ-
ციას და საზოგადოებრივ სევდას, რაც სინამდვილეს არ შეესაბამე-
ბა. გალაპტიონის პესიმიზმს, უპირატესად, პირად-ინდივიდუალური
ხასიათი ჰქონდა.

შავი ყორანი (გვ. 75)

ხელნაწერი: ავტოგრაფი 8818 (B).

ნაბეჭდი: ლექსები, 1914, გვ. 3 (A); ლექსები, 1927, გვ. 358 (C);
თხზულებანი, I, 1937, გვ. 422 (D); რჩეული, 1944, გვ. 279 (E); რჩეუ-
ლი, 1954, გვ. 141 (F).

სათაური: – B.

თარიღი: 1912 D; 1911 F.

2 გზა გავიარე] გზაზე მივდივარ **B.** **8** ისევ] გზაზე **B.** **10** სჩანს] ჩანს **F.** **11** სიბნელეშიც] სიბნელეში **F.** **12** შემოჰკრა] შემოჰკრა **B.**

ლექსს უკავშირებენ ნ. ბარათაშვილის „მერანს“ და ედგარ პოს „ქორანს“, რომლის თარგმნა გალაპტიონს 10-იან წლებში უცდია (სტ, XXIV, 28).

რომ თაყვანი სცხს (გვ. 76)

ნაბეჭდი: ლექსები, 1914, გვ. 4 (A); ლექსები, 1927, გვ. 288 (B); ობ-ზულებანი, I, 1937, გვ. 365 (C); რჩეული, 1944, გვ. 413 (D); რჩეული, 1954, გვ. 205 (E).

სათაური: მწვანე ზოლი მთის BCDE.

თარიღი: 1914 CE.

2 თეთრი] მწვანე BCDE. **3** შვენებაში] მშვენებაში E; კანკალებს და] – BCDE. **5** ხავერდოვან] – BCDE. **8** ოდნავ] – BCDE; მშვიდი] – BCDE. **10** ეთამაშება] სდექს BCDE. **11** და... დგას] შუქ-შუქად ადგას BCDE. **12** გარეთ... დონემიხდილი] – BCDE. **13** ცის სივრციდან] სიმაღლიდან BCDE. **16** სტრიქონის დასაწყისში BCDE-ში ემატება: ადამიანს სურს.

აომათი (გვ. 77)

ნაბეჭდი: ლექსები, 1914, გვ. 5 (A); ლექსები, 1927, გვ. 379 (B); ობ-ზულებანი, I, 1937, გვ. 447 (C); რჩეული, 1944, გვ. 463 (D); რჩეული, 1954, გვ. 222 (E).

სათაური: სიმღერავ, უხმევ BC; –D.

თარიღი: 1915 C; 1910 E.

2 ვსოდები] ვთქვი E. **4** იჭვი] ეჭვი E. **2-6** რამდენჯერა... მემღერა] – BC. **7** ამ დროს] როგორ BC. **8** ჩუმი... სიმთა] გულში ვნებათა ქნარების BC; ჩუმი] ის სხვა E. **9** ქმნიდა] პქმნიდა D. **10** წმინდათწმიდა] წმინდათწმინდა BC] წმიდათწმიდა DE. **13** მომეკლა სულის] ამენთო გულის E. **14** მაგრამ] ხოლო E. **19** ისმენდენ] ისმენდენ CE. **20**

იცოდენ] იცოდნენ CE; ყოფნის] ბევრის BC] ყოფის D. **21** კიდევ] დიდი BCE.

პოეტის თემის დამუშავებისას შეიმჩნევა რომანტიკული ტრადიციის, განსაკუთრებით, მ. ლერმონტოვის ლირიკის კვალი.

შემოზღოვა (გვ. 78)

ნაბეჭდი: გ. „სახალხო გაზეთი“, 1910, №156, 12 ნოემბერი (B); ლექსები, 1914, გვ. 6 (A); ლექსები, 1927, გვ. 254 (C); ოხულებანი, I, 1937, გვ. 322 (D); რჩეული, 1944, გვ. 392 (E).

თარიღი: 1916 D.

6 თავს ხრის] პხრის თავს B; მორცხვად] მორცხვათ CD; სძავაებს] სძაბავს E. **8** მთას] კლდეს B. **9** პკვდება] კვდება BCDE. **12** მოწყენილია] დაღვრემილია B. **13** მინდოოს] მწვერვალს B.

გზაზე (გვ. 79)

ნაბეჭდი: გ. „ოქმი“, 1913, №123, 13 მაისი (B); ლექსები, 1914, გვ. 7 (A); კრ. „ჩანგი“, II, 1916, გვ. 223 (C); ლექსები, 1927, გვ. 332 (D); ოხულებანი, I, 1937, გვ. 398 (E); რჩეული, 1944, გვ. 439 (F).

სათაური: თვალუწვდებელი, დაუსაბამო DEF.

თარიღი: 1915 E.

4 წვეთის] – DEF; მსგავსათ] მსგავსად BDE] მზგავსად C; მზის + მდგრიე DEF. **5** იშლებოდა] ინოქმებოდა BDE. **6** ინოქმებოდა] ინოქბოდა C] იხვეოდა DEF. **7** და] კვლავ DEF. **8** მომესმა] მოისმა BC. **9** ეს ხომ] გზაზე DEF. **10** ჩემს] ჩემთ DF] ჩემთა E; თვალთაწინ] თვალწინ DE. **11** სამარადეამოდ] სამარადისოდ F; გაურკვევი] გაურდვევი F. **12**, **13** და] მე DEF. **13** სხვა] იმ DEF.

გამოთქმულია აზრი, რომ ლექსი ბარათაშვილის „მერანის“ ლირიკულ გმირზე მიანიშნებს (ს. ჭილაია); მეორე კერძით, „სხვა

ქვეყანაზე“ მეოცნებე მხედრის სახეში ე. პოს „ელდორადოს“ პერ-
სონაჟი ამოიცნობა (გ. კვარაცხელია).

ტემა (გვ. 80)

ნაბეჭდი: გ. „სახალხო გაზეთი“, 1910, №142, 27 ოქტომბერი (B);
ლექსები, 1914, გვ. 8 (A); ლექსები, 1927, გვ. 285 (C); თხზულებანი, I,
1937, გვ. 361 (D); რჩეული, 1944, გვ. 409 (E).

12 ეკსტაზი] ექსტაზი D.

ავტორს ლექსი ფორმის მხრივ სიახლედ მიაჩნდა (სგ, XVIII,
გვ. 90). ტ. ტაბიქემ „ტყეში“ კეთილხმოვანებით ვერლენის „მთვარეს“
(„La lune“) შეადარა („მარტოობის ორდენის კავალერი“, გ. „საქართ-
ველო“, 1916, №3-4).

ზეფირი, ეოლი – ქართა სახელები ბერძნულ მითოლოგიაში.

პორდზე (გვ. 81)

ნაბეჭდი: ლექსები, 1914, გვ. 9 (A); ლექსები, 1927, გვ. 159 (B) და
გვ. 374 (C); თხზულებანი, I, 1937, გვ. 207 (D); რჩეული, 1944, გვ. 347
(E).

თარიღი: 1915 D.

**6-9 და... ჩემი] – C. 10, 18 პერი] პერ D. 13 თუ... ვკვნესი] ჩემი ოცნე-
ბა BCDE. 15 ჩემი ობლობის] უუშორესი BCDE. 16 ისიც დიდია] რა
სიმდიდრეა C. 19 დაობლებული] დაღონებული BCDE. 20 ვაებით] –
BDE] შორიდან C. 24 ცივ... ამოეფარე] სახე ნიღაბს ამოეფარა C. 25
დასუსტებული] – BDE] გამწარებული C.**

დუმილი (გვ. 82)

ნაბეჭდი: ლექსები, 1914, გვ. 10 (A); ლექსები, 1927, გვ. 160 (B);
თხზულებანი, I, 1937, გვ. 208 (C); რჩეული, 1944, გვ. 346 (D); რჩეული,
1954, გვ. 208 (E).

თარიღი: 1915 C; 1911 E.

4 შესწყდა] შეწყდა CE. **5** მზე ჩაესვენა] – BCDE. **9** მთელი ბუნება] – BCDE. **11** ასავარცხელებულ] ასავერცხელებულ C. **12** [და ნაღვლიანი] გაფერმკრთალებით BCDE. **13** გაფერმკრთალებულ] – BCDE. **16** სდ-გას] დგას CE. **21** არც... და] – BCDE. **25** გამთბარ გულ-მკერდში] – BCDE. **29** მთა... შიშველ-ტიტველი] შექი შიშველი BCDE. **30** თითქო] თითქოს E. **32** მე... მიწა] ეს დუმილი, ვფიქრობ BCDE. **33** დუმილიდან არ] არ დაირღვევა BCDE; გამოერკვევა] – E.

სარგებლობა (გვ. 83)

ნაბეჭდი: ლექსები, 1914, გვ. 11 (A); ლექსები, 1927, გვ. 161 (B) და გვ. 166 (C); თხულებანი, I, 1937, გვ. 215 (D); რჩეული, 1944, გვ. 357 (E).

სათაური: გუშინ, მთელი დღე CDE.

თარიღი: 1917 D.

